ირაკლი ყანდაშვილი
გიორგი ტურაზაშვილი

პროფესია – ადვოკატი

სახელმძღვანელო

გერმანიის თანამშრომლობა
DEUTSCHE ZUSAMMENARBEIT

giz Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit (GIZ) GmbH

ს.ი.ს.ტ. "საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია"
L.E.P.L. "GEORGIAN BAR ASSOCIATION"

სახელმძღვანელო
პროფესია ადვოკატის
შესახებ

ავტორები:
ირაკლი ყანდაშვილი
გიორგი ტურაზაშვილი

თბილისი
2018

Implemented by
giz Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit (GIZ) GmbH

წინამდებარე სახელმძღვანელო შექმნილია GIZ-ის (Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit) ფინანსური მხარდაჭერით. 1993 წლიდან GIZ-ი საქართველოში ხელს უწყობს სამართლისა და იუსტიციის რეფორმების გატარებას. სხვა ღონისძიებებთან ერთად GIZ-ი ზრუნავს იურიდიული ლიტერატურის შექმნასა და სამართლის პოპულარიზაციაზე. GIZ-ი არ იღებს პასუხისმგებლობას ნაშრომის შინაარსობრივი მხარის სისწორეზე.

რედაქტორი: **ზურაბ ძლიერიშვილი,**

სამართლის დოქტორი, პროფესორი;

საქართველოს უზენაესი სასამართლოს
სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლე;

კომპიუტერული უზრუნველყოფა: **ლევან შავლაყაძე**

ISBN 978-9941-9567-0-6

© GIZ

© ირაკლი ყანდაშვილი

© გიორგი ტურაზაშვილი

გამომცემლობა: პეტიტი

სარჩევი

წინათქმა.....4
თავი I.....5
თავი II.....29
თავი III.....78
თავი IV.....90
თავი V.....100
თავი VI.....125
თავი VII.....143
თავი VIII.....147
თავი IX.....152

წინათქმა

სახელმძღვანელო შექმნილია დამწყები ადვოკატებისათვის, ვინც ახლად გაწევრიანებულია ადვოკატთა ასოციაციაში და იწყებს პროფესიულ პრაქტიკას.

სახელმძღვანელო ასევე სასარგებლო იქნება პრაქტიკოსი იურისტებისათვის, უმაღლესი სასწავლებლების იურიდიული ფაკულტეტის ბაკალავრიატის დამამთავრებელი კურსის სტუდენტებისათვის, მაგისტრანტებისათვის, ვინც გეგმავენ ადვოკატის პროფესიის დაუფლებას.

სახელმძღვანელო მიზნად ისახავს დამწყებ ადვოკატებს, იურისტებს მარტივი ენით და კომპაქტურად მიაწოდოს ინფორმაცია პროფესია ადვოკატის არსზე, მის როლზე და დანიშნულებაზე იურიდიულ პროფესიებში, ისევე როგორც მართლმსაჯულების სისტემაში, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის შესახებ, საადვოკატო საქმიანობის ფორმებსა და მიმართულებებზე, ადვოკატსა და კლიენტს შორის ურთიერთბების სამართლებრივ ასპექტებზე, ადვოკატის ეთიკურ ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობის შესახებ, ისევე როგორც სახელმძღვანელოში მოცემულია სამოქალაქო საქმის წარმოების ძირითად ასპექტებზე პრაქტიკული რჩევები და განმარტებები.

სახელმძღვანელო არის პირველი მცდელობა შეიქმნას პრაქტიკული გზამკვლევი ადვოკატის პროფესიაში, რომლის გაცნობა შეუქმნის მის მკითხველს ნათელ წარმოდგენას იურიდიული პროფესიის ამ კონკრეტული მიმართულების შესახებ, ისევე როგორც დაანახებს ადვოკატის მანტიის მორგების მსურველს თუ რა უფლება-მოვალეობების მატარებელი პროფესიაა საადვოკატო საქმიანობა, ზოგადად იურიდიულ პროფესიაში, მარწმუნებლების მიმართ თუ იურიდიული პროფესიის სხვა წარმომადგენელთა წინაშე.

სახელმძღვანელო ამასთანავე ითავსებს სამოქალაქო საქმისწარმოების პრაქტიკული უნარების განვითარების მიზნით დამწყები ადვოკატებისათვის სამართლის ამ დარგის საქმისწარმოების დეტალურ პრაქტიკული მრჩეველის ფუნქციას; სამოქალაქო სამართლის მიმართულებით დამწყები პრაქტიკოსებისათვის წინამდებარე სახელმძღვანელო უნდა გახდეს განუყრელი თანმდევი იურიდიული პროფესიის ლაბირინთებში.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია და ავტორთა ჯგუფი მადლობას უხდის გერმანიის საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის საზოგადოებას (GIZ) გაწეული დახმარებისა და მხარდაჭერისათვის, რაც გახდა წინაპირობა აღნიშნული პრაქტიკული სახელმძღვანელოს შექმნის, რომელიც გახდება გზამკვლევი დამწყები ადვოკატებისა და ადვოკატობის მსურველი პირებისათვის მათ პრაქტიკულ საქმინობაში.

ადვოკატი ირაკლი ყანდაშვილი

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის
საგანმანათლებლო საბჭოს თავმჯდომარე

თავი I

ადვოკატის პროფესია

1.1. პროფესია ადვოკატის ადგილი იურიდიულ პროფესიებში.

1.2. ადვოკატის პროფესიაში შესვლის წინაპირობები.

1.3. საადვოკატო საქმიანობის წარმოების ორგანიზაციული ფორმები.

1.4. საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია.

1.4.1. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ორგანიზაციული სტრუქტურა.

1.5. უფასო იურიდიული დახმარების სისტემა.

1.5.1. სოციალური პასუხისმგებლობა – პრო ბონო მომსახურება.

1.5.2. უფასო იურიდიული დახმარების საშუალებები.

1.5.2.1. საუნივერსიტეტო კლინიკები.

1.5.2.2. უფლებადამცველი არასამთავრობო ორგანიზაციები

1.1. პროფესია ადვოკატის ადგილი იურიდიულ პროფესიებში

პროფესია ადვოკატი[1] მნიშვნელოვან როლს თამაშობს იურიდიულ პროფესიებში, ისევე როგორც, ის მართლმსაჯულების ოჯახის განუყოფელი რგოლია. ადვოკატი[2] მარწმუნებლისთვის იურიდიული რჩევის მიმცემი პირია, რომელიც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს კლიენტის იურიდიულ ბედს.

პროფესია ადვოკატი მართლმსაჯულების სისტემის ერთ-ერთი მთავარი რგოლია და პასუხს აგებს ხარისხიან მართლმსაჯილებაზე სისტემის სხვა რგოლებთან, სასამართლო ხელისუფლებასა და სახელმწიფო ბრალდებასთან ერთად, შესაბამისად, საადვოკატო პროფესიის ადგილი თანაბარწილად მნიშვნელოვანია იურიდიული პროფესიის სხვა წარმომადგენლებთან ერთად.

იმისთვის, რომ პროფესიისადმი ადეკვატური იყოს საზოგადოების, საადვოკატო სერვისის მომხმარებელთა და იურიდიული პროფესიის სხვა აქტორების მიდგომა, საჭიროა საადვოკატო პროფესია შესაბამისი განვითარების სიმაღლეზე იდგეს, როგორც პროფესიული მომზადების, ასევე პროცესუალური გარანტიებისა და სამართლებრივი დაცვის მექანიზმების გათვალისწინებით.

აღნიშნული კუთხით მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას იმ ცვლილებებს საქართველოს კანონმდებლობაში, რაც 2016-2018 წლებში გატარდა საადვოკატო საქმიანობისთვის კიდევ უფრო მეტი პროცესუალური გარანტიის შექმნის კუთხით; კერძოდ:

ა) 2016 წელს დასჯადი გახდა დაცვის განხორციელებისათვის ხელის შეშლის მიზნით ადვოკატის საქმინობაში ამა თუ იმ ფორმით უკანონო ჩარევა[3].

ბ) 2017 წელს საქართველოს უზენაეს კანონში – კონსტიტუციაში გაჩნდა ჩანაწერი ადვოკატის შესახებ[4], რაც პროფესია ადვოკატის საკონსტიტუციო დონეზე აღიარების დადასტურებაა[5]. აღსანიშნაცვია, რომ

---

1. **ადვოკატი** (ლათ. advocatus წამოსულია სიტყვა advoco დან) — პირი რომელიც იურიდიულ დახმარებას გასწევს. საქართველოში ადვოკატი – ასევე ითვლება პროფესიონალ მრჩეველად იურიდიულ საკითხებზე. 2. ადვოკატი არის თავისუფალი პროფესიის პირი, რომელიც ემორჩილება მხოლოდ კანონსა და პროფესიული ეთიკის ნორმებს და გაწევრიანებულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში. იხ.https://ka.wikipedia.org/wiki/ადვოკატი.

2. ადვოკატი არის თავისუფალი პროფესიის პირი, რომელიც ემორჩილება მხოლოდ კანონსა და პროფესიული ეთიკის ნორმებს და გაწევრიანებულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში. იხ. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მეორე ნაწილი.

3. იხ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 364-ე მუხლი.

4. იხ. საქართველოს კონსტიტუციის 13-ე და 31-ე მუხლები.

5. 2017 წელს შექმნილ სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიაში ადვოკატის პროფესიას – საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას წარმოადგენდა ადვოკატი დავით ასათიანი, რომელიც 2017 წლის დეკემბერში არჩეულ იქნა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარედ.

მსოფლიოში მოიძებნება სულ რამდენიმე სახლმწიფო, რომელთა ქვეყნის უზენაესი კანონი იცნობს სიტყვა „ადვოკატს“.

გ) აღსანიშნავია, რომ 2018 წელს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდა შემდეგი შინაარსით:

„ადვოკატი საადვოკატო საქმიანობას დამოუკიდებლად ახორციელებს. დაუშვებელია ადვოკატის საქმიანობაში არამართლზომიერი ჩარევა, ადვოკატის საქმიანობისათვის ხელის შეშლა, ადვოკატზე სახელმწიფო ორგანოს ან/და სხვა პირის არასათანადო ზემოქმედება, მისი დაშინება, შევიწროება,იძულება, დევნა, მასზე ზეწოლა, მისთვის მორალური ან/და მატერიალური ზიანის მიყენება, მის მიმართ ძალადობა ან ძალადობის მუქარა, აგრეთვე ნებისმიერი სხვა ქმედება, რომელმაც შეიძლება ხელყოს ადვოკატის დამოუკიდებლობა“.

საადვოკატო საქმიანობის კანონმდებლობის დონეზე დაცვა და უზრუნველყოფა არ წარმოადგენს პროფესიის კაპრიზს, არამედ ეს საადვოკატო საქმიანობის უკეთ განხორციელების საშუალებაა. მისი ბენეფიციარი კი ამ სერვისის მიმღებია, რაც საბოლოო ჯამში განაპირობებს ადვოკატის პროფესიის ადგილის მართებულ განსაზღვრას და დამკვიდრებას იურიდიულ პროფესიებსა თუ საზოგადოების აღქმაში.

საადვოკატო პროფესიის ადგილს იურიდიულ პროფესიაში და მისდამი საზოგადოების განწყობას, ნდობას მრავალწილად განსაზღვრავს თვითონ ადვოკატთა საქმიანობა, პროფესიული სტანდარტებისადმი კორპუსის წარმომადგენელთა მიდგომა, პროფესიული მომზადების დონე, შეიძლება ითქვას, ყოველდღიური პროფესიული პრაქტიკა, და ამ მხრივ, ორმაგად მნიშვნელოვანია პროფესიაში ახლად შემოსულ წევრთა თუ ამ პროფესიით დაინტერესებულ პირთა თავიდანვე სწორი მიდგომა პროფესიისადმი, რათა არ დაკნინდეს ის როლი და დანიშნულება რაც ამ პროფესიის წარმომადგენელთა უშუალო ჩართულობით არის განსახორციელებელი.

საადვოკატო პროფესიის წარმომადგენელთა ვალია პასუხობდნენ იმ პროფესიულ გამოწვევებს რაც დღის წესრიგში უდგას პროფესიას, ისევე როგორც ფიქრობდნენ პროფესიულ ზრდასა და განვითარებაზე, რათა იურიდიული პროფესიის სხვა შტოების განვითარებას ჰარმონიულად უწყობდნენ ფეხს და უფრო მეტიც, იყვნენ კიდეც პროფესიაში მაღალი სტანდარტის დამდგენნი, როგორც პროფესიული მომზადების, კვალიფიკაციიის, ასევე ეთიკური სტანდარტების დაცვის კუთხით;

ამ მხრივ დიდია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის როლი და ეფექტური მუშაობის მნიშვნელობა, რადგან ინსტიტუციონალურ დონეზე იურიდიული საქმიანობის ეს მიმართულება საჭიროებს მუდმივ წინსვლას. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ საადვოკატო საქმიანობა საპროკურორო და სამოსამართლეო საქმიანობისგან განსხვავებით თავისუფალი და დამოუკიდებელი პროფესიაა, მეორე მხრივ, გაცილებით მეტ წევრს ითვლის დღეის მდგომარეობით და გაცილებით რთულია მისი მართვა და მაღალი პროფესიული სტანდარტის დაცვაზე ზრუნვა, რადგან

მოსამართლეებისა და პროკურორების მაგალითზე შეიძლება ითქვას, რომ მათი განათლება და მომზადების კურსები სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე ფინანსდება და ამასთანავე რიცხოვნების მხრივ გაცილებით მცირეა მათი შემადგენლობა[6].

1.2. ადვოკატის პროფესიაში შესვლის წინაპირობები[7]

ადვოკატის პროფესიაში შესვლა გათანაბრებულია პირის მიერ ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანებასთან, ანუ ნებისმიერი პირი, ვინც აპირებს საადვოკატო საქმიანობას, სავალდებულო წესით უნდა გაწევრიანდეს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში.

„ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონი და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წესდება[8], რომელიც დამტკიცებულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრებაზე 2005 წლის 26 თებერვალს, დეტალურად არეგულირებს პირის ადვოკატის პროფესიაში შესვლის წინაპირობებს და კერძოდ, ადვოკატი შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც[9]:

ა) აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება[10];
ბ) ჩაბარებული აქვს ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა ამ კანონით დადგენილი წესით ან ჩაბარებული აქვს მოსამართლეთა/პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდა;
გ) აქვს იურისტად ან ადვოკატის სტაჟიორად მუშაობის არანაკლებ 1 წლის სტაჟი.

აღსანიშნავია, რომ 2018 წლის მაისში „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონში გატარდა ცვლილებები[11], რომლის თანახმად 2019 წლის 1 იანვრიდან იცვლება კანონის მე-10 მუხლის „გ" პუნქტი, რომელიც ჩამოყალიბდა შემდეგნაირად:

---

6. სტატისტიკური მონაცემები 2018 წლის ივლისის მდგომარეობით: საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში ირიცხება 8304 წევრი, აქედან 4797 მოქმედი წევრია. სასამართლო სისტემაში რეგისტრირებულია 297 მოქმედი მოსამართლე, ხოლო იმავე პერიოდისთვის საქმიანობს 426 პროკურორი და 60 სტაჟიორ პროკურორი.

7. ქვეთავი მომზადებული „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონისა და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოქმედი წესდების შესაბამისად.

8. იხ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოქმედი წესდების მე-8 მუხლი.

9. იხ. „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 მუხლი

10. იგულისხმება საბაკალავრო სწავლების საფეხური.

11. იხ. საქართველოს 2018 წლის 4 მაისის კანონი #2266 , https://matsne.gov.ge/ka/document/view/15472.

გ) გავლილი აქვს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს მიერ დამტკიცებული პროფესიული ადაპტაციის პროგრამა, რომელიც 1 წლიანია და შედგება თეორიული ნაწილის და სტაჟირებისგან.

აღნიშნული ცვლილების შედეგად ადვოკატობის მსურველი ნებისმიერი პირი ვალდებული იქნება გაიაროს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს მიერ დამტკიცებული პროფესიული ადაპტაციის პროგრამა, რომელიც ორი ნაწილისგან იქნება შემდგარი, კერძოდ, ადაპტაციის პირველი ნაწილი იქნება სამ თვიანი სწავლება ადვოკატთა ასოციაციის ბაზაზე, რომლის ფარგლებშიც მომავალი ადვოკატები ისწავლიან და შეიმეცნებენ ისეთ პრაქტიკულ უნარებს, რასაც არ ასწავლიან უნივერსიტეტებში, არ მოწმდება მათი ცოდნა არც საკვალიფიკაციო გამოცდაზე, თუმცა პრაქტიკოს ადვოკატს ესაჭიროება ყოველდღიურ საქმიანობაში, კერძოდ, მომავალი ადვოკატები შეისწავლიან, პროფესიულ ეთიკას, იურიდიულ მართლწერას, საადვოკატო უნარ-ჩვევებს, საადვოკატო ბიუროს მართვას და რიტორიკის უნარებს. ადაპტაციის პროგრამის მეორე ცხრა თვიანი პერიოდი დაეთმობა რეალურ პრაქტიკულ სტაჟირებას, რომელსაც ადვოკატობის მსურველი პირები გაივლიან მათ მიერ, ადვოკატთა ასოციაციის მენტორ ადვოკატთა რეესტრიდან, შერჩეულ ადვოკატებთან, ადვოკატთა ასოციაციის მიერ დამტკიცებული ერთიანი სტანდარტით.

აღნიშნული ცვლილება ერთი მხრივ წარმოადგენს პროფესიაში შესვლის ევროპული სტანდარტის დამკვიდრებას საქართველოში და მეორე მხრივ, უნდა გახდეს წინაპირობა და გარანტი პროფესიაში კიდევ უფრო კვალიფიციური და ხარისხიანი კადრის მიღების.

ზემოაღნიშნული გახლავთ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის რეგულაცია, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო, რომელიც ახორციელებს პროფესიაში შემსვლელთა განაცხადების უშუალო განხილვას და პროფესიაში მიღებას, წლებია ამ მიმართულებით აწარმოებს და ნერგავს პრაქტიკას, რომელიც ასევე გასათვალისწინებელია[12].

აღსანიშნავია, რომ მოქმედი კანონმდებლობა[13] ითვალისწინებს გამონაკლის შემთხვევას, როდესაც პირი არ შეიძლება გახდეს ადვოკატი, კერძოდ, საუბარია ისეთ შემთხვევაზე, როცა ადვოკატი არ შეიძლება იყოს განზრახი მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის ნასამართლევი პირი, თუ ნასამართლობა არ აქვს მოხსნილი ან გაქარწყლებული კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12. აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით ის პირები ვისაც აქვს ადვოკატის საკვალიფიკაციო გამოცდა წარმატებით ჩაბარებული და დაწყებული აქვს პრაქტიკოსი იურისტის/ პროფესიული საქმიანობა, უფლებამოსილია მომართოს ადვოკატთა ასოციაციას გაწევრიანების შესახებ განცხადებით თუ დაწყებული აქვთ პროფესიული საქმიანობა ან/და მისი შეწყვეტიდან არ არის გასული 10 წელი.

13. იგულისხმება „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი.

გარდა კანონმდებლობით პირდაპირ დადგენილი გამომრიცხავი საფუძვლისა (იხ. ზემოთ), კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს ისეთ შემთხვევას, როდესაც პირი მისი სამსახურებრივი სტატუსიდან გამომდინარე ვერ განახორციელებს საადვოკატო საქმიანობას, კერძოდ, ადვოკატი არ შეიძლება იმავდროულად იყოს „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებული თანამდებობის პირი[14] და სხვა პირი, რომელსაც კანონმდებლობით ეკრძალება საადვოკატო საქმიანობის განხორციელება.

ზემოაღნიშნულ გამონაკლისებთან ერთად, რომელიც ეხება საადვოკატო საქმიანობის განხორციელების გამომრიცხავ წინაპირობებს კანონმდებლობა ასევე იცნობს ისეთ გამონაკლისს, რომელიც პირიქით ადვოკატობის მხურველ პირს ათავისუფლებს პროფესიული ადაპტაციის 9 თვიანი პრაქტიკული სტაჟირების გავლის ვალდებულებისგან თუ პირს აქვს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის, საერთო სასამართლოების სისტემის მოსამართლის ან პროკურორად მუშაობის არანაკლებ 3 წლის მუშაობის გამოცდილება[15].

ქვემოთ გვექნება დეტალური საუბარი ადვოკატის პროფესიაში შესვლის ისეთ ნორმატიულ საფუძველზე, როგორიც არის ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა.

ადვოკატის პროფესიაში შესვლის საკვალიფიკაციო გამოცდის გავლის უფლება აქვს უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე ნებისმიერ პირს[16]. საკვალიფიკაციო გამოცდას ორგანიზებას უწევს და წელიწადში ორჯერ ატარებს საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია. გამოცდა ტარდება სახელმწიფო ენაზე. გამოცდის ჩატარების წესს, პროგრამას ამტკიცებს და გამოცდის ჩატარების თარიღს განსაზღვრავს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო.

გამოცდის ჩაბარებამდე პირმა შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილება თუ სამართლის რომელი მიმართულებით აპირებს გამოცდის ჩაბარებას, კერძოდ, ტესტირება არის საერთო ან სპეციალიზაციის მიხედვით, კანდიდატის ნების შესაბამისად, ხოლო სპეციალიზაცია ხდება სამოქალაქო და სისხლის სამართლის მიმართულებით.

---

14. ტერმინის „თანამდებობის პირი" განმარტებასთან დაკავშირებით იხ. კანონი „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ", მუხლი 2.

15. იხ. „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-4 ნაწილი.

16. იგულისხმება მინიმუმ საბაკალავრო სწავლების საფეხური იურისპრუდენციაში.

საერთო სპეციალიზაციის გამოცდა ტარდება შემდეგ საგნებში[17]:
ა) საკონსტიტუციო სამართალი;
ბ) ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი;
გ) ადმინისტრაციული სამართალი;
დ) ადმინისტრაციული სამართლის პროცესი;
ე) სისხლის სამართალი;
ვ) სისხლის სამართლის პროცესი;
ზ) სამოქალაქო სამართალი;
თ) სამოქალაქო სამართლის პროცესი.

სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაციის მქონე ადვოკატთა ტესტირება ტარდება შემდეგ საგნებში[18]:
ა) საკონსტიტუციო სამართალი;
ბ) ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი;
გ) ადმინისტრაციული სამართალი;
დ) ადმინისტრაციული სამართლის პროცესი;
ე) სამოქალაქო სამართალი;
ვ) სამოქალაქო სამართლის პროცესი.

სისხლის სამართლის სპეციალიზაციის მქონე ადვოკატთა ტესტირება ტარდება შემდეგ საგნებში[19]:
ა) საკონსტიტუციო სამართალი;
ბ) ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი;
გ) ადმინისტრაციული სამართალი;
დ) ადმინისტრაციული სამართლის პროცესი;
ე) სისხლის სამართალი;
ვ) სისხლის სამართლის პროცესი.

ადვოკატს, რომელსაც გამოცდა ჩაბარებული აქვს სპეციალიზაციის მიხედვით, საადვოკატო საქმიანობის განხორციელების უფლება ეძლევა სამართლის შესაბამის დარგში[20].

პროფესიაში შესვლის გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში[21] პირი იღებს ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელ დოკუმენტს (სერტიფიკატს).

---

17. იხ.„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლი.
18. იხ. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლი.
19. იხ. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლი.
20. საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში ადვოკატად მონაწილეობის უფლება აქვს ნებისმიერ ადვოკატს, სპეციალიზაციის მიუხედავად..
21. საუბარია 100 კითხვიდან 75 სწორი პასუხის გაცემაზე.

გასათვალისწინებელია, რომ ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი ძალას კარგავს, თუ პირი გამოცდის წარმატებით ჩაბარებიდან 10 წლის განმავლობაში არ დაიწყებს საადვოკატო საქმიანობას[22].

1.3. საადვოკატო საქმიანობის წარმოების ორგანიზაციული ფორმები

ადვოკატს უფლება აქვს, საადვოკატო საქმიანობის განსახორციელებლად ინდივიდუალურად, სხვა ადვოკატებთან ან სხვა პირებთან ერთად შექმნას საადვოკატო ბიურო ამხანაგობის ან „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული სამეწარმეო იურიდიული პირის სახით.

აღსანიშნავია, რომ დამწყები ადვოკატები ხშირ შემთხვევაში, სანამ სხვა ადვოკატებთან ერთად შექმნიან საადვოკატო ბიუროს, ეწევიან დამოუკიდებელ საადვოკატო პრაქტიკას, ფიზიკური პირის სტატუსით, რა დროსაც აუცილებელია საგადასახადო აღრიცხვაზე დადგომა. აღნიშნული ფორმა საადვოკატო საქმიანობის განხორციელების ფართოდ გავრცელებულია საქართველოში, მათ შორის ბევრი გამოცდილი ადვოკატი საქმიანობს ამ ფორმით და ერთგვარად მარტივი ფორმაა პროფესიული საქმიანობის განხორციელების, როდესაც დამოუკიდებლად, არავისთან გარდა პროფესიული ვალდებულებებისა და საგადასახადო ანგარიშგებისა ეწევა პირი საქმიანობას. თუმცა მეორე მხრივ, აღსანიშნავია, რომ როდესაც ადვოკატი სხვა ადვოკატებთან ერთად ქმნის საადვოკატო ბიუროს ფართოდ გავრცელებული ფორმებია საადვოკატო საქმიანობის წარმოების შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, მათი სამეწარმეო სამართლებრივი ბუნების გათვალისწინებით, შესაბამისად, ამ ორი ფორმით პროფესიული საქმიანობის განხორციელება ასევე ხშირი და პოპულარულია ქართულ საადვოკატო ბაზარზე.

საადვოკატო ბიუროს შექმნის შესახებ ინფორმაცია მისი შექმნიდან 10 დღის ვადაში უნდა წარედგინოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელ საბჭოს.

22. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 15 ოქტომბრის განჩინების შესაბამისად პირებს ვინც ჩააბარა ადვოკატის, პროკურორის ან მოსამართლის გამოცდა აქვთ უფლება ადვოკატის პროფესიაში შემოსვლის, იმის მიუხედავად გამოცდის ჩაბარებიდა 10 წლის განმავლობაში დაიწყებს თუ არ დაიწყებს საადვოკატო საქმიანობას, არამედ მნიშვნელობა ექცევა იმ გარემოებას, რომ გამოცდის ჩაბარების შემდგომ პროფესიული საქმიანობის შეწყვეტიდან არ უნდა იყოს გასული კანონით დადგენილი ვადა (საქმე #ბს-443-436-(კ-15).

ინფორმაციაში მითითებული უნდა იყოს:

- საადვოკატო ბიუროს მისამართი;
- საკონტაქტო ტელეფონი;
- ბიუროში გაერთიანებული ადვოკატის (ადვოკატების) ვინაობა;
- სამართლის ის დარგი, რომელშიც ადვოკატი (ადვოკატები) ახორციელებს (ახორციელებენ) საადვოკატო საქმიანობას.

აღსანიშნავია, რომ წლებია ქართულ იურიდიულ საზოგადოებაში მიმდინარეობს დისკუსია თემაზე, ხომ არ დადგინდეს კანონის ძალით რეგულაცია, რომლის მიხედვითაც იურიდიული ფირმის დამფუძნებელი პირი სავალდებულო წესით უნდა იყოს მოქმედი ადვოკატი.

დღეის მდგომარეობით მსგავსი ტიპის მოთხოვნა ქართულ კანონმდებლობაში არ ფიქსირდება, თუმცა 2018 წელს „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონში გატარებული ცვლილებების შედეგად განისაზღვრა[23], რომ საადვოკატო ბიუროს სახელით კლიენტთან ურთიერთობისას წარმომადგენლობით უფლებამოსილებებს ახორციელებს მხოლოდ ადვოკატი ანუ საადვოკატი ბიუროს დირექტორს უნდა წარმოადგენდეს მხოლოდ ადვოკატი.

აღნიშნული ცვლილება ნამდვილად პროგრესულია და მათ შორის წარმოადგენს საადვოკატო საქმიანობის ევროპული გამოცდილების გაზიარებას, რადგან საადვოკატო საქმიანობაზე ვალდებულების აღება, მთელი იმ პროფესიული სტანდარტების და ვალდებულებების ნაწილში, რასაც საადვოკატო მომსახურება მოიცავს თავის თავში არ შეიძლება სხვა გარეშე პირები ფიგურირებდნენ და კლიენტის წინაშე იღებდნენ იმ სახის ვალდებულებას, რაც მათ პროფესიულ სტანდარტს არ შეესაბამება.

აღსანიშნავია, რომ საგადასახადო სამართლის მიზნებისთვის საადვოკატო საქმიანობა წარმოადგენს სამეწარმეო საქმიანობას და ექვემდებარება სრულ საგადასახადო დაბეგვრას[24].

1.4. საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

საქართველოში საადვოკატო საქმიანობას ახორციელებს ადვოკატი, რომელიც არის თავისუფალი პროფესიის პირი, ემორჩილება მხოლოდ კანონსა და პროფესიული ეთიკის ნორმებს და გაწევრიანებულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში[25].

23. იხ. „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-3 ნაწილი.

24. ამრიგად, ადვოკატი, რომელიც არ არის რომელიმე ბიუროში რეგისტრირებული, ვალდებულია დადგეს საგადასახადო აღრიცხვაზე, როგორც მეწარმე ფიზიკური პირი და აწარმოოს შემოსავლების დეკლარირება და დაბეგვრა, როგორც ამას ითვალისწინებს მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობა.

25. „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის პირველი მუხლი.

საადვოკატო საქმიანობა მოიცავს:

- ადვოკატის მიერ იურიდიული რჩევის მიცემას იმ პირისათვის, რომელმაც მას დახმარებისათვის მიმართა (კლიენტი);
- კლიენტის წარმომადგენლობას საკონსტიტუციო დავის, სისხლის, სამოქალაქო ან ადმინისტრაციული სამართლის საქმეზე სასამართლოში, არბიტრაჟში, დაკავების, გამოძიების ორგანოებში;
- მესამე პირის მიმართ სამართლებრივი დოკუმენტების მომზადებას და კლიენტის სახელით ნებისმიერი დოკუმენტაციის წარდგენას;
- ისეთი იურიდიული დახმარების გაწევას, რომელიც არ უკავშირდება მესამე პირის წინაშე წარმომადგენლობას.

უნდა აღინიშნოს, რომ ზემოაღნიშნული ცალსახად ადვოკატის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს და ნებისმიერი სხვა პირის მხრიდან მსგავსი ფუნქციების შეთავსება წარმოადგენს „არალიცენზირებულ“ საქმიანობას. უპრიანი იქნება, კანონის დონეზე აღნიშნული საკითხი ექვემდებარებოდეს სანქციონირებას, რათა უკეთ იყოს დაცული ადვოკატის პროფესიული უფლებები, ისევე როგორც, საზოგადოების ინტერესი, რომელსაც აქვს უფლება, მიიღოს მაღალი ხარისხის საადვოკატო მომსახურება (რაც ივარაუდება, რომ სხვა პროფესიის წარმომადგენლის მიერ ვერ იქნება გაწეული იმ ხარისხით და კვალიფიკაციით, რაც ადვოკატს შეუძლია). აღნიშნული მხოლოდ ადვოკატის პრეროგატივაა, ანუ პირის, რომელიც პასუხობს პროფესიული ცოდნის, ეთიკისა და უნარების სტანდარტებს.

აღსანიშნავია, რომ ადვოკატი ზემოაღნიშნული საქმიანობის განხორციელებისას უნდა ხელმძღვანელობდეს შემდეგი პრინციპებით[26]:

ა) კანონიერება;
ბ) სამართლის უზენაესობა და მართლმსაჯულების სამართლიანად განხორციელება;
გ) პროფესიული კომპეტენტურობა;
დ) ადვოკატის კეთილსინდისიერება, კარგი რეპუტაცია და იურიდიული პროფესიის პატივისცემა;
ე) საადვოკატო საქმიანობის თავისუფლება და დამოუკიდებლობა;
ვ) ადვოკატთა თანასწორობა და მათი დისკრიმინაციის დაუშვებლობა;
ზ) საადვოკატო საქმიანობაში ჩაურევლობა;
თ) ადვოკატის მიერ კლიენტის უფლებებისა და თავისუფლებების პატივისცემა და დაცვა;
ი) ადვოკატის მიერ დაცვის უფლების განხორციელებაზე უარის თქმის დაუშვებლობა, გარდა ამ კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა;
კ) ადვოკატის მიერ პროფესიული საიდუმლოების დაცვა;
ლ) ადვოკატის მიერ პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვა.

26. იხ. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლი

როგორც ზემოთ აღინიშნა, საადვოკატო საქმიანობის განხორციელების უფლების მისაღებად აუცილებელია დაინტერესებული პირის გაწევრიანება საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში, შესაბამისად, ადვოკატთა ასოციაცია არის ის ერთობა, რომელიც წარმოადგენს ქვეყანაში ადვოკატთა ერთადერთ ოფიციალურ გაერთიანებას და არის მართლმსაჯულების სისტემის სრულფასოვანი წევრი.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია არის პირთა წევრობაზე დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომლის საქმიანობის ძირითადი პრინციპები და მიმართულებები განისაზღვრება ასოციაციის წესდებით. ადვოკატთა ასოციაცია მათ შორის ახდენს წევრების საერთო სიის ორგანიზებას.

ადვოკატთა ასოციაცია ორგანიზებას უწევს ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანებისათვის პირთა სავალდებულო პროფესიული ფიცის[27] დადებას, კერძოდ, ყოველი პირი პროფესიაში შესვლამდე ვალდებულია დადოს ქვემორე ფიცი:

„ვფიცავ, ვიყო სამართლიანობის იდეების ერთგული, კეთილსინდისიერად და პირნათლად შევასრულო ადვოკატის მოვალეობები, დავიცვა საქართველოს კონსტიტუცია და კანონები, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, ადამიანის უფლებები და თავისუფლებები!“.

დასაშვებია ისეთი შემთხვევები, როდესაც პირი თავისი მსოფლმხედველობიდან გამომდინარე უარს ამბობს ფიცის დადებაზე, და აღნიშნულ შემთხვევაში იგი ფიცის ნაცვლად წერს განცხადებას, რომლითაც ადასტურებს, რომ კეთილსინდისიერად შეასრულებს ადვოკატის მოვალეობებს.

მნიშვნელოვანია რომ პროფესიაში ახლადგაწევრიანებულმა წევრებმა, ისევე როგორც მომავალმა ადვოკატებმა იცოდნენ, რომ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას აქვს ადვოკატთა საერთო კრებაზე დამტკიცებული სიმბოლიკა (ე.წ. ლოგო).

1.4.1. ადვოკატთა ასოციაციის ორგანიზაციული სტრუქტურა

ადვოკატთა ასოციაციაში მის ფუნქციათა შესასრულებლად შექმნილია:

ა) აღმასრულებელი საბჭო;
ბ) ეთიკის კომისია;
გ) სარევიზიო კომისია.

27. ფიცის (განცხადების) ტექსტს ხელს აწერს პირი და იგი ინახება მის პირად საქმეში. ფიცის დადების (განცხადების დაწერის) შემდეგ პირი იძენს ადვოკატის სტატუსს და იღებს საადვოკატო საქმიანობის უფლების დამადასტურებელ მოწმობას, რომლითაც იგი ახორციელებს საადვოკატო საქმიანობას.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის უმაღლესი ორგანოა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრება. საერთო კრება იმართება სულ მცირე წელიწადში ერთხელ და იგი უფლებამოსილია, თუ მას ესწრება ასოციაციის არანაკლებ 800 წევრისა. კვორუმის არარსებობის შემთხვევაში 2 კვირის ვადაში მოიწვევა განმეორებითი საერთო კრება, რომელიც უფლებამოსილია, მიუხედავად დამსწრე წევრთა რაოდენობისა[28].

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრება[29] დამსწრე წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით:

ა) ამტკიცებს ასოციაციის წესდებას და შეაქვს მასში ცვლილებები და დამატებები;
ბ) ირჩევს და ათავისუფლებს ასოციაციის თავმჯდომარეს, აღმასრულებელი საბჭოს, ეთიკის კომისიისა და სარევიზიო კომისიის წევრებს ასოციაციის წესდებით დადგენილი წესით;
გ) ამტკიცებს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსსა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებას;
დ) ისმენს აღმასრულებელი საბჭოს, ეთიკის კომისიისა და სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეთა ანგარიშებს გაწეული საქმიანობის შესახებ;
ე) აწესებს საწევრო გადასახადის ფიქსირებულ ოდენობას.

ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი ორგანოა აღმასრულებელი საბჭო, რომლის სხდომა იმართება სულ მცირე თვეში ერთხელ.

საქართველოს ადვოკატთა ასოციციის აღმასრულებელი საბჭო[30] შედგება 12 წევრისაგან, რომელთაგან 11 წევრს 4 წლის ვადით ირჩევს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრება საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სიითი შემადგენლობიდან. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე თანამდებობრივად შედის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელ საბჭოში. აღმასრულებელი საბჭოს წევრებად არჩეულად ითვლებიან ის კანდიდატები, რომლებიც მიიღებენ სხვა კანდიდატებზე მეტ ხმას.

აღმასრულებელი საბჭო უფლებამოსილია, თუ მის სხდომას ესწრება საბჭოს წევრთა ნახევარზე მეტი. გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე წე-

28. ევროპის საბჭოს უცხოელი ექსპერტების რჩევით 2016 წლის საერთო კრებაზე, რომელიც გაიმართა 2016 წლის 29 ოქტომბერს, საერთო კრება, მათ შორის განმეორებითი, შედგა იმავე დღეს, ანუ იმ ორი კვირის ვადაში, რაც გაწერილია კანონმდებლობით. ეს ფორმა მეორე კრების იმავე დღეს მოწვევის შესახებ აპრობირებული მეთოდია ევროპულ ადვოკატთა ასოციაციებში და მისი მიზანია კრების მოწვევასთან დაკავშირებული ფინანსური და ტექნიკური რესურსის დაზოგვა.

29. იხ. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლი.

30. იხ. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლი.

ვრთა ხმების უბრალო უმრავლესობით, თუ ამ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია სხდომის თავმჯდომარის ხმა.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო:

ა) კოლეგიურად ახორციელებს ასოციაციის ხელმძღვანელობას;
ბ) სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ამტკიცებს ასოციაციის ბიუჯეტს;
გ) ამტკიცებს ადვოკატთა საკვალიფიკაციო კომისიის დებულებას;
დ) ამტკიცებს ადვოკატთა სასწავლო ცენტრის საქმიანობის წესს;
ე) განსაზღვრავს ადვოკატთა განგრძობადი სავალდებულო იურიდიული განათლების პროგრამას და მისი შესრულების წესს;
ვ) ამტკიცებს ასოციაციის მომდევნო წლის ხარჯთაღრიცხვას;
ზ) გამოყოფს სახსრებს ასოციაციის საჭიროებისათვის, ადგენს სამივლინებო და სხვა ადმინისტრაციული ხარჯების ოდენობებს;
თ) წელიწადში ერთხელ საჯაროდ აქვეყნებს ანგარიშს გაწეული საქმიანობის შესახებ;
ი) არსებული მონაცემების საფუძველზე, ამ კანონით დადგენილი წესით ორგანიზებას უწევს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრების საერთო სიის შედგენას, მასში ცვლილებების შეტანას და მის გამოქვეყნებას;
კ) კოორდინაციას უწევს ადვოკატთა ტესტირების ჩატარებას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, ამტკიცებს ადვოკატთა ტესტირების ჩატარების წესსა და პროგრამას, განსაზღვრავს ტესტირების ჩატარების თარიღს;
ლ) ორგანიზებას უწევს ადვოკატთა მიერ ფიცის დადებას;
მ) აღასრულებს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრების, ეთიკის კომისიისა და სარევიზიო კომისიის გადაწყვეტილებებს;
ნ) ამტკიცებს ასოციაციის საშტატო განრიგს, ასოციაციის თავმჯდომარისა და სხვა დაქირავებულ პირთა შრომის ანაზღაურების ოდენობებს;
ო) ამტკიცებს საადვოკატო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი მოწმობისა და ადვოკატის ორდერის ნიმუშს;
პ) ამყარებს საერთაშორისო კავშირებს და ამ ურთიერთობებში არის ასოციაციის წარმომადგენელი;
ჟ) აწარმოებს ადვოკატთა და მათ სტაჟიორთა პირად საქმეებს;
რ) ორმხრივი თხოვნის საფუძველზე არის ასოციაციის მოდავე წევრების ან წევრებისა და მათი კლიენტების მომრიგებელი;
ს) გამოსცემს ადვოკატთა საინფორმაციო ბიულეტენს ან სხვა პერიოდულ გამოცემას;
ტ) ასოციაციის თავმჯდომარის მიერ უფლებამოსილებების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში თავისი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელს თავმჯდომარის უფლებამოსილებების დროებით განსახორციელებლად;

ტ1) „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის შესაბამისად ირჩევს იურიდიული დახმარების საბჭოს 3 წევრს;

უ) ახორციელებს ამ კანონითა და ასოციაციის წესდებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს, რომლებიც არ განეკუთვნება ასოციაციის სხვა ორგანოების კომპეტენციას.

ადვოკატთა ***ასოციაციის თავმჯდომარეს***[31] ადვოკატთა ასოციაციის წევრთაგან ირჩევს ასოციაციის საერთო კრება 4 წლის ვადით, კანდიდატის წინასწარი წერილობითი თანხმობის საფუძველზე.

ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე იმავდროულად არის აღმასრულებელი საბჭოს თავმჯდომარე და წარმოადგენს ასოციაციას.

ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარეს თავისი უფლებამოსილებების განხორციელების პერიოდში ეკრძალება საადვოკატო საქმიანობა, რაც წარმოადგენს ერთ-ერთ უიშვიათეს შემთხვევას სხვა ევროპულ ადვოკატთა ასოციაციებთან შედარებით, სადაც ასოციაციების თავმჯდომარეებს არ აქვთ პრაქტიკა აკრძალული.

ადვოკატთა ***ასოციაციის ეთიკის კომისია*** შედგება 15 წევრისგან, რომელთაგან არანაკლებ 12 ადვოკატია. ეთიკის კომისიის წევრებს 4 წლის ვადით ირჩევს ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრება.

აღსანიშნავია, რომ 2009 წელს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებების შედეგად, ეთიკის კომისიის 15 წევრიდან სამი უნდა იყოს არაადვოკატი წევრი, რაც წარმოადგენს წინაპირობას ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის საქმიანობის გამჭვირვალობისა საზოგადოების თვალში. 2009 წლიდან დღემდე ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის არაადვოკატი წევრები სხვადასხვა დროს ყოფილან იურიდიული მეცნიერების გამოჩენილი სპეციალისტები, ჟურნალისტები და საზოგადო მოღვაწეები.

ეთიკის კომისიის წევრებად არჩეულად ითვლებიან ის კანდიდატები, რომლებიც მიიღებენ სხვა კანდიდატებზე მეტ ხმას. ეთიკის კომისიის წევრის ხელახლა არჩევა შეიძლება მხოლოდ ერთხელ. ეთიკის კომისიის ადვოკატი წევრი უნდა იყოს 30 წელს მიღწეული პირი არანაკლებ 5 წლის პროფესიული გამოცდილებით.

ეთიკის კომისია დამოუკიდებელია და თავის საქმიანობას ახორციელებს მხოლოდ კანონმდებლობის შესაბამისად და პროფესიული ეთიკის ნორმების საფუძველზე.

ეთიკის კომისია თავისი შემადგენლობიდან ფარული კენჭისყრით, 2 წლის ვადით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს კომისიის თავმჯდომარეს, რომელიც იმავდროულად უნდა იყოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი. პირი ეთიკის კომისიის თავმჯდომარედ შეიძლება აირჩეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

31. იხ. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლი.

ეთიკის კომისია ამოწმებს ადვოკატზე შემოსულ ინფორმაციას, სწავლობს მის საფუძვლიანობას და წყვეტს ადვოკატის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხს.

ანონიმური წერილები და შეტყობინებები არ შეიძლება საფუძვლად დაედოს ადვოკატის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხის განხილვას.

ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების წესი განისაზღვრება საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრების მიერ დამტკიცებული დებულებით.

ადვოკატთა ასოციაციის ***სარევიზიო კომისია***[32] იქმნება ასოციაციის თავმჯდომარის, აღმასრულებელი საბჭოს, აღმასრულებელი მდივნისა და მათ მიერ დანიშნული (დამტკიცებული) პირების მიერ ფინანსური სახსრების თუ სხვა ქონების საწესდებო მიზნების შესაბამისად გამოყენებაზე კონტროლის განხორციელების მიზნით.

სარევიზიო კომისია შედგება ასოციაციის საერთო კრების მიერ 4 წლის ვადით არჩეული 5 წევრისაგან. სარევიზიო კომისიის წევრებად არჩეულად ითვლებიან ის კანდიდატები, რომლებიც მიიღებენ სხვა კანდიდატებზე მეტ ხმას. სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეს კომისიის წევრთაგან სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, 4 წლის ვადით ირჩევს თავად კომისია.

აღსანიშნავია, რომ საფინანსო საქმიანობის შემოწმების მიზნით სარევიზიო კომისია ვალდებულია კონკურსის წესით ყოველწლიურად შეარჩიოს და მოიწვიოს დამოუკიდებელი აუდიტორი.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციასთან შექმნილია ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრი, რომელიც ახორციელებს ადვოკატთა პროფესიულ გადამზადებას, უფრო კონკრეტულად: ს.ს.ი.პ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრი არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მმართველობის სფეროში მოქმედი ინსტიტუტი, რომელიც შექმნილია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 23–ე მუხლის მესამე პუნქტისა და ადვოკატთა ასოციაციის წესდების მე–6 მუხლის 6.1 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად. სასწავლო ცენტრის მისიაა ასწავლოს და გაუზიაროს გამოცდილება, ადვოკატებს და დაინტერესებულ პირებს უწყვეტად და ხარისხიანად. ცენტრი ანგარიშვალდებულია ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს და საგანმანათლებლო საბჭოს წინაშე. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრის მიზანია, უზრუნველყოს უმაღლესი ხარისხის, სპეციალიზებულ, პროფესიულ იურიდიული სწავლების შესაძლებლობა მოქმედი და მომავალი ადვოკატებისთვის და იურიდიული პროფესიის სხვა წარმომადგენლებისთვის.

32. იხ. „ადვოკატთა შესახებ“ კანონის 29-ე მუხლი.

ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს მიერ დამტკიცებულია ასოციაციის სასწავლო ცენტრის საქმიანობის დებულება, რომელშიც დეტალურად არის გაწერილი ცენტრის საქმიანობის საგანი და ფუნქციები[33].

უნდა აღინიშნოს, რომ ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრის ერთგვარ სამეურვეო საბჭოს წარმოადგენს ადვოკატთა ასოციაციის საგანმანათლებლო საბჭო;

საგანმანათლებლო საბჭო არის ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს სათათბირო ორგანო, რომელიც შეიმუშავებს საგანმანათლებლო სტრატეგიას, პროფესიაში მიღების და განგრძობადი იურიდიული განათლების სტანდარტების/ წესების შესახებ რეკომენდაციებს და წარუდგენს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელ საბჭოს განსახილველად, ასევე ზედამხედველობს სასწავლო ცენტრის საქმიანობას, განსაზღვრავს ცენტრის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს და პრიორიტეტებს.

საგანმანათლებლო საბჭო შეიმუშავებს რეკომენდაციებს და დასამტკიცებლად წარუდგენს აღმასრულებელ საბჭოს შემდეგ საკითხებზე:

- პროფესიაში მიღების სტანდარტები და წესები;
- ადვოკატთა ასოციაციის საგანმანათლებლო სტრატეგია;
- განრგრძობადი იურიდიული განათლების პოლიტიკა და მონიტორინგი;
- სავალდებულო კრედიტ–საათების რაოდენობა;
- ადვოკატთა სტაჟირების წესი და პროგრამები;
- სასწავლო ცენტრის საქმნიანობის პრინციპები და მონიტორინგი;
- სასწავლო ცენტრის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები და პრიორიტეტები მიმდინარე წლისთვის.
- სასწავლო პროგრამები და სილაბუსები;
- საგანმანათლებლო ღონისძიებების და ინსტიტუციონალური აკრედიტაცია.
- ადვოკატთა ასოციაციის სტრატეგიული პარტნიორების განსაზღვრა საგანმანათლებლო მიმართულებით.
- საერთაშორისო და ლოკალური საგანმანათლებლო ღონისძიებების ორგანიზება.

2012 წლიდან საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ფარგლებში მოქმედებს განგრძობადი იურიდიული განათლების პროგრამა[34], რომლის

33. დეტალური ინფორმაციისთვის იხ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრის დებულების მე-7 მუხლი.

34. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლს 2009 წლის 17 ნოემბერს დაემატა „ვ“ პუნქტი შემდეგი შინაარსის: „ადვოკატი ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს მიერ დამტკიცებულ განგრძობადი სავალდებულო იურიდიული განათლების პროგრამაში“. აღნიშნული ვალდებულება ასოციაციის აღმასრულებელმა საბჭომ აამოქმედა 2012 წლიდან.

თანახმად ყველა ადვოკატი ვალდებულია კალენდარული წლის განმავლობაში გაიაროს სასწავლო პროგრამები და დააგროვოს განგრძობადი იურიდიული განათლების კურსის მიზნებისთვის კრედიტ საათების ის მაქსიმალური ოდენობა, რომელსაც წლის დასაწყისში ადგენს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია ქართული მართლმსაჯულების სისტემაში ერთადერთი ინსტიტუციაა, სადაც მოქმდებეს სავალდებულო განგრძობადი იურიდიული განათლების სისტემა, რომლის ფარგლებშიც ყველა ადვოკატი ვალდებულია პროფესიულ გადამზადების კურსებში მიიღოს მონაწილეობა, რაც წარმოადგენს პროფესიული განვითარების წინაპირობას, და გარანტიას იმისა, რომ მოქმედი ადვოკატების პროფესიული მომზადების დონე აკმაყოფილებს ბაზრის მოთხოვნებს.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო, ასოციაციის წესდების 15[1] მუხლის შესაბამისად, ადგენს განგრძობადი იურიდიული განათლების სისტემას[35], ყველა პრაქტიკოსი ადვოკატისათვის საქართველოში.

განგრძობადი იურიდიული განათლება გულისხმობს საგანმანათლებლო და საკვალიფიკაციო მოთხოვნების არსებობას ადვოკატებისათვის. განგრძობადი იურიდიული განათლების მიზანია ადვოკატთა პროფესიული უნარ-ჩვევებისა და ცოდნის გაღრმავება.

განგრძობადი იურიდიული განათლების მიზნებისთვის სავალდებულო კრედიტ-საათების დაგროვებისათვის ვადას ადგენს ს.ს.ი.პ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო. საანგარიშო პერიოდის ათვლა იწყება ყოველი წლის 1 იანვრიდან და სრულდება მიმდინარე წლის 20 დეკემბერს.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრის მიერ, განგრძობადი იურიდიული განათლების ფარგლებში, ორგანიზებულ, სავალდებულო, საგანმანათლებლო ღონისძიებებზე დასწრება ადვოკატებისათვის უფასოა. აღნიშნული არ გამორიცხავს სხვადასხვა საკითხებზე ფასიანი საგანმანათლებლო ღონისძიებების ჩატარებას, რომლებზე დასწრებაც ადვოკატებისთვის ნებაყოფლობითია.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია წარმოადგენს ერთ-ერთ გამონაკლისს შემთხვევას ევროპის ადვოკატთა ასოციაციების ფარგლებში, სადაც ადვოკატებისათვის შეთავაზებული სასწავლო კურსები ადვოკატისთვის სრულიად უფასოა.

საგანმანათლებლო საბჭოს რეკომენდაციის საფუძველზე, აღმასრულებელი საბჭო ყოველი მიმდინარე წლის ბოლოს ადგენს სავალდებულო კრედიტ-საათების ოდენობას და განსაზღვრავს სავალდებულო საგანმა-

35. იხ. ადვოკატთა ასოციაციის წესდება და განგრძობადი იურიდიული განათლების წესი; www.gba.ge

ნათლებლო ღონისძიებების ჩამონათვალს მომდევნო წლისათვის. ერთი კრედიტ-საათის ოდენობა განისაზღვრება საგანმანათლებლო ღონისძიების ერთი ასტრონომიული საათით.

როგორც აღინიშნა სავალდებული განგრძობადი იურიდიული განათლების კურსებში სავალდებულო სახით მონაწილეობა ადვოკატებმა დაიწყეს 2012 წელს, კერძოდ, აღმასრულებელმა საბჭომ დაადგინა სავალდებულო 6 კრედიტ საათის გავლის ვალდებულება, რომელიც ყვოელ წელს მცირედით იზრდებობდა და 2014 წლიდან აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით ყოველი ადვოკატი ექვემდებარება სავალდებულო სახით, როგორც წესი, 12 კრედიტ საათის სასწავლო პროგრამის გავლას, საიდანაც 2 კრედით საათი სავალდებულო სახით ეთმობა პროფესიული ეთიკის სწავლებას.

უნდა აღინიშნოს, რომ 2016 წლის შემოდგომიდან საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია მოქმედ ადვოკატებს სთავაზობს ეთიკის სავალდებულო ტრენინგების გავლის შესაძლებლობას ელექტრონული / დისტანციური საშუალების გამოყენებით.

შესაძლებელია დამატებით დაგროვებული კრედიტ-საათების მომდევნო წლის საანგარიშო პერიოდზე გადატანა. გადატანილი კრედიტ-საათების რაოდენობას, სასაწავლო ცენტრის რეკომენდაციის საფუძველზე, ადგენს აღმასრულებელი საბჭო, კერძოდ, 2013 წლიდან ადვოკატებს აქვთ საშუალება მომდევნო კალენდარული წლისთვის გადაიტანონ 5 კრედიტ საათამდე და ჩაითვალონ მომდევნო წლის კრედიტ საათებში.

კრედიტ-საათების დაგროვება შესაძლებელია მხოლოდ აღმასრულებელი საბჭოს მიერ აკრედიტებულ ღონისძიებებში მონაწილეობით.

უნდა აღინიშნოს, რომ ადვოკატებისთვის განგძობადი იურიდიული განათლების ფარგლებში დაგეგმილი საგანამანათლებლო ღონისძიებები არ არის განსაზღვრული სპეციალიზაციების მიხედვით, შესაბამისად ადვოკატს ეძლევა თავისუფალი არჩევანის უფლება, ინტერესის სფეროდან გამომდინარე, თავად განსაზღვროს, სავალდებულო ღონისძიებების გარდა, რომელ ღონისძიებებზე დასწრებით დააგროვებს სავალდებულო კრედიტ-საათებს.

განგრძობადი იურდიული განათლების სავალდებულოობიდან გამომდინარე აღმასრულებელი საბჭო აწესებს ადმინისტრაციულ სანქციებს იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატი არ დააკმაყოფილებს განგრძობადი იურიდიული განათლების მოთხოვნებს, კერძოდ, თუ ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრის მონაცემებით დადგინდა, რომ საანგარიშო პერიოდის დასრულებამდე (მიმდინარე წლის 20 დეკემბრამდე) ადვოკატმა ვერ დააგროვა სავალდებულო კრედიტ-საათები, სასწავლო ცენტრი, აღმასრულებელი საბჭოს სახელით, კრედიტ-საათების დავალიანების მქონე ადვოკატებს უგზავნის „გაფრთხილებას“ და აძლევს შეტყობინების მიღებიდან 3-თვიან ვადას, განგრძობადი იურიდიული განათლების მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. აღნიშნულ პერიოდში ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრი ან სხვა საგანმანათლებლო დაწესებულება უზრუნველყოფს საგა-

ნამანათლებლო ღონისძიებებს, რომლებზე დასწრებაც, კრედიტ-საათების დავალიანების მქონე, ადვოკატებისთვის ფასიანია. ფასიანი საგანამანათლებლო ღონისძიების ღირებულება განისაზღვრება ღონისძიების ორგანიზატორის მიერ. სამი თვის გასვლის შემდეგ, სასწავლო ცენტრი წარუდგენს აღმასრულებელ საბჭოს კრედიტ-საათების დავალიანების მქონე ადვოკატთა საბოლოო სიას და აღმასრულებელი საბჭო იმსჯელებს კრედიტ-დავალიანების მქონე ადვოკატთა უფლებამოსილების შეჩერების საკითხზე.

უფლებამოსილების აღდგენა მოხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატი აღმასრულებელი საბჭოს მიერ დადგენილ ვადაში მონაწილეობას მიიღებს, ფასიან საგანმანათლებლო ღონისძიებაში და გადაიხდის დამატებით გადასახადს, რომლის ოდენობაც განისაზღვრება მისი საწევროს ნახევარი თანხით.

განგრძობადი იურიდიული განათლების წესები ვრცელდება ყველა პრაქტიკოს ადვოკატზე, მაგრამ სხვადასხვა საქმიანობის ან აქტივობისთვის გათვალისწინებულია კრედიტ-საათების დაგროვებისთვის გარკვეული შეღავათები და ვრცელდება ყოველ მიმდინარე წელს[36] იმ ადვოკატებზე, რომელთაც იმ კონკრეტულ კალენდარულ წელს:

- მინიჭებული აქვთ პროფესორის სტატუსი და/ან ეწევიან საგანმანათლებლო საქმიანობას (ადვოკატთა ასოციაციის წევრებისთვის ტრენინგების ჩატარების გზით);
- თავიანთი ავტორობით, რეფერირებად ჟურნალში განთავსებული აქვთ იურიდიული შინაარსის პუბლიკაცია;
- ქართულ ენაზე ნათარგმნი აქვთ იურიდიული ნაშრომები/დოკუმენტები;
- თავიანთი ავტორობით გამოცემული აქვთ იურიდიული შინაარსის წიგნი;
- მიმდინარე წლის განმავლობაში მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო კონფერენციებში და წარმოადგენენ ასეთი ტიპის ღონისძიებაში მონაწილეობის დამადასტურებელ საბუთს; მიმდინარე საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მიენიჭათ დოქტორის ხარისხი;
- ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის გამო, არ შეუძლიათ საგანამანათლებლო ღონისძიებებზე დასწრება (აღნიშნულ შემთხვევაში ადვოკატმა, ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრის სახელზე, უნდა წარმოადგინოს განცხადება და ცნობა ჯანმრთელობის შესახებ).

36. იხ. ადვოკატთა ასოციაციის განგრძობადი იურიდიული განათლების წესი; www.gba.ge

1.5. უფასო იურიდიული დახმარების სისტემა

1.5.1. სოციალური პასუხისმგებლობა – პრო ბონო მომსახურება

მსოფლიოს ყველა ქვეყანაში არსებობენ პირები, რომელთაც მათი ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით არ აქვთ შესაძლებლობა საკუთარი ხარჯით დაიქირავონ ადვოკატი და შეიძინონ ხარისხიანი იურიდიული მომსახურება.

ამ კატეგორიის პირები შეიძლება იყვნენ სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის წევრები, რომლის სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებელი საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილ ზღვარზე ნაკლებია, რა შემთხვევაში მათ სავალდებულო უფასო იურიდიული დახმარების სერვისით, რომელსაც სახელმწიფო უზრუნველყოფს, შეუძლიათ ისარგებლონ[37], თუმცა ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ მსგავსი საჭიროების წინაშე გაცილებით მეტი პირი დგას, ვიდრე ეს სოციალურად დაუცველი ოჯახებია საქართველოში.

შესაბამისად, ამ პირების სამართლებრივი დახმარებით უზრუნველყოფა, პირველ რიგში, ადვოკატების დახმარებით უნდა განხორციელდეს, თუკი საუბარია კვალიფიციურ იურიდიულ მომსახურებაზე, რისი მიღებაც ამ კატეგორიის პირების პირველადი ინტერესი ყოველთვის არის, თუმცა, რა თქმა უნდა ასეთ შემთხვევაში, ყოველთვის ფინანსური მდგომარეობა, შეიძლება გახდეს სერვისის მიღების დამაბრკოლებელი გარემოება.

ადვოკატების მაღალი სოციალური პასუხისმგებლობის გათვალისწინებით ქართულ რეალობაში ბევრი მოქმედი ადვოკატი ეწევა უფასო იურიდიულ დახმარებას მსგავსი საჭიროების პირების სასარგებლოდ, რაც მათ შორის საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაციაა ადვოკატების (ბიუროების) ელექტრონული ვებ-გვერდებიდან, ისევე როგორც შექმნილია უფასო იურიდიული დახმარების (pro bono) ცნობარი[38], რომლის გამოყენებით მოქალაქეებს აქვთ საშუალება ჰქოდნეთ სრული ინფორმაცია მთელი საქართველოს მასშტაბით მსგავსი სერვისის მიღების საშუალებებზე.

ადვოკატების მხრიდან მსგავსი სახის საქმიანობაში ჩართვა[39] მართლაც მისასალმებელი საქციელია. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რიგ განვითარებულ ევროპულ ქვეყნებში ადვოკატების მხრიდან მსგავსი საქმიანობა მხარდაჭერილია სახელმწიფოს მხრიდან.

1.5.2. უფასო იურიდიული დახმარების საშუალებები

სახელმძღვანელოს 1.5.1. ქვეთავში ვისაუბრეთ ადვოკატებზე, როგორც უფასო იურიდიული დახმარების გამწევ პირებზე, ხოლო წინამდებარე

37. იხ. თავი 1.5.2.

38. იხ. ვებ გვერდი http://probono.court.ge/pro-bono.pdf

39. ავტორი : იგულისხმება, რომ ადვოკატის შემოსავალი, მათ შორის, დამოკიდებულია მისი დროის ეფექტურ გამოყენებაზე.

ქვეთავში უფრო დეტალურად იქნება აღნიშნული სერვისის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი.

2007 წლის 19 ივნისს მიღებულ იქნა საქართველოს კანონი „უფასო იურიდიული დახმარების“ შესახებ[40], რომლის თანახმად ქვეყანაში შეიქმნა საჯარო სამართლის იურიდიული პირი „უფასო იურიდიული დახმარების სამსახური“, რომელიც სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ ოჯახების წევრებს, რომელთა სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებელი საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილ ზღვარზე ნაკლებია, უწევს უფასო იურიდიულ დახმარებას[41]. უნდა აღინიშნოს, რომ კანონი თავდაპირველად ითვალისწინებდა მსგავსი კატეგორიის პირებისათვის მხოლოდ სისხლის სამართლის საქმისწარმოებაში უფასო იურიდიული მომსახურების სერვისით სარგებლობას, ხოლო 2015 წლის 15 აპრილიდან კანონში გატარებული ცვლილებების შედეგად, უფასო იურიდიული დახმარების მიღება ზემოაღნიშნულ პირებს შეუძლიათ სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმისწარმოების სტადიაზეც, უფრო კონკრეტულად, იურიდიული დახმარების სამსახური უფასო საადვოკატო მომსახურებას (სასამართლო წარმომადგენლობას) უზრუნველყოფს სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის შემდეგ საკითხებზე[42]:

- საოჯახო სამართლიდან გამომდინარე დავები (ქორწინება, განაქორწინება, ალიმენტი და სხვა);
- მემკვიდრეობის სამართლიდან გამომდინარე დავები;
- სოციალური დახმარება და პენსია;

---

40. უფასო იურიდიული დახმარების სამსახური დღეს არის დამოუკიდებელი რგოლი, თუმცა იყო დრო, როდესაც აღნიშნული სამსახური შედიოდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში, როგორც სსიპ, ხოლო 2009 წლიდან, შედიოდა სასჯელაღსრულების სამინისტროს სისტემაში, რაც წარმოადგენდა პირდაპირ ინტერესთა კონფლიქტს, როდესაც სახელმწიფო ბრალდებას ერთი მხრივ პროცესზე წარმოადგენდა სახელმწიფოს რგოლი პროკურატურის სახით, ხოლო დაცვას სახელმწიფოს მეორე რგოლი, კონკრეტული სამინისტროს სისტემაში შემავალი იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატი. 2013 წლიდან აღნიშნული სამსახური აბსოლიტურად დამოუკიდებელი რგოლია. კერძოდ, 2013 წლის 13 დეკემბერს „უფასო იურიდიული დახმარების“ შესახებ საქართველოს კანონში გატარებული ცვლილებების შედეგად უფასო იურიდიული დახმარების სამსახური გახდა აბსოლიტურად დამოუკიდებელი და მასზე ზედამხედველობის განმხორციელებელი რგოლი გახდა იურიდიული სამსახურის საბჭო, რომელიც შედგება 9 წევრისგან, საიდანაც მათ შორის 3 წევრს ირჩევს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო, 3 წევრს ნიშნავს საქართველოს სახალხო დამცველი, 1 წევრს თავად იურიდიული დახმარების სამსახური მათი ბიუროების ადვოკატთაგან, 1 წევრს წარადგენს იუსტიციის მინისტრი მისი სამინისტროს თანამშრომელთაგან და 1 წევრს ნიშნავს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო მისი არამოსამართლე წევრებიდან.

41. იურიდიული დახმარების სახეებთან დაკავშირებით დეტალურად იხ. „უფასო იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი.

42. იხ. „უფასო იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი.

- დევნილთა უფლებები;
- ჯანმრთელობის დაცვა და პაციენტთა უფლებები;
- ვეტერანთა და საომარ მოქმედებებში დაღუპულთა ოჯახების სოციალური დაცვა;
- პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა სოციალური დაცვა;
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვა.

იმისათვის, რომ აღნიშნულ საკითხებზე პირმა ისარგებლოს იურიდიული დახმარებით, უნდა არსებობდეს 2 პირობა:

- პირი უნდა იყოს გადახდისუუნარო;
- საქმე უნდა იყოს რთული და მნიშვნელოვანი.

განსაკუთრებულ შემთხვევებში, საზოგადოებრივი ადვოკატი შეიძლება დაენიშნოს იმ პირსაც, რომელიც არ არის რეგისტრირებული სოციალურად დაუცველთა ბაზაში, მაგრამ მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე თვითონ ვერ განევს საადვოკატო მომსახურებასთან დაკავშირებულ ხარჯებს. აღნიშნული რეგულირდება იურიდიული დახმარების საბჭოს 2015 წლის 9 სექტემბრის №27 გადაწყვეტილებით.

სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის ზემოაღნიშნულ საკითხებზე, პირისათვის იურიდიული დახმარების გაწევის შესახებ გადაწყვეტილება შეიძლება მიიღოს:

- იურიდიული დახმარების ბიურომ;
- სასამართლომ.

გასათვალისწინებელია ასევე რომ მოქმედი კანონმდებლობის ნორმების შესაბამისად, გადახდისუუნარო პირებისათვის იურიდიული დახმარება აგრეთვე გათვალისწინებულია:

- ფსიქოსოციალური საჭიროებების მქონე პირთა საქმეებზე, როდესაც სასამართლო განიხილავს პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის საკითხს;
- ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის საქმეებზე;
- არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით, პირის სტაციონარში მოთავსების საქმეებზე;
- პატიმართა დისციპლინური სამართალწარმოების საქმეებზე;
- ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებზე, რომლებზეც სახდელის სახით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პატიმრობა

2015 წლის 1 აპრილიდან, „იურიდიული დახმარების შესახებ“ კანონსა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსში შეტანილი ცვლილებების თანახმად, იურიდიული დახმარება უზრუნველყოფილია იმ ფსიქოსოციალური საჭიროებების მქონე პირთათვის, რომელთა მხარდაჭერის მიმღებად ცნობის

საკითხსაც განიხილავს სასამართლო. აღნიშნული საქმეების განხილვისას, სავალდებულოა, რომ ფსიქოსოციალური საჭიროებების მქონე პირს ჰყავდეს ადვოკატი.

პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის საკითხთან დაკავშირებით იურიდიული დახმარების ბიუროს შეუძლია მიმართოს:

- მხარდაჭერის მიმღებს, ან მის კანონიერ წარმომადგენელს;
- სასამართლოს.

პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის საკითხს სასამართლო განიხილავს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XLIV11 თავით გათვალისწინებული წესით.

გასათვალისწინებელია ასევე რომ 2014 წლის 17 ოქტომბერს, „იურიდიული დახმარების შესახებ“ კანონის 26-ე მუხლის მე-2 პუნქტში და „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ კანონის მე-17 მუხლში შევიდა ცვლილებები, რომელთა თანახმადაც, 2015 წლის 1 იანვრიდან სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურს დაეკვალა ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის უფასო საადვოკატო მომსახურების გაწევა.

გასათვალისწინებელია ასევე რომ, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2118-ე მუხლის თანახმად, არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსების შესახებ საქმის განხილვას, სხვა უფლებამოსილ პირებთან ერთად, აუცილებლად უნდა ესწრებოდეს პაციენტის ადვოკატი. თუ პაციენტს არა აქვს ადვოკატის აყვანის შესაძლებლობა, სასამართლო ვალდებულია დაუნიშნოს მას ადვოკატი სახელმწიფოს ხარჯზე, რასაც უზრუნველყოფს იურიდიული დახმარების სამსახური.

ასევე პატიმრობის კოდექსის შესაბამისად, 2010 წლის 1 ოქტომბრიდან, უფასო იურიდიული დახმარება ხელმისაწვდომია იმ ბრალდებულებისა და მსჯავრებულებისათვის, რომელთა მიმართ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მიმდინარეობს დისციპლინური სამართლაწარმოება.

ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდებისას, მსჯავრდებულს ეძლევა უფლება ისარგებლოს თარჯიმნის და ადვოკატის მომსახურებით. ხოლო, თუ მსჯავრდებული გადახდისუუნაროა და არ აქვს საშუალება საკუთარი ხარჯებით მოიწვიოს დამცველი, მას საზოგადოებრივი ადვოკატი დაენიშნება სახელმწიფოს ხარჯზე.

იურიდიული დახმარების სამსახური უფასო საადვოკატო მომსახურებას უზრუნველყოფს იმ გადახდისუუნარო პირებისათვისაც, რომლებსაც ემუქრებათ ადმინისტრაციული პატიმრობა.

ადმინისტრაციული პატიმრობა პირს შეიძლება შეეფარდოს შემდეგი სამართალდარღვევებისათვის:

- პირველად ჩადენილი ნარკოტიკული საშუალების მოხმარება;
- 1 წლის განმავლობაში, განმეორებით ჩადენილი ცივი იარაღის ტარება;
- ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაში ავტომობილის მართვა;
- წვრილმანი ხულიგნობა;
- სხვა.

1.5.2.1. საუნივერსიტეტო კლინიკები

უფასო იურიდიული დახმარების გამწევ რგოლად საქართველოში ჩამოყალიბდნენ სხვადასხვა უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები[43], სადაც სასწავლებლის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტები, ძირითადად, სამაგისტრო სწავლების საფეხურზე, უფასო კონსულტაციებს უწევენ კლინიკაში მისულ პირებს.

იურიდიულ კონსულტაციებში შედის როგორც ზეპირი ადგილზე კონსულტაცია, ასევე იურიდიული დოკუმენტაციის შედგენა და გამონაკლის შემთვხევაში, სასამართლოში წარმომადგენლობა. აღნიშნული მომსახურება იურიდიულ კლინიკებში მიმდინარეობს, როგორც წესი, მოქმედი ადვოკატის ზედამხედველობის ან პროფესორ-მასწავლებლის კონტროლის ქვეშ, რათა იურიდიული დახმარების მოსურნე პირს მიეწოდოს კვალიფიციური იურიდიული რჩევა.

1.5.2.2. უფლებადამცველი არასამთავრობო ორგანიზაციები

საქართველოში წლებია ეფექტურად და გამართულად ფუნქციონირებს სხვადასხვა უფლებადამცველი არასამთავრობო ორგანიზაციები[44], რომლებიც მათი მანდატის ფარგლებში იურიდიულ მომსახურებას უწევენ სოციალურად დაუცველ ფენას, ისევე როგორც ყველა პირს, ვინც საჭიროებს ასეთ დახმარებას.

როგორც წესი, მსგავსი ტიპის არასამთავრობო ორგანიზაციები ორგანიზაციის მანდატის და მისიის ფარგლებში ახორციელებენ იურიდიული დახმარების მოსურნე პირების სამართლებრივ კონსულტაციას, ისევე როგორც, იურიდიული დოკუმენტაციის შედგენას და სასამართლოში წარმომადგენლობას.

---

43. საუნივერსიტეტო კლინიკები ფუნქციონირებენ შემდეგ უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში : თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; ბათუმის შოთა რუსთაველის უნივერსიტეტი; აკაკი წერეთლის ქუთაისის სახ. უნივერსიტეტი; თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი; ქართულ- ამერიკული უნივერსიტეტი; ნიუ ვიჟენი; თბილისის ღია უნივერსიტეტი; .საქართველოს უნივერსიტეტი; ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი; საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი;

44. იხ. ვებ გვერდი http://probono.court.ge/pro-bono.pdf

თავი II

ადვოკატის პროფესიული ვალდებულებები და რისკები

2.1. ადვოკატისა და კლიენტის ურთიერთობის სამართლებრივი ბუნება.

2.2. სამოქალაქო-სამართლებრივი რისკები: ვალდებულების დარღვევა და პასუხისმგებლობა კლიენტის წინაშე.

2.3. ადვოკატის პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა.

2.4. პროფესიული ეთიკა და დისციპლინური პასუხისმგებლობა.

2.5. სისხლის-სამართლებრივი და ადმინისტრაციული რისკები (მონიტორინგის სამსახური).

2.6. ადვოკატისა და კლიენტის ურთიერთობების სამართლებრივი დაცვა.

2.7. ადვოკატის ანაზღაურება.

2.8. ადვოკატებისათვის დადგენილი საერთაშორისო და ადგილობრივი მოთხოვნები ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანასების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ.

2.9. საადვოკატო საქმიანობა და ადვოკატის ფინანსური საქმიანობა. პროფესიული პრივილეგია. კლიენტის იდენტიფიკაცია.

2.10. რისკის შეფასება – ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების სფეროში მყოფი სისუსტეები.

2.1. ადვოკატისა და კლიენტის ურთიერთობის სამართლებრივი ბუნება

ადვოკატისა და კლიენტის ურთიერთობა ერთ ერთი ყველაზე მგრძნობიარე და ნდობით გამსჭვალული მდგომარეობაა. ამ ურთიერთობისას კლიენტს აქვს იმედი და მოლოდინი რომ ის მისი საკითხით, სანდო და კომპეტენტური პირთან მივიდა. კლიენტი ყოველ ნაბიჯზე აკვირდება ადვოკატს თუ რამდენად კომპეტენტური (დამაჯერებელი), აკადემიური (პროფესიული, იურიდიული ენა), გამოცდილი (საქმიანობა წლების მანძილზე და კონკრეტულ საკითხზე მუშაობის გამოცდილება) და მისთვის მისაღებია ის. კლიენტი პირველივე ურთიერთობისას ფიქრობს მიაწოდოს თუ არა ადვოკატს სრული ინფორმაცია მისი საკითხის ირგვლივ, რომელიც დელიკატურ დეტალებსაც შეიძლება მოიცავდეს. შესაბამისად მისთვის არც თუ ისე ადვილია „უცხო პირისათვის" მათი გამჟღავნება. გამოცდილებამ აჩვენა, რომ ადვოკატის და კლიენტის ურთიერთობაშ უმთვარესია კლიენტის მხრიდან ნდობის გამოცხადება, რაც მას არ ევალება. ხოლო ადვოკატი კი ვალდებულია ენდოს კლიენტს მისი პროფესიული ბუნებიდან/არსიდან გამომდინარე, რამეთუ საკითხის ირგვლივ ინფორმაციის ერთდაერთი მატარებელი თავად კლიენტია და მის ხელთ არსებული ინფორმაციის გადამოწმება კლიენტის ნების მის მიერ უკვე გამოხატული ნდობის საწინააღმდეგოა და არ ემსახურება უფლებების დაცვის ბუნებას, იურიდიული დახმარების გაწევის ბუნებას. ამიტომაც შემოწმების ტესტი შეიძლება ითქვას კლიენტის პრივილეგიაა და არა ადვოკატის. შესაბამისად კლიენტს არ გააჩნია ვალდებულება ენდოს ადვოკატს გარდა მისი სურვილისა, ნებისა და ინტერესებისა. კლიენტს უფლება აქვს ჰყავდეს რამოდენიმე ადვოკატი, რომელთა რაოდენობის ზედა ზღვარს მოქმედი კანონმდებლობა არ არეგულირებს.

წლების წინ ადვოკატსა და კლიენტს შორის ურთიერთობა შეიძლება ითქვას, რომ არ იყო დარეგულირებული. ამჟამად კი ეს ურთიერთობა მატერიალური და პროცესუალური კანონმდებლობით არის მოწესრიგებული. მაგალითად კანონი „ადვოკატთა შესახებ" რომელიც სპეციალურ კანონად შეიძლება მოვიაზროთ ხოლო დანარჩენი კი შესაბამის ურთიერთობების რეგულირებისათვის სადაც მონაწილეობს ადვოკატი. ადვოკატთა შესახებ კანონის უპირატესობა პროფესიული კუთხით სახეზეა სხვა მიმდინარე კანონმდებლობასთან შედარებით. [45] ამ კანონის თანახმად საადვოკატო საქმიანობა ხორციელდება კლიენტის ინტერესების გამო და მიმართულია მხოლოდ მისი დაცვაზე, წარმოდგენასა თუ განხორციელებაზე. აღსანიშნავია, რომ აქ იგულისხმება კლიენტის კანონიერი ინტერესები და არა მის ნებისმიერ სურვილ, დაკვეთა თ მოთხოვნები, რომელიც სცილდება კანონის ფარგლებს.

ადვოკატისა კლიენტის ურთიერთობის დასაწყისს და დასასრულს არეგულირებს კანონი „ადვოკატთა შესახებ", ადვოკატთა პროფესიული ეთიკის

45. „ადვოკატთა შესახებ" კანონის 2 მუხლი: საადვოკატო საქმიანობა.

კოდექსი და ს.ს.ი.პ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის პრეცედენტული საქმიანობა – გადაწყვეტილებები და რეკომენდაციები.

პრაქტიკაში როგორც წესი ადვოკატსა კლიენტს შორის ფორმდება ხელშეკრულება/შეთანხმება (საადვოკატო საქმიანობის, იურიდიული დახმარების თუ მომსახურების და ა.შ.), რომელსაც ამზადებენ თავად ადვოკატები და წარუდგენენ გასაცნობად კლიენტს ან კლიენტის წარმომაგენელს, ოჯახის წევრს, კლიენტისათვის იურიდიული დახმარების გაწევისათვის დაინტერესებულ პირს (მათ შორის საზღაურის გადამხდელი) შეთანხმების ფორმას (წერილობითი თუ ზეპირი სახის) ირჩევენ თავად მხარეები ანუ ადვოკატი და კლიენტი. და რაიმე სამართლებრივი სახის სავალდებულოობა ამ მხრივ ჯერ არ არსებობს. წერილობითი შეთანხმებაზე შესაძლებელია მხარეებმა იფიქრონ მიზანშეწონილობის პრინციპით, რადგან მეტი კონკრეტიკა და ურთიერთობის რეგულირება შესაძლებელია როდესაც არსებობს წერილობითი ხელშეკრულება ან შეთანხმება. მაგალითისათვის შეგვიძლია მოვიყვანოთ საადვოკატო საქმიანობის/მომსახურების საგანი (ანუ რა და როგორი სახის მომსახურება) ან საზღაურის გადახდის ოდენობა და წესი, ან მომსახურების ფარგლები და ა,შ. საადვოკატო საქმიანობის დაწყებისათვის სახელმწიფო უწყებების წინაშე წარმომადგენობისათვის ადვოკატი ასევე საჭიროებს რწმუნებულებას/მინდობილობას, რომელშიც მოცემულია ინფორმაცია ზოგადი ან სპეციალური უფლებამოსილების გადაცემის შესახებ . მხარეები რწმუნებულებას სანოტარო წესით ამოწმებენ, ხოლო მინდობილობას სამოქალაქო კანონმდებლობით დადგენილი წესით გასცემს კლიენტი (სამეწარმეო ან არასამეწარმეო იურიდიული ან არაიურიდიული პირი) ან მისი წარმომადგენელი. საყურადღებოა ასეთი დოკუმენტების (მაგ: რწმუნებულება) დანიშნულება. აღნიშნულ საკითხს კვლავ დავუბრუნდებით.

ადვოკატის პროფესიული უნიკალურობიდან გამომდინარე კლიენტთან მისი ურთიერთობა რთულ და მნიშვნელოვან პროცესად ითვლება. აღნიშნული განსაკუთრებით თვალსაჩინოა პრაქტიკაში, როდესაც კლიენტი ადვოკატთან მისი საკითხის/პრობლემის ირგვლივ ფაქტებზე საუბრობს. მათი ჩამოყალიბებისას ხდება საადვოკატო საქმიანობის გამოვლენა – ფაქტების კანონიერი ჩარჩოში მოქცევა, კლიენტის ინტერესებისათვის მათი პერსპექტივის თვალსაზრისით, რათა უფლებების დაცვა ან განხორციელება ეფექტური იყოს. პროფესიონალი ადვოკატების საქმიანობის ერთ ერთ „ოქროს წესს“ წარმოადგენს ფაქტებზე მუშაობა და მათი ზედმიწევნით ცოდნა, ფაქტების კანონიერ სახე და მათგან გამომდინარე მოთხოვნის დასაბუთებულობა გადამწყვეტია და ეფექტურიც.

პირველი პრეცედენტული მაგალითი ადოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის პრაქტიკიდან:

საქმე # 066/10, 23.09.2010 – „საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება მოიცავს ინფორმაციას ხელშეკრულების საგნის, მხარეთა უფლებებისა და ვალდებულებების, ადვოკატის ჰონორარის გადახდის გრაფიკისა და სხვა დამატებითი პირობების თაობაზე, შესაბამისად, ეს ინფორმაცია

მნიშვნელოვანია კლიენტისათვის ადვოკატის მიერ მთელი საადვოკატო მომსახურების გაწევის პერიოდში, რათა შეძლოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების მუდმივი გაკონტროლება“

პროფესიული საქმიანობისას ხშირია ისეთი შემთხვევა, როდესაც ადვოკატის მომწვევი არ არის კლიენტი. ადვოკატი შესაძლებელია მოიწვიოს კლიენტის სახელით ან მისთვის სხვა პირმა. რა თქმა უნდა ამ პირებში შედის ასევე კლიენტის ოჯახის წევრი და/ან წარმომადგენელი. მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა, მაგალითად სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი იცნობს და აკეთებს ჩამონათვალს თუ ვინ ატარებს ოჯახის წევრის სტატუსს კოდექსის მიზნებისათვის. [46]

როგორც წესი ადვოკატის მომწვევი არის კლიენტი, ან მისი სანდო პირი. როგორ უნდა განვასხვავოთ ვინ არის კლიენტი და შესაბამისად ადვოკატმა იცოდეს თუ ვის წინაშე აღასრულოს საკუთარი პროფესიული მოვალეობები. კლიენტი არის ის პირი ვისაც უშუალოდ ესაჭიროება იურიდიული დახმარება ანუ ვისთვისაც უნდა განახორციელოს ადვოკატმა საადვოკატო საქმიანობა. ხოლო მომწვევი შეიძლება იყოს მესამე პირი, რომელიც მაგალითად უხდის მას საზღაურს ან რომელმაც უბრალოდ მოიძია ადვოკატი. ამ დროს ერთ ერთი უმთავრესია კონფიდენციალობის (საიდუმლოების) დაცვა, რომელიც კლიენტისგან მოდის. კონფიდენციალობა დაცული უნდა იყოს თვით კლიენტის წარმომადგენელთან, სანდო პირთან, ოჯახის წევრთანაც კი, სანამ არ არსებობს თავად კლიენტის ნება.

როდის შეიძლება ჩავთვალოთ, რომ ადვოკატ – კლიენტს შორის დამყარდა ურთიერთობა? ა.პ.ე.კ – ის 8.1 მუხლი. „ადვოკატი კლიენტთან თავის საქმიანობას იწყებს კლიენტთან ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. ურთიერთობას უთანაბრდება, როდესაც ადვოკატს შეეძლო ევარაუდა, რომ შეთანხმებას დებდა კლიენტთან ურთიერთობაში მყოფი უფლებამოსილი პირი, გარდა სავალდებულო (იძულებითი) დაცვის შემთხვევებისა“.

ადვოკატს, პროფესიული ეთიკის ძირითადი ვალებულებები კლიენტის მიმართ, ეკისრება მას შემდეგ, რაც მასსა და კლიენტს შორის იწყება ადვოკატ–კლიენტის ურთიერთობა. ამიტომ არის მნიშვნელოვანია ადვოკატ–კლიენტის ურთიერთობების დასაწყისის ზუსტად განსაზვრა. ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.1 მუხლის თანახმად ადვოკატ–კლიე-

---

46. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი – 3 მუხ, 2, 3, 4 ნაწილები.
ახლო ნათესავი – მშობელი, მშვილებელი, შვილი, მინდობით აღსაზრდელი, პაპა, ბებია, შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლე (მათ შორის, განქორწინებული).
ოჯახის წევრი – მეუღლე, არასრულწლოვანი შვილი ან გერი, მასთან მუდმივად მცხოვრები პირი.
კანონიერი წარმომადგენელი – ახლო ნათესავი, მეურვე, მზრუნველი, მხარდამჭერი, რომელიც მონაწილეობს სისხლის სამართლის პროცესში ისეთ შემთხვევაში, როდესაც პროცესის მონაწილე არის არასრულწლოვანი, შეზღუდულქმედუნარიანი, თუ მას ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლია დაიცვას თავი, აგრეთვე მხარდაჭერის მიმღები, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

ნტის ურთიერთობები შეიძლება დაიწყოს კლიენტთან ან მისი ნდობით აღჭურვილ პირთან შეთანხმებით ან სავალდებულო დაცვის შემთხვევაში, ადვოკატის დანიშვნით. შეთანხმება საადვოკატო მომსახურებაზე შეიძლება მოხდეს უშუალოდ ადვოკატსა და კლიენტს შორის, ასევე, კლიენტის სახელით შეთანხმების/ხელშეკრულების გაფორმებისთვის უფლებამოსილ პირსა და ადვოკატს შორის. მნიშვნელოვანი საკითხებია, თუ რა ფორმით შეიძლება დაიდოს შეთანხმება და ვინ შეიძლება იყოს უფლებამოსილი პირი. შეთანხმება/ხელშეკრულება სამოქალაქო კოდექსის თანახმად შეიძლება იყოს როგორც წერილობითი, ასევე ზეპირი. ნებისმიერ შემთხვევაში ადვოკატსა და კლიენტს შორის ურთიერთობა დაწყებულად ჩაითვლება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 709 --ე მუხლის მიხედვით, აღნიშნული შეთანხმება განიხილება, როგორც დავალების ხელშეკრულება, ვინაიდან ადვოკატი რწმუნებულებით ვალდებულია შეასრულოს მისთვის დავალებული რამდენიმე მოქმედება მარწმუნებლის სახელით და ხარჯზე. ამ მხრივ შეიძლება ითქვას კლიენტის მოლოდინის შესახებაც, კერძოთ, მან ადვოკატს მიანიჭა გარკვეული უფლებამოსილება რითაც მიაჩნია, რომ მას ჰყავს უკვე ადვოკატი.

ურთიერთობის დასაწყისთან დაკავშირებით კარგ წარმოდგენებს ქმნის ჰიპოთეტური მაგალითებიც. მათ შორის საინტერესოა, როდესაც ადამიანი, რომელსაც ესაჭიროება ადვოკატი მიაკითხავს მას და უამბობს იმ ისტორიას რომელთანაც მისი აზრით დაკავშირებულია მისი ინტერესების დაცვა. ამბის მოყოლის შემდეგ ადვოკატი მხოლოდ საბუთების მოტანას სთავაზობს. ასეთი მაგალითი იძლევა კარგ საშუალებას დავინახოთ საადვოკატო მომსახურების დასაწყისი,, რომელიც შეიძლება ითქვას ოფერტზე (შეთავაზება) და აქცეპტზეა (მიღება) აგებული. ამას ემატება მნიშვნელოვანი პრინციპი – ამბის მოყოლიდან ადვოკატზე წარმოიშობა კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულებაც.

ადვოკატსა და კლიენტს შორის ურთიერთობის დასასრული [47] შეიძლება ითქვას უფრო მეტად მნიშვნელოვანია ვიდრე დასაწყისის განსაზღვრა. ერთი მხრივ არსებობს კლასიკური ვალდებულებითი ხასიათის ურთიერთობა მომსახურების გაწევაზე, მაგრამ მეორეს მხრივ აქვე უნდა იქნას განხილული პროფესიული სპეციფიკურობაც.

წერილობით სახელშეკრულებო ფორმატში კლიენტსა და ადვოკატს შორის ურთიერთობისას მნიშვნელოვანია ადვოკატის უფლებამოსილება (სპეციალიზაცია), საადვოკატო საქმიანობის ფარგლები ანუ სამართალწარმოების ან მის გარეშე საკონსულტაციო ურთიერთობის ეტაპები და მაქსიმალური ზღვარი, რომელიც სასურველი ხელშეკრულების შედგენისას უნდა განსაზღვროს თავად ადვოკატმა და შესთავაზოს კლიენტს, რომ ის მას გაუწევს საადვოკატო მომსახურებას, მაგალითად, მასთან დაკავშირე-

47. ა.პ.ე.კ./ადვოკტთა პროფესიული ეთიკის კოდექსი/ ის 8 მუხლის 9 ნაწ.
ა.პ.ე.კ-ის 8 მუხლის 15 ნაწ.

ბული სახელმწიფო გამოძიების მიმდანრეობისას ან მოახდენს პირველი ინ-სტანციის სასამართლო გადაწყვეტილების იურიდიულ ანალიზს, მოამზა-დებს შესაბამის სააპელაციო სარჩელს. პირველი შემთხვევა შეიძლება იყოს წარმომადგენელობით სახის, ხოლო მეორე კი არა.

ხელშეკრულების შეწყვეტა დამოკიდებულია სწორად განსაზღვრულ სა-განზე, მომსახურების ფარგლებზე და დაკავშირებული ასევე საზღაურ/ხარ-ჯებთან. კლიენტსა ადვოკატს შორის ურთიერთობის შეწყვეტამ არ უნდა დააზიანოს მხარეთა უფლებები და ინტერესები, რომლისთვისაც არის გა-სათვალისწინებელი ზემოთ არსებული მსჯელობა-რეკომენდაციები.

ურთირთობის შეწყვეტის პრეცედენტები აქვს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას, ამ მხრივ საინტერესოა ამონარიდი ეთიკის კომისიის ერთ ერთი გადაწყვეტილებიდან[48]

„კლიენტს უფლება აქვს ნებისმიერ დროს შეწყვიტოს ადვოკატთან ხელშეკრულება და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუ-ხლის მე-15 ნაწილით გათვალისწინებული ვალდებულება კლიენტისათ-ვის საქმის მასალების, ქონებისა და სხვა ნივთების დაბრუნების შესახებ უნდა შესრულდეს, ამასთან, ადვოკატს უფლება აქვს მიიღოს რეალურად განხორციელებული საადვოკატო საქმიანობისათვის სამართლიანად გამო-მუშავებული ჰონორარი ან მისი ნაწილი. პროფესიული ეთიკური საკითხი, ერთი მხრივ, ადვოკატის უფლება ჰონორარის (მისი ნაწილის) დატოვებისა და, შესაბამისად, გამოუმუშავებელი გასამრჯელოს (მისი ნაწილის) კლიე-ნტისათვის დაბრუნების თაობაზე ვრცელდება როგორც კლიენტის, ასევე ადვოკატის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევებზე“.

როგორც ვხედავთ ადვოკატისა და კლიენტის ურთიერთობის სამა-რთლებრივი ბუნება ურთიერთობის შეწყვეტისას სხვა და სხვა შედეგების დადგომაზე მიუთითებს და ეხება როგორც უფლებას, თუ ვის აქვს შეწყვე-ტის უპირატესობა, ასევე გადაცემული დოკუმენტაციის დაბრუნებას და გამომუშავებული ან არ გამომუშავებულ საზღაურს (ჰონორარს). ამასთან ერთად მნიშვნელოვანია ადვოკატის ინიციატივა შეწყვიტოს კლიენტთან შეთანხმებული ან ხელშეკრულებით მიღებული ურთიერთობა, რადგან ადვოკატი ყველა მხრივ უნდა ეცადოს რომ კლიენტი არ დატოვოს ისეთ მდგომარეობაში რომ ვერ მან შეძლოს სხვა ადვოკატის მოძიება. საუბარია შეწყვეტის ეტაპის მნიშვნელობაზე და დროზე, რომელიც კლიენტს ესაჭი-როება, რომ მოიძიოს სხვა ადვოკატი. საამისო მაგალითია: ადვოკატის მიერ ურთიერთობის შეწყვეტა სააპელაციო ეტაპზე გადასვლისას, რა დროსაც სააპელაციო საჩივრით მიმართვას აქვს თავისი კანონისმიერი ვადა. თუ კლიენტს ადვოკატმა უარი უთხრა ისეთ დროს, როდესაც სააპალაციო სა-ჩივრის მომზადება/მიმართვისათვის სხვა ადვოკატის მოძიების დრო აღარ დარჩა, აღნიშნული წარმოადგენს ადვოკატის პროფესიულ-ეთიკურ ნეგა-ტივს, დარღვევას, რომლისთვის დგას პროფესიული პასუხისმგებლობაც.

48. ეთიკის კომისია – საქმე # 037/14 – 10.12.2014

შეწყვეტისას კვლავ შევეხოთ ჰონორარსაც. ვნახოთ რას გვეუბნება პროფესიული ეთიკის ნორმები.

როგორც ვხედავთ ურთიერთობის შეწყვეტას მეტი საპასუხისმგებლო ადგილები გააჩნია და დაკავშირებულია დასაწყისში მხარეთა შეთანხმების საგანზე და პირობებზე. ასევე რამდენად სრულად შესრულდა გასაწევი მომსახურება.

შესაბამისად თუ ჩვენ ვიხილავთ ხელშეკრულებაში ჩანაწერს, რომ გადახდილი ჰონორარი უკან არ ბრუნდება, რომელიც შედგენილია ჯერ კიდევ გასაწევ მომსახურებამდე ადვილი მისახვედრია რომ ეს ჩანაწერი ეწინააღმდეგება პროფესიული ეთიკის ნორმების.

და ბოლოს, ზოგად კლასიკურ სამართლებრივ (კანონიესმიერ) რეგულირების მაგალითს წარმოადგენს ადვოკატის პროფესიული ვალდებულებების შესახებ ქვემოთ მოცემული ნორმა. სადაც ნათლად ჩანს ადვოკატის საქმიანობა კლიენტის ნების გამოვლენასთან მიმართებაში.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის

მუხლი 44. ბრალდებულის ადვოკატის სამართლებრივი მდგომარეობა

1. იმ გარემოებათა გამოსავლენად, რომლებიც ამართლებს ბრალდებულს ან/და ამსუბუქებს მის პასუხისმგებლობას, ადვოკატმა დაცვის ყველა კანონიერი საშუალება და ხერხი უნდა გამოიყენოს. ადვოკატს არა აქვს უფლება, იმოქმედოს ბრალდებულის მითითებისა და ინტერესების საწინააღმდეგოდ. ადვოკატს ასევე არა აქვს უფლება, ბრალდებულის ნების საწინააღმდეგოდ შეიტანოს საჩივარი ან უარი თქვას მასზე ბრალდებისა და სასჯელის ნაწილში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ბრალდებულს აქვს ისეთი ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლი, რომელიც შეუძლებელს ხდის მისგან თანხმობის მიღებას.

2.2. სამოქალაქო-სამართლებრივი რისკები: ვალდებულების დარღვევა და პასუხისმგებლობა კლიენტის წინაშე

ადვოკატსა და კლიენტს შორის დადებული შეთანხმებისა ან გაფორმებული ხელშეკრულების ირგვლივ არსებობს როგორც პროფესიული პასუხისმგებლობა, ასევე სამოქალაქო ვალდებულებითიც. ისინი ერთმანეთისგან განსხვავებული და სპეციფიურია.. საინტერესოა ისიც რომ კლიენტისა და ადვოკატის სახელშეკრულებო ურთიერთობისას კლიენტს უფლება აქვს სარჩელით მიმართოს როგორც სასამართლოს ასევე განაცხადოს (შეიტანოს საჩივარი) ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიაში. სასამართლოსა და ეთიკის კომისიას აქვს თავიანთი კომპეტენცია და განხილვის საფუძველი. შეიძლება ითქვას, რომ ადვოკატს პასუხისმგებლობის მხრივ კლიენტის წინაშე ორმაგი რისკი აქვს. ადვოკატთა საქმიანობის რეგულირების ორი

საშუალება არსებობს. პირველი ადვოკატთა ასოციაციის კომპეტენციაში შედის, მისი მექანიზმია, ხოლო მეორე კი არის კანონი/კანონები, რომელსაც ეყრდნობა დაზარალებული ანუ ზიანმიყენებული კლიენტი პრეტენზიის განცხადებისას.

კლიენტსა და ადვოკატს შორის ურთიერთობისას ადვოკატისათვის არსებობს ორი რისკ მიმართულება:

ა) **დისციპლინირება**, რომლის მიზანია საზოგადოების დაცვა არაკომეტენტური ადვოკატებისაგან და ადვოკატის მიერ ჩადენილი გადაცდომის დასჯა ანუ დისციპლინირება. აღნიშნული შეიძლება გამოწვეული იყოს პროფესიული ეთიკის კოდექსის დარღვევის შემთხვევაში და ნაკლებად ან საერთოდ არ უკავშირდებოდეს კლიენტის იმ სამოქალაქო სამართლებრივ უფლებებს და ინტერესებს, რის გამოც მან მოიწვია ადვოკატი. ამის მაგალითია ადვოკატის მიერ მეორე ადვოკატისადმი (კოლეგა) შეურაცხყოფის მიყენება ან ნარკოტიკული საშუალების ზემოქმედების ქვეშ ყოფნა. ასეთ დროს ზიანის მიყენების ობიექტია საზოგადოების ნდობა ადვოკატის პროფესიისადმი და კლიენტის კონკრეტული ინტერესის დარღვევასთან კავშირი არა აქვს.

ბ) **არასათანადო პრაქტიკა**, რომელიც დაკავშირებულია კლიენტის უფლებებთან და წარმოშობს დაზარალებულის/ზიანმიყენებულის კომპენსაციის მოთხოვნის უფლებას, როგორც ეს ხდება სახელშეკრულებო ან დელიქტური (ზიანი) ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში. თუმცა კანონი „ადვოკატთა შესახებ“ ეხება ამ მდგომარეობას დაზღვევის თვალსაზრისით ანუ საუბარია ადვოკატის დაზღვევაზე, რომელსაც არსებული მოცემულობის ფარგლებში ქვემოთ შეეხებით. არასათანადო პრაქტიკის მაგალითი შეიძლება იყოს ადვოკატის მიერ კლიენტის სასარგებლოდ და/ან შეთანხმებული იურიდიული მოქმედებების არგანხორციელება; მაგ., ბრალდებულად ცნობილი კლიენტის სასამართლოს მიერ დაპატიმრების (აღკვეთის ღონისიძიება) შესახებ განჩინების გაუსაჩივრებლობა. ასევე მაგ., კლიენტის (მარწმუნებელი) მიერ ადვოკატზე მიწოდებული ინფორმაციის მიხედვით მოპასუხის ქონებაზე უზრუნველყოფის საშუალების/ღონისძიების საკითხის არდაყენება და ა.შ. აღნიშნულით, პირველ რიგში, კლიენტის ინტერესებს შეიძლება მიადგეს ზიანი და ნაკლებად სხვა სეგმენტს. ამიტომ, ასეთ დროს კლიენტს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოსაც და მოითხოვოს როგორც ზიანის ანაზღაურება, ასევე ვალდებულების შესრულება ან ადვოკატზე გადახდილი საზღაურის მთლიანად ან ნაწილობრივ დაბრუნება.

ყოველივე ადვოკატს ეხმარება გააცნობიეროს მის პროფესიული რისკები და კლიენტის წინაშე ვალდებულებები. არსებობს ასევე შემთხევები, როდესაც ადვოკატის მიერ შესაძლებელია არ იქნას დარღვეული პროფე-

სიული ეთიკა, თუმცა წარმოეშვას ვალდებულება კლიენტის წინაშე. ასეთი შემთხვევებია, როდესაც ადვოკატს კლიენტმა მისი პროფესიული სტატუსიდან გამომდინარე ნდობისათვის მიაკითხა, თუმცა მის დავალებას არ წარმოადგენს მისი ინტერესების დაცვა, არამედ რეალიზაცია; მაგ., ფინანსური ან ქონებრივი ხასიათის მოქმედებების განხორციელება. როდესაც კლიენტი ადვოკატთან იმყოფება სახელშეკრულებო პირობებში, ასევე გადასცემს რწმუნებულებით უფლებამოსილებას, რომ მისი სახელით გამართულ აუქციონზე შეიძინოს რაიმე სახის ქონება (სახლი, მიწა ან კომპანია). საამისოდ კლიენტი ადვოკატს უხდის გარკვეულ საზღაურს, ხოლო ადვოკატი კი არ გამოცხადდა აუქციონზე და, შესაბამისად, კლიენტმა ვერ მოახერხა ქონების შეძენა. კლიენტმა მიმართა სასარჩელო წესით სასამართლოს და მოითხოვა საზღაურის უკან დაბრუნება და განაცდენი სარგებლის მიღებაც.

მოცემულ შემთხვევაში შესაძლებელია გვქონდეს სახეზე ადვოკატთა პროფესიული ეთიკის დარღვევა, თუმცა გვაქვს სამოქალაქო სამართლებრივი დელიქტი.

ადვოკატსა და კლიენტს შორის დადებული ხელშეკრულება და მასში გაწერილი/აღებული ვალდებულებები არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს მოქმედ კანონმდებლობას.[49]

ეთიკის კომისია 24/04/2013 წლის #008/13 რეკომენდაციაში შეეხო დავალების ხელშეკრულების არსს და ხელშეკრულების შინაარსს. კომისიამ ხაზი გაუსვა, რომ ხელშეკრულების თავისუფლების მნიშვნელოვანი მომენტია, ხელშეკრულების შინაარსის თავისუფალი განსაზღვრა მხარეების მიერ. მათ შეუძლიათ თავად შეთანხმდნენ ნებისმიერ საკითხზე, თუმცა, მხოლოდ კანონის ფარგლებში.

მინზაშეწონილია, რომ ადვოკატმა გარდა რმწუნებულებით ან მინდობილობით მიღებული უფლებამოსილებისა კლიენტთან ან მის წარმომადგენელთან გააფორმოს ხელშეკრულება, სადაც განსაზღვრული იქნება:

- საადვოკატო მომსახურების საგანი და მიზანი
- საადვოკატო მომსახურების ფარგლები: (საპროცესო ეტაპი, ან ურთიერთობის ადგილი. რისთვისაც ესაჭიროება კლიენტს ადვოკატი) ასევე ხელშეკრულების მოქმედების დრო.
- მხარეთა მოვალეობები
- საზღაური (ჰონორარი და ხარჯი)
- ხელშეკრულების შეწყვეტის პირობები
- დავის განხილვის ადგილი (სასამართლო, არბიტრაჟი)

ხელშეკრულება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს მოქმედი კანონმდებლობისა და ა.პ.ე.კ. ის ძირითად დებულებებს.

49. კანონი „ადვოკატთა შესახებ“, სამოქალაქო კოდექსი, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი.

2.3. ადვოკატის პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა

მნიშვნელოვანი რამ, რაც ჯერ კიდევ „ადვოკატთა შესახებ“ კანონის[50] მიღებიდან იყო გათვალისწინებული მასში. კერძოდ, საუბარია ადვოკატის ვალდებულებაზე, რომ კანონით დადგენილ წესით და გათვალისწინებულ შემთხვევებში დააზღვიოს პროფესიული საქმიანობა. პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის მიზანია კლიენტის ფულადი კომპენსირება, რაც წარმოადგენს ხშირ ჩანაცვლებას და შესაძლებელობას დელიქტურ (ზიანი) სამართალში. თავდაპირველად უნდა აღინიშნოს რომ სადაზღვევო ბაზარზე დღევანდელი მოცემულობით საერთოდ პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის წილი ნაკლებია, თუმცა არსებობს მცირე ტენდენცია მისი გაზრდისა. მაგალითად საექიმო საქმიანობაში. სადაც უკვე გაჩნდა პასუხისმგებლობის დაზღვევის ელემენტები პაციენტის სასარგებლოდ. ადვოკატის პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის მიზანია კლიენტის კომპენსირება მისი ადვოკატის მიერ პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას განსაკუთრებული მდგომარეობების დადგომის შემთხვევაში. დღევანდელი მოცემულობით არსებობს კანონი „დაზღვევის შესახებ“ რომლითაც რეგულირებულია ანუ დაიზღვევა პირადი და ქონებრივი ინტერესები. მოცემულ კანონში არ არის ჯერ კიდევ პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის ინსტიტუტი ამ სახელწოდებით და ცალკე მოცემული. თუმცა თავად დაზღვევის საგანი ანუ ქონებრივი მხარე უკვე დაკავშირებულია პროფესიულ პასუხისმგებლობასთან.

სადაზღვევო კომპანიებში აცხადებენ, რომ ყველაზე აქტიურად ექიმები, არქიტექტორები, აუდიტორები და ადვოკატები/ნოტარიუსები (იურისტები) მიმართავენ პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევას. მაგალითად, თუ ექიმმა შეცდომა დაუშვა და პაციენტს გარკვეული ზიანი მიაყენა, მაშინ <u>გართულებული ჯანმრთელობის გამოსასწორებელ ხარჯს</u> (ქონებრივი მხარე) სადაზღვევო კომპანია გაიღებს. რასაკვირველია, ექიმის დაშვებული შეცდომის დროს დაზარალებული პაციენტი კომპენსაციას კლინიკისგან ითხოვს, მაგრამ კომპენსაციის ანაზღაურება ექიმსა და კლინიკას რომ არ მოუწიოს, სწორედ ამიტომ ხდება პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა. შესაბამისად, კომპენსაციის თანხა უკვე სადაზღვევო კომპანიის მიერ დაიფარება.

როგორც სადაზღვევო კომპანიების წარმომადგენლებისგან ირკვევა, იგივე შეეხება სხვა პროფესიების წარმომადგენლებსაც. მაგალითად, თუ აუდიტორმა, რომლის პროფესიული პასუხისმგებლობა დაზღვეულია, <u>შეცდომა დაუშვა</u> და შესაბამისად მისი კლიენტი <u>საგადასახადო სამსახურ-</u>

50. „ადვოკატთა შესახებ“ კანონი – 9 მუხ. ადვოკატი ვალდებულია კლიენტისათვის შესაძლო მატერიალური ზიანის ანაზღაურების მიზნით, კანონით დადგენილი წესით და გათვალისწინებულ შემთხვევებში დააზღვიოს თავისი პროფესიული პასუხისმგებლობა.

<u>მა მნიშვნელოვანი თანხით დააჯარიმა.</u> (ასევე ქონებრივი მდგომარეობა) მაშინ აუდიტორის მიერ დაშვებული შეცდომის გამო მიყენებული ზარალი სადაზღვევო კომპანიამ უნდა დაფაროს.

პრაქტიკულ ჭრილში რთული წარმოსადგენი არ არის საადვოკატო საქმიანობის განხორციელებისას კლიენტის მიმართ „პროფესიული შეცდომით" მიყენებული ზიანი. ეს ზიანი შესაძლებელია იყოს კლასიკურად ქონებრივი და გამოიხატებოდეს როგორც ფულადი, ისე ქონების ანუ სხვა მატერიალური სახით (უძრავი, მოძრავი), რომელსაც ასევე აქვს ფულადი ღირებულება, რასაც კომპენსაციასაც უწოდებენ.

მიმდინარე კანონმდებლობებში, მაგალითად, „ადვოკატთა შესახებ" და „საექიმო საქმიანობის შესახებ" კანონებში შესულია ცვლილები მათი პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის თვალსაზრისით, რადგან კლიენტისა და პაციენტის იმ ინტერესების გატარებისას, რომლებიც ქონებრივია, იზღვევა კლიენტის, პაციენტის ქონებრივი უფლება მისი კომპენსირებით. ამასთან არსებობს სპეციალური რეგულირების საჭიროება და თანახმად „ადვოკატთა შესახებ" კანონის ნახსენები მუხლისა, ორი სპეციალური მდგომარეობა უნდა გვქონდეს ერთობლივად: ა) კანონით დადგენილი წესი და ბ) გათვალისწინებულ შემთხვევებში. აღნიშნული სპეციალური რეგულიაცია ჯერ არ მოქმედებს, რის გამოც საადვოკატო საქმიანობის/მომსახურების ბაზარზე დაბალია პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის წილი.

ამდენად, ჯერჯერობით ჩვენთან მოქმედებს უფრო მეტად სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა და არსებობს სპეციალური ანუ პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის გამოწვევა.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გადაწყვეტილება გამოიტანა საქმეზე ბექაური საქართველოს წინააღმდეგ. – პროცესი საქართველოს გამართლებით დასრულდა. ეს ფაქტი ჩვენი ყურადღების მიღმა დარჩებოდა, რომ არა ერთი გარემოება – რვა8-გვერდიანი გადაწყვეტილების ტექსტი საქმესთან დაკავშირებული ფაქტების კვლევას თითქმის არ ეთმობა. მასში სტრასბურგის სასამართლო ძირითადად ქართველი ადვოკატის ქცევაზე ამახვილებს ყურადღებას და მას „გამაოგნებელი უპასუხისმგებლობის გამოხატულებად" აფასებს. ადვოკატმა ორჯერ დაკარგა დასაცავი პირის ბრალდების/მსჯავრდების დოკუმენტაცია. კანონმდებლობიდან გამომდინარე (შეჯიბრებითობა სისხლის სამართალში) თითქმის შეუძლებელია, ფიზიკურად კვლავ მიიღო კვლავ დოკუმენტაცია, შესაძლებელია მხოლოდ შესაძლებელია გაცნობა,. რასაც ფინანსური, დროისა დროითი და გონებრივი რესურსიც კი ესაჭიროება. კლიენტის ანუ ბრალდებულის/მსჯავრდებულის ინტერესი, დაიცვას თავი შექმნილი დოკუმენტაციის გამოყენებით (შეაფასოს, გადადგას იურიდიული ნაბიჯები, მიიღოს სხვა ადვოკატებისგან ან სპეციალისტებისგან კონსულტაციები), დარღვეულია „პროფესიული შეცდომით", მისი კომპენსირება სავარაუდოდ შესაძლებელია თანხობრივად რასაც პროფესიული დაზღვევა მოახერხებს გარკვეულ დონეზე მაინც.

კლიენტის უფლებების უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია, რომ მას ადვოკატის უხარისხო მომსახურების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება შეეძლოს. ბევრ ქვეყანაში ადვოკატის პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა გავრცელებული სერვისია. როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოში ეს პრაქტიკა ფეხს ნელა, მაგრამ მაინც იკიდებს. ბოლო 5 წლის განმავლობაში, რამდენიმე იურიდიული ფირმა დაეზღვია. თუმცა, ამას გამონაკლისის სახე უფრო აქვს, ვიდრე წესის. გარდა ამისა, თავად ეს დაზღვევაც ჯერჯერობით სიმბოლურ ხასიათს ატარებს, რადგან სადაზღვევო კომპანიის მეშვეობით ადვოკატის მიერ მიყენებული ზარალის ანაზღაურების პრეცედენტი ჯერ არ გვაქვს.

2.4. პროფესიული ეთიკა და დისციპლინური პასუხისმგებლობა

ეთიკა,ბერძნულად ethos, არის მორალი, ზნეობა, შეიძლება ითქვას, ხედვა. ხალხების ყოფითი ცხოვრება – პირადი, სოციალური თუ სამსახურებრივი, ძალაუნებურად გარკვეულ ფასეულობებს ეფუძნება – სამართლიანობა, კეთილსინდისიერება, პატივისცემა და სხვა. ცხადია, არ არსებობს ხალხთა ეთიკის დაწერილი ნორმები, მაგრამ არსებობს ზემოთ ჩამოთვლილი ფასეულობები, რომლეიც „მუშაობს“ საზოგადოებრივ და საჯარო წრეებში,თან მყარად, შეუცვლელად. ბერძნების მიერ ნათქვამია, რომ „დაუწერელი მორალი უფრო ძლიერია ზოგჯერ, ვიდრე კარგად გაწერილი კანონები“.

პროფესიების შექმნისა და მათი არსის გაცნობიერების შემდეგ ნათელია, რომ მათ დიდი პასუხისმგებლობა გააჩნიათ იმის წინაშე რასაც ემსახურებიან. როგორია ეს პასუხისმგებლობა?

სპეციალისტების აზრით, საადვოკატო საქმიანობა სამ რამეზეა დაფუძნებული: კვალიფიკაცია, პროფესიული ეთიკა და პროფესიული უნარ-ჩვევები. პროფესიული ეთიკა საადვოკატო საქმიანობის ხერხემალს წარმოადგენს, რადგან თუ დავაკვირდებით, საადვოკატო საქმიანობის მიზანს და საშუალებას, მივხვდებით, რომ ეს არის ადამიანის უფლებების დაცვა, ხოლო მისი საშუალება კი კანონიერი გზა, რომელიც მართლმსაჯულების განხორციელებას (სამართლიან ბალანსს) ემსახურება. კანონიერება კანონმდებლობის, აქტების, წესების გამოყენებას გულისხმობს და ეს არის ადვოკატის მოქმედებების ხერხი და საშუალება. ამიტომაც უწოდებენ იურიდიულ მოქმედებებს ნახსენებ საშუალებებს. საინტერესო ის არის, რომ ეს ყოველივე მოხმარდება არა ადვოკატს, არამედ მის კლიენტს. შესაბამისად, საადვოკატო საქმიანობის განხორციელება ხდება არა თავად ადვოკატისათვის, არამედ მისი კლიენტისათვის და საამისოდ, როგორც აღინიშნა, ადვოკატი იყენებს კანონებს და კანონქვემდებარე ნორმატიულ/ინდივიდუალურ აქტებს, რომლებიც ადვოკატს არ ეხება. (ძალზედ იშვიათად, ცალკეული საპროცესო შემთხვევის გარდა). ადვოკატის იურიდიული ნაბიჯები,

მოქმედებები გამოიხატება წერილობით და ზეპირ მოქმედებებში, რომელშიც ადვოკატი სწორედ ამ კანონებს იყენებს და, როგორც ვხედავთ, არა თავისთვის, არამედ კლიენტისათვის. ამ ფონზე ადვოკატის პროფესიული ეთიკის ნორმები წარმოადგენს ერთადერთ რეგულიაციას, რომელიც თავად ადვოკატის პროფესიულ არსს, როლს, დანიშნულებასა და ქცევის წესებს ეხება, რის გამოც მისი მნიშვნელობა ძალზედ დიდია და მას შეიძლება პირობითად პროფესიული კონსტიტუციაც კი ვუწოდოთ. სწორედ ამ მთავარი მარეგულირებელი ქცევის კოდექსის საწყისს წარმოადგენს პროფესიული პრინციპები[51] ანუ ფასეულობები, რომელიც საადვოკატო საქმიანობის განხორციელებას თან სდევს ყველა პრაქტიკულ ნაბიჯში.

დამოუკიდებლობის პრინციპი [52]

1. ადვოკატი თავისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას დამოუკიდებელია ყოველგვარი გავლენისგან ან სხვა ზეწოლისაგან, მათ შორის მისი პირადი ინტერესებიდან და ემორჩილება მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობას, საერთაშორისო სამართლის და პროფესიული ეთიკის ნორმებს.
2. ადვოკატი ვალდებულია არ დაუშვას კომპრომისი საკუთარი პროფესიული ვალდებულებების შესრულებისას კლიენტის, სასამართლოს ან სახელმწიფოს სხვა ორგანოს ან სხვა პირის ინტერესების სასარგებლოდ.

დამოუკიდებლობის პრინციპი ერთ-ერთი რთულად შესანარჩუნებელი და მთავარი პროფესიული ფასეულობაა. მისი სირთულე თავად ადვოკატის მიმართ წარმოშობილი/შექმნილი გავლენებით უფრო ჩანს, რომელიც მისი პროფესიული არსის წინააღმდეგ მიმართულადაც უნდა მოვიაზროთ. პრაქტიკული საქმიანობისას ადვოკატს აქვს შემხებლობა ადამიანთა ინდივიდუალურ ინტერესებთან, რომელთა ნაწილი კანონიერია და ნაწილი კი არა. რადგან პროფესიული არსი გვკარნახობს, რომ ადვოკატის მოქმედებები ადამიანის ან ადამიანთა უფლებების კანონიერ ჩარჩოში მოქცევა და მათი მართლმსაჯულებამდე მიყვანაა, ნათელია, რომ უკანონო ინტერესის აღმოჩენისას ადვოკატი არ ახდენს მათ რეალიზაციას არც სახელმწიფო და არც კერძო სექტორის წინაშე. მსგავსი გავლენა გარეგანია და მეტწილად კლასიკურ შემთხვევებს მიეკუთვნება. ადვოკატი თავისი პროფესიული არსით არ ემსახურება უკანონო ინტერესებს და ის ამ კუთხითაც ავლენს თავისი პროფესიულ დამოუკიდებლობას. აღნიშნული ემსახურება ადვოკატის პროფესიულ სახელს და დაკავშირებულია ასევე ერთ ერთ მთავარ პრინციპთან – ნდობასთან, რომელზეც ქვემოთ ვისაუბრებთ. დამოუკიდებლობის პრინციპის არსის კარგად გაგებისათვის სასურველია ყურადღება გამახ-

51. ა.პ.ე.კ. მუხლი 1. პროფესიული საქმიანობის ძირითადი პრინციპები

52. ა.პ.ე.კ. მუხლი 2 ნდობის პრინციპი

ვილდეს გავლენებზე, რომელიც საადვოკატო საქმიანობისას ხშირად იჩენს თავს. შესაძლებელია განვასხვავოთ გავლენათა ორი ტიპი: შინაგანი და გარეგანი. აღნიშნული შეიძლება პროფესიული დამოუკიდებლობის ტესტებსაც კი წარმოადგენდნენ. გარეგანი გავლენის ერთი მაგალითი უკვე ნახსენები იყო, თუმცა, გარდა მისი კლასიკური მიდგომისა, პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც ადვოკატზე წარმოიშვება არა მხოლოდ უკანონო ინტერესების რეალიზაციის მცდელობაში მისი პროფესიული გამოყენება, არამედ ინტერესები უკანონო, მაგრამ იმდენად უსაფუძვლო და არაგონივრულია, რომ ეწინააღმდეგება პროფესიონალიზმს, ობიექტურობასა და რეალობას. მოცემულ შემთხვევებში ადვოკატისათვის აუცილებელია, რომ მისი პროფესიული ქცევის შესახებ მეტი ცოდნა ჰქონდეს, რაც ეხმარება დამოუკიდებლობის შენარჩუნებაში. კარგი მაგალითია ადვოკატსა კლიენტს შორის კომუნიკაციისას კლიენტის პოზიცია მის მიმართ წარდგენილ ბრალდებასთან დაკავშირებით. კლიენტის პოზიცია შესაძლებელია იყოს თანხმობა მის წინააღმდეგ წარდგენილ ბრალდებაზე, მასში მოყვანილ ფაქტებზე და, შეიძლება ითქვას, იურიდიულ შეფასებაზეც. ასეთ შემთხვევაში ადვოკატის წინაშეა უკვე არა მხოლოდ გამოძიების მიერ ბრალდებულად ცნობილი, არამედ ობიექტურად დამნაშავედ საცნობი პირი, რადგან სწორედ ბრალდებულად ცნობილმა კლიენტმა განუცხადა ადვოკატს, რომ ის ეთანხმება წარდგენილ ბრალდებას და დამნაშავეა. ასეთი პრაქტიკული მიმართულების დროს ადვოკატის საქმიანობა უკვე მიმართულია მეტწილად როგორც კლიენტთან, ისე სახელმწიფოს ხელთ არსებული სასჯელის სიმსუბუქის შესახებ ინფორმაციის/გარემოებების მოძიებისაკენ. თუმცა, პრაქტიკაში შესაძლებელია იყოს შემთხვევა, როდესაც ასეთ ვითარებაში კლიენტი ადვოკატს არა სასჯელის შემსუბუქებას,არამედ სასამართლოს მიერ მის უდანაშაულოდ ცნობას სთხოვს. გამომდინარე საიდუმლოებიდან კლიენტი იმედოვნებს რომ ადვოკატსა და მას შორის ეს ტყუილი ვერავისათვის გახდება ცნობილი. სიტყვები „მე დამნაშავე ვარ მაგრამ იმოქმედე სასამართლოში ჩემი უდანაშაულოდ ცნობისათვის“ წარმოადგენს მართლმსაჯულებისადი დაგეგმილ ტყუილს, რომლის ავტორი ბრალდებულად ცნობილი და როგორც აღინიშნა დამნაშავედ საცნობი პირია. აღნიშნული წარმოადგენს ადვოკატისადმი განხორციელებულ გავლენას, რომლის შესახებაც კანონმდებლობა პირდაპირ არ საუბრობს. (გარდა პროფესიული ეთიკის კოდექსისა) მაგრამ ის პირდაპირ აზიანებს მართლმსაჯულებას, რადგან ტყუილის „იარაღად“ გამოყენებულია პროფესიონალი, სასამართლოს პარტნიორი და დამხმარე მართლმსაჯულების განხორციელებაში ადამიანის უფლებების დაცვის სახით. მდგომარება უფრო ნათელი ხდება, როდესაც ბრალდებულის პოზიციას მის მიმართ წარდგენილ ბრალდების შესახებ თავად სასამართლო არკვევს პირველივე სხდომაზე, რა დროსაც ბრალდებული აცხადებს რომ ის უდანაშაულოა და ამას ესწრება და ისმენს მისი ადვოკატი, რომლისთვისაც კლიენტს გაცხადებული აქვს რომ ის ეთანხმება ბრალდებას და დამნაშავეა, ხოლო ადვოკატს კი მისგან

დავალებული აქვს უდანაშაულობის დამტკიცება. მოცემული მაგალითი არ წარმოადგენს ბრალდებულად ცნობილის უფლებების დაცვას, რადგან ის თავად ამბობს რომ დამნაშავეა და სამართლიანობა და იუსტიცია კი მოითხოვს რომ დამნაშავეს უნდა მიესადაგოს შესაბამისი პასუხისმგებლობა. ადვოკატის მიერ არ უნდა განხორციელდეს კლიენტის ასეთი პოზიციის შემთხვევაში მისი უდანაშაულობისაკენ პროფესიული საქმიანობა და განმარტებული იქნას რომ ადექვატურობა და სამართლიანობა მიუთითებს ასეთ დროს მის მიმართ მოსალოდნელი სასჯელის შემსუბუქების გარემოებების მოძიებაზე და მის გამოყენებაზე. ასეთი პროფესიული ტყუილი აზიანებს სასამართლოს მიერ განსახორციელებულ მართლმსაჯულებას, რომელიც ადვოკატის მიერ ტყუილის მხარდაჭერის შემთხვევაში ვეღარ იქნება ნამდვილი, ობიექტური, სამართლიანი და შესაბამისად ვერ მოემსახურება საზოგადოების ნდობას და სამართლიანობის განცდას ზოგადად მართლმსაჯულებისადმი, რომლის პარტნიორია ადვოკატი ადამიანის უფლებების დაცვით.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე X შვეიცარიის წინააღმდეგ (განაცხადი #9/27/80, 22.09.1992 გადაწყვეტილება) და საქმეზე X ვ. თჰე UK (განაცხადი #7215/72, 05.11.1981 გადაწყვეტილება) დაადგინა ადვოკატის ვალდებულება, დაიცვას პროფესიული საქმიანობის პრინციპები, კერძოდ: „დაცვის უფლება არ ავალდებულებს ადვოკატს იმოქმედოს თავისი პროფესიული პრინციპებისა და შეხედულებების წინააღმდეგ. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია არ აღჭურავს ბრალდებულს უფლებით მოსთხოვოს თავის ადვოკატს დაცვის ისეთი სტრატეგიის შემუშავება, რომელიც წინააღმდეგობაში მოვა მის პროფესიულ პრინციპებთან და, შესაბამისად, არც ადვოკატს არ აქვს უფლება ამგვარად იმოქმედოს დაცვის განხორციელების პროცესში“. როგორც ვხედავთ კანონიერების პრინციპი რომელიც თავად „ადვოკატთა შესახებ“ კანონშია მოცემული პირდაპირ არის დაკავშირებული დამოუკიდებლობის პრინციპთან.

დამოუკიდებლობის პრინციპის წინააღმდეგ შეიძლება მოვიაზროთ თავად ადვოკატის შინაგანი უნებლიე მდგომარეობის შექმნა (შინაგანი გავლენა), რომელმაც შესაძლოა ადვოკატი მესამე პირზე დამოკიდებული გახადოს ეს შეიძლება თავად კლიენტიც იყოს. თუ წარმოვიდგენთ, რომ ადვოკატსა და კლიენტს შორის ურთიერთობის მიმდინარეობისას ანუ პროფესიული საქმიანობისას ადვოკატმა მისი პირადი აუცილებელი საჭიროებიდან გამომდინარე ისესხა ამავე კლიენტისგან თანხა გარკვეული ვადით, შეიძლება ვთქვათ, რომ აქ განსაკუთრებული არაფერია, რადგან ჩვეულებრივ კერძო გარიგებას აქვს ადგილი და პროფესიულ მოვალეობასთან მას კავშირი არა აქვს. თუმცა შესაძლებელია გავლენის (შინაგანი) თვალსაზრისით იყოს დამაფიქრებელი. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ადვოკატი აპირებს შეწყვიტოს კლიენტთან ურთიერთობა, მაგალითად, მომდევნო სამართალწარმოების ეტაპზე მისი საქმიანობის განხორციელე-

ბისათვის გადაუხდელი საზღაურის გამო, ან თუნდაც კლიენტის უსაფუძვლო, მისი პირადი ან სხვა მიზნებისათვის განსახორციელებელი მოქმედების ადვოკატზე მოწოდების დროს. გარკვეულად არსებობს ადვოკატის მიერ პროფესიული დამოუკიდებლობის ხარისხის გამოვლენის საფრთხე და, შესაბამისად,შეიძლება გვქონდეს მისი კლიენტზე დამოკიდებულების მდგომარეობა. ასეთი შემთხვევების წინასწარ თავიდან აცილების რაიმე რეცეპტი, გარდა უარისა, არ არსებობს, თუმცა ჰიპოთეტური ან პრაქტიკული მაგალითები გვიჩვენებს, თუ რა სიტუაციაში შეიძლება აღმოჩნდეს ადვოკატი მის საქმიანობისას.

საინტერესოა ეთიკის კომისიის მიერ განხილული ერთ-ერთი საქმე[53], რომელიც ეხებოდა ადვოკატის მიერ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებაში მონაწილეობას და კლიენტისათვის ამის თაობაზე ინფორმაციის მიუწოდებლობას, რამაც ეთიკის კომისიის შეფასებით, იმგვარ მდგომარეობაში აღმოაჩინა ადვოკატი, როდესაც მან „თავი ჩაიყენა კანონმდებლობის ურთიერთგამომრიცხავი რეალობის წინაშე“, კერძოდ, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობაში ჩართვის შემდეგ, „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით, ადვოკატს ევალებოდა ასეთ მოქმედებაში მონაწილეობის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურად დაცვა, იმავდროულად კი, ის აგრძელებდა ერთ-ერთი კლიენტის წარმომადგენლობას, რომლის საქმეზეც თანამშრომლობდა პროკურატურასთან (ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ფარგლებში ადვოკატმა პროკურორს ქრთამის სახით ფულადი თანხა გადასცა); ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებაში მონაწილეობის შესახებ ადვოკატს ინფორმაცია არ მიუწოდებია საკუთარი კლიენტისათვის. ამ საქმეზე ადვოკატის მიერ განხორციელებული ქმედების შეფასებისას, ეთიკის კომისიამ ყურადღება გაამახვილა და შეაფასა ის გარემოება, რომ „ადვოკატი მოქმედებდა სუბიექტური ფაქტორის, შიშის გათვალისწინებით და არა კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე.

თუ სად შეიძლება გადიოდეს ზღვარი ადვოკატის პროფესიულ დამოუკიდებლობასა და კლიენტის ინტერესებს შორის უკვე მიმოვიხილეთ, თუმდა დამატებით საინტერესოა ასევე ეთიკის კომისიის პრეცედენტებიდან ქვემოთ მოცემულიც:

ეთიკის კომისიამ [54] დაადგინა, რომ ადვოკატისა და კლიენტის ურთიერთობა უნდა იყოს კლიენტზე ორიენტირებული, რაც გულისხმობს, რომ ადვოკატმა და კლიენტმა თანაბრად უნდა გაინაწილონ გადაწყვეტილების მიღების პასუხისმგებლობა და თანაბრად უნდა იყვნენ ჩართულნი კლიენტის საქმესთან დაკავშირებით ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებაში. ყველა სახის გადაწყვეტილება, რომელმაც შესაძლოა მოახდინოს ან არ

53. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება #057/10, 07 მარტი, 2010 წელი, http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/etikis_komisia/disciplinuri_gadackvetilebebi/2011/07.03.2011.pdf

54. დისციპლინურ საქმე #057/10 2011 წლის 08 მარტის გადაწყვეტილება

მოახდინოს კლიენტის ინტერესებზე ზეგავლენა, უნდა იქნეს მოწონებული კლიენტის მიერ. ამავე გადაწყვეტილებაში ეთიკის კომისიამ განმარტა, „რომ ადვოკატის მიერ კლიენტის ინტერესების საწინააღმდეგოდ მიღებულმა გადაწყვეტილებამ შესაძლებელია გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს კლიენტს, რადგან ადვოკატის მიერ კლიენტის სახელით განხორციელებული მოქმედებები მესამე პირების მიერ განიხილება, როგორც კლიენტის ნების გამოხატულება და, როგორც წესი, ეჭვქვეშ არ დგება ადვოკატის საიმედოობა და კეთილსინდისიერება“.

როგორც ვხედავთ მნიშვნელოვანია რომ ადვოკატის მიერ გარკვეული იყოს თუ რა ინტერესები გააჩნია კლიენტს. შემდგომ დააკვირდეს მათ კანონიერების, მიზნობრიობისა და გონივრულობის მახასიათებლებით.

დამოუკიდებლობის პრინციპი ვლინდება ადვოკატის პრაქტიკული საქმიანობისას, ამ დროს ნათლად ჩანს პროფესიული დანიშნულებაც. ხშირად არის შემთხვევები როდესაც ადვოკატს უწევს კლიენტის უფლებასთან დაკავშირებული სასამართლო ან სხვა დოკუმენტების ანალიზი. აღნიშნული დოკუმენტების მაგალითად: მოსამართლის „განჩინება ბრალდებული მიმართ აღკვეთის ღონისძიების შეფარდების სახით გირაოს შეფარდების თაობაზე“ ან „განჩინება ბრალდების ან დაცვის მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებათა ნუსხის დამტკიცების თაობაზე“ ანალიზისას ადვოკატს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე ხშირად წარმოეშვება პროფესიული ვალდებულება მოამზადოს რაიმე სახის საპროტესტო ან პოზიციური დოკუმენტი (საჩივარი, შუამდგომლობა და სხვა) რომლის მოსამზადებლად დასახელებული სასამართლო აქტების შინაარსის გაცნობისას დარღვევის აღმოჩენის შესაბამისი სამართლებრივი ცოდნა გააჩნია, რაც კლიენტს შეიძლება არ ჰქონდეს. ასეთ დროს ადვოკატი მიუხედავად კლიენტისათვის განმარტებების მიცემისა თავად ადგენს დაღვევების აღმოჩენა/მიჩნევას და ახდენს შესაბამისი იურიდიული ხასიათის დოკუმენტის მომზადებას. გარკვეული თვალსაზრისით შეიძლება ითქვას რომ პროფესიული დამოუკიდებლობა ადვოკატის პროფესიულ უნიკალურობაშიც მდგომარეობს.

ნდობის პრინციპი [55]

კლიენტისა და ადვოკატის ურთიერთობა ეფუძნება ნდობას. ადვოკატისადმი კლიენტის ნდობა ეფუძნება ადვოკატის პირად ღირსებას, პატიოსნებას, შეუვალობას, კომპეტენტურობას და დამოუკიდებლობას. ადვოკატმა არ უნდა იმოქმედოს ისე, რომ ეჭვქვეშ დააყენოს მისდამი კლიენტის ნდობა. აღნიშნული თვისებების ქონა ადვოკატის პროფესიული ვალდებულებაა.

როგორც ვხედავთ, პირველი წინადადებით მოცემული პრინციპი ყოველგვარი დათქმის გარეშე ამბობს, რომ ადვოკატსა და კლიენტს შორის ურთიერთობა ნდობას ეყრდნობა. ცნობილია, რომ ნდობა წარმოადგენს ადამიანთა განცდას მისადმი დახმარების გაწევისას ძალზედ დაბალი რის-

55. ა.პ.ე.კ. – მუხლი 3.

კების პირობებში. ადამიანს სრული ნდობა იმთავითვე არ უყალიბდება, არამედ აქვს სურვილი და მოლოდინი, რომ მისი ინტერესებისათვის ადვოკატი აუცილებლად იმოქმედებს, მიუხედავად იმისა, მიხვდება თუ არა ამას თავად კლიენტი. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე ფაქიზ და მნიშვნელოვან პრინციპთან გვაქვს საქმე. ნდობის მნიშვნელობას ნათლად წარმოაჩენს ასევე სხვა საკიტხების განხილვაც.

საადვოკატო საქმიანობის დაწყებისათვის ადვოკატი კლიენტისგან იღებს მოწვევას და ამ დროს გასცემს ნდობის იმ ნაწილს, რომელიც გაუჩნდა ადვოკატის პირადი ღირსების, პატიოსნების, შეუვალობის, კომპეტენტურობის ან დამოუკიდებლობის გამო. ბოლო პრინციპი ზემოთ უკვე განვიხილეთ. აქ კი საინტერესოა ის მახასიათებლები, რომელიც ეთიკის კოდექსის ამ მუხლის ჩანაწერის თანახმად კლიენტს ნდობას უჩენს ადვოკატისადმი. საქმე ეხება ადვოკატის, როგორც პიროვნების, ისე პროფესიონალის მახასიათებლებს. პირადი ღირსება და პატიოსნება სწორედ რომ ადამიანის ზოგადი მორალური, პოზიტიური შინაგანი მახასიათებლებია, რომელიც ისევე ესაჭიროება პროფესიულ საქმეს, როგორც შეუვალობა ანუ პრინციპულობა, შეიძლება ითქვას, უკომპრომისობა და კომპეტენტურობა. არ არის რთული მისახვედრი, თუ კლიენტს აქვს ინფორმაცია ადვოკატზე, როგორც უკომპრომისო და პატიოსანზე იმ ვითარებაში, როდესაც კლიენტი იმყოფება ქვეყნის საზღვრების გარეთ და თვლის, რომ მას დევნის სახელმწიფო სამართალწარმოება რომ ის მიუხედავად სხვა ადგილსამყოფელისა და იმისა, რომ არ მონაწილეობს უშუალოდ სამართალწარმოებაში ენდოს მის ადვოკატს როგორც მისი სახელით მოსაუბრეს და მომქმედს და გადასცეს ეს უფლებამოსილება, რომელიც რმწუნებულება/მინდობილობის ფორმატში გამოიყენება როგორც სამოქალაქო და ისე სახელმწიფოსთან ურთიერთობებში.

ნდობის პრინციპი ნიშანდობლივი ხდება ადვოკატისა და კლიენტის ურთიერთობის მომდევნო ეტაპებზეც, როდესაც კლიენტი ხედავს ადვოკატის პროფესიულ საქმიანობას ანუ მის მოქმედებებს და ისმენს მის რჩევებს, რომელიც ეყდნობა კანონებს, პროფესიულ უნარებსა და გამოცდილებას. აღნიშნულისათვის მნიშვნელოვანია, რომ ადვოკატი იყოს ხელმისაწვდომი. მასთან ადვილი უნდა იყოს კომუნიკაცია დღეისათვის არსებული სხვადასხვა საშუალებებით.. ადვოკატისა და კლიენტის ურთიერთობაში მნიშვნელოვანი და საჭიროა კლიენტის ინფორმირება ამა თუ იმ იურიდიულ მოქმედებების შესახებ, რომელსაც ადვოკატი ასრულებს, მაგალითად, დოკუმენტების გაცნობა ან მათი მომზადება და ამ პროცესში კლიენტის შეძლებისდაგვარად ჩართვა. აღნიშნული დაკავშირებულია ადვოკატისადმი ნდობასთან რომ კლიენტს აქვს ინფორმაცია მისი მუშაობის შესახებ. ნებისმიერი პროფესიული გონივრული, საფუძვლიანი და რა თქმა უნდა კლიენტის ინტერესებზე ორიენტირებული იურდიული მოქმედება წარმოადგენს საადვოკატო საქმიანობის შემადგენელ ნაწილს და მის შესახებ კლიენტის ინფორმირება და მისი კომენტარის მოსმენა მნიშვნელოვანია ნდო-

ბის შენარჩუნებისათვის. პრაქტიკაში ყოფილა მცდარი დამოკიდებულების გამოვლენა ადვოკატებისგან კლიენტის ნებისირგვლივ. დამოკიდებულება, რომ ადვოკატმა უკეთ იცის კლიენტის საჭიროებების შესახებ, მაშინ, როდესაც ადვოკატს არა აქვს კლიენტისგან მოსმენილი აზრი, დამოკიდებულება/კომენტარი, იმთავითვე მცდარია და წარმოშობს კლიენტისგან მისაღები ნდობის საფრთხეს. ადვოკატი ყოველთვის შეინარჩუნებს ნდობას, თუ ხშირად მოუსმენს კლიენტს ამა თუ იმ გადაწყვეტილების მიღებისას. მაგალითად, სისხლის სამართალწარმოებისას, კერძოდ, სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყებისას (ბრალდების წარდგენა) მნიშვნელოვანია, ჯერ ადვოკატმა დაადგინოს, თუ რამდენად არის გასაგებიკლიენტისთვის ბრალდების შინაარსი, შემდგომ მოისმინოს მისი პოზიცია და სწორედ ამის შემდგომ დაიწყოს კლიენტის სასარგებლო მიმართულებისათვის შესაძლო განსახორციელებელი იურიდიული მოქმედებების დაგეგმვა,რასაც გააცნობს კლიენტს და კვლავ მოისმენს მის აზრს. ადვოკატს უნდა ახსოვდეს, რომ საკითხი, რომლის გამოც კლიენტმა ადვოკატს მიმართა, მხოლოდ კლიენტს ეხება და ეს არის სწორედ ის, რასაც უნდა უფრთხილდებოდეს ადვოკატი. აღნიშნული ასევე კავშირშია ნდობასთან.

ნდობისათვის აუცილებელია კომპეტენტურობის პროფესიული მახასიათებელი. მიუხედავად იმისა, რომ კანდიდატი იღებს ადვოკატის სტატუსს, შესაბამისად, ის აკმაყოფილებს შესაბამის სტადარტებს, პრაქტიკის განხორციელებისას ვხვდებით სპეციფიკურ შემთხვევებს, რომელიც სხვადასხვა სფეროებთან შეხებისას ვლინდება. როგორებიცაა მაგალითად: მედიცინა, თავდაცვა, გარემოს დაცვა და სხვა. დროთა განმავლობაში ადვოკატს (აქტები, პრაქტიკა, დოქტრინა) პრაქტიკული მუშაობის პროცესში უყალიბდება გამოცდილება და მეტად კომპეტენტური ხდება. შემოვიფარგლოთ მინიმალური საკანონმდებლო სტანდარტით, სადაც ადვოკატი უფლებამოსილია შესაბამისი პროცედურების წარმატებით გავლის შემდეგ მიიღოს სისხლის ან სამოქალაქო სპეციალიზაცია ან საერთო (ორივე). აღნიშნულს დაემატა არასრულწლოვანთა (ბავშვთა) მართლმსაჯულებაც, სადაც ასევე ესაჭიროება დამატებითი სპეციალიზაცია. ადვოკატის კომპეტენცია ამით იწყება, თუმცა პრაქტიკული მუშაობის პროცესში მისი კომპეტენცია იზრდება, რაც კლიენტისათვის მნიშვნელოვანია, რადგან თუ ის მეწარმეა და მისი სამართლებრივი პრობლემა გადასახადს ეხება, ადვოკატის პრაქტიკული გამოცდილება უყალიბებს კლიენტის ნდობას მისდამი.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ვინაიდან არც ერთმა ადვოკატმა არ შეიძლება ზედმიწევნით იცოდეს ყველა კანონი, ადვოკატის კომპეტენტურობაში მოიაზრება შესაძლებლობებიც. კომპეტენტურად მიიჩნევა ადვოკატი, რომელსაც სამართლის ცოდნასთან ერთად, შესწებს უნარი, იპოვოს პასუხები სხვადასხვა სამართალებრივ საკითხებზე და ხარისხიანად დაასრულოს კლიენტის საქმე.

ადვოკატები თავიანთი პროფესიული კარიერის განმავლობაში უწყვეტად უნდა იმაღლებდნენ კვალიფიკაციას, სათანადოდ მომზადებული და

სიახლეების შესწავლის უნარის მქონე ადვოკატი ადვილად შეძლებს ისეთ საკითხებში გარკვევას, რომელიც მისთვის უცნობი იყო საქმის დაწყებამდე. თუ ადვოკატს შესწევს უნარი კეთილსინდისიერად შეისწავლოს საკითხი და სათანადოდ მოემსახუროს კლიენტს, მას არ ექნება შიში წარმოადგინოს კლიენტი და შეუფერხებლად წარმართოს საქმე.

საინტერესოა ეთიკის კომისიის დამოკიდებულება[56] რომელიც ადვოკატისადმი ნდობის საფრთხეზე საუბრობს სამოქალაქო სამართალწარმოებისას არსებულ პრაქტიკულ შემთხვევაზე.

„ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და არ განახორციელოს მოქმედება, რითაც შესაძლებელია ავნოს როგორც კლიენტის, ისე პროფესიის პრესტიჟს. დაუშვებელია ადვოკატმა გამოიყენოს მის მიმართ გამოხატული ნდობა და მორიგება გააფორმოს მისი კლიენტის ნების საწინააღმდეგოდ, თუნდაც მორიგების უფლების შესახებ აღნიშნული იყოს მის მოქმედ რწმუნებაში". ეთიკის კომისიამ აქვე განმარტა, რომ „თუმცა მორიგება ძალაში რჩება მესამე მხარეების მიმართ (თუკი არ გაუქმდება სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილებით), ადვოკატი პასუხს აგებს მისი კლიენტების წინაშე მორიგების პირობებიდან და შედეგებიდან გამომდინარე... რწმუნებაზე ხელის მოწერით კლიენტი გამოხატავს ნდობას არა მხოლოდ ადვოკატის, არამედ მისი პროფესიის მიმართ". ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებით, ადვოკატმა თავისი საქციელით – კლიენტთან შეუთანხმებლად მორიგების საკითხის გადაწყვეტისას – დაარღვია მისდამი კლიენტის ნდობა.

კონფიდენციალობის პრინციპი

1. ინფორმაცია, რომელიც ადვოკატისათვის ცნობილი გახდა მისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, კონფიდენციალურია. ადვოკატი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალური ინფორმაცია იმგვარად, რომ მესამე პირებს მასზე ხელი არ მიუწვდებოდეს. კონფიდენციალობის ვალდებულება ვრცელდება ნებისმიერ ინფორმაციაზე, რაც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა კლიენტისაგან ან იურიდიული რჩევის მიღების სხვა მსურველისაგან, რომელიც ადვოკატმა მიაწოდა კლიენტს ან ადვოკატმა სხვა წყაროდან გაიგო კლიენტთან ან მის საქმესთან დაკავშირებით.

2. კონფიდენციალობის ვალდებულება არ არის შეზღუდული დროში.

3. ადვოკატმა განზრახ არ უნდა გამოიყენოს კონფიდენციალური ინფორმაცია:
   ა) კლიენტის წინააღმდეგ;
   ბ) საკუთარი ან მესამე პირის მიზნებისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კლიენტი შესაბამის თანხმობას განაცხადებს.

56. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება #112/11, 25 მაისი, 2012 წელი

4. ადვოკატს შეუძლია გაამჟღავნოს კონფიდენციალური ინფორმაცია:
   ა) კლიენტის თანხმობის საფუძველზე;
   ბ) თუ ინფორმაციის ამგვარი გამოყენება წარმომადგენლობის ან დაცვის პროცესში გამართლებულია და აუცილებელია კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე იმ პირობით, რომ ასეთი ინფორმაციის გაცემა კლიენტს ადვოკატისთვის წინასწარ არ აუკრძალავს;
   გ) თუ ეს აუცილებელია ადვოკატის მიერ მის მიმართ წაყენებული ბრალდებისაგან ან მოთხოვნისგან თავის დასაცავად ან საკუთარი ჰონორარის მიღებისათვის.

5. ადვოკატმა მის პარტნიორებს, თანამშრომლებს და სხვა პირებს, რომლებიც მის მიერ მოწვეულნი არიან პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, უნდა მოსთხოვოს კონფიდენციალობის დაცვა.

ინფორმაციული საიდუმლოება ადვოკატის პროფესიის კიდევ ერთი უნიკალურობის მაჩვენებელია. იგი წარმოადგენს საადვოკატო საქმიანობის მომხმარებლის ანუ კლიენტის ერთგვარ ფარს, რათა ინფორმაცია მისი ინტერესებისა და მის შესახებ იყოს საიდუმლოდ დაცული. ყოველივე მიმზიდველია მისი არსიდან გამომდინარე და იმთავითვე ნდობას წარმოშობს. მომხმარებლის დიდ ნაწილმა იცის, რომ ადვოკატს არ მოეთხოვება მათ შესახებ ინფორმაციის გასაჯაროვება ან მესამე პირისათვის განდობა. მეტიც ადვოკატს მისი საიდუმლოდ შენახვის და ეფექტურად გამოყენების ვალდებულება აქვს, თანაც კლიენტის ნებართვით.

კონფიდენციალურობის ვალდებულებას „ადვოკატთა შესახებ“ კანონი[57] პროფესიულ საიდუმლოებად განიხილავს და ადგენს, რომ ადვოკატის მოვალეობაა დაიცვას პროფესიული საიდუმლოება, გასული დროის მიუხედავად, კლიენტის თანხმობის გარეშე არ გაავრცელოს კონფიდენციალური ინფორმაცია და პროფესიული საიდუმლოების დარღვევის შემთხვევაში, ადვოკატს დაეკისრება პასუხისმგებლობა ა.პ.ე.კ. ითა და კანონით დადგენილი წესით.

ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობას ადვოკატ-კლიენტის პრივილეგიასაც უწოდებენ, რაც ადვოკატის მიერ კონფიდენციალური ინფორმაციისადმი მოპყრობისა და დაცვის მაღალ სტანდარტს მოითხოვს. კლიენტის ინტერესებისათვის ადვოკატს ევალება პროფესიული საიდუმლოების დაცვა, ინფორმაციისა, რომელიც მის ხელთ სწორედ ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის დროს გაჩნდა. ადვოკატს ევალება გაამართლოს მისდამი კლიენტის ნდობა, რაც უპირველესად კლიენტისაგან უშუალოდ მიღებული ინფორმაციის, კლიენტის საქმეზე ნებისმიერი სხვა წყაროდან მიღებული ინფორმაციისადმი პროფესიულ მიდგომას მოითხოვს. პროფესიული მი-

57. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 5, მუხლი 7.

დგომა კი რამდენიმე კომპონენტს შეიცავს და საადვოკატო საქმიანობაში კლიენტის ინტერესების უპირატესობას, ადვოკატის პირადი და სხვა პირების ინტერესების არიდებას, ამ უკანასკნელთა კლიენტის ინტერესებში შერევის დაუშვებლობას მოითხოვს; დამოუკიდებელი განსჯით კლიენტთან მუდმივ კომუნიკაციას ნიშნავს და კლიენტის ინტერესების ერთგულად დასაცავად, მის ინფორმირებას, კონკრეტული ინფორმაციის მტკიცებულებად გამოყენებისათვის კლიენტისაგან მაინც თანხმობას მოითხოვს. პროფესიული მიდგომა ადვოკატს ავალდებულებს კლიენტის იურიდიულ დახმარებას მისთვის მისაღები გადაწყვეტილებების მიღებაში, კლიენტისათვის სასურველი იურიდიული ინტერესის დასაცავად და შედეგის მისაღწევად კანონიერების პრინციპზე დაყრდნობით განხორციელებულ საქმიანობას. ეს ვალდებულებებით დატვირთული სამართლებრივი ურთიერთობა მორალურზნეობრივ პასუხისმგებლობას აკისრებს ადვოკატს და კონფიდენციალური ინფორმაციისადმი მოპყრობას რამდენიმე თვალსაზრისით ასახავს პროფესიული ეთიკის კოდექსში.

მნიშვნელოვანია რომ როგორც წესი ადვოკატსა და კლიენტს შორის ურთიერთობისას ადვოკატზე გადაცემული ნებისმიერი ინფორმაცია წარმოადგენს საიდუმლოს. მათ შორის ყოფილა პრაქტიკული შემთხვევები რომ თავად ადვოკატთან მიმართვის ფაქტიც კი კლიენტისათვის კონფიდენციალურია.

კონფიდენციალობის ვალდებულება ადვოკატს არ ეხსნება მიუხედავად კლიენტის ინტერესებისათვის პროფესიული საქმიანობის დასრულებისა. აღნიშნული ვრცელდება მუდმივად გარდა ა.პ.ე.კ. ით განსაზღვრული ზემოთ ჩამოთვლილი ა), ბ) და გ) შემთხვევებისა.

საინტერესოა პრაქტიკული თვალსაზრისით როდესაც ადვოკატსა და კლიენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ერთი ერთი დებულება კონფიდენციალობის მხოლოდ განსაზღვრული დროით (მაგ: 5 წლით) დაცვაზე საუბრობს. ასეთი ხელშეკრულება, მისი ამ ნაწილით ეწინააღმდეგება პრინციპს და როგორც წესი, მიუხედავად კლინტის მიერ ხელმოწერისა წარმოადგენს საზოგადოდ საფრთხეს რაც ასევე ნდობას უკავშირდება. ადვოკატმა უნდა გაამართლოს კლიენტის ნდობა.

პრაქტიკაში უკვე არაერთი შემთხვევა დასახელდა, როდესაც ადვოკატმა კლიენტისაგან მიღებული ინფორმაცია მისსავე საწინააღმდეგოდ გამოიყენა. ეთიკის კომისიამ ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში[58] განმარტა: „კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვა არ გულისხმობს მხოლოდ ინფორმაციის განსაჯაროების აკრძალვას. ინფორმაციის დაცვა მოიცავს ასევე ადვოკატის ვალდებულებას, არ გამოიყენოს კონფიდენციალური ინფორმაცია კლიენტის ინტერესების საწინააღმდეგოდ“. მოცემულ შემთხვევაში ადვოკატმა კლიენტის საქმის წარმოების პროცესში ამ უკანასკნელისაგან მიღებული ინფორმაცია მისი ფინანსური მდგომარეობის შესახებ, მისსავე

58. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება #094/11, 10 აპრილი, 2012 წ

საზიანოდ გამოიყენა და საკუთარი ინტერესი დაიკმაყოფილა; საკუთარი კლიენტის წინააღმდეგ ადვოკატმა მოთხოვნა წარადგინა სასამართლოში და კლიენტის პირად ანგარიშს უზრუნველყოფის ღონისძიების სახით ყადაღა დაედო.

კლიენტთან საადვოკატო მომსახურების დასრულების შემდეგაც კი, დაუშვებელია კლიენტის პიროვნების სუბიექტური შეფასებისას ან მის საქმეზე პროფესიული საქმიანობის ფარგლებში მიღებული ინფორმაციის გამოყენება მისსავე წინააღმდეგ. ეთიკის კომისიამ აღნიშნა, რომ ადვოკატის მიერ კლიენტის მიმართ გაკეთდა შეფასებები: „მე პირადად დავრწმუნდი იმაში, რომ X არის უარყოფითი პიროვნება, მას წინასწარ განზრახ ჰქონდა ჩადენილი დანაშაული მრავალგზის, რასაც ახორციელებდა სხვადასხვა გზებითა და მეთოდებით“, „ჩემი დაცვის ქვეშ მყოფს 80 000 (ოთხმოცი ათასი) აშშ დოლარი ჰქონდა თაღლითურად თურქეთის მოქალაქისგან მითვისებული, საქმე მქონდა კლასიკურ თაღლითთან და მისივე ჯგუფის წევრებთან, რომლებიც მიიმალნენ სასამართლო მსვლელობის დროს. მე ნამდვილად ვეღარ გავაგრძელებდი N-ის დაცვას“.

ყოველივე ეწინააღმდეგება ადვოკატის პროფესიულ არსს და შესაბამისად პროფესიონალიზმს.

კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპი[59]

ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და დააყენოს ისინი პირადი და სხვა პირების ინტერესებზე მაღლა. თუმცა კლიენტის ინტერესების დასაცავად ადვოკატის მოქმედებები უნდა შეესაბამებოდეს კანონმდებლობას და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსს.

კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპის ჩანაწერი და მისი არსი ადგენს და აღიარებს რომ პროფესიული საქმიანობისას ადვოკატის ირგვლივ წარმოშობილ ინტერებს შორის უპირატესობა კლიენტს ენიჭება. ადვოკატის პროფესიული არსიც კლიენტის ინტერესების დაცვა/წარმოდგენაში მდგომარეობს. რა სახის ინტერესები შეიძლება შეხვდეს ადვოკატს საქმიანობის პროცესში. გასახსენებლად გამოდგება შინაგანი გავლენები, რომელიც ადვოკატის პირად ინტერესებს ემსახურება უბრალოდ მცირე სხვაობით – არა დამოკიდებულებით ან საჭიროებით არამედ დაინტერესებით. პირად ინტერესებში არის როგორც მატერიალური (ქონებრივი) ისე არაქონებრივი. ეთიკის კომისიის პრეცედენტული მხარე იცნობს ასეთ შემთხვევებს რეალურ პრაქტიკაში, რაც ხელს შეუწყობს ამ კუთხით ცნობიერების ამაღლებას.

ეთიკის კომისიამ ინტერესთა უპირატესობის პრინციპის დარღვევა დაადგინა[60] იმის გამო, რომ ადვოკატი კლიენტის ინტერესებს წარმოადგენდა

59. ა.პ. ე. კ. – მუხლი 5

60. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება #022/11, 03 ივნისი, 2011 წ.

იმ პირის წინააღმდეგ, ვისთანაც აკავშირებდა საქმიანი ურთიერთობა. კერძოდ, ადვოკატმა კლიენტის სახელით განცხადება სარჩელზე უარის თქმისა, ყადაღის გაუქმებისა და საქმის წარმოების შეწყვეტის თაობაზე, გააკეთა კლიენტთან შეთანხმების გარეშე და მისი ინტერესების საზიანოდ; აღნიშნული განცხადება, სარჩელზე უარის თქმისა და წარმოების შეწყვეტის თაობაზე, სასამართლოს მიერ არ იქნა დაკმაყოფილებული; ადვოკატსა და კლიენტის მოწინააღმდეგე მხარეს შორის არსებობდა საქმიანი ურთიერთობა; ადვოკატმა კლიენტთან შეუთანხმებლად მიმართა სასამართლოს უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების მოთხოვნით; აღნიშნული მოთხოვნა უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების შესახებ, სასამართლოს მიერ დაკმაყოფილდა."

ეთიკის კომისიამ თბილისის საქალაქო სასამართლოში ადვოკატის წარდგენილი განცხადება საქმის წარმოების შეწყვეტისა და ყადაღის გაუქმების თაობაზე, შეაფასა, როგორც კლიენტის ინტერესების საწინააღმდეგო მოქმედება, რადგან აღნიშნული განცხადება არ იყო კლიენტის მიერ მოწონებული და კლიენტის ინტერესს წარმოადგენდა საქმის განხილვა და სასამართლოში წარდგენილი მოთხოვნის დაკმაყოფილება. ეთიკის კომისიამ მიუთითა: „კლიენტის ინტერესების საწინააღმდეგოდ მიღებულმა გადაწყვეტილებებმა შესაძლებელია გამოუსწორებელი ზიანი მიაყენონ კლიენტს, რადგან ადვოკატის მიერ კლიენტის სახელით გაკეთებული განცხადებები მესამე პირების მიერ განიხილება, როგორც კლიენტის ნების გამოხატულება და, როგორც წესი, ეჭვქვეშ არ დგება ადვოკატის საიმედოობა და კეთილსინდისიერება. განსახილველ შემთხვევაში ადვოკატის განცხადება უზრუნველყოფის საშუალების ღონისძიების გაუქმების თაობაზე დაკმაყოფილდა, რადგან იგი სასამართლოს მიერ მიჩნეული იქნა, როგორც კლიენტის სურვილი და ამ გზით მიადგა ზიანი კლიენტის ინტერესებს"

პროფესიული საქმიანობისას ხვდებით ადვოკატებს, რომლებიც დამატებით სხვადასხვა კერძო კომპანიებში მუშაობენ ასევე იურისტებად. ისინი პროფესიული საქმიანობიდან იღებენ საზღაურს, ასევე კომპანიების მიერ დანიშნულ სტაბილურ ხელფასს ან გამომუშავებას. აღნიშნული ჩვეულებრივი რამ გახლავთ, თუმცა არის პრაქტიკული შემთხვევები, როდესაც ასეთმა მოცემულობამ დაარღვია კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობა. ამ კუთხით საყურადღებოა ეთიკის კომისიის ის პრეცედენტიც,[61] როცა ადვოკატი არ გამოცხადდა სასამართლო სხდომაზე, რის გამოც საჩივრის ავტორის ინტერესების საწინააღმდეგოდ, სასამართლომ საპროცესო კანონით დადგენილი წესით გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ადვოკატის განმარტებით, იგი აუცილებლად უნდა წასულიყო სამსახურებრივ მივლინებაში რაიონში და წაეღო მნიშვნელოვანი საბუთები. ადვოკატმა სასამართლო სხდომამდე მცირე ხნით ადრე შეიტანა განცხადება პროცესზე გამოუცხადებლობის შესა-

61. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება #034/11, 27 აგვისტო, 2011 წ.

ხებ. ეთიკის კომისიის შეფასებით, ადვოკატმა კლიენტის ინტერესებზე მაღლა სამსახურებრივი ინტერესი დააყენა იმისგან დამოუკიდებლად, იცოდა თუ არა კლიენტმა სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგები, ადვოკატი პასუხისმგებელია კლიენტის წინაშე საქმისწარმოების ყველა ეტაპზე. მნიშვნელოვანია საქმეთა პარალელურად წარმოებისას, ორ და მეტ სამუშაო ადგილზე საქმიანობისას, ადვოკატმა საკუთარ თავზე აიღოს ის ტვირთი, რომელიც რამდენიმე ადგილას მუშაობას უკავშირდება, რადგან იურისტის მიერ პროფესიული საქმიანობის განხორციელების შედეგი კონკრეტულ პირთა ინტერესებს ეხება. მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატი საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით, უსაფუძვლოდ იყო დარწმუნებული, რომ სასამართლო საქმის მისი კლიენტის ინტერესისათვის ყველაზე ცუდი შედეგით დამთავრების შემთხვევაშიც კი, პროცესუალური კანონით დაიცავდა კლიენტის ინტერესებს და უარყოფითი შედეგის გაუქმებას შეძლებდა.

კომისიის მოსაზრებით, ადვოკატს, საადვოკატო საქმიანობის რამდენად დიდი გამოცდილებაც არ უნდა ჰქონდეს, მოეთხოვება საქმის გარემოებათა შეფასება იმის გათვალისწინებით, რომ ყოველი საქმე თავისი სპეციფიკურობით ხასიათდება. ადვოკატმა ყოველთვის უნდა შეძლოს იმ საფრთხეების განჭვრეტა, რაც გონივრულად შეიძლება შეფასდეს, როგორც რისკის შემცველი კლიენტის ინტერესებისათვის. ადვოკატის თვითიმედოვნება მძიმე შედეგით დაუბრუნდა კლიენტს.

კლიენტის ინტერესების უპირატესობაზე მსჯელობისას მნიშვნელოვანია კლიენტის ნება, რის საფუძველზეც უნდა მოქმედებებდეს ადვოკატი. ნების შესახებ საუბრობს სამოქალაქო ანუ კერძო სამართალი. ნებას ესაჭიროება გამოხატულება ამა თუ იმ ფორმით. ნება შესაძლებელია უმოქმედობითაც გამოიხატოს ან ჟესტიკულაციით. თუმცა ადვოკატსა და კლიენტს შორის ურთიერთობისას რეკომენდებულია ვერბალური ან წერილობითი ფორმით თანხმობა, სურვილის გამოხატვა, წინააღმდეგობის არქონა, მისაღებობა და ა.შ. ნების გამოსავლენად აუცილებელია, რომ ადვოკატის მხრიდან იყოს კლიენტის კონსულტირება არსებულ მოცემულობასთან დაკავშირებით. ეს შეიძლება იყოს შემაჯამებელი ხასიათის სახელმწიფო უწყების დოკუმენტი, სასამართლო გადაწყვეტილება, ადმინისტრაციული ორგანოს მოქმედება, სარჩელი, სააპელაციო საჩივარი და სხვა. რაც, რა თქმა უნდა, შეიცავს გარკვეულ ფაქტებს, მტკიცებულებებს და შეფასებას. აღნიშნულის გაცნობის შემდგომ მნიშვნელოვანია კლიენტის ნება, რომლიც შეიძლება არ იყოს ერთგვაროვანი. მაგალითად, თუ ადვოკატი წარუდგენს გასაცნობად მის კლიენტს პროკურორის მიერ შედგენილ ბრალდებას, შესაძლებელია კლიენტმა მისი ნაწილი გაიგოს, ხოლო ნაწილი ვერა. ასეთ შემთხვევაში, ცხადია, კლიენტის ნება ვერ იქნება გამოხატული გამოხატული იმ ნაწილზე, რომელიც ვერ გაიგო. აქედან გამომდინარე მნიშვნელოვანია, რომ ადვოკატმა კლიენტს ობიექტურად გააცნოს მდგომარეობა, დოკუმე-

ნტი, პროცედურა და მხოლოდ მისი გაცნობიერების შემდგომ გაარკვიოს ნების გამოხატულება. მას შემდეგ, რაც კლიენტი გააცნობიერებს ადვოკატის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას ან დოკუმენტს, მისი ნება არის საღი.

კოლეგიალობის პრინციპი[62]

ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს კოლეგებს, არ შელახოს მათი ღირსება და დაიცვას პროფესიული ღირებულებები.

კოლეგიალობის პრინციპის არსზე თავდაპირველად ამბობენ, რომ ის პოზიტიურია ადვოკატებისათვის, რადგან ეს პრინციპი მათ პროფესიული ურთიერთპატივისცემისაკენ მოუწოდებს. ამ კუთხით შეიძლება ითქვას, რომ ადვოკატი ადვოკატის კოლეგაა და ისინი ემსახურებიან ადამიანის (კლიენტის) უფლებებს. რას შეიძლება იგულისხმებოდეს კოლეგიალობის პრინციპში? პირველი, რაზეც ჩანაწერი საუბრობს, ადვოკატმა პატივისცემა უნდა გამოხატოს მის კოლეგისადმი, რაც გამოიხატება სიტყვიერად და ქცევის სახით, რაც მთლიანობაში პოზიტიურ შთაბეჭდილებას ტოვებს. თავად პატივისცემის გამოხატვა ზოგჯერ შეიძლება საკამათოც გახდეს, თუ წარმოვიდგენთ ადვოკატებს, როგორც მოწინააღმდეგე მხარეებს როგორც სასამართლოში, ისე მის გარეთ. ადვოკატის ინტერესი – ეს არის კლიენტის ინტერესი, რისთისაც მას ევალება, რომ ყველა კანონიერი გზა და საშუალება გამოიყენოს მისი რეალიზებისათვის. ოპონირების, მეტიც პაექრობის პროცესში არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ადვოკატი მის ოპონენტ კოლეგას ზოგჯერ არც კი ენდობა იმ მიზეზით, რომ მას მისი კლიენტის საწინააღმდეგო პოზიცია უკავია. რამდენად გამოხატავს ადვოკატი პატივისცემას ოპონენტი კოლეგისადმი, მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატისადმი მაშინ, როდესაც ის მას არ ენდობა? აღნიშნული შემთხვევა რეალურია და ის ადვოკატის პროფესიული საქმიანობის თანამდევია. თუმცა, მასზე დაფიქრება კოლეგიალობის პრინციპის ამ ნაწილის კარგად აღქმის საშუალებას იძლევა. შემდგომი გაგრძელება პრინციპისა არის ის რომ ადოვკატმა არ უნდა შელახოს სხვა ადვოკატის ღირსება, რაც წარმოადგენს ზოგად ეთიკურ, მორალურ და ზნეობრივ მიდგომას.ადვოკატმა არ უნდა ჩაიდინოს მისი კოლეგის წინაშე რაიმე სახის უმართლობა, უწესრიგობა/უწესობა. აღნიშნული იცავს ზიანის მიყენებისაგან პიროვნებას, რომელიც პროფესიით ადვოკატია. რაც შეეხება ვალდებულებას, რომ ადვოკატმა უნდა დაიცვას პროფესიული ღირებულებები, მიმართულია პროფესიული ქცევის პრინციპებზე და ეთიკის კოდექსსა და კანონში გაწერილ ვალდებულებებზე, რომელსაც კვლავ პროფესიულ ავტორიტეტის გაფრთხილებასა და ნდობასთან მივყავართ.

ადვოკატთა პროფესიულ კორპორაციას (ადვოკატთა ასოციაცია) კერძოთ ეთიკის კომისიას გარდა კლასიკური (შეურაცხყოფის ფაქტები) ასევე გააჩნია საინტერესო პრეცედენტი კოლეგიალობსთან დაკავშირებით.

62. ა.პ.ე.კ. – მუხლი 7

ეთიკის კომისიას შეკითხვით მომართა ადვოკატმა[63] თუ რამდენად ეთიკური იყო ადვოკატის წინააღმდეგ სასამართლო წარმომადგენლობა. კერძოდ, სისხლის სამართლის სპეციალიზაციის მქონე ადვოკატმა მონაწილეობა მიიღო სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს იურიდიული დახმარების სამსახურის თბილისის ბიუროს საზოგადოებრივი (ე.წ. სახაზინო) ადვოკატის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ საჯარო კონკურსში. სამინისტროს სამსახური შემდგომში „გარდაიქმნა“ დამოუკიდებელ სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურად. ადვოკატს უარი ეთქვა ვაკანტური თანამდებობის დაკავებაზე საკონკურსო კომისიის მიერ. კონკურსანტმა ადვოკატმა მინისტრის შესაბამისი ბრძანების საფუძველზე გაასაჩივრა საპრეტენზიო-საკონკურსო კომისიაში დაუსაბუთებელი უარი, რომელმაც ზეპირი მოსმენით განიხილა საჩივარი კონკურსანტის მონაწილეობით. საპრეტენზიო-საკონკურსო კომისიაში შემავალი 3 წევრიდან ერთი იურიდიული დახმარების სამსახურის ადმინისტრაციის თანამშრომელი (იურისტი) იყო, ხოლო დანარჩენები ამავე სამსახურის რეგიონული ბიუროების საზოგადოებრივი ადვოკატები იყვნენ. აღნიშნულმა საპრეტენზიო კომისიამ არ გაითვალისწინა და უგულებელყო ის, რომ თავდაპირველ კომისიას არ უწარმოებია კანონმდებლობით დადგენილი სხდომის ოქმი კონკურსის მსვლელობის დროს და არსებობდა სხვა მთელი რიგი უხეში დარღვევები, რაც შეკითხვის მიზანს არ ემსახურებოდა. ადვოკატმა მას შემდეგ, რაც ზემოხსენებული ადმინისტრაციული ორგანოს უარი და საბოლოო ადმინისტრაციული აქტი კონკურსის შედეგის ბათილად ცნობის ნაწილში გაასაჩივრა სასამართლოში, ადმინისტრაციულმა ორგანომ კონკურსანტ ადვოკატის წინააღმდეგ თავის წარმომადგენლად გაგზავნა ისევ იურიდიული დახმარების სამსახურის რეგიონული საზოგადოებრივი ადვოკატები და არა, თავისივე ადმინისტრაციის სამსახურის იურისტები და ობიექტურად ამის დაბრკოლება სამსახურს არ გააჩნდა.

საზოგადოებრივმა ადვოკატებმა აღნიშნულ საქმეზე იურიდიული დახმარების სამსახურის წარმომადგენლობა გასწიეს სამივე ინსტანციის სასამართლოში ადვოკატის წინააღმდეგ.

კომისიის დასკვნით, ადვოკატების მიერ თავისი კოლეგის წინააღმდეგ წარმომადგენლობის განხორციელება თავისთავად არ წარმოადგენს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული ნორმების დარღვევას, კერძოდ კოლეგიალობის პრინციპის დარღვევას. განსახილველ შემთხვევაში, ადვოკატები სასამართლოში ადმინისტრაციული ორგანოს ინტერესების დაცვისას პროფესიულ ფუნქციას ასრულებდნენ.

ნიშანდობლივია, რომ პროფესიული საქმიანობა არ უნდა უშილიდეს ხელს კოლეგიალობის პრინციპის დაცვას, რის თაობაზეც ეთიკის კომისიამ შესაბამისი რეკომენდაციაც გასცა.

63. წერილობითი რეკომენდაცია 003/15, 06 მაისი 2015 წ.

კოლეგიალობის მიზანია ადვოკატებს შორის ნდობის, თანამშრომლობისა და პატივისცემის დამკვიდრება კანონის უზენაესობისა და კლიენტის ინტერესების სასარგებლოდ. კოლეგიალობა ადვოკატებს ავალდებულებთ შეინარჩუნონ კეთილსინდისიერი დამოკიდებულება მათ შორის პროფესიული ურთიერთპაექრობისას. კოლეგიალობას აქვს პროფესიულ-კორპორატიული მიზანი, რომელიც ადვოკატთა თვითმმართველობის სტრუქტურულ და პროფესიულ განვითარებაშიც (პრაქტიკული და თეორიული ცოდნა-გამოცდილების ურთიერთგაზიარება) მდგომარეობს. ადვოკატებმა არაპროფესიული საქმიანობისას ურთიერთმხარდაჭერა უნდა გამოავლინონ და კანონის ფარგლებში და პროფესიული მიზნებიდან გამომდინარე მხარს უნდა უჭერდნენ ინსტიტუციურ განვითარება-გაძლიერებას, რაც საბოლოოდ ემსახურება კანონის უზენაესობას და დემოკრატიულ ღირებულებებს ეფექტურად იყოს დაცული ადამიანთა უფლებები.

დისციპლინური პასუხისმგებლობა (საფუძვლები, წარმოება)

დისციპლინური წარმოება წარმოადგენს იმ პროცედურას, რომელსაც ახორციელებს ადვოკატთა პროფესიული დამოუკიდებელი კორპორაცია ანუ ჩვენს შემთხვევაში ადვოკატთა ასოციაცია წევრების მიერ არჩეული ეთიკის კომისიის მიერ. ეთიკის კომისიის წევრების რაოდენობაა 15 რომელთა შორის 12 მოქმედი ადვოკატია, ხოლო 3 კი არაადვოკატი.

დისციპლინური წარმოების შედეგად ადვოკატის მიმართ შესაძლებელია:[64]

ა) განხორციელდეს დისციპლინური ზემოქმედება (კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა)

ბ) მას დაეკისროს დისციპლინური სახდელი (გაფრთხილება, საადვოკატო საქმიანობის უფლების ჩამორთმევა 6 თვიდან 3 წლამდე ვადით ან საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტა

კომისიას აქვს ორ საფეხურიანი წარმოება. პირველი საფეხური წარმოადგენს მომჩივანის მიერ პრეტენზიის (განცხადება/საჩივარი) საფუძველზე ადვოკატის ირგვლივ პროფესიული ქცევის შესახებ შემოტანილი საკითხის გამოკვლევას.ასეთ კოლეგიებს საპროცესო კოლეგიები ეწოდება.[65] მათი კომპეტენციაა – მოიძიოს ინფორმაცია/მტკიცებულები როგორც მხარეებისგან, ისე მესამე პირებისგან/უწყებებიდან, გაესაუბროს მომჩივანსა და ადვოკატს, მოწმეს, შეაფასოს გამოკვლეული ინფორმაციისა და მტკიცებულებების კავშირი ადვოკატის პროფესიული ეთიკის კოდექსთან და მისგან მომდინარე მოქმედ კანონმდებლობასთან, რის შემდეგაც იღებს გადაწყვე-

64. კანონი „ადვოკატთა შესახებ“ – 34 მუხ.

65. დებულება – ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წამოების შესახებ – 27 მუხ. (საპროცესო კოლეგია)

ტილებას გარკვეული ალბათობით აღიძრას თუ არა ადვოკატის წინააღმდეგ დისციპლინური დევნა. აღძვრის შემთხვევაში გამოაქვს გადაწყვეტილება, რომელიც ერთგვარ „ბრალდებას“ წარმოადგენს და განსახილველად გადასცემს მეორე საფეხურს – განხილვის კოლეგიებს[66] მათი რიგითობის მიხედვით, რომელიც არის „კვაზი სასამართლო“ (ანუ მსგავსი სასამართლო) 3 წევრის შემადგენლობით. განხილვის კოლეგიის განხილვის საგანია აღძვრის გადაწყვეტილება და მომჩივანის პოზიცია. მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპის გამოყენებით განხილვის კოლეგია უკვე არსებულ მტკიცებულებებთან და ინფორმაციასთან ერთად ისმენს მხარეთა პოზიციებს, დაზუსტებებს და აქცენტებს რის შემდეგაც ადვოკატთა ასოციაციის სახელით გამოაქვს შემაჯამებელი გადაწყვეტილება, რომლითაც ადვოკატს მიიჩნევს ბრალეულად პროფესიულ ეთიკის კოდექსის დარღვევაში/დარღვევებში ან არა.

მნიშვნელოვანია, თუ რა არის დისციპლინური პასუხისმგებლობის და დისციპლინური დევნის დაწყების საფუძველი. დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძვლებზე საუბრობს კანონი,[67] ხოლო დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძვლებზე კი დებულება[68].

დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლები:

კანონის თანახმად ადვოკატს დისციპლინური პასუხისმგებლობა დაეკისრება:

ა) ამ კანონის მე-5–მე-9 მუხლებით გათვალისწინებულ მოვალეობათა შეუსრულებლობისათვის;

იმავე კანონის მე-5 და მე-9 მუხლებში კი მოცემულია ადვოკატის პროფესიული მოვალეობები, რომელიც მის მიერ უნდა შესრულდეს.

მე-5 მუხლიდან გამომდინარე ადვოკატის ვალდებულებაა:

- კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები;
- ზუსტად და განუხრელად დაიცვას პროფესიული ეთიკის ნორმები;
- არ შელახოს სასამართლოს და პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებები;
- დაიცვას პროფესიული საიდუმლოება;
- შეასრულოს საპროცესო კანონმდებლობით მისთვის დაკისრებული მოვალეობები და ინტერესთა შეუთავსებლობის შემთხვევაში კლიენტს დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ;
- მონაწილეობა მიიღოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს მიერ დამტკიცებულ განგრძობადი სავალდებულო იურიდიული განათლების პროგრამაში;

66. დებულება – ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წამოების შესახებ – 33 მუხ. (განხილვის კოლეგია)

67. კანონი „ადვოკატთა შესახებ“ – 32 მუხ.

68. დებულება ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წამოების შესახებ – 6 მუხ.

- „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული გარიგების თაობაზე ინფორმაცია მიაწოდოს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცნობის საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისთვის აღნიშნული კანონითა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ნორმატიული აქტით დადგენილი ფორმითა და წესით წარდგენას.

მე-9 მუხლში კი მოცემულია ზემოთ უკვე განხილული ადვოკატის პროფესიული საქმიანობის დაზღვევის ვალდებულება, რაც ამჟამად მოქმედი არ არის. და პასუხისმგებლობის დაკისრების მომდევნო საფუძველი, რომელიც გახლავთ ა.პ.ე.კ. ის დარღვევა.

დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძვლები, რომელსაც განსაზღვრავს დებულება.[69]

დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველია:

ა) პირის საჩივარი, რომელსაც მიაჩნია, რომ ადვოკატის ქმედებით დაირღვა მისი უფლებები და ინტერესები, გარდა ანონიმური საჩივრისა.
ბ) ადვოკატის საჩივარი სხვა ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე.
გ) პროცესის მწარმოებელი ორგანოს მიმართვა ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე.
დ) საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის, აღმასრულებელი საბჭოს, ეთიკის კომისიის წევრის, სარევიზიო კომისიის მიმართვა ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე.

მოცემული საფუძვლების არსებობს შემთხვევაში ეთიკის კომისიაში შემოტანილი განცხადება/საჩივარი გადის ერთგვარ დასაშვებობას და ეხმარება როგორც დისციპლინურ წარმოებას, ასევე მომჩივანსაც – დასაწყისშივე ჰქონდეს გაცნობიერებული, თუ რა შემთხვევებში შეიძლება ადვოკატის მიმართ დაიწყოს დისციპლინური პროცედურები. აქ მოცემული საფუძვლები ასევე განსაზღვრავს, თუ ვის შეუძლია იყოს მომჩივანი, სხვაგვარად რომ ვთქვათ, საჩივრის ავტორთა წრეს.. ეს შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური პირი, ასევე სახელმწიფო ის უწყება, რომელსაც საპროცესო წარმოება აქვს (სისხლის, ადმინისტრაციული, საკონსტიტუციო). საინტერესოა ისიც, რომ „დ“ პუნქტში განსაზღვრული პირებს შეუძლიათ მიმართონ ადვოკატის პროფესიული დისციპლინირების მიზნით მიუხედავად იმისა, დაირღვა თუ არა მათი კონკრეტული უფლება ადვოკატის ქცევით შედეგად. აქ იკვეთება პროფესიული კორპორატიული (ერთიანობა) მიზანი, რომლის

69. იგივე

თანახმად შეიძლება ითქვას, რომ ერთი ადვოკატის არაპორფესიონალური, არაეთიკური ქცევის შედეგად ზოგჯერ არ მხოლოდ ერთი მომჩივანი ზიანდება, არამედ თავად პროფესია.

დისციპლინური წარმოების მეორე ანუ ადვოკატთა ასოციაციაში განხილვის ბოლო საფეხური, „კვაზი სასამართლო" განხილვის კოლეგიის სახით უფლებამოსილია იმსჯელოს ადვოკატის პროფესიული ქცევის (ეთიკის კოდექსის) მაღალი ალბათობით დარღვევის შემთხვევაში ამ დარღვევის ხარისხის შესახებ, რომლის მძიმე მახასიათებლის შემთხვევაში შესაძლებელია განხილვის კოლეგიის ტენდენცია იყოს. თუ განხილვის კოლეგია მიიჩნევს, რომ ადვოკატის მიმართ შეიძლება გამოყენებული იქნას საადვოკატო საქმიანობის უფლების ჩამორთმევა გარკვეული ვადით ან წევრობის შეწყვეტა (პროფესიული უფლებამოსილების შეწყვეტა), ასეთ შემთხვევაში განხილვის კოლეგია საქმეს გადასცემს ეთიკის კომისიას.[70]

2.5. სისხლის-სამართლებრივი და ადმინისტრაციული რისკები (მონიტორინგის სამსახური)

მიუხედავად იმისა, რომ საადვოკატო საქმიანობა მისი არსიდან გამომდინარე წარმოადგენს პრივილეგირებულ საქმეს და განსაზღვრულ შემთხვევებში აქვს იმუნიტეტი, ის არ არის აბსოლუტური კანონის წინაშე და არსებობს კანონის დარღვევის რისკები. მათ შორის, როგორც სისხლის სამართლებრივი, დანაშაულებრივი, ასევე ადმინისტრაციული ანუ გადაცდომა. პროფესიულ საქმიანობაზე მონიტორინგს მხოლოდ ეთიკის კომისია არ ახორციელებს თავისი პრეცედენტული სამართლით, რადგან მისი კომპეტენცია მხოლოდ პროფესიონალიზმისათვის მიუღებელი ქცევის პრევენცია, რათა არ დაზიანდეს როგორც ადამიანის უფლებები, ასევე მართლმსაჯულება, იუსტიცია და ქვეყნის შიდა სამართლებრივი ბალანსი. ზოგადად, დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მონიტორინგში ექცევა ყველა საქმიანობა და ურთიერთობა, მათ შორის, საადვოკატო საქმიანობაც. საჯარო ინტერესი, სხვაგვარად რომ ვთქვათ, საზოგადოების, სახელმწიფოს და მასში არსებული ყველა სექტორისა თუ მიმართულების ინტერესი ითხოვს, რომ კანონის უზენაესობას ჰქონდეს უპირატესობა, რაც დანაშაულთან ბრძოლაშიც გამოიხატება. რა კავშირი შეიძლება ჰქონდეს პროფესიულ საქმიანობას, მაგალითად, სისხლის სამართლის სფეროსთან? ქვემოთ მოცემული მუხლები სისხლის სამართლის კოდექსიდან იძლევა გააზრების საშუალებას, თუ რა ჩათვალა კანონმდებელმა დანაშაულად რიგი მათგანი არის პირდაპირაც დაკავშირებული. აუცილებელია აღნიშნული იცოდეს როგორც დამწყებმა, ისე გამოცდილმა ადვოკატმა, მიუხედავად არსებული პრაქტიკისა და სისხლის სამართლებრივი პოლიტიკისა.

70. დებულება ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წამოების შესახებ – 36 მუხ.

საადოკატო საქმიანობას ხშირი შემხებლობა აქვს მტკიცებულებებთან, მტკიცებულება არის კლიენტის ინტერესების ადვოკატირების ხერხი და საშუალება, რომლის გამოყენებით ადვოკატი მონაწილეობს მტკიცების პროცესში.

სისხლის სამართლის კოდექსის

მუხლი 369[1]. სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცებულების ფალსიფიკაცია

1. ნაკლებად მძიმე დანაშაულის შესახებ სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცებულების ფალსიფიკაცია,ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ოთხ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.
2. იგივე ქმედება, ჩადენილი პროკურორის, გამომძიებლის ან დამცველის მიერ, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ხუთ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით ოთხ წლამდე.
3. მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შესახებ სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცებულების ფალსიფიკაცია, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან ექვს წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

მოცემული მუხლის 1 ნაწილი ეხება მტკიცებულებათა ფალსიფიკაციას ანუ არანამდვილ, არარეალურ მტკიცებულებათა დამატებით შექმნას. რომლის განზრახვა პირდაპირია, რადგან ის გარკვეული სარგებლის მოტანას უკავშირდება როგორც კლიენტისათვის, ისე მისი ადვოკატისათვის.

2-ე ნაწილის ერთ-ერთ სუბიექტად პირდაპირ არის მითითებული ადვოკატი ტერმინით „დამცველი“. ბუნებრივია, ეს არ წარმოადგენს რისკს, რადგან ასეთი განზრახვის შემთხვევაში სახეზე გვყავს რეალური დამნაშავე და არა პროფესიონალი. ყურადსაღები ის არის, რომ, მიუხედავად კანონმდებლის მიერ დანაშაულის სუბიექტის პირდაპირ დასახელებისა, ადვოკატს მტკიცებულება უკვე გაყალბებული ფორმით შესაძლოა მესამე პირმა მიაწოდოს, თუნდაც კლიენტმა, რომლის ინტერესები არ არის კანონიერი. რა თქმა უნდა, ასეთის არცოდნა არის უდანაშაულობის ნიშანი და არც ის არის უტყუარად შესაძლებელი, რომ ვიზუალურად ყოველთვის გაარკვიოს ადვოკატმა მტკიცებულება ყალბია თუ არა. თუმცა, მიზანშეწონილია, რომ მტკიცებულებების შეგროვების პროცესში ადვოკატმა წინდახედულობა გამოიჩინოს მესამე პირებთან, კლიენტთან კომუნკაციისას განმარტოს, რომ დაუშვებელია მტკიცებულების გაყალბება ან ყალბი მტკიცებულების გამოყენება. განმარტოს ამ მდგომარეობის კრიმინალიზაციის, სისხლის სამართლებრივად დასჯადობის შესახებ.

სისხლის სამართლებრივი რისკებიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე ყურადსაღები არის ე. წ. „ცოცხალ მტკიცებულებთან“ შე-

ხების შემთხვევები. ესენი არიან საპროცესო სუბიექტები: მოწმე, დაზარალებული, ექსპერტი და თარჯიმანი. ქვემოთ მოცემული მუხლი იცავს მართლმსაჯულებას არასწორი ინფორმაციის საფუძველზე გამოტანილი განაჩენისაგან. ასეთი ზოგჯერ რთული, გაწერილი პროცედურა სწორედ ისაა, რომ არ მოხდეს მართლმსაჯულების უსამართლოდ გამოყენება და მისი შეცდომაში შეყვანა.

მუხლი 372. ზემოქმედების განხორციელება გამოსაკითხ პირზე, მოწმეზე, დაზარალებულზე, ექსპერტზე ან თარჯიმანზე

1. გამოსაკითხი პირისადმი, მოწმისადმი, დაზარალებულისადმი, ექსპერტისადმი ან თარჯიმნისადმი მიმართვა ან მისი დაყოლიება, შესაბამისად, ცრუ ინფორმაციის მიწოდებისათვის ან ცრუ ჩვენების მიცემისათვის, ან ყალბი დასკვნის მიცემისათვის, ან ინფორმაციის მიწოდებაზე ან ჩვენების მიცემაზე უარის თქმისათვის, ანდა არასწორად თარგმნისათვის, ან მის მიერ მიწოდებული ინფორმაციის ან მიცემული ჩვენების ან დასკვნის შეცვლისათვის, ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას ოთხმოციდან ორას ორმოც საათამდე ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან სამ წლამდე.
2. გამოსაკითხი პირის, მოწმის, დაზარალებულის, ექსპერტის ან თარჯიმნის მოსყიდვა ან მისი იძულება, შესაბამისად, ცრუ ინფორმაციის მიწოდებისათვის ან ცრუ ჩვენების მიცემისათვის, ან ყალბი დასკვნის მიცემისათვის, ან განზრახ არასწორად თარგმნისათვის, ანდა ინფორმაციის მიწოდებაზე ან ჩვენების მიცემაზე უარის თქმისათვის, ან მისი შეცვლისათვის, თუ ამას ერთვის მისთვის ანდა მისი ახლო ნათესავისთვის ნებისმიერი სახის ქონებრივი სარგებლის შეთავაზება ან მოკვლის, ძალადობის, ქონების დაზიანების ან განადგურების ანდა სხვა მუქარა, ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ექვს წლამდე.
3. ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი ძალადობით, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან რვა წლამდე.
4. იგივე ქმედება, რომელიც საშიშია სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ექვსიდან ცხრა წლამდე.

შენიშვნა: ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებებისათვის იურიდიული პირი ისჯება ჯარიმით ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით და ჯარიმით.

სასამართლო განაჩენები უნდა ეყდნობოდნენ ნამდვილ, დაკავშირებულ და კანონიერი გზით მოპოვებულ მტკიცებულებს ამიტომ არის მნიშვნელოვანი, რომ მტკიცების პროცესში მხარეების მიერ მოსამართლე არ იქნეს „მიტოვებული“ მხოლოდ საკუთარი ტესტის ანაბარა. მხარეებმა ხელი უნდა შეუწყონ სასამართლოს, რომ მასთან მივიდეს ნამდვილი მტკიცებულება დამიუხედავად ბევრი ცრუ ინფორმაციისა უზრუნველყონ მხოლოდ ნამდვილი მტკიცებულებების მოძიება. დაუშვებელია, რომ ადვოკატმა როგორც მხარემ პოტენციურ მოწმეს, დაზარალებულს თავად უნდა შესთავაზონ ფაქტები, რომლებიც, შეიძლება ითქვას, „უხდება“ მისი კლიენტის ინტერესებს. ადვოკატი მოვალეობაა მოწმისგან გაიგოს, თუ რა და როგორ მოხდა, თუ სად არის მისი კლიენტის ადგილი ამა თუ იმ ფაქტობრივ სურათში. პროფესიული უნიკალურობიდან და შეჯიბრებითობის დროს დაცვის მხარის პრივილეგიიდან გამომდინარე არავინ ავალდებულებს ადვოკატს, რომ მოწმისგან/დაზარალებულისგან მისი კლიენტის საწინააღმდეგო ფაქტების მოსმენის შემთხვევაში აუცილებლად ოქმი შეადგინოს და წარადგინოს ან გამოძიებაში ან სასამართლოში. დაცვის მხარე თავად ირჩევს, თუ რომელი ინფორმაცია და მისი მატარებელი რომელი სუბიექტია მისი კლიენტის ინტერესების სასარგებლო. ამდენად, მოწმის დაყოლიება არა მხოლოდ დანაშაულია, არამედ პროფესიონალური თვალსაზრისით მეტყველებს ადოვკატის პროფესიული უნარ-ჩვევების არქონაზე, თუ როგორ უნდა მიიღოს მოწმისგან ინფორმაცია.

სისხლის სამართლის კოდექსი ასევე იცავს სასამართლო პროცესს მონაწილე სუბიექტთა მხრიდან ხელშეშლისაგან და მას კანონი უწოდებს სასამართლო უპატივცემულობას.

მუხლი 366. სასამართლოს უპატივცემულობა

1. სასამართლოს უპატივცემულობა, რაც გამოიხატა სამართალწარმოების მონაწილის შეურაცხყოფით, –
   ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას ოთხმოციდან ორას ორმოც საათამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე.
2. იგივე ქმედება, რაც გამოიხატა საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის, მოსამართლის ან მსაჯულის შეურაცხყოფით, –
   ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთიდან ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.

უპატივცემულობის შეფასება შეიძლება ითქვას ქვედა ზღვარია იმ მოქმედებების რომელიც შეიძლება მოხდეს სასამართლო დარბაზში. ეს შეიძლება გამოიხატოს როგორც სიტყვიერი ასევე ფიზიკური ფორმით. კანონში არ არის გაწერილი თუ როგორი სიტყვების გამოყენება არ შეიძლება პროცესის მსვლელობისას, რადგან გონივრულად მიიჩნევა, რომ სასამართლო წარმოება კვაზი აკადემიური ხასიათის წარმოებაა და გარ-

კვეული ეტიკეტის დაცვაც საჭიროა. თუმცა კანონი პირდაპირ კრძალავს შეურაცხყოფას, როგორც მოსამართლის, სასამართლო წევრის (თანაშემწე, სხდომის მდივანი, მანდატური), ასევე ნაფიც მსაჯულის. მოცემული მუხლი იცავს სასამართლო სუბიექტებს.

2.6. ადვოკატისა და კლიენტის ურთიერთობების სამართლებრივი დაცვა

ადვოკატისა და კლიენტის ურთიერთობები დაცულია მიმდინარე კანონმდებლობებით. ამ ურთიერთობაში იგულისხმობა ნებისმიერი სახის კომუნიკაცია, რა დროსაც ხდება ინფორმაციების გაცვლა, რჩევის მიცემა, მომზადება წარმოებისათვის და სხვა. პირველ რიგში, ასეთი ურთიერთობის დროს გაცვლილი ინფორმაციის გასაჯაროვების ვალდებულება არც ადვოკატს და არც კლიენტს არა აქვს. მათ აქვთ უფლება, მხოლოდ მან და მისმა ადოვოკატმა იცოდეს ამა თუ იმ საკითხის შესახებ ინფორმაცია. მეტიც, ადვოკატს მისი საიდუმლოდ შენახვის ვალდებულებაც კი აქვს.

საქართველოს კანონი „ადვოკატთა შესახებ“ პროფესიული ეთიკის კოდექსით მოწესრიგებული პრინციპების გარდა საუბრობს ასევე საადვოკატო საქმიანობისას ჩაურევლობაზე,[71] რაც დაკავშირებულია კლიენტის ინტერესების ეფექტურ განხორციელებასთან. როდესაც კანონი იცავს პროფესიული საქმიანობის პროცესს შესაბამისად დაცულია კლიენტის ინტერესიც. აღნიშნული წარმოადგენს სიახლეს ადვოკატთა პროფესიული საქმიანობის რეგულირების საკანონმდებლო სივრცეში და მნიშვნელოვანს, რადგან სახელმწიფოს ვალდებულებაა ადამიანის უფლებების დაცვა, რაც მათი სპეციალური წარმომადგენლის მეშვეობითაც უნდა შეძლოს სამართალსუბიექტმა როგორც სასამართლომდე ისე სასამართლო წარმოების პროცესში.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის
მუხლი 38. ბრალდებულის უფლება-მოვალეობანი

5. ბრალდებულს აქვს ადვოკატის არჩევისა და ყოლის, ასევე მის მიერ არჩეული ადვოკატის ნებისმიერ დროს შეცვლის უფლება, ხოლო თუ ის უქონელია – უფლება, დაენიშნოს ადვოკატი სახელმწიფოს ხარჯზე. ბრალდებულს უნდა ჰქონდეს გონივრული დრო და საშუალება დაცვის მომზადებისათვის. ბრალდებულისა და მისი ადვოკატის ურთიერთობა კონფიდენციალურია. აკრძალულია **ბრალდებულისა და მისი ადვოკატის ურთიერთობაზე ისეთი შეზღუდვების დაწესება, რომლებიც ხელს შეუშლის დაცვის სათანადოდ განხორციელებას.**

71. საქართველოს კანონი „ადვოკატთა შესახებ“ მე 3 მუხლის „ზ“ პუნქტი – საადვოკატო საქმიანობის პრინციპებია საადვოკატო საქმიანობაში ჩაურევლობა

როგორ ვხედავთ, კანონი იცავს ბრალდებულს ანუ კლიენტს და ადვოკატს შორს ურთიერთობის სენსიტიურ ადგილებს. საინტერესოა როგორ ხდება პრაქტიკაში. განსაკუთრებით, როდესაც ადვოკატი მის დაპატიმრებულ კლიენტს ხვდება სასჯელაღსრულების დაწესებულებაში. დაწესებულებას ასეთი შეხვედრებისათვის აქვს სპეციალური სამუშაო ოთახები გამოყოფილი, სადაც დამონტაჟებულია ვიდეო თვალი, რომელიც თვალს ადევნებს შეხვედრას უსაფრთხოების კუთხით. ვიდეო თვალს არ გააჩნია/არ უნდა გააჩნდეს აუდიო მხარე ანუ შეხვედრა არ უნდა ისმინებოდეს, რადგანსწორედ ინფორმაციის გაცვლა და ბრუნვა უნდა იყოს კონფიდენციალური ადვოკატსა და კლიენტს შორის. თუ, რა თქმა უნდა, კლიენტი არ არის პატიმარი, შესაძლებელია საიდუმლოდ შენახვა თავად ადვოკატთან შეხვედრის შესახებაც.

აღნიშნული საკითხს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არეგულირებს:

მუხლი 43. ბრალდებულისა და მისი ადვოკატის ურთიერთობის კონფიდენციალურობა

1. ბრალდებულის ურთიერთობა მის ადვოკატთან კონფიდენციალური და თავისუფალია.
2. კონფიდენციალურია ასევე პირის ბრალდებულად ცნობამდე მისი ურთიერთობა მის შესაძლო ადვოკატთან.
3. დაკავებული ან დაპატიმრებული ბრალდებულის ურთიერთობა მის ადვოკატთან შესაძლებელია შეიზღუდოს მხოლოდ ვიზუალური მეთვალყურეობით.

სისხლის მატერიალური სამართლის (სისხლის სამართლის კოდექსი)

მუხლი 364. სამართალწარმოების განხორციელებისთვის, გამოძიებისთვის ან დაცვის განხორციელებისთვის ხელის შეშლა

1. საქმის ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოძიებისთვის ხელის შეშლის მიზნით პროკურორის ან გამომძიებლის საქმიანობაში, აგრეთვე დაცვის განხორციელებისთვის ხელის შეშლის მიზნით ადვოკატის საქმიანობაში ამა თუ იმ ფორმით უკანონო ჩარევა, –

ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას ოთხმოციდან ორას ორმოც საათამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე.

მოცემული მუხლის იცავს ადვოკატსა და კლიენტის შორის ურთიერთობას, უფრო კლიენტის ინტერესების რეალიზაციას ადვოკატის მეშვეობით. რადგან საადვოკატო საქმიანობა აქტიური საქმიანობაა, რაც მოქმედებების განხორციელებაში გამოიხატება, არ უნდა შეფერხდეს და ხელი არ უნდა შეეშალოს მას. საამისოდ მოხდა ადვოკატის საქმიანობის ნებისმიერი სახით ხელშეშლის კრიმინალიზაცია

მსგავსი ბუნების არის ეს მუხლიც:

მუხლი 365. მუქარა ან ძალადობა სამართალწარმოების განხორციელებასთან, გამოძიებასთან ან დაცვის განხორციელებასთან დაკავშირებით

1. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის, მოსამართლის, მსაჯულის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ სიცოცხლის მოსპობის, ჯანმრთელობის დაზიანების ანდა ქონების განადგურების ან დაზიანების მუქარა სასამართლოში საქმის ან მასალის განხილვასთან დაკავშირებით, ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე.
2. იგივე ქმედება, ჩადენილი პროკურორის, გამომძიებლის, **ადვოკატის**, ექსპერტის, აღმასრულებლის, სამართალწარმოების სხვა მონაწილის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ, გამოძიებასთან, დაცვის განხორციელებასთან, სასამართლოში საქმის ან მასალის განხილვასთან ანდა განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებით, ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.
3. ამ მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი ძალადობით, რომელიც საშიში არ არის სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე.
4. ამ მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი ძალადობით, რომელიც საშიშია სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან შვიდ წლამდე.
5. ამ მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი:

ა) ჯგუფურად;

ბ) არაერთგზის, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან ათ წლამდე.

შენიშვნა: ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის იურიდიული პირი ისჯება ჯარიმით ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით და ჯარიმით.

პრაქტიკაში იყო შემთხვევა, როდესაც ადვოკატზე პროცესში მისი საქმიანობის გამო ერთ-ერთმა პროცესის არამონაწილე პირმა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა ადვოკატს, რაზეც დაიწყო გამოძიება. თუმცა, სამწუხაროდ, გამოძიების შედეგები უცნობია. მსგავსი შემთხვევები დღესდღეობით ნაკლებად გვხვდება, შესაბამისად, ამ კუთხით რაიმე ტენდენციაზე ვერ ვისაუბრებთ. ზემოაღნიშნული შემთხვევაც ამ მუხლების ამოქმედებამდე მოხდა.

ადგილობრივთან ერთად მნიშვნელოვანია საადვოკატო საქმიანობის დაცვის საერთაშორისო რეგულიაცია. ეს არის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაერო) მიერ 1990 წელს მიღებული „პრინციპები ადვო-

კატთა როლის შესახებ“. აღნიშნული პრინციპების ობიექტი არის როგორც ადვოკატი, ისე სახელწმიფო ისევ პროფესიასთან მიმართებაში. მოცემულ დოკუმენტში საუბარია ვალდებულებებზე, რომლებიც ადამიანის უფლებებს ემსახურება. მასში თემატურად მოცემულია როგორც ადვოკატის სპეციალური გარანტიების სისხლის სამართლწარმოებისას, ასევე ზოგადიც. აღნიშნული საერთაშორისო დოკუმენტიდან აღსანიშნავია ადვოკატსა და კლიენტს შორის ურთიერთობის პროცესში ადვოკატის დოკუმენტაცია, ჩანაწერები და მისი მსგავსი, რომლის გაცნობის უფლება არავის აქვს.

2.7. ადვოკატის ანაზღაურება

ადვოკატის საზღაური (ჰონორარი) კერძო ადვოკატების საქმიანობის აუცილებელი შემადგენელი ნაწილი და შესაბამისად, მნიშვნელოვანი საკითხია. კლიენტსა და ადვოკატს ერთმანეთთან შეიძლება მრავალფეროვანი საქმიანი ურთიერთობა აკავშირებდეთ. ურთიერთობის დასაწყისშივე დგება ადვოკატის საზღაურის საკითხი, რომელიც წარმატებით უნდა შეთანხმდეს. მაგალითად, გარდა საზღაურისა, ასევე გასაწევი ხარჯი, რომელიც ადვოკატის არა სპეციალურ ცოდნას და მის გამოყენებას, არამედ ტექნიკურ მხარეს უკავშირდება (ტრანსპორტირება, ძირითადი საშუალებები და ა.შ.). ასევე, სპეციალისტის მოწვევა/ჩართვის და დასკვნის მომზადების საჭიროება (ექსპერტიზა). ფინანსური საკითხების შეთანხმებისას უპირველესად განიხილება ადვოკატის საზღაური, ე.წ. „ჰონორარი“.. ყველაზე გავრცელებული ფორმა შეიძლება იყოს პირობით ანაზღაურების ფორმა, რომელსაც საქართველოს ადვოკატთა სექტორში ხშირად გამოიყენება. მაგალითად, სასამართლო განხილვის ეტაპზე ღირებულება, ასევე გამოძიების მიმდინარეობის ეტაპზე საადვოკატო საქმიანობის ფასი და ა.შ. საზღაურს ადვოკატები ხშირად თავისი შეხედულებების მიხედვით სთავაზობენ კლიენტს პირობითად და ნაკლებად ექცევა ყურადღება, თუ რა არის საადვოკატო მომსახურების კონკრეტული საგანი და მიზანი. არის ადვოკატთა ნაწილი, რომელიც არა მხოლოდ ზოგადად განსაზღვრული მისი მომსახურების საზღაურით მუშაობენ, არამედ საკითხების ინდივიდუალურობიდან გამომდინარე ცდილობენ, რომ იყვნენ კლიენტისათვის პროპორციულნი. შეიძლება თუ არა, რომ გამოვიყენოთ საზღაურის გამოთვლის მინიმალური შესაძლებლობა კრიტერიუმების გამოყენებით. მანამდე, ალბათ, უნდა ვუპასუხოთ კითხვას, თუ რაში იღებს ადვოკატი საზღაურს. რა თქმა უნდა. ეს არის ეფექტური, სწორი და კანონიერი სახის იურიდიული მოქმედებების ერთობლიობა, რომელიც ადვოკატის მიერ კლიენტის ინტერესების დაკმაყოფილებისაკენ არის მიზანმიმართული. არსებობს სხვადასხვა სახის იურიდიული მოქმედებები. ეს შეიძლება იყოს როგორც დოკუმენტის მომზადება, ასევე წარმომადგენლობა ანუ ზეპირსიტყვიერი პოზიციური გამოსვლა (მაგალითად, დასკვნითი ან საპაექრო სიტყვა). იურიდიული მოქმედება

შეიძლება იყო რჩევის მიცემა, რომელიც ზოგჯერ გადამწყვეტია. მიზანშეწონილია, რომ მას შემდეგ, რაც ადვოკატი მოისმენს კლიენტის პრობლემას ,განსაზღვროს, თუ რა იქნება გასაკეთებელი, რა სახის იურიდიული მოქმედებები იქნება განსახორციელებელი და როგორ აჯობებს მათი დაგეგმვა რიგითობის მიხედვით, რათა საბოლოო ჯამში კლიენტმა მიიღოს ეფექტური საადვოკატო მომსახურება. ასეთი მოქმედებების თუნდაც სათითაოდ ან ერთად შეფასება შესაძლებელია, რასაც თავად ადვოკატი აკეთებს და ადგენს საზღაურს, რომელსაც წინასწარ აცნობებს კლიენტს და ამით უზრუნველყოფს გამჭვირვალობას კლიენტთან ურთიერთობაში, რაც კლიენტს უღვივებს სამართლიანობისა და პროპორციულობის განცდას, რადგან იცის ადვოკატისგან კონკრეტული იურიდიული მოქმედებების თანმიმდევრობა და მათი ფასი. აღნიშნული ემსახურება პროფესიული ეთიკის კოდექსის ჩანაწერსაც, რომელიც ჰონორარის მისაღებობაზე საუბრობს. საინტერესოა, თუ როგორ შეიძლება განისაზღვროს ამა თუ იმ იურიდიული მოქმედებების ფასი. მისი ავტორი მხოლოდ კონკრეტული ადვოკატია მისი კომპეტენციისა (სამართლის სფეროს არეალი/ფარგლები) და კომპეტენტურობის (გამოცდილება, უნარ ჩვევები, სპეციფიკა) გათვალისწინებით. არსებობს კითხვები, რომელიც ეხმარება ადვოკატს საკუთარი საზღაურის გამოთვლაში. მაგალითისათვის სისხლის სამართალწარმოებისას მნიშნელობა შეიძლება ჰქოდეს, :

- რა სახის ბრალდება წარუდგინა სახელმწიფომ კლიენტს (მისი კატეგორიის, სიმძიმისა და სპეციფიკურობის მიხედვით),
- ბრალდებაში რამდენი ეპიზოდია განსაზღვრული,
- შესაძლო დასაკითხ პირთა რაოდენობა,
- ბრალდების ფაქტების ტერიტორიულობა ანუ ადვოკატის სამუშაო ძირითადი პრაქტიკა და ბრალდებაში აღწერილი ისტორიის ადგილსამყოფელი,
- რომელი სასამართლო ეტაპია (საქალაქო, სააპეალციო თუ საკასაციო),
- მსგავს საკითხებზე მუშაოის რა (წელი, თვე) გამოცდილება აქვს თავად ადვოკატს,
- პროფესიული უნარ-ჩვევების ქონა (ნაფიც მსაჯულთა სასამართლო),
- სამეცნიერო ხარისხი,
- ადვოკატის პრაქტიკის სპეციფიკა (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსთან გამოცდილება),
- საკითხზე მუშაობის დრო,
- პროფესიული ავტორიტეტი და სანდოობა და. ა.შ.

აღნიშნული საკითხები იძლევა საშუალებას, რომ ადვოკატმა წინასწარ შეძლოს ჰონორარის გამოთვლა. მართალია, ამ კითხვებს ის კლიენტს არ გააცნობს, თუმცა გამოიყენებს მათ კლიენტთან ჰონორარზე შეთანხმები-

სას შესაძლებელია ხელშეკრულებაშიც კი მიეთითოს ადვოკატის მიერ შესაძლო და მინიმალურად აუცილებელი იურიდიული მოქმედებების თაობაზე, რის შესახებაც უკვე ინფორმირებულია კლიენტი.

ჰონორართან არის დაკავშირებული როგორც გამომუშავება, ისე ურთიერთობის შეწყვეტის ეტაპიც. პროფესიული ეთიკის კოდესის **8.15** მუხლის მიხედვით

ადვოკატსა და კლიენტს შორის ჰონონარის ოდენობა და მისი გადახდის წესი წინასწარ უნდა შეთანხმდეს.

(აპეკ-ის მუხ. 8.8), მნიშვნელოვანია საკითხი იმის შესახებ, თუ რა ეთიკური ვალდებულება წარმოიშობა მაშინ, როდესაც კლიენტის ან ადვოკატის ინიციატივით წყდება საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება, მხარეთა შეთანხმებით გასაწევი მომსახურება კი შესრულებულია არა სრულად, არამედ გარკვეული მოცულობით (ნაწილობრივ). აპეკ-ის მე-8 მუხლის მე-15 პუნქტი (ეთიკის კოდექსში 08.120.2012. დამატება) არეგულირებს საადვოკატო მომსახურების შემთხვევაში ადვოკატის ეთიკურ ვალდებულებას არა მხოლოდ კლიენტისათვის მისი საქმის მასალების, გადაცემული თუ საქმისწარმოებისას მიღებული ნივთების დაბრუნების შესახებ, არამედ კლიენტისათვის გადასაცემი თანხიდან, რეალურად გაწეული სამუშაოს საადვოკატო მომსახურების ადვოკატის მიერ შესაბამისი გამოქვითვის შესაძლებლობის თაობაზე.

კლიენტსა და ადვოკატს შორის ურთიერთობის გაწყვეტისას ადვოკატისათვის გადასახდელი ან დასაბრუნებელი თანხის გამოანგარიშება გაწეული მომსახურების მიხედვით უნდა მოხდეს. აშშ-ში მოქმედებს თეორია „Quantum Meruit“, რაც დამსახურებულ ოდენობას ნიშნავს. შესაბამისად, ზემოთ ნახსენები გამჭვირვალობა იძლევა საშუალებას, რომ გამოანგარიშებული იქნას საზღაურის **დამსახურებული ოდენობა**, რაც ქმნის სამართლიანობის განცდას.

აპეკ-ის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, ადვოკატი კლიენტთან თავის საქმიანობას იწყებს ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. სწორედ ურთიერთშეთანხმება არის საფუძველი ორმხრივად გამოვლენილი ნებისა ადვოკატსა დაკლიენტს შორის საადვოკატო მომსახურების გაწევის და ამ მომსახურებისათვის ანაზღაურების გადახდის შესახებ. ადვოკატი ვალდებულია კლიენტს მისი საქმის წარმოების შესახებ ყველა შესაძლო ფინანსური ვალდებულება განუმარტოს და, ბუნებრივია, ასეთი განმარტების შედეგად, თუკი მისაღებია კლიენტისათვის, საბოლოოდ შედგება თანხმობა. ეს საკითხი პირდაპირაა დაკავშირებული კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპთან, რადგან ყოველთვის უნდა იცოდეს კლიენტმა, რამდენად შეწვდება ის ფინანსურად სამართლებრივ მომსახურებას, რომელსაც ითხოვს ადვოკატისაგან კონკრეტული იურიდიული ინტერესის მისაღწევად.[72]

72. „ეთიკის კომისიის საქმიანობა, პრეცედენტები, რეკომენდაციები 2010-2013 წ.წ“

სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული წესით, გარიგება შეიძლება იყოს როგორც წერილობითი, ისე ზეპირი ფორმით დადებული, თუმცა, ეთიკის კომისიის პრაქტიკიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია ასეთი შეთანხმება ადვოკატსა და კლიენტს შორის წერილობით შედგეს. წერილობითი შეთანხმება ადვოკატისა და კლიენტისათვის ერთობლივად უპირატესია, რადგან კონკრეტულად ჩანს, რა იყო შეთანხმების საგანი, რა ოდენობის ჰონორარის გადახდა შეთანხმდა მხარეთა შორის. დავის შემთხვევაში, მტკიცების სტანდარტის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია დადგინდეს კლიენტს რა საკითხზე სურდა იურიდიული დახმარება და რა ოდენობის ჰონორარი უნდა გადაეხადა ადვოკატისათვის ამაში.

ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებით „საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება მოიცავს ინფორმაციას ხელშეკრულების საგნის, მხარეთა უფლებებისა და ვალდებულებების, ადვოკატის ჰონორარის გადახდის გრაფიკისა და სხვა დამატებითი პირობების შესახებ, ეს ინფორმაცია მნიშვნელოვანია კლიენტისათვის, ადვოკატის მიერ მთელი საადვოკატო მომსახურების გაწევის პერიოდში, რათა შეძლოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების მუდმივი კონტროლი»

ერთ-ერთ დისციპლინურ საქმეში ადვოკატმა ვერ შეძლო იმის დადასტურება, რომ მას კლიენტთან წინასწარ ჰქონდა შეთანხმებული საადვოკატო საზღაურის ოდენობა. კლიენტის განმარტებით, მას ადვოკატი შეუთანხმდა მიღებული კომპენსაციის 10%-ის გადახდაზე არა საქმის დაწყებამდე, არამედ საქმის დასრულების შემდგომ. მხარეთა შორის არსებობდა ზეპირი საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება. საქმის წარმატებით დასრულების შემდეგ ადვოკატმა კლიენტს მიღებული კომპენსაციის თანხის 50%-ის გადახდა მოსთხოვა. ეთიკის კომისიაში მიმდინარე დისციპლინური წარმოების პარალელურად საქმე ადვოკატის სარჩელის საფუძველზე განიხილა ორი ინსტანციის სასამართლომ, თუმცა ადვოკატმა ვერ შეძლო იმის დადასტურება, რომ კლიენტს წინასწარ აცნობა საადვოკატო მომსახურების საფასური, მისი გამოთვლის წესი, გადახდის ფორმა და ვადები.

ადვოკატებმა უნდა იცოდნენ, რომ კლიენტის მიერ ჰონორარის გადაუხდელობა შესაძლებელია გახდეს საადვოკატო მომსახურებაზე უარის თქმის, მომსახურების შეწყვეტის საფუძველი, თუმცა, საამისოდ საკმარისი საფუძველი არ არის მხოლოდ ჰონორარის გადაუხდელობის ფაქტი. აპეკ-ის მე-8 მუხლის მე-9 ნაწილი იმთავითვე შეზღუდულია და უთითებს ამავე მუხლის მე-7 ნაწილზე, რომელიც კლიენტს აძლევს უფლებას, რომ ჰქონდეს საკმარისი დრო სხვა ადვოკატის მოსაძიებლად.

ეთიკის კომისიის რეკომენდაციების ფორმით არსებული პრაქტიკა გვეუბნება, რომ:

ადვოკატის მიერ სახელშეკრულებო ურთიერთობაზე უარის თქმის ერთ-ერთი მიზეზია ჰონორარის გადაუხდელობა. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი შეთანხმებული წესით არ იხდის მომსახურების ანაზღაურების თანხას, ადვოკატს უფლება აქვს უარი თქვას საქმეზე ან მის წარმოებაზე,

თუმცა, მან უნდა გაითვალისწინოს მე-8 მუხლის მე-7 ნაწილის რეგულაცია და არ იმოქმედოს ისე, რომ კლიენტი უძლური იყოს „დროულად ისარგებლოს სხვა ადვოკატის იურიდიული დახმარებით, კლიენტისათვის ზიანის მიყენების თავიდან აცილების მიზნით.“ შესაბამისად, ადვოკატმა უნდა შეწყვიტოს კლიენტთან ურთიერთობა ისე, რომ კლიენტს ჰქონდეს გონივრული ვადა სხვა ადვოკატს მიმართოს და ისარგებლოს მისი მომსახურებით. ასევე, კლიენტის მიმდინარე საქმის არსებობის შემთხვევაში, ადვოკატმა სასამართლოს ან საქმის განმხილველ სხვა ორგანოს წერილობით უნდა აცნობოს კლიენტთან ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ.[73]

ასევე მნიშვნელოვანია ქვემოთ მოყვანილი პრეცედენტი და ამასთან დაკავშირებით კომისიის გადაწყვეტილება.

ადვოკატს სამოქალაქო საქმეზე უნდა წარმოედგინა კლიენტის ინტერესები სასამართლოს ნებისმიერ ინსტანციაში და აღსრულების ეროვნულ ბიუროში. საჩივრის ავტორმა ადვოკატს ჰონორარის სახით გადასცა 2000 (ორი ათასი) ლარი. ადვოკატმა მონაწილეობა მიიღო სასამართლო მოსამზადებელ სხდომაში. საქმის წარმოება შეჩერდა ექსპერტიზის ჩატარების მიზნით. ადვოკატი არ დასწრებია სასამართლოს მთავარ სხდომას, ვინაიდან, როგორც აღმოჩნდა, მისთვის უცნობი იყო სხდომის თარიღი. სასამართლომ სხდომის თარიღი აცნობა მხოლოდ მხარეებს, ხოლო კლიენტი არ დაუკავშირდა ადვოკატს. სხდომაზე გამოუცხადებლობის გამო კლიენტმა ადვოკატს გაუუქმა რწმუნებულება. მინდობილობის გაუქმების შემდეგ ადვოკატმა ყოფილ კლიენტს არ დაუბრუნა თანხა ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელოს და გაწეული ხარჯის გამოკლებით.[74]

ეთიკის კომისიამ განმარტა, რომ „საადვოკატო მომსახურების საფასურს წარმოადგენს თანხა, რომელზეც ადვოკატი და კლიენტი წინასწარ თანხმდებიან გასაწევი იურიდიული მომსახურების სანაცვლოდ. შესაძლებელია ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა დასრულდეს ერთ-ერთი მხარის ნების საფუძველზე, ადვოკატის მიერ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულებამდე. კლიენტის მიერ გარკვეული მოცულობის სამუშაოს გასაწევად გადახდილი შეთანხმებული ჰონორარი, არ მიიჩნევა ადვოკატის მიერ სამართლიანად გამომუშავებულად, თუკი ადვოკატმა ვერ განახორციელა საადვოკატო მომსახურება იმ მოცულობითა და ფარგლებში, როგორც ამას კლიენტთან შეთანხმება ითვალისწინებდა. იმ შემთხვევაში, როდესაც ადვოკატს კლიენტისგან მიღებული აქვს შეთანხმებული საადვოკატო მომსახურების საფასური სრულად, ხოლო მან ხელშეკრულების შეწყვეტის გამო ვერ შეძლო წარმომადგენლობის დასრულება, ადვოკატს უფლება აქვს მიღებული თანხიდან გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და

73. წერილობითი რეკომენდაცია 014/14, 12 დეკემბერი 2014 წელი

74. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 037/14, 10 დეკემბერი 2014 წელი

გაწეული ხარჯი და ვალდებულია, დარჩენილი თანხა დაუბრუნოს კლიენტს. აღნიშნული ეთიკური ვალდებულების დაცვა ემსახურება კლიენტის ინტერესებს და ადვოკატის პროფესიულ სახეს, რომელიც თავისი ქმედებებით პატივისცემას უნდა აღძრავდეს კლიენტში და განამტკიცებდეს ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობას.

აღნიშნული ცხადყოფს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ადვოკატსა და კლიენტს შორის ურთიერთობის დასაწყისი, მათ შორის, საზღაურის გამჭვირვალობაც, რომელიც ურთიერთობის მანძილზე და დასრულებისასაც იჩენს თავს. ზოგჯერ მხარეებს არ აქვთ დრო, დეტალურად გაიარონ მოცემული საკითხი, რადგან კლიენტი ან მისი წარმომადგენელი ჩქარობს ადვოკატის მოწვევას სამართალწარმოების ამა თუ იმ ეტაპზე საპროცესო ვადების დაცვის მიზნით, რომელთა ამოწურვის/გაცდენის შემთხვევაში უარყოფითი და ზოგჯერ გადამწყვეტი შედეგებიც დგება. თუმცა, მას შემდეგ, რაც აუცილებელი ერთჯერადი იურიდიული მოქმედება განხორციელდება, ადვოკატი სასურველია დაუბრუნდეს კლიენტთან საზღაურის შესახებ შესათანხმებელ დებულებებს. ამასთან აღსანიშნავია, რომ წინდახედულობის უნარი ადვოკატს აძლევს „დროის მოგების“ საშუალებას. მაგალითად, წინასწარ შემუშავებული მზა ხელშეკრულების ფორმები, რომლებიც მხოლოდ მცირე დეტალურ დამუშავებას საჭიროებს, მათ შორის, ფინანსურ მხარესაც.

2.8. ადვოკატებისათვის დადგენილი საერთაშორისო და ადგილობრივი მოთხოვნები ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანასების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ.

ფულის გათეთრების წინააღმდეგ ფინანსურ ქმედებათა სპეციალური ჯგუფი (Financial Action Task Force on Money Laundering) შეიქმნა 1989 წელს პარიზში დიდი შვიდეულის წევრი სახელმწიფოების და მთავრობების მეთაურთა სამიტზე მიღებული გადაწყვეტილებით. FATF-ის მიზანია ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ საკანონმდებლო და ინსტიტუციონალური ღონისძიებების განვითარება და მხარდაჭერა, ფულის გათეთრების წინააღმდეგ საერთო პოლიტიკის წარმართვა. 1990 წელს FATF-ის მიერ შემუშავებულ იქნა 40 რეკომენდაცია, რომელიც კომპლექსური სამართლებრივი და ფინანსური ღონისძიებების გატარების გზით მიზნად ისახავდა ეროვნულ დონეზე ფულის გათეთრების პროცესის აღკვეთის ხელშეწყობას.

აღნიშნულ ბრძოლას საქართველოც შეურთდა და დაიწყო ეროვნულ დონეზე შესაბამისი რეგულიაციებისა და ინსტიტუციების ჩამოყალიბება. რეგულაციები, სხვაგვარად რომ ვთქვათ,ფულის გათეთრების საწინააღმდეგო აკრძალვები,განსაკუთრებით საყურადღებოა ფულის გათეთრე-

ბის საფრთხეებიდან გამომდინარე ისეთ ინსტიტუციებში, სადაც მაღალია რისკის მაჩვენებელი.

ისეთი პროფესიის ადამიანები, როგორებიც არიან ადვოკატები, მარეგულირებელი ორგანოების მიერ განიხილებიან „დარაჯებად“ (gatekeepers), რომელთაც შეუძლიათ ხელი შეუწყონ ან შეუშალონ სისტემაში „ჭუჭყიანი ფულის“ შემოსვლას. საერთაშორისო დებულებები, რომლებიც ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის რეჟიმებს ადგენენ, მოცემულია ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის (FATF M/L) რეკომენდაციებში და ფულის გათეთრების შესახებ ევროპის საბჭოს 4-ე დირექტივაში. ისინი შემუშავებულია, რათა მიღწეულ იქნას ორი მნიშვნელოვანი მიზანი, რომლებიც მოიცავენ მოთხოვნას, რომ კონკრეტული პროფესიის პირი, როგორიც არის ადვოკატი, უნდა „იცნობდეს თავის კლიენტს“ და იცოდეს კლიენტის დაფინანსების წყარო და საეჭვო გარიგებების არსებობის შესახებ ვალდებულია წარუდგინოს ანგარიშები ეროვნული დაზვერვის სამსახურებს. აღნიშნულის მიზანს წარმოადგენს სახელმწიფო ორგანოებისათვის საფუძვლის შექმნა, განსაზღვრონ და დაადგინონ დანაშაულებრივი საქმიანობიდან მიღებული ფულის ზუსტი ადგილსამყოფელი.[75]

კლიენტის იდენტიფიკაცია მოითხოვს ადვოკატისაგან, მოახდინოს მისი კლიენტის იდენტიფიკაცია რეკომენდაციებით და დირექტივით დადგენილი წესების შესაბამისად. ამ მიზნით კლიენტი, რომლის იდენტიფიცირებაც ხდება, არის პირი, ვისი სახელითაც იდება გარიგება. ასევე შეიძლება იყოს პირი, რომელიც არის წილის ან აქტივების ბენეფიციარი მესაკუთრე. სახელმძღვანელო პრინციპი კი არის „გამჭვირვალობა“, რაც იმას ნიშნავს, რომ ძირითადი ბენეფიციარი მესაკუთრის ვინაობა უნდა შემოწმდეს ყველა გარიგებაში.

ადვოკატს მოეთხოვება, მიიღოს ინფორმაცია, თუ რა არის მასთან ურთიერთობის მიზანი და კლიენტის განზრახვა. მნინშვნელოვანია გარიგების სახეც, რაც მთლიანობაში იძლევა პირველადი შეფასების საშუალებას, თუ რამდენად შეიძლება იყოს ადვოკატთან ურთიერთობისას ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკი. რეკომენდაციაში და დირექტივაში ნახსენებია „გაძლიერებული იდენტიფიკაცია და ვერიფიკაცია“. შესაბამისად, ყველა ადვოკატმა უნდა გაატაროს სათანადო ზომები, რათა დაადგინოს კლიენტისაგან მისივე დაფინანსების წყარო. თუ ადვოკატი ვერ დაადგენს დაფინანსების წყაროს, იგი ვერ შეძლებს განსაზღვროს, არსებობს თუ არა საფუძვლიანი ეჭვი დანაშაულებრივი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის შესახებ.

ადვოკატისთვის ხშირად საჭირო ხდება, შეამოწმოს კლიენტის მითითებების უტყუარობა. მაგალითად: თუ კლიენტი განმარტავს, რომ ფული ოფშორულ ზონაშია განთავსებული გადასახადების შემცირების კანონიერი

75. „ფულის გათეთრების შესახებ“ ევროპის საბჭოს 4 ე დირექტივა. (EU) 2015/849

სქემის შესაბამისად, საჭიროა, ადვოკატმა გადაამოწმოს, თუ რამდენად შეესაბამება ეს სინამდვილეს. აღნიშნულთან დაკავშირებით ადოვოკტმა შესაძლებელია საგადასახადო წარმომადგენლისგან მიიღოს ინფორმაციაზე.

თანახმად რეკომენდაციისა და დირექტივისა, ფინანსური ინსიტიტუციებისა და სხვა პროფესიის პირებთან ერთად, ადვოკატი ვალდებულია კლიენტისგან მოიძიოს ინფორმაცია, სანამ ადვოკატი დაიწყებს მისი მითითებების შესრულებას. ინფორმაციის მოძიებისათვის ადვოკატი სთხოვს კლიენტს მიაწოდოს დაფინანსების წყარო და სხვა დეტალები

დავუბრუნდეთ ფულის გათეთრების არსს. რა სახის ქმედება შეიძლება წარმოადგენდეს ფულის გათეთრებას? აღნიშნული ნიშნავს არა მხოლოდ ფულის დანაშაულებრივი წყაროს შენიღბვასა და დამალვას, არამედ დანაშაულებრივი ფულის გამოყენებას ქონების შეძენისას ან ინვესტიციის გაკეთებისას. ნებისმიერი პირი, რომელიც ეხმარება ასეთ პირს დანაშაულებრივი ქონების გამოყენებაში, არის მისი თანამონაწილე, როგორც ფულის გამთეთრებელი.

შეუძლია თუ არა ადვოკატს შეატყობინოს მის კლიენტს, რომ მომზადდა საეჭვო საქმიანობის ანაგრიში? აღნიშნულს უარყოფითად პასუხობს დირექტივა, ადვოკატს არ შეუძლია შეატყობინოს არც კლიენტს და სხვა პირს. საჯარო ორგანოსათვის გადაცემული ყველა ინფორმაცია განიხილება კონფიდენციალურად საჯარო ინტერესებისათვის.

ფულის გათეთრების ეტაპები ანუ როგორ ხდება:

ა) განთავსება – ფინანსურ სისტემაში „ჭუჭყიანი“ ფულის შემოსვლა
ბ) დანაწევრება – ფულადი სახსრების უკანონო წყაროების დამალვა მთელი რიგი კომპლექსური ფინანსური გარიგებების საშუალებით, სადაც შეიძლება მონაწილეობდნენ ადვოკატები დანაშაულის ჩადენის გარეშე (კანონიერი პროცედურები)
დ) ინტეგრაცია – ფულის სისტემაში, როგორც „სუფთა“ ფული, ერთი შეხედვით ნებისმიერი აშკარა, უწყინარი გზით, როგორიც არის ქონების გაზრდის შედეგად მიღებული შემოსავალი.

ადვოკატები პასუხისმგებელნი არიან ფულის გათეთრების ნიშნების ამოცნობაზე. ისინი შეფასდებიან იმ სტანდარტით, თუ როდის უნდა გასჩენოდა გონიერ ადვოკატს ეჭვი.

საინტერესო კითხვები, რომლებიც რეკომენდატორების აზრით ადვოკატს აძლევს საშუალებას მოახდინოს გარკვეული ანალიზი.

რატომ აგირჩიათ კლიენტმა თქვენ? შეუძლია მას იპოვოს მსგავსი მომსახურება თქვენს ირგვლივ კერძო სექტორში?

გთხოვენ თუ არა ისეთი საქმის გაკეთებას, რომელიც არ შეესაბამება საქმიანობის ჩვეულებრივ მოდელს?

ასევე მნიშვნელოვანია სთხოვენ თუ ადვოკატს არა საბანკო მომსახურების/ოპერაციის შესრულება/განხორციელება იურიდიული ხასიათის საამუშაოს განხორციელების გარეშე. საჭირო მეტი სიფრთხილე გამოიჩინოს

ადვოკატმა თუ კლიენტისგან იღებს ის საზღაურს, მაგრამ მასთან დაკავშირებული მითითებები შემდგომ გაუქმდა და ადვოკატს სთხოვენ თანხის უკან დაბრუნებას ან გადარიცხვას. ადვოკატის ასევე ფრთხილად უნდა იყოს თუ კლიენტი წარმოადგენილია საზღვარგარეთ დაფუძნებული უცხო ქვეყნის ბანკის ან მესამე პირის მეშვეობით.

ადვოკატი რაც უფრო კარგად იცნობს მის კლიენტს და იცის მასთან დაკავშირებული დეტალებიც, გარიგების მიზეზი, მით უფრო ნაკლებია ალბათობა რომ ადვოკატი ჩაერთოს ფულის გათეთრებაში.

2.9. საადვოკატო საქმიანობა და ადვოკატის ფინანსური საქმიანობა. პროფესიული პრივილეგია. კლიენტის იდენტიფიკაცია

საადვოკატო საქმიანობის ბუნება, როგორც ზემოთ არაერთხელ აღინიშნა, წარმოადგენს იურიდიულ მოქმედებათა კომპლექსს. არის თუ არა ადვოკატის ესა თუ ის მოქმედება იურიდიული მოქმედება, მისი ბუნებით, შინაარსითა და მიზნით შეიძლება გაირკვეს. მაგ: ბრალდებულის ინტერესების დაცვა სისხლის სამართალწარმოებისას, სამოქალაქო სამართალწარმოებისას ქორწინების შეწყვეტა და ალიმენტი. ადმინისტრაციული სამართალწარმოებისას ადმინისტრაციული აქტის გასაჩივრება და ა.შ. თუმცა, გარდა ამისა, ადვოკატს კლიენტმა შეიძლება დაავალოს, მისი სახელით შეიძინოს რაიმე ქონება, აქტივი, დააფუძნოს კომპანია, შეიძინოს აქციები და სხვა. ასეთი მოქმედებები უფრო მეტად ქონებრივი ან ფინანსური ხასიათისაა და ნაკლებად გულისხმობს კლიენტის ინტერესების დაცვას. შესაბამისად, ძირითადად ასეთი ურთიერთობები გამოირჩევა ფულის გათეთრების მაღალი რისკ ფაქტორით. საერთაშორისო ექსპერტების განმარტებით FATF[76] რეკომენდაციები და ევრო საბჭოს მე-4 დირექტივის მოთხოვნები უმთავრესად ვრცელდება ადვოკატის ფინანსურ მოქმედებებში ჩართულობაზე და ნაკლებად – უფლების დაცვის კლასიკურ საქმიანობაზე.

როგორ გამოიყურება დღევანდელი ადგილობრივი სისტემა პროფესიის მხრიდან.

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის თანახმად ადვოკატის ვალდებულებაა არ გაამჟღა-

76. FATF – ფულის გათეთრების წინააღმდეგ ფინანსურ ქმედებათა სპეციალური ჯგუფი (Financial Action Task Force on Money Laundering) შეიქმნა 1989 წელს პარიზში დიდი შვიდეულის წევრი სახელმწიფოების და მთავრობების მეთაურთა სამიტზე მიღებული გადაწყვეტილებით. FATF-ის მიზანია ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ საკანონმდებლო და ინსტიტუციონალური ღონისძიებების განვითარება და მხარდაჭერა, ფულის გათეთრების წინააღმდეგ საერთო პოლიტიკის წარმართვა.

ვნოს ინფორმაცია, რომელიც რაიმე ფორმით მაინც არის დაკავშირებული კლიენტთან (დოკუმენტაცია, ზეპირი ინფორმაცია, ფინანსები და თავად ადვოკატისადმი მიმართვის ფაქტიც კი). აღნიშნულის მიზანი ადვოკატის პროფესიისადმი ნდობაა, რომლის გარეშეც შეუძლებელია ადამიანის უფლებების დაცვა.

პროფესიული საიდუმლოების გამჟღავნების რისკები და მნიშვნელობა

- შემკვეთის ან კლიენტისგან ადვოკატის საბანკო ანგარიშზე განხორციელებული ტრანზაქციები, რომელთა რაოდენობა აღემატება 30 000 ან 50 000 ლარს, იქცევს ბანკის მონიტორინგის ყურადღებას და ტრანზაქციაზე იწყება დაკვირვება. საადვოკატო საქმიანობისას არსებობს სპეციალური მიდგომა – ადვოკატს კანონით განსაზღვრული შემთხვევის დადგომისას კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის (ბრძანება) შესაბამისად წარმოეშობა ვალდებულება, შეატყობინოს ადვოკატთა ასოციაციას ანუ მოახდინოს კლიენტის თანხმობის გარეშე ინფორმაციის გასაჯაროვება.
- რეგულაციები:

ა) ევრო საბჭოს კონვენცია „დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების გათეთრების, მოძიების, ამოღების და კონფისკაციის და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ“;
ბ) ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის საერთაშორისო კონვენცია
გ) გაეროს პრინციპები „ადვოკატთა როლის შესახებ“
დ) კანონი „ადვოკატთა შესახებ კანონი“ და მიმდინარე საპროცესო კანონმდებლობა განმარტავს იმ პირების სტატუსს და არსს, ვინც შეიძლება უხდიდეს ადვოკატს საზღაურს. „საადვოკატო საქმიანობა მოიცავს: ადვოკატის მიერ იურიდიული რჩევის მიცემას იმ პირისათვის, რომელმაც მას დახმარებისათვის მიმართა (კლიენტი);“ ადვოკატს შეიძლება საზღაური გადაუხადოს როგორც კლიენტმა ისე ნებისმიერმა პირმა, რომელთანაც ადვოკატს აქვს კომუნიკაცია და თანხმდება საზღაურზე, მის ოდენობაზე. ამავე კანონის თანახმად, კლიენტს უფლება აქვს, ადვოკატს მოსთხოვოს არა მხოლოდ საზღაურის ოდენობის, არამედ მასთან საერთოდ მიმართვის ფაქტის კონფიდენციალობა. .
ე) კანონი „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ – მოცემული კანონი იცნობს ორი სახის გარიგებას: საეჭვო გარიგება და უჩვეულო გარიგება. საეჭვო გარიგების არსებობისათვის კანონის თანახმად საჭიროა არსებობდეს საფუძვლიანი ეჭვი, რომ გარიგება დაიდო ან შესრულდა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის მიზნით, ხოლო უჩვეულო გარიგების შემთხვევაში კი – სირთულე (როგორც მახასიათებელი). ამ კუთხით, ადვოკატის სასარგებლოდ მიღებული

შემოსავალის საეჭვოობას შეიძლება გააჩნდეს რამდენიმე ძირითადი პრაქტიკული ტესტის ერთობლიობა: 1. შეთანხმების გარეშე მიღებული საზღაური/სარგებელი 2. ადვოკატის ანგარიშზე მიღებული შემოსავლის ადვოკატისათვის უცნობი წყარო 3. ადვოკატისათვის კომერციული შეკვეთის (მატერიალური და არამატერიალური ქონების შეძენა, რეალიზაცია და სხვა) არსებობის შემთხვევა, რაც არ გულისხმობს კლიენტისათვის იურიდიული დახმარების გაწევას (იურიდიულ კონსულტაციას და იურიდიული ხასიათის დოკუმენტების შექმნას, სამართალწარმოების პროცესს, როგორც ადმინისტრაციულ ორგანოში ისე სასამართლოში)

ვ) 2014 წლის 2 ოქტომბრის N2 ბრძანებას *„ადვოკატის მიერ ინფორმაციის მიღების, სისტემატიზაციის, დამუშავებისა და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციისათვის წარდგენილი ინფორმაციის საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის გადაცემის წესის შესახებ“* დებულების დამტკიცების თაობაზე – მოცემული ნორმა იერარქიულად წარმოადგენს კანონქვემდებარე აქტს. საქართველოში ნორმათა იერარქია განისაზღვრება კანონით „ნორმატიული აქტების“ შესახებ, რომლის შესაბამისად მოცემული ბრძანება იერარქიულად დაბლა დგას არამც თუ კონსტიტუციასთან და საერთაშორისო აქტებთან, არამედ კანონთან მიმართებაშიც. ასეთი კონფლიქტის შემთხვევაში გამოიყენება უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმა. ამასთან, კანონი ადვოკატთა შესახებ, რომელიც სპეციალურია და საუბრობს კონფიდენციალობის დაცვაზე, რითაც მოიაზრება კლიენტის ნებისმიერი ინფორმაცია და მასზე უპირატესი იურიდიული ძალის მქონე აქტი – გაეროს პრინციპები „ადვოკატის როლის შესახებ,“ რომელიც სახელმწიფოებს ავალდებულებს ადვოკატზე გადაცემული ინფორმაციის საიდუმლოდ შენარჩუნების ხელშეწყობას და თავად ადვოკატს ავალდებულებს დაიცვას კლიენტისა და მისი ინტერესების ირგვლივ არსებული ინფორმაციის კონფიდენციალობა. შესაბამისად აქტების კონფლიქტის შემთხვევაში იურიდიულად უპირატესობა ენიჭება უმაღლეს აქტს (გაეროს პრინციპები) და სპეციალურ კანონს (ადვოკატთა შესახებ) 2014 წლის 2 ოქტომბრის N2 ბრძანებასთან მიმართებაში. ამრიგად, ადვოკატმა არ უნდა გაამჟღავნოს კლიენტის ირგვლივ არსებული ინფორმაცია, თუ არ არსებობს შესაბამისი თანხმობა.

ნათელია, რომ ადვოკატის პროფესიისთვის დამახასიათებელი აღნიშნული პრივილეგია და თავისებურება არის ფულის გამთეთრებლისთვის მიმზიდველი ფაქტორი, რის გამოც ის ირჩევს ადვოკატს და არა სხვა იურისტს, ასევე შეიძლება შეარჩიოს სხვა მსგავსი პრივილეგიით აღჭურვილი სხვა ფინანსისტიც (მაგ: აუდიტორი).

2.10. რისკის შეფასება – ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების სფეროში მყოფი სისუსტეები.

ინდივიდუალური სახის პროფესიული საქმიანობისას, რა დროსაც სხვადასხვა ხასიათის საკითხი წარმოიშვება კლიენტსა და ადვოკატს შორის. როგორც ზემოთ იქნა ნახსენები, არსებობს ადგილები და ფაქტორები, რომლებიც არის ფულის გამთეთრებლისთვის მიმზიდველი, ხოლო პროფესიული საქმიანობისათვის კი რისკებს წარმოადგენს. მათ შორის, არა მხოლოდ ფინანსური ხასიათის ურთიერთობისას კლიენტთან, არამედ იურიდიული მოქმედებების განხორციელების პროცესშიც. მაგალითად, კლიენტმა ადვოკატს დაავალა მისი მოწინააღმდეგე მხარის წინააღმდეგ სასამართლო წესით (სასარჩელო წარმოება) დავის წამოწყება. კლიენტის განზრახვაა ხელოვნურად შექმნას დავის წამოწყების პრეცედენტი. სასამართლო წარმოებას იწყებს მხარე და სასამართლო განხილვის შესაბამის ეტაპზე ურიგდება მოწინააღმდეგეს. მორიგების ფაქტით ან/და პირობებით ხდება „ჭუჭყიანი ფულის გარეცხვა“.

აუცილებელია, რომ ადვოკატმა რომელიც არის ჩართული ფინანსურ გარიგებებში, გამოიჩინოს წინდახედულობა და შეაფასოს რისკები. როგორია კლიენტის ირგვლივ ინფორმაცია, რას საქმიანობს, როგორ შეიძლება მისი ვინაობის შემოწმება, რამდენად უჩვეულოა მისი დავალება და სურვილი. ასევე საუბარია კლიენტის ვინაობის დადგენის მცდელობაზე, ერთგვარ მონიტორინგზე. რას შეიძლება რომ ადვოკატმა მიაქციოს ყურადღება:

თავი III

მანდატის შინაარსი და მოცულობა

3.1. ადვოკატის როლი სამოქალაქო პროცესში.
   3.1.1. მოსარჩელის, მოპასუხისა და მესამე პირის წარმომადგენელი.

3.2. მანდატის მიღება.
   3.2.1. ვითარებაში გარკვევა.
   3.2.2. სამართალწარმოების მანდატი.

3.3. ინტერესთა კონფლიქტი და მისი აცილება.

3.4. საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება.

3.1. ადვოკატის როლი სამოქალაქო პროცესში

3.1.1. მოსარჩელის, მოპასუხისა და მესამე პირის წარმომადგენელი

საქართველოს კანონმდებლობა ყველა ადამიანს ანიჭებს თანაბარ უფლებამოსილებას თავისი უფლებების და თავისუფლებების დასაცავად მიმართოს სასამართლოს, უფრო მეტიც საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად „დაცვის უფლება გარანტირებულია[77]“.

ზემოაღნიშნული კონსტიტუციური ნორმა უზრუნველყოფს ნებისმიერი პირის უფლებას, იყოლიოს წარმომადგენელი მისი უფლებების და ინტერესების დასაცავად, როგორც სასამართლოში, ასევე მესამე პირებთან ურთიერთობაში, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ქართული მართლმსაჯულების სისტემა, მათ შორის, იცნობს ე.წ. pro se litigants[78]-ის ინსტიტუტს, როდესაც პირი საკუთარი სახელით ახორციელებს წარმომადგენლობას სასამართლოში სამოქალაქო საქმისწარმოების სტადიაზე, თუმცა, აღნიშნული არ გამორიცხავს მისი მხრიდან წარმომადგენლის ყოლას.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა სავალდებულო სახით წარმომადგენლის (იგულისხმება ადვოკატის, ანუ სპეციალური ცოდნისა და კვალიფიკაციის მქონე პირის, რომელსაც აქვს ჩაბარებული საადვოკატო საკვალიფიკაციო გამოცდა და არის ადვოკატთა ასოციაციის წევრი), ყოლას ითვალისწინებს მხოლოდ სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოებში, რაც იმას ნიშნავს, რომ პირველ ინსტანციაში, მხარის წარმომადგენელი შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი[79], მათ შორის, არაიურისტიც, რაც თამამად შეიძლება ითქვას, რომ არ არის გამართლებული და ზიანს აყენებს ხარისხიანი მართლმსაჯულების იდეას და მის განხორციელებას, რადგან ერთი მხრივ, ცალსახაა რომ პირველ ინსტანციაში არსებითად წყდება საქმისწარმოების ბედი, რადგან ამ ეტაპზე ხდება მოთხოვნის ჩამოყალიბება, ფაქტობრივ გარემოებებზე მითითება, მტკიცებულებების წარდგენა და ა.შ, რაც როგორც წესი დაგვიანებული და შეუძლებელია მეორე ინსტანციაში. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ამ ეტაპზევე ადვოკატის, როგორც დარგის სპეციალისტის მონაწილეობა. მეორე მხრივ, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ პირველ ინსტანციაში, მაშინ როდესაც ერთ მხარეს შეიძლება წარმოადგენდეს ადვოკატი, რომელიც ემორჩილება ეთიკის წესებს და სტანდარტებს, ის უთანაბრო მდგომარეობაში არის ჩაყენებული, როდესაც მეორე მხარის წარმომადგენლად გამოდის არაადვოკატი პირი, რომელზეც არ ვრცელდება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის წესები, მაღალი მოთხოვნები და სტანდარტები.

---

77. საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 42.

78. Pro se litigant – ლათინური სიტყვაა და ნიშნავს „საკუთარი სახელით თავის წარმომადგენლობას“

79. იხ.საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 94-ე მუხლი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა უზრუნველყოფს ყოველი პირისათვის უფლების სასამართლო წესით დაცვას[80].

უნდა აღინიშნოს, რომ სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა აგებულია მხარეთა დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპებზე, რაც სწორედ იმას გულისხმობს, რომ მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებით და შესაძლებლობებით და თავად გეგმავენ საქმისწარმოების სტრატეგიას და იმასაც კი, საერთოდ დაიწყონ სამართლებრივი საქმისწარმოება, თუ არა. სწორედ ამ სტადიაზევე მათთვის იურიდიული კონსულტაციის გაწევა უპრიანია სწორი საბოლოო მიდგომის ჩამოსაყალიბებლად. თუმცა, ბუნებრივია, ამ ნაწილშიც მხარის გადასაწყვეტია, იყოლიებს წარმომადგენელს თუ არა, რაც თავის მხრივ ასევე დამოკიდებულია მხარის ფინანსურ შესაძლებლობებზე.

ადვოკატი გახლავთ სწორედ ის პირი, რომელმაც მხარე (მოსარჩელე, მოპასუხე და მესამე პირი) უნდა წარმოადგინოს სასამართლოში და რომელიც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მხარის იურიდიულ ბედს საქმისწარმოებაში. კერძოდ, ადვოკატი არის (უნდა იყოს[81]) პირი რომელმაც მხარეს უნდა მისცეს რჩევა და კონსულტაცია, იმის შესახებ თუ რამდენად პერსპექტიულია საქმისწარმოების დაწყება და წარმოება სასამართლოში და ხომ არ არის დავის წარმოება მხარის საბოლოო ინტერესის და მიზნის მიღწევისთვის არახელსაყრელი და უპერსპექტივო. ადვოკატის რეკომენდაცია საქმისწარმოების დაწყებაზე მხარეს[82] უნდა მიეწოდოს იმგვარად, რომ მას არ შეექმნას შთაბეჭდილება, რომ ეს იმავდროულად ნიშნავს საქმის წარმატებით დასრულების გარანტიას[83]. ქართულ რეალობაში გვხვდება შემთხვევები, როდესაც მხარე ადვოკატს სთხოვს გარანტიებს საქმის წარმატებით დასრულების თაობაზე, რაც დაუშვებელია და ერთი მხრივ, მიუთითებს საზოგადოების სამართლებრივი მართლშეგნების სიმწირეზე, ხოლო, მეორე მხრივ, აუცილებლობაზე, რომ ადვოკატმა, რომელიც საქმის პირველად გაცნობას ახდენს, თავის მხრივ, განუმარტოს მარწმუნებელს აღნიშნული საკითხი, კერძოდ, გარანტიების დაუშვებლობა.

მნიშვნელოვანია წარმომადგენელი ზუსტად გაერკვეს მოსარჩელის მოთხოვნის ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძვლებში და დაეხმაროს მხარეს სწორად ჩამოაყალიბოს სასარჩელო მოთხოვნები და ზუსტად განსაზღვროს მოპასუხეთა წრე. ადვოკატი ვალდებულია მოსარჩელეს და-

80. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 2 („უფლების სასამართლო წესით დაცვა“)

81. არის შემთხვევები, როდესაც მხარე ადვოკატს საქმისწარმოების დაწყების შემდგომ მიმართავს, რაც რიგ შემთხვევაში დაგვიანებულია მისი ინტერესების სამართლებრივად სწორე რეგლამენტაციის მიზნებისათვის.

82. ამ კონტექსტში იგულისხმება ნებისმიერი მხარე

83. ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8.3 მუხლის თანახმად „ადვოკატს უფლება არა აქვს კლიენტს მისცეს გარანტიები მისგან აღებული საქმის შედეგთან დაკავშირებით“

ეხმაროს არსებითი და მეორეხარისხოვანი გარემოებების, ფაქტების ერთმანეთისგან გამიჯვნაში და კონცენტრირება მოახდინოს მთავარ და გადამწყვეტ საკითხებზე.

ზემოაღნიშნული პრინციპები და დათქმები თანაბრად ვრცელდება ნებისმიერი მხარის წარმომადგენელზე, იქნება ეს მოსარჩელე, მოპასუხე, თუ მესამე პირი.[84] აქვე უპრიანია განიმარტოს და დაზუსტდეს მესამე პირის ცნება, რათა ნათელი იყოს მისი სტატუსი პროცესში.

კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს ორი სახის მესამე პირს :

ა) ერთი ეს არის მესამე პირი დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით, ანუ ეს არის დაინტერესებული პირი, რომელიც აცხადებს დამოუკიდებელ მოთხოვნას დავის საგანზე ან მის ნაწილზე, და შეუძლია აღძრას სარჩელი ორივე ან ერთ-ერთი მხარის მიმართ. ამ კატეგორიის მესამე პირის შემთხვევაში მნიშვნელოვანია რომ გვახსოვდეს უმთავრესი პრინციპი, რომ მესამე პირები დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით სარგებლობენ მოსარჩელის ყველა უფლებით და მათ ეკისრებათ მისი ყველა მოვალეობა ანუ ფაქტობრივ მესამე პირი დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით წარმოადგენს მოსარჩელის იდენტურ პროცესუალურ მხარეს.

ბ) მესამე პირის კიდევ ერთ კატეგორიას წარმოადგენს მესამე პირი დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე, რომელიც წარმოადგენს დაინტერესებულ პირს, რომელიც არ აცხადებს დამოუკიდებელ მოთხოვნას დავის საგანზე ან მის ნაწილზე, თუმცა სასამართლო გადაწყვეტილებას საქმეზე შეუძლია შემდგომში გავლენა მოახდინოს მის უფლებებსა და მოვალეობებზე ერთ-ერთი მხარის მიმართ.

მოპასუხისა და მესამე პირის შემთხვევაში წარმომადგენლის უპირველესი ვალდებულებაა დროულად და სწორედ გაერკვეს თუ რამდენად მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირი წარმოადგენს სასარჩელო მოთხოვნის ადრესატს, ანუ მოპასუხეს, ან მესამე პირს. მოპასუხის წარმომადგენლის შემთხვევაში, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა იცნობს შესაძლებლობას მოპასუხის მხრიდან სადავოდ გახადოს ეს სტატუსი, ანუ საუბარია არასათანადო მოპასუხეობის შესაძლებლობაზე, რა კუთხით ადვოკატის რჩევა გადამწყვეტია მოპასუხისათვის[85], ისევე როგორც მესამე პირის შემთხვევაში უმნიშვნელოვანესია წარმომადგენლის სწორი და დროული რჩევა მხარისათვის, იმის შესახებ თუ რამდენად წარმოადგენს მხარე საქმეზე მესამე პირს, განსაკუთრებით ეს მნიშვნელოვანია მესამე პირებისთვის დამოუკი-

84. იხელეთ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XI თავი.

85. იხ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლი.

დებელი სასარჩელო მოთხოვნით, რადგან მათ მსგავსი შუამდგომლობით სასამართლოს, რათა ჩაერთოს საქმის წარმოებაში, შეუძლიათ მიმართონ საქმის წარმოების პაექრობის ეტაპამდე[86].

3.2. მანდატის მიღება

3.2.1. ვითარებაში გარკვევა

ადვოკატსა და კლიენტს შორის ურთიერთობის დაწყებამდე ადვოკატი ვალდებულია გაარკვიოს, ხომ არ აქვს მას რაიმე სახის ინტერესთა კონფლიქტი პოტენციური კლიენტის და/ან მისი მოწინააღმდეგე მხარის მიმართ. მხოლოდ ამ მნიშვნელოვანი დეტალის სრულყოფილად შესწავლის და დადგენის შემდგომ ადვოკატი ვალდებულია შეუდგეს საკითხში სრულყოფილად გარკვევას.

ამისათვის, ადვოკატი დეტალურად უნდა გაერკვეს საქმის არსში, შეისწავლოს საქმის შინაარსი, საქმეში არსებული ყველა ფაქტი და მარწმუნებლის მიერ მისთვის წარდგენილი დოკუმენტაცია, თუმცა, ამის გარდა ადვოკატი უნდა დაფიქრდეს, თუ რა შეიძლება იქნას დამატებით მოძიებული დოკუმენტაციის სახით, როგორც მტკიცებულება, რაც შეიძლება კლიენტსაც გააჩნდეს და ვერც ხვდებოდეს ამის შესახებ ან თუნდაც დაავალოს კლიენტს რაიმე დოკუმენტაციის მოძიება ან თავადაც შექმნას ან მოიპოვოს კლიენტის სასარგებლოდ მტკიცებულებები, რომლებიც გაამყარებს იმ არგუმენტაციას, რაც სარჩელის ან/და შესაგებლის მოთხოვნის ფაქტობრივი საფუძველი უნდა გახდეს.

აქვე უპრიანია აღინიშნოს, რომ საქმის ვითარებაში გარკვევისას მნიშვნელოვანი მომენტია ადვოკატის მხრიდან, ზუსტად დაადგინოს, თუ და რამდენად განიხილება კლიენტის ინტერესების დაკმაყოფილება და მისთვის სასარგებლო შედეგის მიღწევა მოწინააღმდეგე მხარესთან შესაძლო მორიგების მიღწევის გზით. თუ არსებობს ამის პოტენციალი, უპრიანია ადვოკატმა ურჩიოს კლიენტს ამ ეტაპის გავლა, რათა უმოკლესი და შედარებით ნაკლები დანახარჯით იქნეს მიღწეული კლიენტის ინტერესების დაკმაყოფილება, რაც მათ შორის, წარმოადგენს ადვოკატის ეთიკურ ვალდებულებასაც[87].

3.2.2. სამართალწარმოების მანდატი

ადვოკატი და კლიენტი ურთიერთობის დაწყებისთანავე უნდა ჩამოყალიბდნენ, თუ რა სახის მანდატს გასცემს ადვოკატზე კლიენტი და მე-

86. იხ.საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 88-ე მუხლი.

87. იხ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლი.

ორე მხრივ, რა სახის მანდატს იღებს კლიენტისგან ადვოკატი, კერძოდ, აღნიშნულის განმსაზღვრელი წინაპირობა უნდა იყოს ის კონკრეტული საჭირობები და გამოწვევები, რის გადასაწყვეტადაც კლიენტმა მიმართა ადვოკატს.

სასამართლოში სამართალწარმოების მანდატი და მისი შინაარსი გაწერილია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით[88], კერძოდ, კლიენტმა ადვოკატს შეიძლება მისცეს უფლებამოსილება სასამართლოში საქმის წარმოების თაობაზე, რათა მან მარწმუნებლის სახელით შეასრულოს ყველა საპროცესო მოქმედება, გარდა სარჩელის აღძვრისა, არბიტრაჟისათვის საქმის გადაცემისა, სასარჩელო მოთხოვნაზე მთლიანად ან ნაწილობრივ უარის თქმისა,სარჩელის ცნობისა, სარჩელის საგნის შეცვლისა, მორიგებისა, სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრებისა,სააღსრულებო ფურცლის გადასახდევინებლად წარდგენისა, მიკუთვნებული ქონების ან ფულის მიღებისა ანუ აღნიშნული უფლებამოსილებები წარმოადგენს იმ სპეციალურ უფლებამოსილებათა სპექტრს, რომელიც კლიენტის ინტერესის შემთხვევაში დამატებით უნდა იქნეს მითითებული რწმუნებულებაში.

3.3. ინტერესთა კონფლიქტი და მისი აცილება

(რამდენიმე კლიენტის წარმომადგენლობის შემთხვევაში ინტერესთა კონფლიქტის განსაზღვრა)

კლიენტის მიმართ ადვოკატის ერთგულების ვალდებულება ადვოკატისა და კლიენტის ურთიერთობის საფუძველია. ადვოკატი მოვალეა კლიენტი უზრუნველყოს დამოუკიდებელი პროფესიული მომსახურებით, ხოლო, როდესაც ამ დამოუკიდებლობას სხვა ინტერესი ზღუდავს და ეს კლიენტისათვის სასარგებლო არ არის, წარმოიშვება კონფლიქტი. ინტერესთა კონფლიქტის პრობლემა წარმოიშვება მაშინ, როდესაც ადვოკატმა, რომელიც რამდენიმე კლიენტს ემსახურება, იცის ერთი კლიენტის საიდუმლოება, რამაც შესაძლოა უპირატეს მდგომარეობაში ჩააყენოს მეორე კლიენტი. ასეთი ადვოკატი აუცილებლად დაარღვევს (სხვა გამოსავალი არ აქვს) ერთი კლიენტის საიდუმლოებას, ან იმაზე ნაკლები ხარისხით დაიცავს მეორე კლიენტის ინტერესებს, ვიდრე შესაძლებელი იქნებოდა პირველი კლიენტის საიდუმლოების დარღვევისას. ასეთ შემთხვევაში ნებისმიერი არჩევანი იწვევს ადვოკატის ვალდებულების დარღვევას და აქედან გამომდინარე, იქმნება ინტერესთა კონფლიქტი.

გასათვალისწინებელია, რომ ინტერესთა კონფლიქტს ძირითადად საფუძვლად უდევს სამი ინტერესი: ა) კონფიდენციალობის დაცვის უზრუნველყოფა ბ) კლიენტისადმი ერთგულების პრინციპი გ) ზრუნვა, რათა თავიდან იქნას აცილებული თუნდაც რაიმე სახის არაკორექტულობის მომენტი.

88. იხ.საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლი

ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებული პრობლემის გაანალიზებისას არსებობს შემდეგი საკითხები:

1. რა არის ინტერესთა კონფლიქტის წყარო (რამდენიმე კლიენტის კონფლიქტი? მესამე პირის ჩარევა? ადვოკატის ინტერესები?)
2. არის თუ არა კონფლიქტი ისეთი ტიპის, რაც კლიენტს ადვოკატის აცილების საშუალებას აძლევს?
3. რას აზიანებს ინტერესთა კონფლიქტი? რა შედეგები დგება?
4. კიდევ ვის შეუძლია კანონის გამოყენებით ინტერესთა კონფლიქტის გამო ადვოკატი ჩამოაცილოს წარმოებას?
5. შეიძლება ჯერ არ გვაქვს სახეზე ინტერესთა კონფლიქტი, მაგრამ როგორ შეიძლება დავინახოთ მისი საფრთხე?

პრაქტიკაში სხვადასხვა სამართალწარმოებას შედარებით განსხვავებული სიხშირით და ფორმით ახასიათებს ინტერესთა კონფლიქტის ნიადაგის მომზადება. მაგ: სისხლის სამართალწარმოებისას, როდესაც ადვოკატი ბრალდებულად ცნობილი ორი ან სამი პირის ინტერესებს იცავს. ამავე დროს ადვოკატის კლიენტის/კლიენტების ინტერესებისათვის სასარგებლო შესაძლო მოწმე ამავე ადვოკატს კონსულტაციას სთხოვს ან ბრალდების მხარის მიერ სასამართლოში დასაკითხ მოწმეთა სიაში შეყვანილი პირი დაცვის მხარეს, ანუ ადვოკატს კონსულტაციისათვის მიმართავს მისი, როგორც მოწმის უფლებებისა და მოვალეობის განმარტებისათვის. აღნიშნული, რა თქმა უნდა, არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ადვოკატის მდგომარეობა უკვე ინტერესთა კონფლიქტად შევაფასოთ. თუმცა, საკმარისია, ადვოკატის დაცვის ქვეშ მყოფი 3 პირიდან (ბრალდებულიდან) ერთ-ერთი ბრალს დაეთანხმოს, ხოლო მეორე – არა, რომ ადვოკატი აღმოჩნდეს ინტერესთა კონფლიქტის ქვეშ. ასევე, საკმარისია, ბრალდების მოწმემ სასამართლოში ჩვენების მიცემისას ადვოკატის კლიენტის (ბრალდებულის) საწინააღმდეგო ფაქტობრივი გარემოებები მიაწოდა სასამართლოს და დაცვის მხარის, ანუ ადვოკატის მიერ მისი კონსულტირების ფაქტზეც ისაუბროს, ადვოკატი აქაც იმყოფება ინტერესთა კონფლიქტში.

რას იცავს ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის პრინციპი? ის იცავს ადვოკატის დამოუკიდებლობისა და კლიენტთან ურთიერთობის ინფორმაციულ კონფიდენციალობას, რაც წარმოშობს ნდობას. ნათქვამია, ინტერესთა კონფლიქტში მყოფი პირი ჰგავს ჭადრაკის მარტო მოთამაშეს, რომელიც ორივე მხარეს ცდილობს სწორი სვლა გააკეთოს და მოიგოს.

ინტერესთა კონფლიქტის შედეგები ხშირად მძიმედ აისახება როგორც კლიენტის ინტერესებზე, ისე პროფესიულ ავტორიტეტზეც. ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის პრაქტიკა, პროფესიული ეთიკის კოდექსიდან გამომდინარე, პროფესიული კომპეტენციის ფარგლებში და საზოგადოებრივი ნდობის შენარჩუნების მიზნით, ინტერესთა კონფლიქტისაგან იცავს კლიენტის კანონიერ ინტერესებს და ადვოკატის პროფესიულ ავტორიტეტს, მისდამი ნდობას.

ინტერესთა კონფლიქტისგან მართლმსაჯულების მომხმარებელს და მის დამოკიდებულებას საქმის მწარმოებელი უწყებისადმი იცავს საპროცესო კანონმდებლობაც. ყოველივე კომპლექსურია და შესაბამისად თავად ადვოკატიც ცდილობს გამოიჩინოს მეტი წინდახედულობა ინტერესთა კონფლიქტის საფრთხის შესაძლო წარმოქმნის დროსაც.

პროფესიული ეთიკის კოდექსისა და ეთიკის კომისიის პრაქტიკა შემეცნებით როლს ასრულებს როგორც დამწყებთათვის ისე პროფესიონალებისათვის. ინტერესთა კონფლიქტი ა.პ.ე.კ. ში პრინციპის სახით არის მოცემული და პრაქტიკულმა გამოწვევებმა საჭირო გახადა დროთა განმავლობაში შესულიყო ცვლილებები მისი დახვეწის თვალსაზრისით.

ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის პრინციპი

1. ადვოკატს უფლება არა აქვს პროფესიული რჩევა მისცეს ან წარმოადგინოს ორი ან მეტი კლიენტი ერთი და იგივე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეზე, თუკი აღნიშნული კლიენტების ინტერესებს შორის არსებობს ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოქმნის მნიშვნელოვანი საფრთხე.
2. ინტერესთა კონფლიქტი არსებობს იმ შემთხვევებშიც, როდესაც: ა) ადვოკატის ვალდებულებები ორი ან მეტი კლიენტის წარმომადგენლობისას ერთი და იგივე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეში ურთიერთსაწინააღმდეგოა ან არსებობს ასეთი წინააღმდეგობის წარმოშობის მნიშვნელოვანი საფრთხე. ბ) კლიენტის ინტერესების შესაბამისად მოქმედების ვალდებულება ეწინააღმდეგება, ან არსებობს ასეთი წინააღმდეგობის წარმოშობის მნიშვნელოვანი საფრთხე ამ ადვოკატის ან მასთან დაკავშირებული პირის ინტერესებთან.
3. ერთ საადვოკატო ბიუროში (ოფისში, კანტორაში, იურიდიულ ფორმაში და ა.შ.) მომუშავე ადვოკატებს უფლება არა აქვთ მისცენ პროფესიული რჩევა ან წარმოადგინონ რამდენიმე პირი (კლიენტი) ერთი და იგივე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეზე, თუკი აღნიშნულ კლიენტებს შორის არსებობს ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოქმნის მნიშვნელოვანი საფრთხე.
4. ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობა ვრცელდება იმ შემთხვევებზეც, როდესაც ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოქმნის საფრთხე წარმოიშობა საქმის წარმოების პროცესში.
5. ადვოკატი ვალდებულია შეწყვიტოს ყველა კლიენტის საქმის წარმოება, რომელთა ინტერესებსაც იგი წარმოადგენდა, თუკი კლიენტებს შორის წარმოიქმნა ინტერესთა კონფლიქტი მოცემულ ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეზე და არსებობს ადვოკატის მიმართ ნდობის დარ ღვევის და/ან კონფიდენციალობის ხელყოფის საფრთხე.

მოცემული ჩანაწერის ბოლო, ანუ 5 ე ნაწილი სწორედ რომ ინტერესთა კონფლიქტის იურიდიულ შედეგებზე საუბრობს, რომელიც შესაძლებელია ზოგჯერ ფატალურიც კი აღმოჩნდეს კლიენტისათვის (ინტერესებისათვის) და გამოიწვიოს ბევრად მძიმე უკვე ფაქტობრივი შედეგები, რომელიც ნაკლებად წარმოუდგენია ან რომლებზეც შეიძლება არ დაფიქრებულა თავად ადვოკატი. ადვილი წარმოსადგენია, რომ ამ დროს კლიენტი კარგავს დაცვის უფლებას, რადგან მას აღარ ჰყავს ადვოკატი და საპროცესო ეტაპი ან მდგომარეობიდან გამომდინარე კლიენტის იურისტით წარმოდგენის აუცილებლობაზე მიუთითებს.

საინტერესოა კვლავ პრაქტიკული მხარე, ანუ როგორ გამოიყურება ინტერესთა კონფლიქტი და ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებებით დადგენილი ტენდენცია.

კლიენტთა, ისევე როგორც ადვოკატთა ინტერესები, საადვოკატო საქმიანობისას მრავალფეროვანია. ადვოკატის პროფესიულ ვალდებულებას წარმოადგენს ისე წარმართოს საადვოკატო საქმიანობა, რომ თავიდან აირიდოს ინტერესთა კონფლიქტი. აღნიშნული ვალდებულება გამომდინარეობს ადვოკატის როლიდან, რომელიც ერთის მხრივ, კლიენტის წარმომადგენელია, ხოლო მეორეს მხრივ, სამართლის სისტემის ნაწილი, რაც მას კლიენტთა, მართლმსაჯულების, პროფესიისა და საზოგადოების წინაშე ავალდებულებს, რომ საადვოკატო საქმიანობისას პროფესიული ეთიკის ნორმები დაიცვას.

ეთიკის კომისია გადაწყვეტილებაში საქმეზე #092/10, შეეცადა ჩამოეყალიბებინა ინტერესთა კონფლიქტის ცნება. აღნიშნული განმარტების თანახმად, „ინტერესთა კონფლიქტი წარმოიშობა, თუ ადვოკატის მიერ განხორციელებულ წარმომადგენლობაზე არსებით და უარყოფით გავლენას ახდენს ადვოკატის პირადი ინტერესი ან ვალდებულება კლიენტის, ყოფილი კლიენტის ან მესამე პირის მიმართ“.[89]

საინტერესოა ინტერესთა კონფლიქტის საფრთხე მაშინ როდესაც არსებობს ერთმანეთთან დაკავშირებული საქმეები.

ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის პრინციპის გავრცელება ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეებზე, გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ ეთიკის კოდექსის მოცემული მუხლის წინა რედაქციით, როგორც ეთიკის კომისიის პრაქტიკით გამოვლინდა, ვერ იფარებოდა ინტერესთა კონფლიქტის შემცველი შემთხვევები. ეთიკის კომისიამ ჯერ კიდევ 2010 წელს მიღებული გადაწყვეტილებით, ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის პრინციპი იმგვარად განმარტა, რომ ის არსებითად ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეებზეც გავრცელდა. მოცემული გადაწყვეტილება საფუძვლად დაედო მსგავს შემთხვევებში ეთიკის კომისიის ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებას. მოცემული მუხლის ამჟამინდელი ფორმულირებით ადვოკატს ეკრძალება საადვოკატო მომსახურების გაწევის შემდეგ

89. „ეთიკის კომისიის საქმიანობა, პრეცედენტები, რეკომენდაციები 2010-2013 წ.წ“

იმ კლიენტისათვის სამართლებრივი დახმარება, რომელსაც ყოფილი კლიენტისაგან განსხვავებული, არსებითად საწინააღმდეგო პოზიცია გააჩნია იმავე ან სამართლებრივად დაკავშირებულ დავაში. ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის პრინციპზე ეთიკის კომისიამ 2006-2013 წლების განმავლობაში განიხილა პრეცედენტული მნიშვნელობის საქმეები, რამაც ხელი შეუწყო ეთიკის კოდექსში ცვლილების განხორციელებასა და ინტერესთა კონფლიქტის გავრცელებას არსებითად დაკავშირებულ საქმეებზე.

როგორია საპროცესო ხედვა ანუ სამართალწარმოების ეტაპზე მყოფი ადვოკატის მდგომარეობა? როგორც ზემოთ აღინიშნა სისხლის სამართალწარმოების დროს კანონი ასევე არეგულირებს ადვოკატის მონაწილეობის გამომრცხავ მდგომარეობებს. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის

მუხლი 60. სისხლის სამართლის პროცესში ადვოკატის მონაწილეობის გამომრიცხავი გარემოებები

ადვოკატი ვერ მიიღებს მონაწილეობას სისხლის სამართლის პროცესში, თუ:

ა) ამ საქმეში მონაწილეობდა, როგორც მოსამართლე, ნაფიცი მსაჯული, პროკურორი, გამომძიებელი, სასამართლო სხდომის მდივანი, მოწმე ან ექსპერტი;

ბ) იურიდიულ დახმარებას უწევს ან უწევდა იმ პირს, რომლის ინტერესებიც ეწინააღმდეგება მის მიერ დასაცავი ბრალდებულის ინტერესებს, რომელსაც ის წარმოადგენს;

გ) ნათესაური ურთიერთობა აქვს მოსამართლესთან, პროკურორთან, გამომძიებელთან ან სასამართლო სხდომის მდივანთან, რომელიც მონაწილეობს ან მონაწილეობდა ამ საქმის გამოძიებასა თუ სასამართლო განხილვაში.

როგორც ვხედავთ პირველი და ბოლო გახლავთ უფრო კლასიკური შემთხვევა, ხოლო მეორე ანუ „ბ“ პუნქტი კი საუბრობს ისეთ შემთხვევაზე, როდესაც ადვოკატს ნებისმიერ პირისათვის გაუწევია ან ეხლაც უწევს იურიდიულ დახმარებას და ის ეწინააღმდეგება მისი კლიენტის ინტერესებს. საპირწონე კვლავ არის კლიენტის ინტერესების უპირატესობა, რაც აქაც ჩანს.

იურიდიული დახმარების გაწევა ადვოკატის მიერ ხდება როგორც წარმომადგენლობითი ისე მის გარეშეც. მათ შორის საკონსულტციოც ანუ რჩევის მიცემით, რაც ასევე წარმოადგენს იურიდიულ მოქმედებას. შესაბამისად ინტერესთა კონფლიქტი სახეზე იქნება თუ ადვოკატს გაწეული აქვს ან უწევს იურიდიულ დამხარება საკონსულტაციო რჩევის სახით პირს და მისი ინფორმაცია წინააღმდეგობაში მოდის ადვოკატის კლიენტის პოზიციასთან. აქედანაც ჩანს, რომ ადვოკატის წინდახედულობის უნარი საჭიროა და არის ერთგვარი რისკები.

ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევაში ადვოკატს საქმეს ჩამოაცილებს სასამართლო. შესაბამისად, ადვოკატს ეკრძალება გაუწიოს იურიდიული დახმარება როგორც მის კლიენტს, მათ შორის, სასამართლო დარბაზს გარეთ ასევე იმ პირსაც, რომლის ინფორმაცია ეწინააღმდეგებოდა ადვოკატის კლიენტის პოზიციას.

ეთიკის კომისიის განმარტებით, ადვოკატს ეკრძალება საადვოკატო მომსახურების გაწევა კლიენტებისათვის, რომელთაც არსებითად საწინააღმდეგო პოზიცია გააჩნია იმავე დავაში. ადვოკატი ვერ შეძლებს პარალელურად ორი კლიენტის ინტერესების დაცვას თუ ისინი პროცესუალურ მოწინააღმდეგეებს წარმოადგენენ. ეთიკის კომისიამ საქმეში N015/10 2011 წლის 20 აპრილის გადაწყვეტილებით დაადგინა, რომ „ადვოკატის მიერ საადვოკატო საქმიანობის განხორციელების პროცესში ორივე ინტერესის (კონფიდენციალობისა და კლიენტის ინტერესების უპირატესობა) დაცვა თანაბრად მნიშვნელოვანია და ადვოკატმა თავი უნდა აარიდოს შემთხვევებს, როდესაც შესაძლოა საფრთხის ქვეშ დადგეს ერთ-ერთი ინტერესი“. კლიენტის ინტერესების დასაცავად ადვოკატის მოქმედებები უნდა შეესაბამებოდეს კანონმდებლობას და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსს[90]

3.4. საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება.

ადვოკატსა და კლიენტს შორის ინტერესთა კონფლიქტის საკითხის გარკვევის და საქმის დეტალებში არსებითად გარკვვის შემდგომ ადვოკატი და კლიენტი უნდა შეთანხმდნენ საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების პირობებზე.

უპრიანია, ადვოკატმა ყოველთვის გააფორმოს კლიენტთან წერილობითი ხელშეკრულება, რომლის შინაარსი იქნება დეტალურად გაწერილი, რომლის ფარგლებში მხარეები ნათლად შეთანხმდებიან, თუ რა სახის მომსახურება უნდა გაუწიოს ადვოკატმა კლიენტს, იქნება ეს საკონსულტაციო მომსახურება, ამა თუ იმ იურიდიული დოკუმენტის შექმნა თუ სასამართლოში წარმომადგენლობა ან რაიმე სხვა სახის იურიდიული მომსახურება.

ისეთ შემთხვევაში, როდესაც კლიენტი ადვოკატს გადასცემს სასამართლოში წარმომადგენლობის მანდატს, უპრიანია ხელშეკრულებაში იყოს კონკრეტული მითითება, თუ რომელი ინსტანციის ფარგლებში წარმომადგენლობა იგულისხმება ხელშეკრულებით და ასევე აღინიშნოს ის დავა, რომელზეც ადვოკატს მინიჭებული აქვს უფლებამოსილება სასამართლოში წარმომადგენლობაზე.

საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების ფარგლებში მხარეები აუცილებლად უნდა შეთანხმდნენ იურიდიული მომსახურების ხარჯებზე და აღნიშნულის გადახდის პირობებზე, რათა ურთიერთობის დაწყების ეტაპ-

90. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 079/14, 06 აგვისტო 2015 წელი

ზევე გამოირიცხოს ყველა სახის შესაძლო გაუგებრობა და უთანხმოება.

საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებაში ყოველთვის დეტალურად და ნათლად უნდა იქნეს გაწერილი მხარეთა უფლება-მოვალეობები ერთმანეთის მიმართ, ისევე როგორც გაიწეროს ხელშეკრულების შეწყვეტის წინაპირობები, საფუძვლები.

ცალსახად ხაზგასასმელი და აღსანიშნავია, რომ რაც უფრო ყოვლისმომცველი იქნება მხარეებს შორის საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების პირობები, მით უფრო დაბალია ალბათობის ხარისხი იმისა, რომ კლიენტსა და ადვოკატს შორის წარმოიშვას რაიმე სახის უთანხმოება.

თავი IV

საქმის დამუშავების ეტაპები

4.1. ინტერვიუ კლიენტთან.

4.2. პრობლემის პირველადი იდენტიფიცირება.

4.2.1. დამატებითი ინფორმაციის (დოკუმენტაციის) შეგროვება.

4.2.2. მტკიცებულებები სამოქალაქო პროცესში.

4.2.3. პრობლემის საბოლოო განსაზღვრა.

4.3. პრობლემის გადაჭრის გზების / ოფციების შემუშავება.

4.4. კლიენტთან სამოქმედო გეგმის შეთანხმება და
კლიენტის ინფორმირებული გადაწყვეტილების იმპლემენტაცია.

4.5. დავის გადაწყვეტის ალტერნატიული გზების განხილვა
(მედიაცია, არბიტრაჟი).

4.1. ინტერვიუ კლიენტთან

ადვოკატსა და კლიენტს შორის ურთიერთობა იწყება კლიენტთან ინტერვიუთი, რა დროსაც ადვოკატი ვალდებულია სრულად შეისწავლოს კლიენტის პრობლემა, კერძოდ, პრობლემის წარმოშობის საფუძვლები, მისი განვითარების სტადიები და გარემოებები.

პრაქტიკა აჩვენებს, რომ კლიენტთან ინტერვიუს დროს კლიენტის მიერ მიწოდებული ინფორმაცია არის საკმაოდ დიდი მოცულობის. აღნიშნული ასევე გამომდინარეობს იქედან, რომ კლიენტს უჭირს არსებითი და არაარსებითი გარემოებების ერთმანეთისგან გამიჯვნა და აქცენტირება პრობლემაზე, რაშიც ადვოკატის როლი მნიშვნელოვანია. ის უნდა დაეხმაროს კლიენტს, გამოსახოს პრობლემის არსი და შინაარსი.

კლიენტთან ინტერვიუს დროს ადვოკატი კლიენტს უნდა დაეხმაროს პრობლემის გარშემო განვითარებული მნიშვნელოვანი მოვლენების, ფაქტებისა და გარემოებების გახსენებაში.

4.2. პრობლემის პირველადი იდენტიფიცირება

როგორც უკვე აღინიშნა, კლიენტთან პირველი გასაუბრებისას უნდა მოხდეს პრობლემის იდენტიფიცირება. არის შემთხვევები, როდესაც ადვოკატთან მისვლამდე კლიენტს სამართლებრივ პრობლემად ან თუნდაც მის სამართლებრივ მოთხოვნად ერთი მიაჩნდა, და ადვოკატთან გასაუბრებისას გამოვლინდა, რომ მოთხოვნა არის სულ სხვა, ვიდრე ეს ეგონა კლიენტს, შესაბამისად პრობლემის პირველადი იდენტიფიცირება მნიშვნელოვანი ეტაპია, რაც ფუნდამენტურად განსაზღვრავს საქმისწარმოების შემდგომ გეგმარებას.

ადვოკატმა უნდა გაითვალისწინოს ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი: რიგ შემთხვევაში, კლიენტის მიერ ადვოკატთან გასაუბრების დროს ან თუნდაც საქმის მასალების ადვოკატისთვის მიწოდებისას შესაძლოა არ იქნეს ადვოკატისათვის გაზიარებული სრული ფაქტობრივი ინფორმაცია ან დოკუმენტაცია და საჭიროებდეს დამატებით მოძიებას ან გამოთხოვას, რაც ადვოკატმა უნდა ურჩიოს კლიენტს. მხოლოდ საქმეზე სრული ფაქტობრივი მოცემულობის გაცნობის და დოკუმენტაციის შესწავლის შემდგომ ადვოკატი უფლებამოსილი იქნება, მოახდინოს პრობლემის რეალური იდენტიფიცირება და აცნობოს ამის შესახებ კლიენტს.

4.2.1. დამატებითი ინფორმაციის (დოკუმენტაციის) შეგროვება

კლიენტთან პირველადი გასაუბრების შემდგომ, როგორც წესი, დგება საჭიროება დამატებითი ინფორმაციის შეგროვებისა. დამატებითი ინფორმაცია რიგ შემთხვევაში შეიძლება იყოს არა მხოლო ფაქტების მოძიება,

არამედ კონკრეტული დოკუმენტაციის მოპოვება, რაც ხშირ შემთხვევაში საჭიროებს ამა თუ იმ ორგანიზაციისადმი (კერძო, საჯარო და ა.შ.) მიმართვას, მასთან კომუნიკაციას.

ადვოკატს ასევე დიდი როლი აკისრია კლიენტის საჭიროებებიდან გამომდინარე და მისი პოზიციის გასამყარებლად საჭირო მოწმეების იდენტიფიცირებაში, რომელთაც აქვთ ინფორმაცია საქმის თაობაზე და მოსალოდნელია, რომ მათი ჩვენებებით კლიენტის პოზიციები სასამართლოში უკეთ იქნება წარმოჩინებული.

4.2.2. მტკიცებულებები სამოქალაქო პროცესში

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად, მხარეებს პროცესში ეკისრებათ მტკიცების ტვირთი, ანუ თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს[91].

უნდა აღინიშნოს, რომ მხარეს თავისი მტკიცების ტვირთის სრულყოფილად განხორციელების შედეგად, პროცესის შეჯიბრებითობის პრინციპიდან გამომდინარე, აქვს დავის წარმატებით დასრულების პერსპექტივა. აღნიშნულ ნაწილში მეტად მნიშვნელოვანია ის მტკიცებულებები, რასაც მხარეები თავად (იგულისხმება ადვოკატის რჩევის საფუძველზე) შეარჩევენ და წარუდგენენ მოსამართლეს საკუთარი პოზიციების გასამყარებლად, აქვე, კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ არსებობს ისეთი გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს მხოლოდ გარკვეული სახის მტკიცებულებებით. მტკიცებულებების მოპოვება უნდა ხდებოდეს მხარის მხრიდან კანონით გათვალისწინებული პროცედურების სრული დაცვით, წინააღმდეგ შემთხვევაში, მას არ აქვს იურიდიული ძალა[92].

დავის მხარეებს კარგად უნდა ესმოდეთ, რომ მათ მიერ მოპოვებულ და სასამართლოში წარდგენილ ან თუნდაც სასამართლოს მიერ გამოთხოვილ ამა თუ იმ მტკიცებულებას არ აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. სასამართლოში ის ექვემდებარება ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას[93].

უნდა აღინიშნოს რომ მტკიცებულებებს და მათთან დაკავშირებულ თავისებურებებს საკმაოდ დიდი ადგილი ეთმობა სამოქალაქო საპროცესო კოდექსში, ხოლო ამ ეტაპზე წინარე თავის მიზნებისთვის მოვახდენთ მცირედ ექსკურსს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ მტკიცებულებებთან დაკავშირებით:

91. იხ.საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლი

92. იხ.საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლი

93. იხ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლი

ა) უნდა აღინიშნოს, რომ თავად მხარეთა ახსნა-განმარტებები წარმოადგენს მტკიცებულებას.
ბ) საქმეზე მხარეთა მიერ მოწმის სახით დაბარებულ პირთა ჩვენებები წარმოადგენს საქმეზე მტკიცებულებას.
გ) დავის ფარგლებში სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს წერილობითი მტკიცებულებების წარდგენას, ანუ წერილობით მტკიცებულებებს წარმოადგენს აქტები, საბუთები, საქმიანი და პირადი ხასიათის წერილები, რომლებიც შეიცავს ცნობებს საქმისათვის მნიშვნელოვან გარემოებათა შესახებ.
დ) დავის ფარგლებში სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს ნივთიერი მტკიცებულებების წარდგენას, ანუ ნივთიერი მტკიცებულებებია ის ნივთები, რომლებიც თავისი ხარისხით, თვისებით ან თავისი არსებობით წარმოადგენენ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების დადგენის საშუალებას.
ე) დავის ფარგლებში სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს ექსპერტის დასკვნას, როგორც მტკიცებულების ერთ-ერთ სახეს, ანუ თუ საქმის განხილვასთან დაკავშირებულ საკითხზე მოსამართლეს სპეციალური ცოდნა არ გააჩნია, სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით დანიშნოს ექსპერტიზა საქმის განხილვის ნებისმიერ სტადიაზე, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული საკითხის განმარტებას არსებითი მნიშვნელობა აქვს საქმის გადაწყვეტისათვის და მის გარეშე გადაწყვეტილების გამოტანა შეუძლებელია. ასეთ შემთხვევაში სასამართლოს გამოაქვს მოტივირებული განჩინება, რითაც ინიშნება საქმეზე ექსპერტიზა და შესაბამისი პროცედურების შემდგომ შესრულებული ექსპერტის დასკვნა მტკიცებულების სახით იდება საქმის მასალებში.

4.2.3. პრობლემის საბოლოო განსაზღვრა

კლიენტთან საკითხის სრულყოფილად გააზრებისა და გაანალიზების შემდგომ, დამატებით საქმეზე მოძიებული და მოპოვებული მტკიცებულებების ანალიზის საფუძველზე ადვოკატი ვალდებულია კლიენტის წინაშე განსაზღვროს ამ უკანასკნელის მიერ ადვოკატის წინაშე დასმული პრობლემის საბოლოო არსი. თუ რწმუნებული მოსარჩელეა, ამის შემდეგ ადვოკატი ახდენს მოპასუხეთა წრის იდენტიფიცირებას, ხოლო სათანადო მოპასუხეობის საკითხის გარკვევას – თუ კლიენტი მოპასუხე მხარეს წარმოადგენს.

ადვოკატმა საქმისწარმოების დაწყების სტადიამდე კარგად უნდა გაიაზროს მისი მარწმუნებლის საჭიროებებიდან გამომდინარე, თუ რა უნდა იყოს კლიენტის სასარჩელო მოთხოვნა და განსაზღვროს იურისდიქციის საკითხი. ხშირია შემთხვევები, როდესაც მხარეებს შორის არსებული სა-

ხელშეკრულებო ურთიერთბიდან გამომდინარე შეთანხმებულია ამა თუ იმ საარბიტრაჟო სასამართლოს განსჯადობა და კომპეტენცია ან საერთოდ მხარეები დავის დაწყებამდე უკვე შეთანხმებული იყვნენ სხვა ქვეყნის იურისდიქციაზე. ხშირია ისეთი შემთხვევებიც, როდესაც იკვეთება საერთაშორისო კერძო სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებული საკითხები, როდესაც უცხო ელემენტით დატვირთული სამართლებრივი ურთერთობის განსჯად სასამართლოს წარმოადგენს ქართული სასამართლო, რა დროსაც ყურადღება უნდა მიექცეს იმ სამართლის, კანონმდებლობის განსაზღვრას ადვოკატის მხრიდან, რომლის გამოყენებითაც უნდა გადაწყდეს მხარეებს შორის მიმდინარე სამართლებრივი დავა.

4.3. პრობლემის გადაჭრის გზების / ოფციების შემუშავება

საქმის ვითარებაში გარკვევის შემდგომ ადვოკატი ვალდებულია შეიმუშავოს პრობლემის გადაჭრის გზა (გზები) და გაუზიაროს კლიენტს მისი ხედვები.

გაითვალისწინეთ, რომ, როგორც წესი, საქმის გაცნობის და მოწოდებული თუ მოძიებული მტკიცებულებების სრულყოფილად შესწავლის შედეგად ადვოკატი ხშირ შემთხვევაში პრობლემის გადაჭრის რამდენიმე გზაზე ფიქრობს და ამუშავებს მას.

ადვოკატის დანიშნულებაა, კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე ყველაზე უფრო სწორი, შედეგის მომტანი გზა შესთავაზოს მარწმუნებელს. თუმცა, პრაქტიკაში როგორც წესი, ადვოკატი საქმეზე შემუშავებულ ყველა ოფციას აცნობს კლიენტს და საბოლოო არჩევანის უფლებას მას უტოვებს, რადგან ადვოკატი მხოლოდ სტრატეგიის შემუშავებაზე უნდა იყოს პასუხისმგებელი, ხოლო რომელ გზას აირჩევს მხარე და მიჰყვება მას, ეს უკვე მისი პასუხისმგებლობაა; თუმცა, ეს არ უნდა გავიგოთ ისე, რომ ადვოკატი შეიძლება გულგრილად მოეკიდოს მის წინაშე დასმულ ამოცანებს, რადგან საბოლოო არჩევანის გაკეთება არ წარმოადგენს მის პრეროგატივას.

4.4. კლიენტთან სამოქმედო გეგმის შეთანხმება და კლიენტის ინფორმირებული გადაწყვეტილების იმპლემენტაცია

ადვოკატმა ზედმიწევნით ზუსტად უნდა შეათანხმოს კლიენტთან სამოქმედო გეგმა, რასაც ადვოკატი საქმის ვითარებაში სრულყოფილად გარკვევის და პრობლემის საბოლოო სახით განსაზღვრის შემდგომ შეიმუშავებს. ამით ადვოკატი კლიენტს აძლევს საშუალებას, რათა ამ უკანასკნელმა მიიღოს შემდგომი ნაბიჯების და გეგმების შესახებ ინფორმირებული გადაწყვეტილება. გეგმის პრაქტიკაში განხორციელება კი ისევ ადვოკატის საქმეა.

ადვოკატის მიერ შემუშავებული სამოქმედო გეგმა უნდა ეყრდნობოდეს საქმეში არსებული ყველა მტკიცებულების, ფაქტობრივი გარემოებების სრულ და ყოველმხრივ ანალიზს და მათ მისადაგებას კანონით გაწერილ სამართლებრივ რეგულაციებთან.

მიაქციეთ ყურადღება იმ გარემოებას, რომ ადვოკატის მხრიდან სამოქმედო გეგმის შეთანხმების სტადიაზე ადვოკატი დასკვნებს აკეთებს და კლიენტს რჩევას აძლევს მის ხელთ არსებული ინფორმაციის, ფაქტობრივი მხარის და კლიენტის მიერ ადვოკატისადმი წარდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ისევე როგორც, ადვოკატის მიერ საქმის ვითარების პირველადი გაცნობის შემდგომ მოძიებული მასალის გამოყენებით. ამრიგად, სამოქმედო გეგმის შეთანხმების შემდგომ, კლიენტის მიერ თუნდაც იმ ეტაპზე ინფორმირებული გადაწყვეტილების საფუძველზე შეთანხმებული სტრატეგიის იმპლემენტაციამ შესაძლოა გამოავლინოს სამოქმედო გეგმის კორექციის საჭიროება, იმპლემენტაციის პროცესში გამოვლენილი სხვა ფაქტობრივი გარემოებებისა და აღმოჩენილი ან დამატებით მოპოვებული ახალი მტკიცებულებების გამო, რისთვისაც ადვოკატი ერთი მხრივ და მისი კლიენტი, მეორე მხრივ, გამუდმებით მზად უნდა იყვნენ.

4.5. დავის გადაწყვეტის ალტერნატიული გზების განხილვა (მედიაცია, არბიტრაჟი)

4.5.1. მედიაცია

მედიაცია, როგორც დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალება, ნოვაციაა ქართულ სამართლებრივ სივრცეში[94], რაც საშუალებას აძლევს მოდავე მხარეებს, სასამართლოს გარეთ, არაოფიციალურ გარემოში მედიატორის მონაწილეობით, თავად მიაღწიონ შეთანხმებას მათი ინტერესებიდან გამომდინარე ანუ მედიაცია ეს არის დავის მოგვარების საშუალება, რომლითაც მხარეები, მედიატორ(ებ)ის ხელშეწყობით, ცდილობენ დავის ურთიერთშეთანხმებითა დასრულებას.

საქართველოში როდესაც ესოდენ დიდია სასამართლოსადმი მიმართვიანობის სტატისტიკა და მეორე მხრივ, შეიმჩნევა დეფიციტი ნდობისა ქართულ საზოგადოებაში ერთმანეთის მიმართ, მაშინ როდესაც სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესში მნიშვნელოვანია ადამიანებმა მიიღონ იმ სახის გადაწყვეტილებები, რაც საკითხის არსებითად გადაწყვეტისკენ იქნება მიმართული ნაცვლად ხანგრძლივვადიანი სასამართლო პროცესებისა, ასეთ დროს მედიაციის განვითარებამ დადებითი როლი

94. ყანდაშვილი ი., მედიაცია-დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ახალი ფორმა და მისი საკანონმდებლო მოწესრიგების პერსპექტივა საქართველოში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის „სამართლის ჟურნალი“, #2, თბ. 2017, 114-123.

უნდა შეასრულოს, თუმცა ეს მხოლოდ მაშინ მოხდება თუ სათანადო განვითარების პირობებს შექმნის სახელმწიფო (სამართლებრივი რეგულირების კუთხით), საზოგადოება და ამ პროცესში ჩართული ყველა აქტორი, თუმცა უპირველესად მნიშვნელოვანია მოხდეს ახალი სამართლებრივი ინსტიტუტის პოპულარიზაცია და რიგით „მომხმარებლამდე", ანუ მოქალაქეებამდე და იურიდიულ პირებამდე ინსტიტუტის შესახებ სრული ინფორმაციის ამომწურავად მიტანა[95].

ადვოკატს აკისრია ფუნქცია კლიენტს მისცეს სრული ინფორმაცია მედიაციის შესახებ, რათა კლიენტს ჰქონდეს არჩევანის საშუალება და გადაწყვიტოს თუ რამდენად სჭირდება მედიაციის ეტაპის გავლა.

ამასთანავე, ადვოკატს სჭირდება უპირველესად თავად ირწმუნოს მედიაციის სიკეთეში და მედიაცია არ აღიქვას თავის კონკურენტად, არამედ დაინახოს მედიაციაში მისი საქმიანობის მხარდამჭერი ინსტიტუტი, რომელიც ხელს უწყობს მათ შორის ადვოკატის საქმიანობას[96].

აღსანიშნავია, რომ მედიაციის როლი და საჭიროება დღითი დღე იზრდება და ადვოკატებს აღნიშნულ ინსტიტუტთან ყოველდღიური შეხება ექნებათ, იმის გათვალისწინებით, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსი[97] პირდაპირ ითვალისწინებს სავალდებულო სახით მედიაციას დაქვემდებარებულ სამოქალაქო დავათა კატეგორიებს, და შესაბამისად აღნიშნულ პროცესში ადვოკატის როგორც წარმომადგენლის ფიგურირების საჭიროება გაიზრდება.

მარტივად რომ ვთქვათ კლიენტი რა თქმა უნდა უჯერებს თავისი ადვოკატის რჩევას და შესაბამისად მედიაციის თაობაზე ადვოკატის მხრიდან უარყოფითი პოზიციის დაფიქსირება ავტომატურად გამოიწვევს ამ ინსტიტუტისადმი საზოგადოების უარყოფით განწყობას, შესაბამისად დავის გადაწყვეტის ამ ალტერნატიული ფორმისადმი ადვოკატთა კორპუსის კეთილგანწყობა გადამწყვეტი ფაქტორია.

იმის გათვალისწინებით, რომ მედიაციის პროცესში გადაწყვეტილებას არ იღებს მედიატორი, არამედ მხარეები თავად ითანხმებენ ორივე მხარისთვის მისაღებ პირობებს და საკუთარი ინტერესებით

---

95. ყანდაშვილი ი., მედიაცია-დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ახალი ფორმა საქართველოში, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ჟურნალი „ადვოკატი", N2-3, თბ., 2016, 19-24.

96. ყანდაშვილი ი., მედიაცია-დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ახალი ფორმა საქართველოში, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ჟურნალი „ადვოკატი", N2-3, თბ., 2016, 19-24.

97. იხ.საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 1873 -ე მუხლი (სასამართლო მედიაციას დაქვემდებარებული დავები: სასამართლო მედიაცია შეიძლება გავრცელდეს:
ა) საოჯახო სამართლებრივ დავებზე, გარდა შვილად აყვანისა, შვილად აყვანის ბათილად ცნობისა, მშობლის
უფლების შეზღუდვისა და მშობლის უფლების ჩამორთმევისა;
ბ) სამემკვიდრეო სამართლებრივ დავებზე;
გ) სამეზობლო სამართლებრივ დავებზე;
დ) ნებისმიერ დავაზე – მხარეთა თანხმობის შემთხვევაში)

მოქმედებენ, ადვოკატის რჩევას ორმაგი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან მედიაციაში მხარეები უნდა მორიგდნენ იმისგან განსხვავებულ პირობაზე რაც თითოეული მხარის სასამართლოში დაფიქსირებულ მოთხოვნას წარმოადგენს, ანუ სხვაგვარად მორიგებაც წარმოუდგენელია, რადგან მორიგება ანუ შეთანხმება არის ორივე მხარეს შორის კონსენსუსის მიღწევა; შესაბამისად, ასეთ ვითარებაში ადვოკატის რჩევა, რომლის საფუძველზეც მხარე იმოქმედებს, ისე რომ ეს რჩევა გახდება მეორე მხარისათვის ასევე მისაღები და შედგება სამედიატორო შეთანხმება, მოითხოვს ადვოკატისგან მაღალ პროფესიულ მიდგომას საკითხისადმი.

მედიაცია მხარეთა ხელში უნდა გახდეს არაერთი სამომავლო სამართლებრივი დავის, „უთანხმოების" ეფექტურად, დროულად და წარმატებით გადაწყვეტის ძლიერი იარაღი, რისი თქმის საფუძველს მართლაც იძლევა პირველი შრომითი მედიაციის საქმე[98], რომელმაც დაანახა ქართულ საზოგადოებას, მათ შორის იურიდიულ წრეებს, რომ რაც არ უნდა დაშორებული იყვნენ მოდავე მხარეები ერთმანეთისგან, მესამე ნეიტრალური პირის ჩართვას დავის გადაწყვეტაში ყოველთვის შეუძლია მოიტანოს შედეგი, გამომდინარე იქიდან, რომ მედიატორი აუცილებლად გამოკვეთავს მხარეთა საერთო ინტერესებს და შეთანხმებით დავის გადაწყვეტის ურთიერთსარგებლიანობას დაანახვებს ორივე მხარეს.

გასათვალისწინებელია, რომ მხარეები შეიძლება ჯერ საერთოდ არ იყვნენ სასამართლოში დავის განხლივის მიზნით წასულები და სასამართლომდე მიმართონ მედიატორს საკითხის გარშემო მისი ჩართულობით შეთანხმების მიღწევის მიზნით, რა დროს ასევე დიდი ალბათობით მხარეები იქნებიან წარმოდგენილი ადვოკატის მეშვეობით, შესაბამისად, ადვოკატის როლი და ფუნქცია სასამართლოს გარე მედიაციის დროს ასევე მნიშვნელოვანია და იდენტურია ადვოკატის წინაშე მდგომი გამოწვევები.

4.5.2. არბიტრაჟი

ქვემორე ქვეთავში განვიხილავთ დავის გადაწყვეტის კიდევ ერთ მექანიზმს, რომელიც სასამართლო საქმისწარმოების ალტერნატივას წარმოადგენს, თუმცა მედიაციისგან განსხვავებით საარბიტრაჟო საქმისწარმოების პროცესში გადაწყვეტილებას იღებენ არა თავად მხარეები, არამედ არბიტრი.

საარბიტრაჟო საქმისწარმოება ერთგვარი კვაზი სასამართლო ინსტიტუციაა, რომლის ფარგლებშიც მოდავე მხარეები შეჯიბრებითობის პრინციპის გათვალისწინებით საკუთარი სიმართლის დადასტურებას ცდილობენ.

98. პირველი შრომითი მედიაცია ქართულ სამართლებრივ სივრცეში შედგა 2014 წლის 10-23 მარტს დაბა კაზრეთის ოქროს საბადოს დასაქმებულებსა და დამსაქმებელ კომპანია RMG Gold, RMG Copper-ს შორის

ქვეთავში განვიხილავთ იმ ძირითად ნორმატიულ მასალას, რის საფუძველზეც რეგულირდება საარბიტრაჟო საქმისწარმოება საქართველოში, ისევე როგორც მოკლედ შევეხებით საარბიტრაჟო საქმისწარმოების პროცესისათვის მახასიათებელ ნიშნებს.

„არბიტრაჟის შესახებ[99]" საქართველოს კანონის თანახმად არბიტრაჟი უფლებამოსილია განიხილოს პირთა თანასწორობაზე დამყარებული კერძო ხასიათის ის ქონებრივი დავა, რომლის მოწესრიგებაზეც საარბიტრაჟო საქმისწარმოების ფორმატში თავად მხარეები შეთანხმდებიან. აღნიშნული დანაწესი არის მოცემული მათ შორის საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში[100].

იმისათვის, რათა მხარეთა შორის ესა თუ ის დავა გადაეცეს არბიტრაჟს აუცილებელია აღნიშნულის შესახებ მხარეთა შორის საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობა, რომელიც მხარეებს შორის შეიძლება გაფორმდეს ძირითადი ურთიერთობის მომწესრიგებელ ხელშეკრულებაში, როგორც დავის წარმოშობის შემთხვევაში მისი გადაწყვეტის მექანიზმი, ისევე როგორც მხარეები საარბიტრაჟო საქმისწარმოებაზე შეიძლება შეთანხმდნენ მოგვიანებით, უშუალოდ დავის წარმოშობის სტადიაზე, თუმცა ყველა შემთხვევაში მხარეებს სჭირდებათ აღნიშნულთან დაკავშირებით წერილობით შეთანხმება. ამ კუთხით, გასათვალისწინებელია, რომ სასამართლოს დავის განხილვაზე არ გააჩნია იურისდიქცია თუ მოდავე მხარეებს შორის არსებობს გაფორმებული შეთანხმება დავის გადაწყვეტის მექანიზმად არბიტრაჟის შერჩევის თაობაზე, შესაბამისად პროფესიაში ახლად შემოსული პირებისთვის მნიშვნელოვანია ამ თავისებურებას მიექცეს სათანადო ყურადღება.

გასათვალისწინებელია, რომ არბიტრის ეტიმოლოგიურ განმარტებას მოქმედი კანონმდებლობა არ გვაძლევს, რაც თავის მხრივ განაპირობებს არბიტრთა პროფესიული კუთხით აბსოლიტურ თავისუფლებას, რაც ნიშნავს იმას, რომ არბიტრი შეიძლება იყოს ნებისმიერი პროფესიის და კვალიფიკაციის მქონე პირი, თუმცა მოდავე მხარეებს ეძლევათ შესაძლებლობა თავად შეარჩიონ მათი არსებული ან პოტენციური დავის არბიტრი და სწორედ ამ ეტაპზე უნდა დაფიქრდნენ მხარეები თუ რა კვალიფიკაციის და გამოცდილების მქონე პირს ანდობენ საკუთარი იურიდიული ბედის გადაწყვეტას.

როგორც ზემოთ აღინიშნა არბიტრი მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, ისევე როგორც საქმეში მხარეთა მიერ წარდგენილი მტკიცებულებების ანალიზის შემდგომ იღებს გადაყწვეტილებას, თუმცა მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ არბიტრის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ არის საბოლოო და იმ შემთხვევაში თუ მხარეს, რომლის სასარგებლო

99. იხ. „არბიტრაჟის შესახებ" საქართველოს კანონი, 01/01/2010; https://matsne.gov.ge/ka/document/view/89284.

100. იხ. „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი", 14/11/1997. მუხლი 12.

გადაწყვეტილებაც დადგა აქვს ინტერესი აღნიშნული გადაწყვეტილების აღსრულებისა, მან აუცილებლად უნდა მიმართოს სასამართლო სისტემას; კერძოდ, აღმოსავლეთ საქართველოს მაგალითზე – თბილისის სააპელაციო სასამართლოს, ხოლო დასავლეთ საქართველოს მაგალითზე – ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვოს აღნიშნული გადაწყვეტილების ერთი მხრივ, სასამართლოს მხრიდან საარბიტრააჟო გადაწყვეტილების ცნობა, ხოლო მეორე მხრივ, აღნიშნული გადაწყვეტილების თაობაზე სააღსრულებო ფურცლის გაცემა.

აღნიშნული პროცედურა არის ერთგვარი პრევენცია იმისა, რომ კვაზი სასამართლო რგოლის მიერ, მაშინ როდესაც პროფესიით იურისტიც შეიძლება არ იყოს არბიტრი არ იქნეს მიღებული ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც ეწინააღმდეგება ან საჯარო წესრიგს ან დარღვეულია განხილვის პროცესში მოქმედი კანონმდებლობა.

მსგავსი სტანდარტი მოქმედებს მათ შორის საარბიტრაჟო საქმისწარმოების პროცესში არბიტრაჟის მიერ გამოყენებული საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შესახებ მიღებული გადაწყვეტილებების შემთხვევებზეც.

ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება შესაძლებელია გაუქმდეს სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ კონკრეტულ შემთხვევებში[101].

101. ის. „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 42-ე მუხლი.

თავი V

სასამართლოს პირველ ინსტანციაში წარმოების დაწყება

5.1. სასარჩელო განცხადების ფორმულარი.

5.2. სარჩელის ტიპები.

5.2.1. აღიარებითი, მიკუთვნებითი და ვინდიკაციური სარჩელის სპეციფიკა.

5.2.2. იურიდიული მნიშვნელობის ფაქტის დადგენა.

5.2.3. გამარტივებული წარმოება.

5.3. მხარეები.

5.4. ელექტრონული საქმისწარმოება და სარჩელის გაგზავნა მხარეებისათვის.

5.5. შესაგებელი, როგორც მოპასუხის რეაქცია სარჩელზე.

5.5.1. მტკიცების ტვირთის განაწილება.

5.5.2. დაუდასტურებელი ფაქტობრივი გარემოებების განსაზღვრა.

5.6. შესაგებელზე შეპასუხების უფლება.

5.1. სასარჩელო განცხადების ფორმულარი

სსსკ-ის 177-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად[102] პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის წარმოების დასაწყებად საჭიროა პირმა (ფიზიკური ან იურიდიული) შეიტანოს სასამართლოში სარჩელი ან განცხადება. ორივე ტიპის დოკუმენტი სასამართლოს წარედგინება წერილობითი სახით, ამასთან, სარჩელი წარდგენილი უნდა იქნეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული ნიმუშის სახით და მასში მითითებული თითოეული გრაფა შევსებული უნდა იყოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დადგენილი წესებისა და სსსკ-ის 178-ე მუხლით დადგენილი დეფინიციის შესაბამისად.

კერძოდ, სსსკ-ის 178-ე მუხლში[103] გადმოცემულია, თუ რა შინაარსის უნდა იყოს სარჩელი. ის უნდა მოიცავდეს იმ სასამართლოს დასახელებას, სადაც წარედგინება სარჩელი. ასე მაგალითად, თუ მოპასუხის საცხოვრებელი მისამართი არის ქალაქი ქუთაისი, ხოლო მოსარჩელე ცხოვრობს თბილისში, სსსკ-ის მე-15 მუხლით[104] განსაზღვრული საერთო წესებიდან გამომდინარე, სარჩელი წარდგენილი უნდა იქნეს ქუთაისის საქალაქო სასამართლოში. სარჩელის ფორმულარში სასამართლოს განსაზღვრა დამოკიდებულია თუ რა ტიპის სარჩელის აღძვრას აპირებს მოსარჩელე, ვინ არის მოპასუხე, სად აქვს საცხოვრებელი თუ იურიდიული მისამართი (იურიდიული პირის შემთხვევაში) და დავის საგანს რა წარმოადგენს. თუ გავითვალისწინებთ, რომ შესაძლებელია მოპასუხეს არ ჰქონდეს საცხოვრებელი ადგილი, ამისათვის უნდა ვისარგებლოთ სსსკ-ის მე-15 მუხლის მე-2 ნაწილის დანაწესით და სარჩელის შეტანისას განვსაზღვროთ მოპასუხის ადგილსამყოფელი საქართველოს ტერიტორიაზე და იმ ადმინისტრაციული ერთეულის განსაზღვრის შემდგომ გადავწყვიტოთ თუ რომელ სასამართლოს წარვუდგინოთ სარჩელი. არსებობს ისეთი შემთხვევები, როდესაც მოპასუხის ადგილსამყოფელი უცნობია, ასეთ ვითარებაშიც სსსკ-ის მე-15 მუხლის მე-2 ნაწილი[105] იძლევა პასუხს და სარჩელი აღიძვრება მოპასუხის უკანასკნელი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, კერძოდ მისი ბოლო რეგისტრაციის მიხედვით.

ის, თუ რა დავის საგანია და თუ როგორ უნდა იქნეს განსაზღვრული სარჩელი რომელ სასამართლოს უნდა წარუდგინოთ, მოწესრიგებულია სსსკ-ის 16-20 მუხლებით.[106] მოცემულ მუხლებში ცალკეული შემთხვევებია განხილული და ყველა ეს გარემოება გათვალისწინებული უნდა იქნეს სასარჩელო განცხადების ფორმულარის შევსებიბსას. განსაკუთრებულად

102. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 177 მუხ. 1 ნაწ.

103. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178 მუხ. 1 ნაწ. ა-მ პუნქტები

104. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 15 მუხ.

105. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 15 მუხ. 2 ნაწ.

106. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 16-20 რედაქცია

კი, სადაც მიეთითება სასამართლოს დასახელება, რათა სარჩელი არ დარჩეს სასამართლოს წარმოებაში მიუღებელი და არ დაუბრუნდეს სარჩელის ავტორს, როგორც არა განსჯად სასამართლოში შეტანილი.

სსსკ-ის 178-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ პუნქტი ითვალისწინებს იმ პირთა ჩამონათვალს, რომელთაც მონაწილეობა უნდა მიიღონ სასამართლოში საქმის განხილვისას. პირველ რიგში, ესენი არიან დავის მხარეები – მოსარჩელე და მისი წარმომადგენელი, თუ სარჩელი შეაქვს მოსარჩელის წარმომადგენელს, და ასევე მოპასუხე. ბუნებრივია, მხარეების და მათი მონაცემების დასახელება აუცილებელია სარჩელის ფორმულარში, სსსკ-ის 178-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, წინააღმდეგ შემთხვევაში გართულდებოდა მოსარჩელისა და მოპასუხის განსაზღვრა და მათი მოწვევა სასამართლო სხდომაზე შეუძლებელი გახდებოდა. სარჩელის იმ გრაფაში, სადაც მოსარჩელე თვლის, რომ ამა თუ იმ გარემოებას დაადასტურებს მოწმის ჩვენებით, მას შეუძლია სასარჩელო ფორმულარში მიუთითოს მოწმეც. ამასთანავე, მოსარჩელე შეზღუდული არ არის სხვა პირიც დაასახელოს მოსაწვევ პირთა სიაში, როგორც ეს მითითებულია 178-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ პუნქტის რედაქციაში. ისმის კითხვა, ვინ შეიძლება იყოს ეს პირი? ვინ არის კანონმდებლის მიერ დასახელებული „სხდომაზე მოსაწვევი სხვა პირი“? ეს პირი შეიძლება იყოს ექსპერტი,[107] რომელმაც შესაძლოა დასკვნა გასცა აღსაძრავ დავასთან მიმართებაში და მოსარჩელე თვლიდეს, რომ მისი დაკითხვა სასამართლოში, მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას შეუწყობდა ხელს.

ყველა ჩამოთვლილი პირისთვის (მოსარჩელე, მისი წარმომადგენელი, მოპასუხე, მოწმე, სხდომაზე მოსაწვევი სხვა პირისათვის) სარჩელში უნდა მიეთითოს სახელი, გვარი (სახელწოდება), ძირითადი (ფაქტობრივი) მისამართი, არსებობის შემთხვევაში ალტერნატიული მისამართი, სამუშაო ადგილის მისამართი – ეს რეკვიზიტიც არსებობის შემთხვევაში, ტელეფონის ნომერი, მათ შორის მობილურის, ელექტრონული ფოსტის მისამართი და ფაქსი. აქ შევჩერდებით და განვმარტავთ, ვისთვის არის სავალდებულო ელექტრონული მისამართის და ტელეფონის ნომრის, ასევე ფაქსის ნომრის მითითება. თუ სარჩელი შეაქვს მოსარჩელის წარმომადგენელს, ინდივიდუალურ მეწარმეს ან იურიდიულ პირს, ასეთ შემთხვევაში აუცილებელი და სავალდებულოა ისეთი რეკვიზიტის მითითება სარჩელში, როგორიცაა ელექტრონული ფოსტა, და ტელეფონის ნომერი, თუ პირს თავად შეაქვს სარჩელი ასეთი რეკვიზიტების სავალდებულო მითითებაზე არაფერს ამბობს სსსკ-ის 178-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ პუნქტი, თუმცა, თუ მოსარჩელემ არასწორად მიუთითა თავისი ან მოპასუხის მისამართი, ასეთ ვითარებაში სასამართლოს უფლება ეძლევა სსსკ-ის 275-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად განუხილველად დატოვოს წარმოებაში მიღებული სარჩელი. ამდენად, მნიშვნელოვანია რომ ინფორმაცია იყოს სწორი და უტყუარი. აქვეა

107. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 170 და 171 მუხ.

აღსანიშნავი, რომ რამდენიმე მოსარჩელისა და მოპასუხის შემთხვევაში, თითოეული მათგანი უნდა მიეთითოს ქვეშმიწერით და დანომვრით.

სარჩელში დასახელებულ პირთა ვინაობისა და მისამართების გარდა სარჩელის ფორმულარი მოიცავს ასევე ასეთ გრაფას: „საკონტაქტო პირი“. ხშირად მოსარჩელეებს შეცდომით აქვთ შევსებული ეს გრაფა და ვინაიდან ის განთავსებულია მოპასუხის გრაფის შემდგომ, რატომღაც ჰგონიათ, რომ ეს საკონტაქტო პირი უნდა იყოს არა მასთან კავშირში, კონტაქტში მყოფი, არამედ მოპასუხესთან კონტაქტში მყოფი ან წარმომადგენელი, რაც არ არის სწორი. „საკონტაქტო პირი“ გახლავთ მოსარჩელესთან დაახლოებული პირი (მეგობარი, ნათესავი, ოჯახის წევრი და ა.შ.), ვისაც შეუძლია მოსარჩელეს გადასცეს სასამართლოდან მიღებული ნებისმიერი ინფორმაცია, რითაც ხელი შეეწყობა სასამართლოში საქმის დროულ განხილვას, თუ უშუალოდ მოსარჩელესთან ან მის წარმომადგენელთან დაკავშირება წარმოადგენს სირთულეს, რომ სარჩელი არ დარჩეს განუხილველი. აქვე გვინდა მივუთითოთ, რომ „საკონტაქტო პირზე“ ინფორმაციის მითითება სავალდებულო რეკვიზიტი არ არის და მისი მიუთითებლობა არც სარჩელის სასამართლოს კანცელარიაში ჩაბარების, არც სასამართლოს წარმოებაში მიღებისა და არც მისი განუხილველად დატოვების საშიშროებას არ შექმნის.

სარჩელის შემდეგი გრაფა არის დავის საგანი სსსკ-ის 178-ე მუხლის „გ“ პუნქტის შესაბამისად. ეს გრაფა ძალიან მნიშვნელოვანია და თავად ფორმულარი მოიცავს ასევე იმ ნაწილს, სადაც მოსარჩელემ უნდა მიუთითოს, თუ რა კატეგორიის დავას წარმოადგენს მისი აზრით წარმოდგენილი სარჩელი. ეს გრაფა მდებარეობს მანამ, სანამ ფაქტობრივი გარემოებების, მტკიცებულებების, თავად სასარჩელო მოთხოვნის და მისი სამართლებრივი საფუძვლების მითითება მოხდება. თუმცა, თავშივე დავის საგნის მითითება სავალდებულოა და უნდა მიეთითოს მოკლე დახასიათების სახით. მაგალითად, თუ სარჩელი უნდა წარადგინოს ერთ-ერთმა მეუღლემ მეორე მეუღლის წინააღმდეგ მის საკუთრებაში არსებულ ქონებაზე, რომელიც შეძენილია მეუღლეთა თანაცხოვრების პერიოდში, შესაძლებელია დავის საგანში მიეთითოს „ქონებაზე თანამესაკუთრედ ცნობა“. მოვიშველიებთ კიდევ ერთ მაგალითს: თუ მოსარჩელის ბინაში უკანონოდ ცხოვრობს პირი, რომელიც არც ქირავნობის და არც სხვა სამართლებრივი საფუძვლით არ ფლობს ქონებას და მოსარჩელეს სურვილი აქვს მოპასუხის სარგებლობაში არსებული ბინიდან გამოსახლებისათვის მიმართოს სასამართლოს, ასეთ შემთხვევაში, სარჩელში შეიძლება დავის საგნად მივუთითოთ „უკანონო ხელშეშლის აღკვეთა“. ამავე მაგალითის გაგრძელებაც შეიძლება: თუ გამოსახლებასთან ერთად მოსარჩელე ითხოვს მოპასუხისთვის იმ ზიანის დაკისრებას, რომელიც წარმოიშვა მოპასუხის მიერ უკანონო ხელშეშლის დროს, ასეთ ვითარებაში მოსარჩელეს შეუძლია სარჩელში მიუთითოს „უკანონო ხელშეშლის აღკვეთა და ზიანის ანაზღაურება“. დავის საგანში მოსარჩელემ უნდა მიუთითოს ის მოკლე მინიშნება, რასაც სარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილების შედეგად

უნდა მიაღწიოს. ჩვენ გადმოვეცით დავის საგანში ასევე ისეთი მაგალითიც, როდესაც რამდენიმე მოთხოვნაა წარდგენილი, ასეთ ვითარებაში რამდენიმე მითითება უნდა იქნეს ჩაწერილი ამ გრაფაში.

სასარჩელო განაცხადის ფორმულარი მოიცავს გრაფას ისეთი შემთხვევებისათვის, როდესაც აღიძვრება აღიარებითი სარჩელი და მოსარჩელეს ასეთი სარჩელის მიმართ გააჩნია კონკრეტული იურიდიული ინტერესი. სსსკ-ის 180-ე მუხლის შესაბამისად[108] სარჩელი შეიძლება აღიძრას უფლების თუ სამართლებრივი ურთიერთობების არსებობა-არარსებობის დადგენის, დოკუმენტების ნამდვილობის აღიარების ან დოკუმენტების რეალობის დადგენის შესახებ, თუ მოსარჩელეს აქვს ინტერესი, რომ ასეთი აღიარება მოხდეს სასამართლოს მეშვეობით და ასეთ ვითარებაში კერძოდ, ასეთი ტიპის სარჩელის აღძვრისას მოსარჩელე ვალდებულია მიუთითოს, მისი იურიდიული ინტერესი სარჩელის წარდგენისას. აღიარებითი სარჩელის აღძვრისას, თუკი მოსარჩელე არ შეავსებს აღიარებითი სარჩელისთვის განკუთვნილი იურიდიული ინტერესის თაობაზე გრაფას, სასამართლო უფლებამოსილი იქნება სარჩელი არ მიიღოს წარმოებაში სსსკ-ის 186-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „თ“ პუნქტის შესაბამისად. მნიშვნელოვანია მიექცეს ყურადღება იმ გარემოებას, რომ აღიარებითი მოთხოვნის დაყენებისას, მსგავსი მოთხოვნა მაინც დამატებითი ხასიათის მოთხოვნაა (სუბსიდიურია), რომლის დაკმაყოფილება უნდა გახდეს მხარის ძირითადი მოთხოვნის დაკმაყოფილების წინაპირობა, შესაბამისად მხარემ ყურადღება უნდა მიაქციოს იმ გარემოებას, თუ რომელი მოთხოვნის მიღწევის წინაპირობას წარმოადგენს მისი სარჩელის აღიარებითი მოთხოვნის ნაწილი, რომლისადმი იურიდიული ინტერესის დასაბუთებას წარმოადენს, სწორედ იმ ძირითადი მოთხოვნის მიღწევა, რასაც მათ შორის მხარე ვალდებულია მიუთითოს ჯერ კიდევ სარჩელის ფორმის შევსებისას.

სასარჩელო განაცხადის ფორმულარი მოიცავს დავის არსის მოკლე მიმოხილვას, სადაც მოსარჩელე ვალდებულია დასათაურებიდან გამომდინარე, მოკლედ მიუთითოს დავის არსის თაობაზე, რამ გამოიწვია დავა და სასამართლოსთვის მიმართვის აუცილებლობა, ამასთან, კონკრეტულად რომელი უფლების დარღვევას ეხება დავა, ხოლო სასამართლოში მოსარჩელის დარღვეული უფლების აღდგენა რა დადებითი შედეგის მომტანი იქნება მისთვის. ხშირია შემთხვევები, როდესაც სასარჩელო ფორმულარის მოცემულ გრაფაში მოსარჩელეები სრულ ფაქტობრივ გარემოებებზე საუბრობენ და შემდეგი გრაფები არც კი აქვთ შევსებული. დავის არსის მოკლე მიმოხილვის გრაფა იმიტომ არის მაქსიმუმ 40-ხაზიანი, 3200 სიმბოლოთი, რომ მან მოკლედ უნდა შეატყობინოს მოსამართლეს დავის შინაარსზე, თუ რა უფლება დაერღვა მოსარჩელეს და რატომ მიმართა მან სასამართლოს. შესაბამისად, მოცემული გრაფა ინფორმაციული ხასიათისაა და მისი წაკითხვით მოსამართლეს შთაბეჭდილება უნდა შეექმნას წარდგენილ სარჩელზე რეზიუმირების სახით. მოცემული გრაფა, ასე ვთქვათ, სასარჩე-

108. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180 მუხ. რედაქცია.

ლო მოთხოვნისა და სარჩელის შინაარსის ანოტაციას წარმოადგენს და შეგვიძლია შევადაროთ წიგნის „წინათქმას“, სადაც მოკლედ არის გადმოცემული თუ რა შინაარსისაა წიგნი. დაახლოებით მსგავსად უნდა გადმოსცეს მოსარჩელემ დავის/სარჩელის მოკლე შინაარსი.

სასარჩელო განაცხადის ფორმულარში ძირითადი და მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა დავის ფაქტობრივ გარემოებებს. მოცემული გრაფა შედგება შემდეგი ორი ნაწილისაგან: 1) „ფაქტობრივი გარემოება“ და 2) „მტკიცებულება“. მოცემული გრაფის ასეთი ტიპის ნაწილებად დაყოფა განპირობებულია სსსკ-ის რამდენიმე მუხლის დანაწესით, ჯერ ერთი, საპროცესო კანონმდებლობის ძირითად პრინციპებში მე-4 მუხლის[109] დანაწესით: „მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები“. ამასთანავე, სსსკ-ის 178-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ე“ პუნქტში მითითებულია, რომ სარჩელის შინაარსი უნდა მოიცავდეს კონკრეტულ ფაქტებსა და გარემოებებს, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნებს. მოსარჩელე ასეთი ფაქტებისა და გარემოებების არჩევასა და მითითებაში თავისუფალია და წინასწარ არანაირი გარემოება ან ფაქტი დადგენილად არ მიიჩნევა, თუმცა, თითოეულ დასახელებულ გარემოებასა და ფაქტს ესაჭიროება მტკიცებულება. სწორედ ამით არის განპირობებული, რომ ფაქტობრივი გარემოების გრაფა დაყოფილია ორ ნაწილად და როდესაც ამა თუ იმ გარემოებას ან ფაქტს გადმოსცემს მოსარჩელე, მასში აღწერილი შინაარსის დასადასტურებლად ის ვალდებულია, მიუთითოს მტკიცებულებაზეც, რასაც ასევე ითვალისწინებს სსსკ-ის მე-4 მუხლის 1-ლი ნაწილისა და 178-ე მუხლის „ვ“ პუნქტის დანაწესი. მოცემული გრაფის სწორად და თანმიმდევრულად შევსება და გარკვეული ტიპის მტკიცებულებებით გამყარება უზრუნველყოფს სარჩელზე სასამართლოს მიერ მოსარჩელისათვის პოზიტიური გადაწყვეტილების გამოტანას.

ივარაუდება, რომ პირი, რომელიც სარჩელით მიმართავს სასამართლოს, უთითებს ფაქტებსა და გარემოებებს, ამასთან, წარადგენს თითოეულ გარემოებასა და ფაქტზე მტკიცებულებებს. მოცემული ფაქტობრივი გარემოებებისა და მტკიცებულებების წარდგენა ლოგიკურად თანმიმდევრული უნდა იყოს და ქმნიდეს სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების წინაპირობას. შესაბამისად, პირს, რომელიც ვერ უზრუნველყოფს სარჩელის წარდგენას, სადაც ფაქტები და გარემოებები და მათი შესატყვისი მტკიცებულებები არ იქნება დასახელებული და თანდართული სარჩელზე, შესაძლებელია უარი ეთქვას სარჩელის წარმოებაში მიღებაზე.[110]

აქვე შევჩერდებით ტექნიკურ საკითხებზეც, სადაც გვინდა მივუთითოთ, რომ თუკი ფაქტობრივი გარემოების გრაფაში არ ეტევა გადმოცემული მსჯელობა, შესაძლებელია გადმოსაცემი მსჯელობის შინაარსი გაგრძელდეს

109. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 4 მუხლის 1 ნაწ.

110. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 186 მუხლის 1 ნაწ. „თ“ პუნქტი.

შემდეგ გრაფაში და მიეთითოს, რომ ის გაგრძელებაა. ასევე, სამოქალაქო სარჩელის ფორმაში სულ 7 ფაქტობრივი გარემოების (მტკიცებულებების) გრაფაა, ხოლო მე-8 გრაფიდან მოსარჩელეს თავისი სურვილით შეუძლია გააგრძელოს სასარჩელო მოთხოვნის შესაბამისი ფაქტობრივი გარემოებებისა და მათი შესაბამისი მტკიცებულებების წარდგენა წერილობით, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ აქაც ფაქტებსა და გარემოებებზე მითითებას იქვე უნდა დაერთოს მათი შესაბამისი მტკიცებულებები.

იმ შემთხვევაში, თუ მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებსა და ფაქტებზე, იმავე გრაფაში რამდენიმე მტკიცებულების წარდგენაა საჭირო, აუცილებელია თითოეული მათგანის დასახელება და ქვეშ-მიწერით დანომვრა ქართული ანბანის მიხედვით.

სასარჩელო განცხადების ფორმულარის მნიშვნელოვანი ნაწილი ეთმობა სასარჩელო მოთხოვნასა და მის სამართლებრივ საფუძვლებს. სასარჩელო მოთხოვნისა და მისი სამართლებრივი საფუძვლების გრაფაც, როგორც სათაურიც იუწყება, ორ-ნაწილიანია. პირველ რიგში, მიეთითება კონკრეტული მოთხოვნა, ხოლო მეორე განყოფილება დათმობილი აქვს მოთხოვნის იმ სამართლებრივ ნორმათა ერთობლიობის მითითებას, რომლის საფუძველზეც მოსარჩელეს მიაჩნია, რომ მისი მოთხოვნა სამართლებრივად საფუძვლიანია. სასარჩელო მოთხოვნა და მისი სამართლებრივი საფუძვლების გრაფის I განყოფილების შეუვსებლობა ნიშნავს, რომ სარჩელს კონკრეტული, ნათლად გადმოცემული მოთხოვნა არ ერთვის და ასეთი სარჩელი წარმოებაში არ მიიღება. რაც შეეხება მოცემული გრაფის II განყოფილებას, სადაც სასარჩელო მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებზე უნდა მიუთითოს მოსარჩელემ, მოცემული გრაფის შეუვსებლობა არ გამოიწვევს სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმას, თუმცა, მოცემული გრაფის შევსება სასურველია, რათა სამართლებრივი ნორმების ერთობლიობის მითითებით უფრო დამაჯერებელი გახდეს სასარჩელო მოთხოვნა. მოცემული გრაფის შევსებისას მოსარჩელეს თავისუფლად შეუძლია მიუთითოს საკუთარი მოსახრებები ან გადმოსცეს სასამართლო გადაწყვეტილებებში ასახული მსჯელობა, ასევე გამოიყენოს სამართლებრივ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებები. მიუთითოს მაგ.: ევროპის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებში დაფიქსირებული მოსაზრებები ამა თუ იმ ნორმასთან მიმართებით. სამართლებრივი საფუძვლების მითითებით მოსარჩელის მიერ ხდება სასამართლოს დარწმუნება სასარჩელო მოთხოვნის რეალურობასა და მოსარჩელის სასარგებლოდ გადაწყვეტილების მისაღებად. მოცემული გრაფის შევსების სამართლებრივი საფუძველი გახლავთ სსსკ-ის 178-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ პუნქტი, სადაც მიეთითება რომ სარჩელი უნდა მოიცავდეს სასარჩელო მოთხოვნას და დასახელებული 178-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „თ“ პუნქტი, სადაც განსაზღვრულია, რომ სარჩელი უნდა მოიცავდეს სამართლებრივ საფუძვლებს, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნებს.[111]

111. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178 მუხ. 1 ნაწ. „ბ“ და „თ“ პუნ.

გასათვალისწინებელია, რომ თუ სარჩელში გადმოცემულია რამდენიმე მოთხოვნა, ასეთ ვითარებაში თითოეული მოთხოვნა ცალკე უნდა ჩამოყალიბდეს და თითოეული მათგანისათვის ცალ-ცალკე მიეთითოს სამართლებრივი საფუძვლები. მნიშვნელოვანია, რათა ადვოკატმა მოახდინოს დაყენებული მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმის სწორი შერჩევა, ანუ იმ ნორმის რომლიდანაც გამომდინარეობს მხარის მოთხოვნა, რომელიც წარმოადგენს მხარის მოთხოვნის სამართლებრივი არსებობის წინაპირობას, რაც ხშირ შემთხვევაში სასამართლოსაც უადვილებს წარმოებას, რადგან როდესაც მოსარჩელეს სწორედ აქვს მითითებული სარჩელის სამართლებრივი საფუძვლები, მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმა და ასევე მითითებები აქვს გაკეთებული ამ ნორმის წინაპირობებზე სარჩელის ახსნა-განმარტებით ნაწილში, ეს დიდწილად ეხმარება სასამართლოს ნათლად გაერკვეს და დარწმუნდეს მოსარჩელის მოთხოვნის დასაბუთებულობაში.

სასარჩელო მოთხოვნასა და მისი სამართლებრივი საფუძვლების შემდეგ სარჩელის ფორმაში მიეთითება მტკიცებითი შუამდგომლობები, სადაც რამდენიმე განყოფილებაა. ადვილი მისახვედრია ის ნაწილი, სადაც წერია „მოწმე, ექსპერტი, სპეციალისტი". ბუნებრივია, ამ სიტყვების გასწვრივ უნდა მიეთითოს იმ პირის სახელი, ვისი მიწვევაც სურს მოსარჩელეს მითითებული სტატუსით სასამართლოში საქმის განხილვისას, იქნება ის მოწმის, ექსპერტისა თუ სპეციალისტის სახით. ამისათვის შესაძლებელია გამოიყენოთ სსსკ-ის 140-152 მუხლები , სადაც მიეთითება თუ ვინ შეიძლება იყოს მოწმე, რა უნდა დაადასტუროს მან და ა.შ. რაც შეეხება ექსპერტს , მისი დაკითხვის შესაძლებლობას იძლევა სსსკ-ის 168, 170, 171 მუხლები გარკვეული გარემოების დადგომისას, ასევე შეიძლება დაიკითხოს სპეციალისტი სსსკ-ის 204-ე მუხლის საფუძველზე და მისცეს სათანადო შეფასებები დასმულ კითხვებზე. ყველა პირის მოწმის, ექსპერტის და სპეციალისტის მიერ მიცემული ახსნა-განმარტებები წარმოადგენს ასეთი ტიპის მტკიცებულებებს, რაც განაპირობებს სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების წინაპირობას სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში. როდესაც მოსარჩელე უთითებს მოწმის, ექსპერტის ან სპეციალისტის სახით ამა თუ იმ პირის დაკითხვის თაობაზე, მან შუამდგომლობაში უნდა დაასაბუთოს, რა ფაქტობრივი გარემოების დადასტურება შეუძლია ამა თუ იმ პირს და რისთვის არის საჭირო მისი სასამართლო განხილვაში მონაწილეობა. ისეთი შუამდგომლობა, რომელიც შემოიფარგლება მხოლოდ მითითებით, რომ მოსარჩელეს სურვილი აქვს, ესა თუ ის პირი დაკითხოს სასამართლომ, არ იქნება გაზიარებული სასამართლოს მიერ. ამრიგად, ამ გრაფის შევსებისას უნდა იქნეს გაანალიზებული, რამდენად რელევანტური იქნება ამა თუ იმ პირის ახსნა-განმარტება დასახელებულ გარემოებასთან მიმართებაში, მეორე მხრივ, მოსარჩელემ უნდა დაუდასტუროს და დაუსაბუთოს სასამართლოს, რომ ეს კონკრეტული გარემოება ვერ დადასტურდება სხვა სახის მტკიცებულებით და სარჩელის დაკმაყოფილებისა და მოსარჩელის ინტერესების დასაცავად მოცემულ დავაზე საჭირო იქნება მტკიცებითი შუამდგომლობის დაყენება.

მტკიცებათა შუამდგომლობის შემდეგი ნაწილი ეთმობა ისეთი შუამდგომლობების დაყენებას, როდესაც მოსარჩელემ საპატიო მიზეზის გამო ვერ შეძლო მტკიცებულებათა წარდგენა სასამართლოში და შუამდგომლობს მათი წარდგენის გონივრული ვადით გადავადებას, ასევე, ამავდროულად, ასეთი შუამდგომლობის ავტორი ვალდებულია მიუთითოს საპატიო მიზეზი მტკიცებულებათა წარუდგენლობის გამო. ბუნებრივია, შუამდგომლობა თანმიმდევრულად უნდა ჩამოყალიბდეს და მიეთითოს მტკიცებულების დასახელება, დასათაურება, რისი მოპოვებაც და წარმოდგენაც ვერ შეძლო საპატიო მიზეზის გამო მოსარჩელემ (ან მისმა წარმომადგენელმა) აუცილებელია საპატიო მიზეზის დასახელება და მოსარჩელეს ან მის წარმომადგენელს ევალებათ მიუთითონ თუ რა ვადაში შეძლებენ დასახელებული მტკიცებულების წარდგენას სასამართლოში. მოცემული იმპერატიული დანაწესი განმარტებულია სსსკ-ის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილში. ამ მოცემულობის დარღვევა კი გამოიწვევს სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმას სსსკ-ის 186-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „თ“ პუნქტის შესაბამისად .

მტკიცებითი შუამდგომლობის გრაფა მოიცავს ასევე განყოფილებას, სადაც მიეთითება: „შუამდგომლობები მტკიცებულებათა გამოთხოვის თაობაზე“. მოცემულ გრაფაში იწერება ის შუამდგომლობები, სადაც მიეთითება, რომ მოსარჩელემ ვერ შეძლო ამა თუ იმ მტკიცებულების მოპოვება და მას ხელთ აქვს, სარჩელს ერთვის უარის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ იზრუნა ამ მტკიცებულების მოსაპოვებლად, თუმცა ვერ მოიპოვა მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო. ასეთ ვითარებაში მოსარჩელეს შეუძლია დააყენოს შუამდგომლობა, რათა სასამართლო დაეხმაროს მას ასეთი მტკიცებულების გამოთხოვასა და სასამართლოში წარმოდგენაში. ასეთი სახის შუამდგომლობის დაყენებისას შეგვიძლია მოვიშველიოთ პრაქტიკული მაგალითი: სსსკ-ის 134-ე მუხლის მე-2 ნაწილში მიეთითება: „წერილობით მტკიცებულებებს სასამართლოს წარუდგენენ მხარეები“. თუ მხარემ ვერ შეძლო წერილობითი მტკიცებულებათა მიღება იმ პირისაგან, ვისთანაც ეს მტკიცებულებები იმყოფება, მას შეუძლია იშუამდგომლოს სასამართლოს წინაშე, რათა სასამართლომ გამოითხოვოს ისინი“. თუმცა, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით „წერილობითი მტკიცებულებების გამოთხოვის თაობაზე შუამდგომლობის აღმძვრელი პირი ვალდებულია დაასაბუთოს, თუ საქმისათვის მნიშვნელოვანი რა გარემოების დადგენა შეიძლება ამ მტკიცებულებით და რას ეფუძნება მისი ვარაუდი, რომ მტკიცებულება მის მიერ მითითებული პირის ხელთაა“ . ამ ორი ნორმის ანალიზი ცხადჰყოფს, რომ პირი, რომელიც შუამდგომლობს სასამართლოს წინაშე, რათა სასამართლოს მეშვეობით გამოითხოვოს მტკიცებულება, თავის შუამდგომლობაში, სულ მცირე, რამდენიმე კომპონენტზე უნდა გაამახვილოს ყურადღება; მან უნდა მიუთითოს: პირველი – რა მტკიცებულებაზე აქვს საუბარი; მეორე – ასევე ფაქტებზე, რომელი გარემოების ან ფაქტის დასადასტურებლად ესაჭიროება დასახელებული მტკიცებულება, მესამე – რატომ ვერ შეძლო გამოეთხოვა დასახელებული მტკიცებულება, მეოთხე

– ვის ხელთაა ეს მტკიცებულება და რას ემყარება მოსარჩელის ვარაუდი, რომ ნამდვილად იმ პირის ხელთაა ის მტკიცებულება, ვისგან გამოთხოვასაც შუამდგომლობს სასამართლოს წინაშე. ასეთი ტიპის შუამდგომლობის დაყენება სასამართლოს წინაშე, როგორც უკვე აღვნიშნეთ წინსწრებით, ვიდრე ამ შუამდგომლობას დააყენებს ავტორი მოსარჩელეს, ან მისი წარმომადგენლისაგან მოითხოვს გაკრვეულ ძალისხმევას და ამ ქმედებების დამადასტურებელი მტკიცებულების წარდგენას. მაგალითად.: თუ ერთ-ერთი ფაქტობრივი მემკვიდრე ითხოვს სამკვიდრო მოწმობის ნაწილობრივ ბათილად ცნობას, მას ბუნებრივია სანოტარო აქტს სამკვიდრო მოწმობის სახით არ გადასცემს ნოტარიუსი. ასეთ ვითარებაში სასამართლოში შუამდგომლობის დაყენებამდე, მოსარჩელე ვალდებულია მიმართოს სანოტარო ბიუროს, მისგან უარის მიღების შემთხვევაში წარადგინოს უარის თაობაზე დოკუმენტი სასამართლოში და იმავდროულად დააყენოს შუამდგომლობა მტკიცებულების მითითებული ნოტარიუსისგან გამოთხოვის შესახებ, ვისგანაც სამკვიდრო მოწმობის ასლის გადაცემის თაობაზე ეთქვა უარი.

სასარჩელო განაცხადის ფორმულარი მოიცავს გრაფას „სხვა სახის შუამდგომლობები". მოცემული გრაფა შესაძლებელია გამოყენებული იქნეს სსსკ-ის 178-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ი.გ", „ი.დ" პუნქტებში გადმოცემული სახის შუამდგომლობებისთვის.[112] ასევე მოცემული გრაფა შეიძლება გამოყენებული იქნეს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით გამოსაყენებელი მოთხოვნების გადმოსაცემად. თუ სარჩელი ეხება ზიანის ანაზღაურებას, მოსარჩელეს შეუძლია იშუამდგომლოს სასამართლოს წინაშე, რათა ყადაღა დაედოს მოპასუხის კუთვნილ ქონებას და სწორედ ასეთი ტიპის შუამდგომლობა შესაძლებელია მოთავსებული იქნეს მოცემულ გრაფაში.

თუ „სხვა სახის შუამდგომლობები" რამდენიმეა და ამასთანავე ყველა მათგანი „სხვა სახის" კატეგორიას განეკუთვნება, ბუნებრივია თანმიმდევრულად ჩაიწერება ისინი მოცემულ გრაფაში და თითოეულ მოთხოვნას თან დაერთვის დასაბუთებაც, რაც საჭიროა მათი დაკმაყოფილებისათვის.

სხვა სახის შუამდგომლობის შემდეგ ივსება ველი ესაჭიროება თუ არა მოსარჩელეს ან მის მიერ დასახელებულ პირს თარჯიმანი. თუ რომელიმე მათგანს ესაჭიროება თარჯიმანი, უნდა მიუთითოს პირის სტატუსი, მაგალითად: მოსარჩელეს, მოწმეს, სპეციალისტს თუ ექსპერტს და მიეთითოს რომელი ენის მცოდნე თარჯიმანი დაჭირდება სასამართლოს. თუ ასეთი საჭიროება არის, უმჯობესია სარჩელში თავიდანვე იყოს მითითებული, რადგან თუ აღმოჩნდება, რომ სასამართლო პროცესის მონაწილე პირმა, იქნება ეს მხარე, მესამე პირი თუ მოწვეული პირი – არ აქვს მნიშვნელობა, არ იცის სამართალწარმოების ენა და მხოლოდ პროცესზე გამოირკვევა მოცემულის თაობაზე, მაშინ სასამართლო ვალდებული იქნება, განხილვისათვის მომზადებული პროცესი გადადოს სხვა დროისათვის, რაც გამოიწვევს სასამართლოს, მხარეთა და მოწვეულ პირთა რესურსების უაზრო

112. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178 მუხ. 1 ნაწ. „ი გ" და „ი დ" პუნ.

ხარჯვას და საქმის განხილვის დროში გაჭიანურებას. ამისათვის, თუ რომელიმე პროცესის მონაწილეს ესაჭიროება თარჯიმანი და ეს იმთავითვე ცნობილია მოსარჩელისათვის, მან უნდა მიუთითოს ამის თაობაზე სასარჩელო ფორმულარში.

სასარჩელო განაცხადის ფორმულარი მოიცავს სარჩელის ფასსა და მისგან გამომდინარე სახელმწიფო ბაჟის ოდენობისათვის გრაფებს. სსსკ-ის 39-ე მუხლი განსაზღვრავს სარჩელის ფასიდან გამომდინარე სახელმწიფო ბაჟის განსაზღვრის მექანიზმს. თავის მხრივ დავის საგნის ღირებულება და მისი განსაზღვრის წესი, სარჩელის ფასი განმარტებულია სსსკ-ის 40-41-ე მუხლებში, ამასთანავე 42-ე მუხლში მიეთითება, რომ თუ წინასწარ შეუძლებელია დავის საგნის ღირებულების განსაზღვრა სახელმწიფო ბაჟის ოდენობას მოსამართლე განსაზღვრავს, ხოლო თუ შემდგომ გაირკვევა ზუსტი ფასი იმის მიხედვით ხდება საბოლოოდ დამატებით გადახდევინება ან ზედმეტად გადახდილის დაბრუნება გადაწყვეტილების გამოტანისას. თუმცა მიუხედავად აღნიშნული გარემოებისა და დადგენილი ნორმისა, მოსარჩელე ვალდებულია მიუთითოს სარჩელის ფასი და მისგან გამომდინარე სახელმწიფო ბაჟის ოდენობა.

სახ. ბაჟის ოდენობები განსაზღვრულია ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის სსსკ-ის 39-ე მუხლის შესაბამისად და ის იანგარიშება სარჩელის ფასიდან გამომდინარე შემდეგი პროპორციით: I ინსტანციის სასამართლოში ფიზიკური პირისათვის არა უმეტეს 3000 ლარისა, ხოლო იურიდიული პირისათვის – 5000 ლარის ოდენობით. გასათვალისწინებელია, რომ ბაჟის ოდენობები დადგენილია სსსკ-ის 39-ე მუხლითა და „სახელმწიფო ბაჟის“ შესახებ კანონით[113] .მოცემული გრაფა ასევე მოიცავს განყოფილებას, სადაც კითხვებია დასმული ხომ არ ათავისუფლებს კანონი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან მოსარჩელეს? ასეთ ვითარებაში უნდა გაირკვეს მოსარჩელე არის თუ არა იმ კატეგორიაში, რა ჩამონათვალიც განსაზღვრულია სსსკ-ის 46-ე მუხლით ან „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ კანონის მე-5 მუხლის დანაწესით. ასეთ ვითარებაში უნდა მიეთითოს კონკრეტული ნორმის პუნქტი (ქვეპუნქტი) და მისი დამადასტურებელი მტკიცებულება. ასე მაგალითად: თუ მოსარჩელე მთავრობის დადგენილი ზღვრულ ქულაზე დაბალი ქულის მქონე სოციალურად დაუცველი პირია, ის თავისუფლდება სახ. ბაჟის გადახდისაგან[114] .ასეთ პირობებში სოციალურად დაუცველმა პირმა უნდა წარადგინოს საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი ზღვრულ ქულაზე დაბალი ქულის დამადასტურებელი ცნობა შესაბამისი სამსახურიდან.

სასარჩელო ფორმულარი მოიცავს ასევე ველს, სადაც მოსარჩელე თუ ითხოვს სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებას, ის ვალდებულია მიუთითოს სსსკ-ის 47-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებები და წარადგინოს შესაბამისი მტკიცებულებები.

113. სახელმწიფო ბაჟის შესახებ კანონის 4 მუხ.

114. სახელმწიფო ბაჟის შესახებ კანონის 5 მუხ. „მ“ პუნ.

სასარჩელო ფორმულარი ასევე მოიცავს იმ შემთხვევასაც, როდესაც მოსარჩელე, გარკვეული მდგომარეობის გამო, თუ ითხოვს სახ. ბაჟის ოდენობის შემცირებას ან გადავადებას, ამისათვის უნდა მიუთითოს სსსკ-ის 48-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებები და წარადგინოს შესაბამისი მტკიცებულებები.

თუ სახელმწიფო ბაჟი არ იქნა გადახდილი და ამასთანავე ან/და არ იქნა შევსებული მოცემული რომელიმე გრაფა და შუამდგლომლობა არ ჩაითვალა საფუძვლიანად, სასამართლოს მიერ სახ. ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების, მისი ოდენობის შემცირებისა ან გადავადების თაობაზე, სასამართლოს უფლება აქვს არ მიიღოს წარმოებაში სარჩელი.

მოცემული გრაფა ასევე მოიცავს განყოფილებას პროცესის სხვა სასამართლო ან სასამართლოს გარეშე ხარჯების თაობაზე. ხშირად, პრაქტიკაში არის ხოლმე შემთხვევები, როდესაც სარჩელის ავტორი სასარჩელო მოთხოვნის გრაფაში მიუთითებს, რომ დაკმაყოფილდეს ესა თუ ის მოთხოვნა და გადახდილი სახ. ბაჟიც დაეკისროს მოპასუხე მხარეს და ეს მოთხოვნა ჩაწერილია სასარჩელო მოთხოვნის გრაფაში, რაც არასწორია. სწორედაც, ასეთი მოთხოვნებისათვის, ასევე ადვოკატის ჰონორარის, ექსპერტიზის ჩატარების, ასევე მოწმის ტრანსპორტის მგზავრობის ან სხვა სასამართლოს გარეშე ხარჯების დაკისრებისათვის არის სწორედ ეს ნაწილი და მოსარჩელემ ასეთი მოთხოვნებისათვის სწორედ სასარჩელო განაცხადის ფორმულარის ეს ნაწილი უნდა შეავსოს და არა სარჩელის მოთხოვნის გრაფა.

შემდეგი გრაფაა მორიგების თაობაზე განაცხადი და ინფორმირებულობა სასამართლოსათვის, ჰქონდა თუ არა მცდელობა მოსარჩელეს დავა მორიგებით დაესრულებინა. ან ხომ არ აპირებს დავის მორიგებით დასრულებას. მოცემული მნიშვნელოვანია ასევე მედიაციისათვის საქმის გადაცემასა და საბოლოოდ საქმის მხარეთა მორიგებით დასრულებისათვის.

შემდეგ გრაფაში უნდა მოინიშნოს, თანახმაა თუ არა მოსარჩელე საქმე განხილული იქნეს ზეპირი მოსმენის გარეშე. ორივე შემთხვევაში შეგიძლიათ მიუთითოთ და განმარტოთ არგუმენტაცია და მიზეზები.

შემდეგი გრაფაა, რა ვადა დაგჭირდებათ მთავარ სხდომაზე პოზიციის დასაბუთებისთვის. ეს გრაფა მნიშვნელოვანია, რათა სასამართლომ გათვალოს რა დრო დასჭირდება საქმის განსახილველად მთავარ სხდომაზე მოსამართლეს.

აქვეა განსაზღვრული, თუ რამდენ სხდომაში მიაჩნია მოსარჩელეს საქმის განხილვა შესაძლებლად. თუ არსებობს კონკრეტული შუამდგომლობები, რომელთაც აქვთ საფუძვლიანი დაკმაყოფილების პრეტენზია, ბუნებრივია, ამ შუამდგომლობების დაკმაყოფილებამ შესაძლოა გამოიწვიოს საქმის გადადება და საქმის განხილვის დასრულებამდე შეიძლება რამდენიმე სხდომის ჩატარება გახდეს საჭირო, რაზე ვარაუდიც უნდა მიუთითოს მოსარჩელემ.

შემდეგი გრაფა მოიცავს თუ რომელ მისამართზე უთითებს და დროის რომელ ოპტიმალურ შუალედს ირჩევს მოსარჩელე, რათა სასამართლომ გაჭიანურებისა და ზედმეტი რესურსის დანახარჯის გარეშე შეძლოს მოსარჩელესთან დაკავშირება.

შემდეგი გრაფაა –არის თუ არა რეგისტრირებული მოსარჩელე სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში. თუ მოსარჩელე ასეთ ბაზაში რეგისტრირებულია, ის ვალდებულია წარმოადგინოს შესაბამისი მტკიცებულება (მიუხედავად ქულათა ოდენობისა).

შემდეგი გრაფაა – არის თუ არა თანახმა მოსარჩელე ან მისი წარმომადგენელი მიიღოს მასალები ელექტრონული ფოსტის მეშვეობით. როგორც ზემოთ ვიუწყებოდით, სარჩელის თავფურცელზე მითითებულ რეკვიზიტებში სავალდებულო იყო მოსარჩელის წარმომადგენლის შემთხვევაში ელექტრონული ფოსტის მითითება. მოცემული გრაფაც ეხმიანება თავფურცელში მითითებულ და სსსკ-ის 178-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ პუნქტში გათვალისწინებულ დანაწესს.

შემდეგი გრაფაა სარჩელზე თანდართული საბუთების ნუსხა. მოცემულ გრაფაში მიეთითება სარჩელზე დართული და ფაქტობრივ გარემოებებში მითითებული ყველა მტკიცებულება. ასევე სახელმწიფო ბაჟის ქვითრები, წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტი. ყველა მტკიცებულება ინომრება, მიეთითება დასათაურება და ფურცლების რაოდენობა. საბოლოოდ კი მიეთითება ფურცლების საერთო რაოდენობა და ეგზემპლარების ოდენობა. ასე მაგალითად, თუ მოპასუხე ორი პირია, სარჩელი თანდართულ დოკუმენტებთან ერთად უნდა წარედგინოს 3 ეგზემპლარად, ეგზემპლარები უნდა მოიცავდეს სარჩელსა და თანდართულ დოკუმენტებს ასლის სახით.

შემდეგი გრაფაა სარჩელის ფორმალური გამართულობა, რომელიც ივსება მხოლოდ მონიშვნით იქიდან გამომდინარე რა შინაარსისა და მტკიცებულებების შემცველია სარჩელი.

სარჩელი აუცილებლად უნდა იყოს ხელმოწერილი მოსარჩელის ან მისი წარმომადგენლის მიერ, წინააღმდეგ შემთხვევაში იარსებებს სსსკ-ის 178-ე მუხლის მე-5 ნაწილის დარღვევა და შესაძლოა სასამართლოს კანცელარიამ რეგისტრაციაში არ გაატაროს სარჩელი და უარი ეთქვას სარჩელის სასამართლოს კანცელარიაში მიღებაზეც კი, არათუ სასამართლო წარმოებაში მიღებაზე.

5.2. სარჩელების ტიპები

5.2.1. აღიარებითი, მიკუთვნებითი და ვინდიკაციური სარჩელის სპეციფიკა

კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში გამოყოფენ სამოქალაქო სარჩელის რამდენიმე, კერძოდ, სამ სახეობას. ესენია: 1) აღიარებითი, რომელსაც ასევე უწოდებენ დადგენით სარჩელს; 2) მიკუთვნებითი, იგივე აღსრულებითი სარჩელი და 3) გარდაქმნითი სარჩელი. განვიხილავთ სამივე ტიპის სარჩელებს. აღიარებითი სარჩელი, თავის მხრივ, ორი ტიპისაა.

ის შეიძლება იყოს როგორც დადებითი და ითხოვდეს რაიმე ურთიერთობის დადგენას, ასევე – უარყოფითი[115] და ითვალისწინებდეს, მაგალითად, ხელშეკრულების ბათილად ცნობას. მოვიტანთ რამდენიმე მაგალითს უარყოფითი აღიარებითი სარჩელის უკეთ გაგებისათვის; როდესაც დავა ითვალისწინებს ხელშეკრულების ბათილად ცნობას და დავის წარმოების სარჩელის დაკმაყოფილებით დასრულებისას ფაქტიურად აღარ იარსებებს, გასაჩივრებული ხელშეკრულება, იქნება ეს ნასყიდობის, ჩუქების და ა.შ., მოცემულ შემთხვევაში სახეზეა უარყოფითი აღიარებითი სარჩელი.

მაგალითისათვის, თუ პირს სურვილი აქვს რომ დადგენილი იყოს მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის რაიმე ტიპის სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა და ასეთი მოცემულობის სასამართლოს მეშვეობით აღიარება, მაგალითად ქირავნობის, შრომითი ურთიერთობის თაობაზე, ასეთ ვითარებაში საქმე გვაქვს დადებით აღიარებით სარჩელთან.

სსსკ-ის 180-ე მუხლი ითვალისწინებს აღიარებითი სარჩელის დეფინიციას, რომელიც განიმარტება კანონმდებლის მიერ როგორც: „უფლებისა თუ სამართლებრივი ურთიერთობების არსებობა-არარსებობის დადგენის, დოკუმენტაციის ნამდვილობის აღიარების ან დოკუმენტების სიყალბის დადგენის შესახებ, თუ მოსარჩელეს აქვს იმის იურიდიული ინტერესი, რომ ასეთი აღიარება სასამართლოს გადაწყვეტილებით მოხდეს“. მოცემული დეფინიცია ნათლად ჩამოთვლის რა შემთხვევაშია სარჩელი აღიარებითი. ესენია: უფლებისა თუ სამართლებრივი ურთიერთობების არსებობა – არ არსებობის დადგენა, დოკუმენტების ნამდვილობის აღიარების ან პირიქით მისი სიყალბის დადგენა.

გადავალთ მიკუთვნებითი ანუ აღსრულებითი სარჩელების განმარტებაზე. მოცემული სარჩელის ტიპს იურიდიულ მეცნიერებაში მოიხსენიებენ, როგორც ვალდებულების შესრულების თაობაზე აღძრულ სარჩელებს. ასე მაგალითად, თუ პირი სარჩელით მიმართავს სასამართლოს და მოითხოვს არსებული ვალდებულების შესრულებას, ასეთ ვითარებაში სახეზეა აღსრულებითი ანუ მიკუთვნებითი სარჩელი.

გარდაქმნითი სარჩელების[116] თაობაზე არსებობს დავა, ერთის მხრივ გარდაქმნითი სარჩელი მეცნიერთა ჯგუფს მიაჩნდა აღიარებით სარჩელად, ვინაიდან გარდაქმნითი სარჩელით ხდება არსებული სამართალურთიერთობის შეცვლა და შეწყვეტა. მაგალითისათვის თუ განვიხილავთ, რომ გარიგების ბათილად ცნობით ხდება გარკვეული ურთიერთობის შეწყვეტა და შესაძლებელია ასეთი სარჩელის დაკმაყოფილებით გამოწვეული იქნეს თავდაპირველი უფლების აღდგენა, რაც დოქტრინულად ჯდება გარდაქმნითი სარჩელის შინაარსში, თუმცა გარიგების ბათილად ცნობის თაობაზე სარჩელები ხშირ შემთხვევაში უარყოფითი აღიარებითი სარჩელების ტიპისაა.

115. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, გამომც „რანი“, 2004 წ. თენგიზ ლილუაშვილი, ვალერი ხრუსტალი. 304 – 305 გვ.

116. მაია ცქიტიშვილი. „სარჩელების კლასიფიკაცია“. 116-117 გვ. გრ. რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი – „აკადემიური მაცნე“. სამართალი N2. 2013. თბილისი.

სარჩელის ტიპების მიხედვით დაყოფისას დოქტრინაში გამოიყენება ასევე ვინდიკაციური, რომელიც თავისი ხასიათის მიხედვით მოპასუხისაგან ნივთის, ქონების გამოთხოვას გულისხმობს და სუბროგაციული სარჩელები, რომელიც თავისი შინაარსით კრედიტორის ჩანაცვლების შედეგად უფლებამონაცვლის მიერ აღძრულ სარჩელებს ეწოდებათ.

მაგალითად, სადაზღვევო კომპანიის მიერ აღიძვრება სარჩელები მის მიერ დაზღვეული პირის ნაცვლად ზიანის მიმყენებელი პირის მიმართ, ასეთ სარჩელებს სუბროგაციული სარჩელების სახით მოიხსენიებენ.[117]

ზოგადად სარჩელი ღიძვრება პირის დარღვეული უფლების აღსადგენად, კანონიერი ინტერესების დასაცავად ან/და უფლების აღიარებისათვის, რაც შეეხება სარჩელის ტიპებად, სახეებად დაყოფას, ეს საკითხი ჩვენის აზრით, დოქტრინის საქმე უნდა იყოს და ყოველ კონკრეტულ მოცემულ შემთხვევაში მთავარია ადვოკატმა, მოსარჩელემ, მისმა წარმომადგენელმა სწორად შეადგინოს სარჩელი, რათა გამართლებული გამოდგეს სარჩელის აღძვრისა და სასამართლოსათვის მიმართვის მიზანი, რომლითაც ეს მიზანი მიიღწევა, ასეთ შემთხვევაში უკვე ნაკლები მნიშვნელობა მიენიჭება საკითხს იმის თაობაზე, თუ რა ტიპის სარჩელით მიაღწია დავის აღმძვრელმა პირმა მიზანს და სამართლებრივ შედეგს.

5.2.2. იურიდიული მნიშვნელობის ფაქტის დადგენა

სსსკ ის VI კარში განთავსებულია უდავო წარმოების ნორმების თაობაზე, სადაც 310-ე მუხლის „ა“ პუნქტში განმარტებულია, რომ სასამართლო უდავო წარმოების წესით განიხილავს გარკვეული ტიპის საქმეებს, რომელთა ჩამონათვალი იწყება სწორედ იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენის შესახებ საქმეთა მითითებით. თავის მხრივ იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების ჩამონათვალი მიეთითება სსსკ-ის 312-ე მუხლის მე-2 ნაწილში. მოცემული ჩამონათვალი ამომწურავია და პირს თავისი სურვილით არ შეუძლია ამ ჩამონათვალის გაფართოება. იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენა ხდება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში, როდესაც სხვა გზით ასეთი ფაქტის დადგენა შეუძლებელია. ამასთანავე, სასამართლოში მხოლოდ მას შემდეგ მიიღება ასეთი ტიპის მოთხოვნით განცხადება, როდესაც ამოწურულია ადმინისტრაციული წესით, ადმინისტრაციული ორგანოების მეშვეობით მათი დადგენის შესაძლებლობა, რაც განმარტებულია სსსკ-ის 313-ე მუხლით.

იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენისას აუცილებელია განცხადებაში მიეთითოს, რა მიზნით ესაჭიროება განმცხადებელს მოცე-

117. ნატალია მოწონელიძე. სუბროგაცია: როგორც მზღვეველის მოთხოვნის დაკმაყოფილების საშულება. ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახ.უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. სადისერტაციო ნაშრომი. 2015. თბილისი.

მული ფაქტის დადგენა და უნდა იქნეს წარდგენილი განცხადების დაკმაყოფილებისათვის სათანადო მტკიცებულებები.

იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის შესახებ განცხადების წარმოებაში ყოფნისას თუ აღმოჩნდება, რომ აღიძვრება დავა, ასეთ ვითარებაში განცხადება დარჩება განუხილველი არ დადგინდება იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტი განცხადების განუხილველად დატოვების გამო და განმცხადებელს განემარტება, რომ შეუძლებელია წარადგინოს სარჩელი საერთო საფუძველზე, სავარაუდოდ დავის აღმძვრელი მოსარჩელე პირის ან დავაში დასახელებული მოპასუხე პირის მიმართ, ხოლო იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის თაობაზე განცხადების განუხილველად დატოვების თაობაზე განჩინებაზე არ დაიშვება კერძო საჩივარი.

იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებას გააჩნია თავისებურება მისი გასაჩივრების ვადების მიხედვით. ასეთი ტიპის საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილება საჩივრდება იმავე სასამართლოში საჩივრის შეტანის გზით, მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში. თუ შევადარებთ დავის საფუძველზე, სარჩელზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადას მისი გასაჩივრების ვადა არის 14 დღიანი, შესაბამისად, ეს თავისებურებაც განასხვავებს უდავო წარმოებას სასარჩელო წარმოებისაგან .

აღსანიშნავია, რომ თუ სარჩელის წარმოებისთვის ზოგადად გამოიყენება პრინციპი სსსკ-ის 39-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ პუნქტის შესაბამისად დავის საგნის ღირებულების 3%, არანაკლებ 100 ლარია და არაუმეტეს 3000 ლარისა – ფიზიკური პირებისათვის, ხოლო არაუმეტეს 5000 ლარისა – იურიდიული პირებისათვის, უდავო წარმოების საქმეებზე სახელმწიფო ბაჟის ოდენობაც განსხავებულია და ის შეადგენს 50 ლარს, სააპელაციო ინსტანციაში 100 ლარს, ხოლო საკასაციო საჩივრის აღძვრისას 300 ლარს. ამასთან გათვალისწინებული უნდა იქნეს სსსკ-ის მე-14 მუხლისა და 39-ე მუხლის მე-2 ნაწილში გადმოცემული დათქმებიც.

5.2.3. გამარტივებული წარმოება

სსსკ – ის V კარში გადმოცემულია გამარტივებული წარმოების თაობაზე საქმეთა განხილვის თავისებურებანი და მათი მომწესრიგებელი ნორმები.

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გამარტივებული წარმოების სახეებია:

1) თამასუქისა და ჩეკის თაობაზე აღძრულ სარჩელებზე საქმის წარმოება ;
2) ლიზინგის საგნის გამცემის მფლობელობაში ლიზინგის საგნის დაბრუნების თაობაზე საქმის გამარტივებული წესით წარმოება ;
3) აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ საქმის წარმოება;
4) ცალკეული დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელის განხილვის გამარტივებული წარმოება.

მიუხედავად იმისა, რომ ერთ კარშია 4 სრულად განსხვავებული წარმოება მოქცეული, ისინი სწრაფად, შემჭიდროვებულ ვადებში უნდა იქნეს განხილული და გააჩნიათ დავის სწრაფად გადაწყვეტის მექანიზმი, რაც ასეც უნდა იყოს. ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს გამარტივებული წარმოების თავისებურებანიც.

საქართველოს კანონის „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ მე-4 მუხლისა და სსსკ-ის 39-ე მუხლის გათვალისწინებით სახელმწიფო ბაჟის ოდენობა თამასუქისა ან ჩეკის თაობაზე აღძრულ სარჩელზე I ინსტანციაში 100 ლარია, სააპელაციო ინსტანციაში – 150, ხოლო საკასაციო ინსტანციაში – 300 ლარს შეადგენს. მიუხედავად სარჩელის ფასისა, აქვეა საყურადღებო, რომ თამასუქისა ან ჩეკის თაობაზე აღძრულ სარჩელებზე მტკიცებულებას წარმოადგენს მხოლოდ მხარეთა ახსნა-განმარტება და დოკუმენტები. მოსარჩელეს შეუძლია მოპასუხის თანხმობის გარეშეც მოითხოვოს დავის საერთო სარჩელის წარმოების გზით განხილვა და კიდევ ერთი თვალში საცემი განსაკუთრებულობა მოცემულ დავაზე ისაა, რომ დაუშვებელია შეგებებული სარჩელის აღძვრა ასეთი ტიპის დავებზე.

ლიზინგის საგნის გამცემის მფლობელობაში ლიზინგის საგნის დაბრუნების თაობაზე აღძრულ განცხადებაზე სახელმწიფო ბაჟი გადაიხდება, როგორც საერთო სასარჩელო წარმოებაზე, სსსკ-ის 39-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ პუნქტით, თუმცა ასეთი განცხადება განიხილება სასამართლოს მიერ განცხადების სასამართლოში შეტანიდან 3 დღეში. შემაჯამებელი გადაწყვეტილება გაიცემა ბრძანების სახით. ამასთან მნიშვნელოვანია, რომ დაცული იქნეს განცხადების ფორმა, რომლის შინაარსიც იმპერატიულად მიეთითება სსსკ-ის 309[2] მუხლში. თუ არ იქნება დაცული განცხადების ფორმა, მოსამართლეს უფლება აქვს უარი თქვას ასთი განცხადების წარმოებაში მიღებაზე, რაც საჩივრდება კერძო საჩივრით .

განსხვავებული წარმოების ერთ-ერთი სახეა აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ საქმის განხილვაც, რაც განთავსებულია სსსკ-ის 309[8] მუხლიდან 309[15] მუხლამდე არსებულ ნორმებში. მოცემული საქმის განხილვის თავისებურებებია გადმოცემული მითითებულ მუხლებში და მოცემული ფორმატის საქმეებს განიხილავენ არა ყველა სასამართლო, არამედ მხოლოდ თბილისისა და ქუთაისის საქალაქო სასამართლოები, ამასთან თბილისის საქალაქო სასამართლო მოიცავს აღმოსავლეთ საქართველოს, ხოლო ქუთაისის საქალაქო სასამართლოს განსჯადია დასავლეთ საქართველოში არსებული საქმეები. ასეთი ტიპის დავებზე „სახელმწიფო ბაჟის შესახებ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის 1-ლი ნაწილის „პ“ პუნქტის საფუძველზე I ინსტანციის სასამართლოში განსაზღვრულია 500 ლარის ოდენობის სახელმწიფო ბაჟი. განცხადების წარმოებაში მიღებას სასამართლო ახორციელებს 3 დღის ვადაში განცხადების წარდგენიდან, ხოლო ამავე დღიდან 7 დღის ვადაში ნიშნავს დამოუკიდებელ ექსპერტს ან საბროკერო კომპანიას აქციათა გამოსყიდვისათვის სამართლიანი ფასის დასადგენად .

აქციათა გამოსყიდვის თაობაზე განცხადების საფუძველზე სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილება განცხადების სავალდებულო მიყიდვის თაობაზე. მოცემული საქმის განხილვის თავისებურება კიდევ იმაში მდგომარეობს, რომ თუ განცხადებას არ აკმაყოფილებს სასამართლო, მას გამოაქვს არა გადაწყვეტილება, არამედ განჩინება, განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ მხოლოდ გადაწყვეტილება საჩივრდება, მისი გამოტანიდან 14 დღის ვადაში და მხოლოდ სააპელაციო ინსტანციაში. რაც შეეხება განჩინებაზე, რომლითაც სასამართლო არ დაკმაყოფილებს აქციათა სავალდებულო მიყიდვის თაობაზე განცხადებას, სსსკ ის 3098 – 309[15] მუხლებში მისი გასაჩივრების თაობაზე არ მიეთითება, რაც გულისხმობს, რომ ასეთი განჩინება არ გასაჩივრდება .

გამარტივებული წარმოების კიდევ ერთი სახეა ცალკეული დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელის განხილვის შესახებ საქმის წარმოება. მოცემული დავის თავისებურებანი გადმოცემულია სსსკ-ის 309[16]-დან 309[21] მუხლებში, ასეთი ტიპის სარჩელებზე თუ სისხლის სამართლის დანაშაულის შედეგად მიყენებულ ზიანს ეხება, დაზარალებული თავისუფლდება სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ კანონის მე-5 მუხლის 1-ლი ნაწილის „თ“ პუნქტისა და სსსკ-ის 46-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ პუნქტის შესაბამისად. მოცემული ტიპის დავების განხილვისას სარჩელის წარმოებაში მიღების საკითხს წყვეტს სასამართლო 3 დღიან ვადაში. მოპასუხეს შესაგებლის წარმოსადგენად ენიშნება არაუმეტეს 7 დღიანი ვადა, ხოლო სარჩელის განხილვის ვადა 1 თვეა. ასეთი ტიპის დავაზე ზიანის მიყენების ფაქტი შეიძლება დადასტურდეს მხოლოდ კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენით და დამატებით სხვა მტკიცებულებების წარდგენა საჭირო არ გახდეს, გარდა ზიანის თაობაზე გაანგარიშების წარდგენისა. მოსარჩელეს ფაქტიურად შემსუბუქებული აქვს მტკიცების ტვირთი ასეთი ტიპის დავის აღძვრისას. ცალკეული დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების სარჩელზე გამოტანილი გადაწყვეტილება საჩივრდება 7 დღის ვადაში.

უნდა აღინიშნოს რომ გამარტივებული წარმოების როლი მნიშვნელოვანია სამოქალაქო საპროცესო მიზნებისათვის, რადგან ისეთ შემთხვევაში, როდესაც ადვოკატის წარმოებაში მსგავსი წარმოებისათვის მახასიათებელი ტიპის საქმე იმყოფება, მას აქვს საშუალება ამ წარმოებისათვის დამახასიათებელი თავისებურებების გათვალისწინებით დროულად და ეფექტურად შეასრულოს მასზე ნაკისრი ვალდებულებები კლიენტის საუკეთესო ინტერესის სასარგებლოდ.

5.3. მხარეები (მესამე პირები და მათი საპროცესო უფლებაუნარიანობა)

სსსკ ის მეორე კარის თავი IX მოიცავს მხარეთა საპროცესო უფლებაუნარიანობასა და ქმედუნარიანობას. სსსკ-ის 79-ე მუხლით განმარტებულია, რომ სასამართლოში მხარე შეიძლება იყოს ფიზიკური ან იურიდიული პირი, ასევე ორგანიზაციები, რომლებიც არ არიან იურიდიული პირები.

საპროცესო უფლებაუნარიანობის წარმოშობა ფიზიკური პირისათვის უკავშირდება მის დაბადებას, ხოლო იურიდიული პირისათვის მისი სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციას. რაც შეეხება უფლებაუნარიანობის შეწყვეტას, ფიზიკური პირისათვის წყდება მისი გარდაცვალების, ხოლო იურიდიული – პირისათვის მისი ლიკვიდაციის რეგისტრაციის მომენტიდან.

საპროცესო ქმედუნარიანობა ფიზიკური პირისათვის წარმოიშობა 18 წლის ასაკიდან. 7-დან 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვანი პირები, სხვა შეზღუდულიქმედუნარიანობის მქონე მოქალაქეების უფლებებს სასამართლოში იცავენ და წარმოადგენენ მათი მშობლები, ან მზრუნველები. 7-18 წლამდე პირებს მათ წარმომადგენლებთან ერთად სასამართლო აბამს პროცესში მონაწილეობის მისაღებად.

თუ მხარდაჭერის მიმღებს სასამართლოს გადაწყვეტილებით დაუწესდა მხარდამჭერი, მხარდაჭერის მიმღების უფლებებისა და კანონით დაცული ინტერესების განხილვისას სასამართლო ვალდებულია საქმეში აუცილებლად ჩააბას მხარდამჭერიცა და მხარდაჭერის მიმღებიც.

არასრულწლოვანს 14 წლიდან შეუძლია თავადაც მიმართოს სასამართლოს, კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში. ასეთ შემთხვევაში საქმეში სასამართლო ჩააბამს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს.

მხარეთა საპროცესო უფლებები ჩამოთვლილია სსსკ-ის 83-ე მუხლში. გარდა 83-ე მუხლში ჩამოთვლილი უფლებებისა, მოსარჩელეს უფლება აქვს გამოიხმოს სარჩელი (სსსკ-ის 83-ე მუხლის პირველი ნაწილი). მოცემული ნორმის დეფინიცია პრაქტიკაში ხშირად ერევათ და არის შემთხვევები, როდესაც მხარე აყენებს შუამდგომლობას სააპელაციო საჩივრის ან საკასაციო საჩივრის გამოხმობის თაობაზე, რაც 83-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული არ არის და ეს შეცდომაა.

თუ მოსარჩელედ წარდგენილი პირი არ არის სათანადო მხარე, კერძოდ კი, აღმოჩნდება, რომ სარჩელი აღძრა არა იმ პირმა, ვისაც აქვს მოთხოვნის უფლება, შესაძლებელია არასათანადო მოსარჩელის სათანადო მოსარჩელით ჩანაცვლება. მოცემული ფორმატის დასარეგულირებლად სსსკ-ის 84-ე მუხლის დეფინიცია იძლევა პასუხს.

ასევე არსებობს არასათანადო მოპასუხის შეცვლა სათანადო მოპასუხით, კერძოდ კი იმ პირით ვინც პასუხი უნდა აგოს სარჩელზე, რაც განმარტებულია სსსკ-იის 85-ე მუხლში.

გასათვალისწინებელია, რომ ზოგჯერ მოსარჩელეც და მოპასუხეც შეიძლება იყოს არა ერთი, არამედ რამდენიმე პირი და საქმე გვქონდეს

საპროცესო თანამონაწილეობასთან, რაც რეგულირდება სსსკ-ის 86-87-ე მუხლებით.

მესამე პირები არ წარმოადგენენ მხარეებს და მათ გარკვეული საპროცესო უფლებაუნარიანობა გააჩნიათ. არსებობენ ორი ტიპის მესამე პირები: 1) მესამე პირები დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით (სსსკ-ის 88-ე მუხლი) და 2) მესამე პირები დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე (სსსკ-ის 89-ე მუხლი).

თუ მესამე პირები აცხადებენ დამოუკიდებელ მოთხოვნას დავის საგანთან მიმართებაში და წარადგენენ სარჩელს, ძირითადი სარჩელი და მესამე პირის სარჩელი განიხილება ერთად. რაც შეეხება დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირების პროცესუალურ უფლებებს, ეს გადმოცემულია სსსკ-ის 91-ე მუხლში.

5.4. ელექტრონული საქმის წარმოება და სარჩელის გაგზავნა მხარეებისათვის (ვადები, შეტყობინების წესი, გზავნილის მარკირების წესი)

სსსკ-ის შესაბამისად შედგენილი სარჩელი ან განცხადება სასამართლოს წარედგინება თანდართულ დოკუმენტებთან და სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელ ქვითართან ერთად (სსსკ-ის 178-ე მუხლი). სასარჩელო განცხადება შედგენილი უნდა იქნეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული ფორმის მიხედვით, სადაც შევსებული უნდა იქნეს ყველა რეკვიზიტი, რაზეც ვრცლად ვისაუბრეთ 5.1. პუნქტში.

სასამართლოს კანცელარიის თანამშრომელი ელექტრონულად დაარეგისტრირებს წარდგენილ სარჩელს სასამართლოს კანცელარიის პროგრამაში, თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად. ფორმალური გამართულობის, მაგალითად, ხელმოწერის, წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტის გარეშე წარდგენილი სარჩელი, თუ ის შეაქვს რწმუნებულს და ა.შ. სვხადასხვა დარღვევების შემთხვევაში, შესაძლოა არ იქნას ჩაბარებული კანცელარიის თანამშრომლის მიერ და მის წარმდგენ პირს უარი ეთქვას მის მიღებაზე, რაც არ აფერხებს მისი გამართვის შემთხვევაში, სარჩელის ხელმეორედ წარდგენას. სარჩელის განმეორებით წარდგენისას გამოსწორებული უნდა იქნეს ის ხარვეზი, რის გამოც არ იქნა მიღებული სასამართლოს კანცელარიის მიერ სარჩელი.[118]

თუ სარჩელი შეიტანა იურიდიულმა პირმა, ინდივიდუალურმა მეწარმემ, ადვოკატმა ან მოსარჩელის წარმომადგენელმა ან თუ სარჩელი შეტანილია იურიდიული პირის წინააღმდეგ, მოსარჩელის მოვალეობაა სარჩელი თანდართულ მასალებთან ერთად ჩააბაროს მოპასუხე მხარეს, რის გამოც კანცელარიის თანამშრომელი სარჩელის სასამართლოს კანცელარიაში მი-

118. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 183 მუხლის დეფინიცია

ღების ელექტრონულ პროგრამაში დარეგისტრირებისთანავე გადასცემს მოპასუხისათვის გასაგზავნ გზავნილებს მოსარჩელეს.

თავის მხრივ მოსარჩელეს სარჩელის სასამართლოს კანცელარიაში ჩაბარებიდან არა უადრეს 5 და არა უგვიანეს 14 დღისა უნდა ეცნობოს სარჩელის სასამართლო წარმოებაში მიღების თაობაზე სატელეფონო ან ელექტრონულ ფოსტაზე შეტყობინებით. რის შემდეგაც, თუ სასამართლო მიიღებს წარმოებაში სარჩელს, მოსარჩელე ვალდებულია მისთვის გზავნილის გადაცემიდან 2 თვიან ვადაში უზრუნველყოს მოპასუხისათვის გზავნილის ჩვეულებრივი ფოსტის ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით ჩაბარება. მოპასუხისათვის გზავნილის ჩაბარების თაობაზე დოკუმენტის წარდგენაზე საქმის მწარმოებელ მოსამართლესთან ვალდებულება ეკისრება მოსარშელეს, წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია განუხილველად დატოვოს სასამართლოს წარმოებაში მყოფი სარჩელი.

გზავნილი მოპასუხისათვის შეიძლება ჩაბარებული იქნეს სასამართლო კურიერის ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით. თუ გზავნილი მოპასუხეს ჩაბარდება ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ასეთ ვითარებაში ელექტრონულად უნდა იქნეს დადასტურებული გზავნილის მიღება მოპასუხის მიერ. შესაძლებელია მხარეები გზავნილის ჩაბარების სხვაგვარ წესზეც შეთანხმდნენ.

5.5. შესაგებელი, როგორც მოპასუხის რეაქცია სარჩელზე

სსსკ-ის 201-ე მუხლით განსაზღვრულია, რომ მოპასუხემ გზავნილის ჩაბარების შემდგომ სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში სასამართლოში უნდა წარადგინოს იუსიტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული ფორმის შესაგებელი, თანდართულ დოკუმენტებთან ერთად, რომლის ასლიც უნდა გადაეგზავნოს მოსარჩელეს, რომლის დამადასტურებელი დოკუმენტიც ასევე უნდა წარადგინოს სასამართლოში.

სსსკ-ის 201-ე მუხლის შესაბამისად შესაგებლის წარსადგენად სასამართლო მოპასუხეს უნიშნავს ვადას არაუმეტეს 14 დღისა, ხოლო რთული კატეგორიის საქმეებზე – 21 დღეს. ამასთან, შესაგებელი შედგენილი უნდა იქნეს სსსკ-ის 201-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნათა დაცვით.

სსსკ-ის მე-3 და მე-4 მუხლების დათქმების შესაბამისად განსაზღვრულია სამოქალაქო პროცესის დისპოზიციურობისა და შეჯიბრობითობის პრინციპების დაცვით წარმართვა. შესაგებლის წარდგენა და მისი შინაარსიც სწორედ ამ პრინციპების ნათელი გამოხატულებაა და მოპასუხეს საშუალებას აძლევს თავისი შეხედულებისამებრ ცნოს ან უარყოს სარჩელი. როგორც მოსარჩელეს ეძლევა სრული თავისუფლება თავად განსაზღვროს რა გარემოებები მიუთითოს და რა მტკიცებულებები წარადგინოს, ასევე მოპასუხეც აღჭურვილია ასეთი უფლებამოსილებით, რაც მან პირველივე შესაძლებლობისთანავე, შესაგებლის შედგენისა და სასამართლოში წარდგენისას უნდა გამოიყენოს.

შესაგებლის წარდგენისას მოპასუხეს, როგორც მოსარჩელის მიერ დასახელებულ და სასამართლოს წარმოებაში მყოფ საქმეზე დავის სრულუფლებიან მხარეს, შესაგებელში ეძლევა საშუალება, უპასუხოს სარჩელს, წარადგინოს მოსაზრებები, ფაქტები და გარემოებები, უფრო მეტიც, მას სსსკ-ის 201-ე მუხლი ავალდებულებს, ყოველ კონკრეტულ გარემოებაზე ასევე კონკრეტულად უპასუხოს, მიუთითოს და შესაგებელს დაურთოს ყველა ის მტკიცებულება, რაც მას მიაჩნია სწორად და მისთვის ხელსაყრელი სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანას უზრუნველყოფს.

თუკი მოპასუხე სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში არ შეიტანს შესაგებელს სასამართლოში და შესაგებელი არ იქნება შევსებული კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლო უფლებამოსილია სასამართლო განხილვისა და მხარეთა მოწვევის გარეშე გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

5.5.1. მტკიცების ტვირთის განაწილება

სსსკ-ის 102-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე: თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზეც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ამასთან ერთად, თუ გავითვალისწინებთ, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ძირითადი პრინციპია დისპოზიციურობისა და შეჯიბრობითობის პრინციპები, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მტკიცების ტვირთი სასამართლოში საქმის განხილვისას უნდა ნაწილდებოდეს სამართლიანი განაწილების პრინციპით ორივე მხარეზე, ამასთან, ვინაიდან მოსარჩელეა ძირითადი დავის აღმძვრელი პირი, მტკიცების ტვირთი სარჩელში გადმოცემულ გარემოებებზე გადადის მასზე. მოსარჩელე ვალდებულია დაამტკიცოს ის გარემოება, რაზეც ამყარებს თავის მოთხოვნებს, ხოლო მოპასუხეს ევალება დაამტკიცოს სარჩელში გადმოცემული გარემოების საპირისპირო ფაქტები, თუ შესაგებლით არ ცნობს სარჩელს და ითხოვს, რომ სარჩელს ეთქვას უარი. ამასთანავე, საგულისხმოა რომ სსსკ-ის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილში მნიშვნელოვანი დათქმაა, რითაც გარკვეული სახის მტკიცებულებები არ შეიძლება შეიცვალოს სხვა სახის მტკიცებულებებით. მაგალითად, თუ პირს არ აქვს სამკვიდრო მოწმობა და ის არ არის მემკვიდრე, მამკვიდრებლის აქტივებსა და პასივებზე პასუხისმგებლობასა და უფლებებზე დავაში ვერ იქნება მამკვიდრებლის უფლებამონაცვლე და ასეთ ვითარებაში აუცილებელია სამკვიდრო მოწმობის წარდგენა სასამართლოში. ასე მაგალითად, გარდაცვლილ ჯ.გ.-ს თუ ჰქონდა კრედიტორ თ.მ.-სგან მიღებული ფულადი თანხა, რომლის დაბრუნებამდე გარდაიცვალა და დარჩა სესხის უზრუნველსაყოფად თ.მ.-ს სასარგებლოდ იპოთეკით დატვირთული ქონება, ასეთ ვითარებაში სარჩელი კრედიტორმა თ.მ.-მ თუ წარადგინა იმ პირის წინააღმდეგ, რომელიც ჯ.გ.-ს გარდაცვალების შემდეგ ნოტარიუსის მიერ გაცემულ სამკვიდრო მოწმობაში დასახელებული პირი

არ არის, მხოლოდ მოსარჩელის ახსნა-განმარტება, რომ მოპასუხე მემკვიდრეა გარდაცვლილი პირისა, არ იქნება საკმარისი. სსსკ-ის 102-ე მუხლის თანახმად ასეთი გარემოებებისას საჭიროა გარკვეული დოკუმენტი და მტკიცებულება, რომ მოსარჩელემ სამემკვიდრეო დავიდან გამომდინარე პრეტენზიები მოპასუხის სახით შეუძლია წარუდგინოს არა უბრალოდ მისი ახსნა-განმარტებით „მემკვიდრე" პირს, არამედ პირს, რომელიც ნამდვილად მემკვიდრეა და სამკვიდრო მოწმობასაც ფლობს. ასევე მაგალითად, ფიზიკური პირის სახელისათვის შესაძლებელია გამოყენებული იქნეს მისი პირადობის მოწმობა, ან რაიმე პიროვნების დამდგენი საბუთი. მოცემული საბუთის შეცვლა მოწმის ჩვენებით დაუშვებელია. ასეთი ტიპის დადასტურებულ მტკიცებულებაზეა საუბარი სსსკ-ის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილში.

აქვეა აღსანიშნავი, რომ მტკიცებულებებს სასამართლოს წარუდგენენ მხარეები. თუ მხარეებმა ვერ შეძლეს რაიმე მიზეზის გამო მტკიცებულების მიღება, ასეთ შემთხვევაში მათი შუამდგომლობით სასამართლოს მეშვეობით შეიძლება გამოთხოვილი იქნეს ასეთი მტკიცებულება. ეს ფორმატი იმისთვისაა, რომ სასამართლომ ხელი შეუწყოს მხარეებს, რათა მათ უზრუნველყონ თავიანთი უფლებების სრულყოფილად დაცვა და მტკიცების ტვირთის იმგვარად გადანაწილება მხარეებზე, რაც დადგენილია სსსკ-ის 3 და მე-4 მუხლების განმარტებულ ძირითად პრინციპებში.

დაბოლოს გვინდა აღვნიშნოთ, რომ ნეგატივის მტკიცება, მაგ; რომ მე არ ვარ სხვა პირი არ ხდება, რასაც ისედაც არ სჭირდება დამტკიცება, ხდება მხოლოდ პოზიტიური გარემოებების მტკიცება, რომ მაგალითად რაღაც გარემოება ასე მოხდა, მაგალითად დაიდო გარიგება, რაც შესაბამისი სახის მტკიცებულებებით უნდა ადასტუროს ამ მოთხოვნის მესაკუთრემ, ხოლო მისმა მოპასუხე მხარემ დაცვის სტრატეგია იმაზე უნდა ააგოს, რომ მსგავს მოცემულობას ადგილი არ ჰქონია, რაც ასევე შესაბამისი მტკიცებულებებით უნდა ადასტუროს მოპასუხემ, რა დროსაც მტკიცების ტვირთი მის შემთხვევაში შებრუნებულია, რადგან მას საწინააღმდეგო მოცემულობის მტკიცება უწევს.

სსსკ-ის 106-ე მუხლი ითვალისწინებს ისეთ საყოველთაოდ ცნობილ და სასამართლოს კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებებს, რომელთაც არ ესაჭიროებათ მტკიცება. ასეთ ვითარებაში მხარეები თავისუფლდებიან მტკიცების ტვირთისაგან და სასამართლო ვალდებულია ასეთი გარემოებები ჩათვალოს დამტკიცებულად.

5.5.2. დაუდასტურებელი ფაქტობრივი გარემოებების განსაზღვრა

სსსკ-ის 217-ე მუხლის 1-ლი ნაწილით განსაზღვრულია, რომ სასამართლო განხილვა იწყება მოსამართლის მოხსენებით, სადაც მოსამართლე ვალდებულია, მიუთითოს მოსარჩელის მიერ სარჩელში გადმოცემული ფაქტები, ასევე მოპასუხის მიერ წარდგენილ შესაგებელში გადმოცემუ-

ლი ფაქტები. მოსამართლე ასევე უთითებს, რომელი ფაქტებია სადავო და რომელი არა. ასეთ შემთხვევაში განისაზღვრება დაუდასტურებელი ფაქტობრივი გარემოებები, რომელზეც მხარეებს აქვთ სხვადასხვაგვარი დამოკიდებულება და არ ეთანხმებიან ერთმანეთს, ასევე თავისებურ, განსხვავებულ ინტერპრეტაციას წარუდგენენ სასამართლოს.

ასეთ ვითარებაში დაუდასტურებელი და ერთმანეთისაგან განსხვავებული ფაქტობრივი გარემოებებები უნდა განსაზღვროს სასამართლომ, გამოყოს ისინი და გადაწყვეტილებაში მიუთითოს, რომელი მხარის მიერ მითითებულ გარემოებას დაუჭირა მხარი და რატომ მიაჩნია ესა თუ ის მითითებული გარემოება დადგენილად.

სასამართლო ვალდებულია დაუდასტურებელი ფაქტობრივი გარემოებები განსაზღვროს და იქონიოს მსჯელობა მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში (იხ. სსსკ-ის 244-ე მუხლი).

5.6. შესაგებელზე შეპასუხების უფლება

მოპასუხის მხრიდან შესაგებლის შეტანა წარმოადგენს საქმის მთავარი სხდომისთვის მომზადების ერთ-ერთი მთავარ ეტაპს, რა დროსაც ორივე მხარეს წერილობით აქვთ დაფიქსირებული პოზიციები სასამართლოს წინაშე.

გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ითვალისწინებდა მოსარჩელის უფლებას შესაგებლის მიღების შემდგომ წერილობითი პასუხი შეეტანა სასამართლოში შესაგებელში დაფიქსირებული პოზიციების თაობაზე, თუმცა მსგავს დათქმას საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი აღარ ითვალისწინებს, თუმცა ეს არ გამორიცხავს მოსარჩელის მხრიდან შესაგებელზე შეპასუხების უფლებას, ასეთი საჭიროების არსებობის შემთხვევაში.

მოსარჩელის მიერ შესაგებლის მიღების სტადიაზე მოსარჩელეს შეიძლება გაუჩნდეს საჭიროება დამატებით მტკიცებულებების წარდგენის ან დამატებითი განმარტებების გაკეთების, იმის გათვალისწინებით თუ რა პოზიცია არის დაფიქსირებული შესაგებელში მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ თავდაპირველ სარჩელსა და მასზე დართულ მტკიცებულებებზე. მეორე მხრივ, ხშირია შემთხვევა, როდესაც მოპასუხე შესაგებლით ახალ ფაქტებზე და მტკიცებულებებზე აკეთებს მითითებებს, რაც მოსარჩელისთვის მაღალი ალბათობით უნდა გახდეს მათზე პასუხის გაცემის წინაპირობა, თუ მოსარჩელეს აქვს ინტერესი სასამართლოს არ დაუტოვოს პასუხგაუცემელი ღია კითხვები, რაც მოსამართლის შინაგანი რწმენის ჩამოყალიბებაზე შეიძლება იყოს უარყოფითი გავლენის მომხდენი.

შესაბამისად, შესაგებელზე შეპასუხების უფლება, ერთგვარი ფაკულტატური შესაძლებლობაა და მოსარჩელის გადასაწყვეტია თუ რამდენად ისარგებლებს ამ უფლებით და აღნიშნულზე გადაწყვეტილების მიღებისას

მოსარჩელემ უნდა იმოქმედოს იმის გათვალისწინებუთ თუ რამდენად შესაგებელში არის საუბარი ახალ ფაქტებზე და მტკიცებულებებზე, რაც საჭიროებს მისი მხრიდან პასუხს და გაბათილებას ან რამდენად შესაგებელში მითითებული ფაქტები და დართული მტკიცებულებები აბათილებენ პირველად სარჩელს, რაც მოსარჩელის საპროცესო პოზიციების დამატებით გამყარებას საჭიროებს სასამართლოს წინაშე.

თავი VI

მოქმედებები სასამართლო ინსტანციაში

6.1. უზრუნველყოფის ღონისძიებები.

6.1.1. სარჩელის შეტანამდე უზრუნველყოფა.

6.1.2. უზრუნველყოფის მოთხოვნის მტკიცებულებებით გამყარება.

6.1.3. ზიანის მოთხოვნის რისკი მეორე მხრიდან.

6.1.4. უზრუნველყოფის შებრუნება.

6.1.5. პროცედურული საკითხები – რა საჩივრდება და სად.

6.1.6. გადაწყვეტილების უზრუნველყოფა.

6.2. მოსამზადებელი სხდომა.

6.2.1. მორიგების მიზანი.

6.2.2. რას ვაქცევთ ყურადღებას
შუამდგომლობების განხილვის დროს.

6.2.3.დამატებითი მტკიცებულებების წარდგენის შესაძლებლობა.

6.2.4. გამოუცხადებლობის შედეგები.

6.3. მთავარი სხდომა.

6.3.1. დავის კულტურა სასამართლოში.

6.3.2. მხარის ახსნა-განმარტება, როგორც მტკიცებულება.
მეორე მხარის წერილობითი ფორმით ახსნა-განმარტების
წარდგენა.

6.3.3. ახალი გარემოების გამოქვეყნება და დაშვების
წინაპირობები და მეორე მხარის უფლებები შეჯიბრებითობის
პრინციპის გათვალისწინებით.

6.3.4. აღიარება, როგორც მტკიცებულება.

6.4. მტკიცებულებების გამოკვლევა.

6.5. ექსპერტიზის დასკვნა, ექსპერტი მოწმეები.

6.6. საპაექრო სიტყვა / სტრუქტურა – საქმის თეორია,
ფაქტები, მისადაგება და მოთხოვნის დასაბუთებულება,
კონტრარგუმენტების მოყვანა და გაბათილება.

6.7. ადვოკატის ხარჯების მოთხოვნა.

6.1. უზრუნველყოფის ღონისძიებები

სსსკ-ის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილში ჩამოთვლილია სარჩელის უზრუნველყოფის სახეები. საკითხი თუ რომელი ღონისძიების სახე უნდა იქნეს სარჩელის უზრუნველსაყოფად გამოყენებული წყდება მოსარჩელის არჩევითა და სასამართლოს დათანხმებით ამ მოთხოვნაზე. კანონმდებელი იმპერატიულად არ აწესებს რომელსარჩელზე რა ტიპის უზრუნველყოფის ღონისძიება უნდა იქნეს გამოყენებული და ეს საკითხი ყოველ კონკრეტულ სარჩელზე მოსარჩელის მიერ ინდივიდუალურად ასარჩევი, ხოლო სასამართლოს მიერ ასევე ინდივიდუალურად განსახილველი და გადასაწყვეტი საკითხია.

ქვემოთ განვიხილავთ სარჩელის უზრუნველყოფის სახეებს სათითაოდ ყოველ მათგანს.

მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს, ხოლო ამ უკანასკნელის გადასაწყვეტია სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიება უნდა იქნეს გამოყენებული წარდგენილ სარჩელზე.

სსსკ-ის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტში მიეთითება ყადაღის დადება ქონებაზე, ფასიან ქაღალდებსა თუ ფულად სახსრებზე, რომელიც იმყოფება მოპასუხესთან ან სხვა პირთან და ამასთანავე თუ დასახელებული ქონება მოპასუხის საკუთრებას წარმოადგენს. მოცემული ღონისძიება გამოიყენება სხვადასხვა ტიპის სარჩელებზე მის უზრუნველსაყოფად, ქონებრივი ტიპის სარჩელებზე ხშირია ყადაღის სახედ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენება.

სსსკ-ის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ პუნქტი ითვალისწინებს მოპასუხისათვის გარკვეული მოქმედების შესრულების აკრძალვას. მაგალითისათვის შეგვიძლია მოვიტანოთ შემდეგი სახის დავა, როდესაც სარჩელი აღიძვრება უკანონო მშენებლობის თაობაზე, რითაც მოსარჩელე ითხოვს უკანონოდ წარმოებული მშენებლობის დემონტაჟს, ასეთ ვითარებაში კიდევ რომ არ გაგრძელდეს უკანონო მშენებლობა, შესაძლებელია სასამართლოს მეშვეობით მოსარჩელემ მოსთხოვოს სასამართლოს მოპასუხისათვის სამშენებლო სამუშაოების გაგრძელების აკრძალვა.

სსსკ-ის 198-ე მუხლის „გ“ პუნქტი მოიცავს ღონისძიებას „მოპასუხის დავალდებულება გადასცეს მის მფლობელობაში არსებული ნივთი აღმასრულებელს სეკვესტრის (ქონების იძულებითი მართვა) სახით“; მოცემულ ნორმებზე არსებობს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის #1/5/675,681 – გადაწყვეტილება . საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მოცემული ნორმის შინაარსიდან გარკვეული დათქმაა გაკეთებული 2016 წლის 30 სექტემბრის #1/5/675,681 – გადაწყვეტილებაში. ზოგადად, ეს სახე გამოიყენება მაშინ, როდესაც დავის მხარეებს ინტერესი აქვთ, რომ არ გაიფლანგოს, უკანონოდ არ განიკარგოს სადავო ქონება, ასეთ ვითარებაში მოსარჩელე ითხოვს, რომ სადავო ქონება იძულებითი მართვის სახით გადაეცეს ნეიტრალურ პირს, აღმასრულებელს,

ხოლო როდესაც დავა დასრულდება სასამართლო გადაწყვეტილებით ვი-საც მიეკუთვნება სადავო ქონება, უკვე სასამართლო გადაწყვეტს სარჩე-ლის უზრუნველყოფის ღონისძიების საკითხს.

სსსკ-ის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ პუნქტი ითვალისწინებს „სხვა პირებისათვის აკრძალვა იმისა, რომ მოპასუხეს გადასცენ ქონება ან შეას-რულონ მის მიმართ რაიმე ვალდებულება“. მოცემული ღონისძიება ხშირად გამოიყენება მაშინ, როდესაც საკითხი დგას ხოლმე მოვალისათვის რაიმე თანხის დაკისრებისას, ამასთან მას არ გააჩნია ფინანსური საშუალება და მეორეს მხრივ თავად წარმოადგენს კრედიტორს სხვა პირისათვის, რომელ-საც მოპასუხის მიმართ გააჩნია დავალიანება. ასეთ ვითარებაში გამოდის, რომ კრედიტორი – მოსარჩელე ითხოვს სასამართლომ აუკრძალოს მო-პასუხის მოვალეს (მოვალის მოვალეს) რომ მან არ გადასცეს ან არ შეა-სრულოს მოპასუხის მიმართ რაიმე ვალდებულება, ვიდრე სასამართლოს გადაწყვეტილება არ შევა კანონიერ ძალაში, რათა სარჩელი არ დარჩეს უზრუნველყოფის გარეშე.

სსსკ-ის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ პუნქტი გამოიყენება, როდესაც ყადაღისაგან ქონების განთავისუფლების თაობაზე სარჩელია აღძრული. ასე მაგალითად, ა.კ-მ კეთილმოწყობილი ბინა იქირავა გ.გ.-საგან, სადაც არაერთი ძვირადღირებული ავეჯი და ტექნიკა იყო განთავსებული და ვი-ნაიდან ხანგრძლივად ცხოვრობდა ნაქირავებ ბინაში რეგისტრირებულიც იყო გ.გ-ს საკუთრებაში მყოფ ბინაში. ა.კ-მ ბანკის სესხი აიღო, რაც ვერ დაფარა და ბანკის სარჩელზე გამოტანილ და კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებაზე არსებული იძულებითი აღსრულების შესაბამისად, აღმასრულებლის მიერ დაყადაღებული იქნა გ.გ.-ს საკუთრებაში და ა.კ-ს სარგებლობაში, როგორც მოქირავნის მფლობელობაში არსებული ნივთე-ბი, რომელიც ექვემდებარება იძულებითი აღსრულების წესით აუქციონზე გასხვისებას. ასეთ ვითარებაში გ.გ.-ს შეუძლია სარჩელით მიმართოს სასა-მართლოს და მოითხოვოს ყადაღისაგან ქონების გათავისუფლება და ამა-ვდროულად მოცემულ სარჩელზე შეიძლება მოთხოვნილ იქნეს გ.გ.-ს მიერ ქონების რეალიზაციის შეჩერება.

სსსკ-ის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“ პუნქტიც ითვალისწინებს „სა-ხელმწიფო ხელისუფლების ორგანოს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, ორგანიზაციის ან თანამდებობის პირის სადავო აქტის მოქმე-დების შეჩერება“. მოცემული ღონისძიება გამოიყენება, როდესაც ადმი-ნისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული აქტია გასაჩივრებული და მო-სარჩელეს ზიანი მიადგება გასაჩივრებული აქტის მოქმედების გაგრძელე-ბით. ასეთ ვითარებაში მოსარჩელის განცხადებით სასამართლო შეაჩერებს სადავო აქტის მოქმედებას, ვიდრე გადაწყვეტილება იქნება მიღებული.

სსსკ-ის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ი“ პუნქტი ეხება „სააღსრულებო საბუთის აღსრულების შეჩერება ისეთ საქმეებზე, რომლებიც აღძრულია „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობე-ბის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე ან რომლებზედაც შე-

ტანილია განცხადება საქმის წარმოების განახლების შესახებ“. მოცემული ღონისძიებაც სპეციფიურია და გამოიყენება მხოლოდ საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას არსებული ურთიერთობების შემთხვევაში, რათა არ მოხდეს უკანონოდ ხელყოფა სარგებლობის უფლების მქონე პირის უფლებები და ვიდრე სასამართლოში არ გაირკვევა საბოლოოდ დავის სამართლებრივი შედეგი, შეჩერდება აღსრულება.

სსსკ-ის 198-ე მუხლის მე-3 ნაწილით „სასამართლოს შეუძლია გამოიყენოს სხვა ღონისძიებებიც, თუ ეს აუცილებელია სარჩელის უზრუნველყოფისათვის, აუცილებლობის შემთხვევაში შეიძლება დაშვებულ იქნეს სარჩელის უზრუნველყოფის რამდენიმე სახე“. მოცემული დეფინიციის პირველი წინადადება უფლებამოსილებას ანიჭებს სასამართლოს, რომ ჩამოთვლილი ღონისძიებების გარდა, რაც გადმოცემულია სსსკ-ის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილში, თავად აირჩიოს სხვა სახის ღონისძიებაც, რათა სარჩელი არ დარჩეს უზრუნველყოფის გარეშე და თუ ამას მოითხოვს მოსარჩელე მხარე, თუმცა აქვეა გასათვალისწინებელი, რომ 2016 წლის 30 სექტემბერს საქმეზე #1/5/675,681 მიღებულია განსაკუთრებული დათქმა.

6.1.1. სარჩელის შეტანამდე უზრუნველყოფა

სსსკ ის 192-ე მუხლი ითვალისწინებს განსაკუთრებულ ისეთ შემთხვევას, როდესაც არსებობს გადაუდებელი აუცილებლობა, ვიდრე სარჩელს შეიტანდეს სასამართლოში მოსარჩელე, მანამდე მოხდეს მისი უზრუნველყოფა. ასეთი შემთხვევა შესაძლებელია იყოს მაგალითად, როდესაც წინარე ნასყიდობის ხელშეკრულება დადებულია, სადაც მითითებულია ძირითადი ხელშეკრულების დადებისათვის ვადა და ვიდრე ეს ვადა მოვიდოდეს, გამყიდველი სხვა პირზე ყიდის იმავე ნივთს, რაზეც მომავალ მყიდველზე უკვე გააფორმა ნასყიდობის წინარე ხელშეკრულება და ამის თაობაზე შეიტყო მყიდველმა. ასეთი გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში მყიდველს, რომელთანაც უკვე გაფორმებული იყო წინარე ხელშეკრულება სრული საფუძველი აქვს იმისათვის, რომ ვიდრე სარჩელს შეადგენს და მტკიცებულებებს დაურთავს, სახელმწიფო ბაჟს გადაიხდის, შეიტანოს განცხადება, რითაც სასამართლოს მოსთხოვოს სარჩლის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენება და შემდგომ შეიტანოს სარჩელი.

სარჩელის აღძვრამდე განცხადებაზე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას ხდება 10 დღიანი ვადის დენის განსაზღვრა მოსარჩელისათვის და თუ მოსარჩელე 10 დღის ვადაში არ წარადგენს სარჩელს, უქმდება სასამართლოს მიერ სარჩელის აღძვრამდე მიღებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება.

6.1.2. უზრუნველყოფის მოთხოვნის მტკიცებულებებით გამყარება

განცხადება, რითიც მოსარჩელე ითხოვს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებას, ბუნებრივია უნდა შეიცავდეს იმ რეკვიზიტებს, რაც გადმოცემულია სსსკ-ს 191-192-ე მუხლებში. 191-ე მუხლი გამოიყენება სარჩელის აღძვრისას ან მისი წარმოებაში მიღების შემდეგ, ხოლო 192-ე მუხლი გამოიყენება სარჩელის აღძვრამდე მისი უზრუნველყოფისათვის გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევვაში. უზრუნველყოფის მოთხოვნისას მოსარჩელე ვალდებულია მიუთითოს გარკვეულ გარემოებებზე, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოუყენებლობა რა შედეგს გამოიწვევს, ასევე ყველა ის გარემოება, რაც გადმოცემულია სსსკ-ის 191-ე მუხლის შესაბამისი ნაწილებით. 191-ე მუხლის მე-2 ნაწილში პირდაპირ მიეთითება, რომ თუ პირი უძრავ ქონებაზე ყადაღის დადებას ითხოვს, ის ვალდებულია წარადგინოს საჯარო რეესტრის ამონაწერი. შესაბამისად, თუ პირი მოითხოვს, რომ მოპასუხის ქონებას დაედოს ყადაღა, მინიმუმ ამ ქონების მოპასუხის საკუთრებაში ყოფნის თაობაზე დოკუმენტი უნდა წარადგინოს სასამართლოში. შესაბამისად, თუ არ იქნება წარდგენილი სათანადო მტკიცებულებები, ბუნებრივია ასეთ ვითარებაში არ დაკმაყოფილდება სასარჩელო უზრუნველყოფის თაობაზე მოსაჩელის განცხადება.

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებას საფუძვლად უნდაედოს გარკვეული სახის მტკიცებულებები, მათ შორის ის მტკიცებულებებიც, რომ სარჩელი საფუძვლიანია და არსებობს მაღალი ალბათობა და ვარაუდი იმისა, რომ სასამართლო დააკმაყოფილებს სარჩელს. ამისათვის, ბუნებრივია მოსარჩელეს უწევს მტკიცების ტვირთის ზიდვა და ისაა ვალდებული დაუმტკიცოს სასამართლოს, რომ მისი მოთხოვნა ფაქტობრივად და სამართლებრივად გამართულია და უნდა დაკმაყოფილდეს, ამასთანავე მისი მიუღებლობით სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება დარჩება აღუსრულებელი.

6.1.3. ზიანის მოთხოვნის რისკი მეორე მხრიდან

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება გარკვეულ რისკთან არის დაკავშირებული მეორე მხრისაგან ზიანის მოთხოვნის კუთხით. სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შემთხვევაში, შესაძლოა დღის წესრიგში დადგეს მოპასუხისაგან იმ ზიანის მოთხოვნის საკითხი, რომელიც მიადგა მას უსაფუძვლოდ გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამო.

სსსკ-ის 199-ე მუხლის დეფინიცია განმარტავს, რომ სასამართლო აფრთხილებს მოსარჩელეს, რომ თუ გაუმართლებელი აღმოჩნდება უზრუნველყოფის ღონისძიება, შესაძლებელია მას მოუწიოს ზარალის ანაზღაურება. სსსკ-ის 199-ე მუხლის მე-3 ნაწილი კი პირდაპირ მიუთითებს, რომ არსებობს გარკვეული საფრთხე და რისკი იმისა, რომ თუ გაუმართლებე-

ლი გამოდგა სარჩელის უზრუნველსაყოფად გამოყენებული ღონისძიება, იმის გამო, რომ მოსარჩელეს უარი ეთქვა სარჩელზე და გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში ანდა სსსკ-ის 192-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად გაუქმდა უზრუნველყოფის ღონისძიება, მაშინ ის მხარე, ვის სასარგებლოდაც მოხდა ამ ღონისძიების გამოყენება, მას წარმოეშობა ვალდებულება აუნაზღაუროს მეორე მხარეს ზარალი.

სსსკ-ის 199-ე მუხლის, როგორც სამართლებრივი ნორმების ანალიზი ცხადყოფს, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება სრულად უნდა იქნეს გააზრებული და სარჩელის საფუძვლიანობიდან გამომდინარე მოთხოვნილი, ვინაიდან შესაძლებელია მოსარჩელეს არც სარჩელი დაუკმაყოფილდეს და იქით დაეკისროს იმ ზიანის ანაზღაურება, რაც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამო მიადგა მეორე მხარეს.

6.1.4. უზრუნველყოფის შებრუნება

სსსკ ის 199-ე მუხლი ითვალისწინებს უზრუნველყოფის შებრუნების პროცედურას. ეს ფორმატი გამოიყენება მაშინ, როდესაც უკვე დაკმაყოფილებულია მოსარჩელის მოთხოვნა და მოპასუხის წინააღმდეგ არსებობს უზრუნველყოფის რომელიმე სახის თაობაზე მიღებული სასამართლოს განჩინება.

საქმის წარმოებაში ყოფნისა და სასამართლო პროცესების განხილვის პარალელურად მოპასუხეს შეუძლია მოითხოვოს უზრუნველყოფის შებრუნება და მოითხოვოს უზრუნველყოფის გარანტია მოპასუხის განცხადების საფუძველზე. ასეთ ვითარებაში თუკი სასამართლო დარწმუნდება და მოსარჩელეს განუსაზღვრავს გარკვეული გარანტიის სახით ფულადი თანხის სასამართლო დეპოზიტზე განთავსებას და ამ ქმედების 7 დღეში შესრულებას, ხოლო თუკი მოსარჩელე ვერ უზრუნველყოფს 7 დღის ვადაში შებრუნების უზრუნველსაყოფად გარანტიის დამადასტურებელი დოკუმენტის მიტანას სასამართლოში, ეს იქნება საბანკო გარანტია, ფულადი თანხების სასამართლო დეპოზიტზე განთავსება თუ საფინანსო კომპანიის მიერ გაცემული საგარანტიო წერილი, სასამართლო გააუქმებს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებას.

6.1.5. პროცედურული საკითხები – რა საჩივრდება და სად

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების თაობაზე განჩინების გასაჩივრება შესაძლებელია საჩივრით იმავე სასამართლოში, რომელმაც მიიღო განჩინება. საჩივრის შეტანა შეუძლია მოპასუხეს 5 დღის ვადაში მისი მოპასუხისათვის გადაცემის დღიდან. საჩივრის შეტანა ვერ შეაჩერებს უზრუნველყოფის თაობაზე განჩინების მოქმედებას. სსსკ-ის 194-ე მუხლი ითვალისწინებს მოპასუხის მიერ სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე

განჩინების გასაჩივრებას. საჩივარზე მსჯელობს ჯერ იგივე სასამართლო, რომელმაც მიიღო სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე განჩინება, თუ საფუძვლიანია აკმაყოფილებს და აუქმებს მიღებულ განჩინებას, რაზეც უკვე სსსკ-ის 197-ე მუხლის შესაბამისად მოსარჩელეს ეძლევა საშუალება ასეთი განჩინების გასაჩივრებისა, თუ არ აკმაყოფილებს, განჩინებით უარს ეუბნება მოპასუხეს საჩივრის დაკმაყოფილებაზე და საქმეს საჩივართან ერთად აგზავნის ზემდგომ სასამართლოში.

ამავე კოდექსის 197-ე მუხლში კი გადმოცემულია კიდევ რა სახის განჩინებაზე შეიძლება საჩივრის შეტანა, როდესაც საკითხი ეხება სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე განჩინებას. ეს ჩამონათვალი ასეთია, საჩივარი შეიტანება ასევე:

1) სარჩელის უზრუნველყოფაზე უარის თქმის
2) სარჩელის უზრუნველყოფის გაუქმების
3) სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორეთი შეცვლისას
4) სარჩელის უზრუნველყოფის საგნის შეცვლის ან
5) ყადაღადადებული ქონების გამიჯვნაზე თანხმობის შესახებ განჩინებაზე.

ყველა ამ ტიპის განჩინებაზე შესაძლებელია საჩივრის შეტანა, რომლის გასაჩივრების ვადაც შეადგენს 5 დღეს.

აქვეა აღსანიშნავი, რომ თუ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების თაობაზე მიღებული განჩინება გაუქმდა ან უზრუნველყოფის ერთი სახის მეორეთი შეცვლის თაობაზე იქნა მიღებული განჩინება და ასეთ განჩინებაზე მოსარჩელემ შეიტანა საჩივარი, ასეთი განჩინების მოქმედება შეჩერდება, ვიდრე სარჩივარზე წარმოება არ დასრულდება.

6.1.6. გადაწყვეტილების უზრუნველყოფა

სსსკ ის დანაწესების შესაბამისად არსებობს სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტი – სსსკ ის XXIII თავით დადგენილი დანაწესებით 191-დან 199I მუხლის ჩათვლით, რაზეც უკვე ვისაუბრეთ და ეს ინსტიტუტი არსებობს იმისათვის, რათა სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ დარჩეს აღუსრულებელი და ის დამოკიდებული არ იყოს მხოლოდ მოპასუხის კეთილ ნებაზე ან/და მის კეთილსინდისიერების იმედად დარჩენილი. გარდა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებისა სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ასევე შეიცავს გადაწყვეტილების უზრუნველყოფის თაობაზე მომწესრიგებელ ნორმებს.

სსსკ-ის 251-ე მუხლში მიეთითება, რომ: „თუ სასამართლო დაადგენს გადაწყვეტილების აღსრულების განსაზღვრულ წესსა და ვადას, ან მიიღებს ზომებს გადაწყვეტილების უზრუნველსაყოფად, ამის შესახებ მითითებული უნდა იქნეს გადაწყვეტილებაში“. მოცემული ნორმით მიეთითება,

რომ სასამართლოს აქვს უფლება როგორც გადაწყვეტილების გამოტანამდე იზრუნოს გადაწყვეტილების აღსრულების საკითხებზე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების მიღების გზით, ასევე გადაწყვეტილების მიღებისას დამატებით უნდა იმსჯელოს რა ბედი ეწევა მიღებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებას და როგორ უნდა მოხდეს გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა.

თავის მხრივ ყოველი ცალკეული შემთხვევა განხილულია სსსკ-ის 252-ე, 253-ე, 254-ე და 271-ე მუხლებში.

სსსკ-ის 252-ე მუხლში გადმოცემულია შემთხვევა, როდესაც სარჩელი აღძრულია იურიდიული პირის მიმართ თანხების დაკისრების მოთხოვნით, ასეთ დროს სასამართლოს შეუძლია გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველსაყოფად მისი შესრულების გასაადვილებლად და დროსი თვალსაზრისით ნაკლები რესურსის დახარჯვის შედეგად მოხდეს გადაწყვეტილების აღსრულება, რისთვისაც მიუთითოს გადაწყვეტილებაში იურიდიული პირის რომელი ანგარიშიდან მოხდეს დაკისრებული თანხის ჩამოწერა.

სსსკ-ის 253-ე მუხლი უზრუნველყოფს ქონების ნატურით მიკუთვნების დროს გადაწყვეტილების ეფექტურად აღსრულების მექანიზმს და ქონების ნატურით გადაცემის ნაცვლად გადაწყვეტილებაში შეიlზლება მიეთითოს ქონების ღირებულებაზე, რაც უნდა გადახდეს მოპასუხე მხარეს თუ აღმოჩნდება, რომ გადაწყვეტილების აღსრულებისას აღნიშნული ქონება მას არ აღმოაჩნდება.

მოცემულ შემთხვევაში კანონმდებლის მიერ სახეზეა გადაწყვეტილების რეალურად აღსრულების მექანიზმი, როდესაც მოსარჩელეს ხელახლა აღარ მოუნევს სასამართლოსათვის მიმართვა იმ ვითარებაში, თუკი მის სასარგებლოდ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულებისას აღმოჩნდება, რომ მოპასუხეს არ აღმოაჩნდება მისთვის სასამართლო გადაწყვეტილებით დაკისრებული ქონება, რათა ნატურით გადაეცეს ის მოსარჩელეს. სასამართლო გადაწყვეტილებაში მისივე აღსრულების უზრუნველსაყოფად პრაქტიკულად მიეთითება ალტერნატიული გზა, თუკი მოპასუხეს მოსარჩელისათვის ნატურით გადასაცემი ქონება არ აღმოაჩნდება გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლისა და მისი აღსრულების მომენტისათვის.

მოცემული ინსტიტუტი ხელს უწყობს გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფას, მისი დროში სწრაფად და ეფექტურად აღსრულების კუთხით.

სსსკ-ის 254-ე მუხლით განსაზღვრულია ისეთი გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა, როდესაც მოპასუხეს ევალება გარკვეული მოქმედების შესრულება, რაც დაკავშირებული არ არის ფულადი თანხების ან ქონების გაცემასთან. ასეთ ვითარებაში სასამართლოს შეუძლია დაადგინოს მოპასუხის მიერ გადაწყვეტილებით დადგენილი მოქმედების შესრულების სანაცვლოდ, მოპასუხეს დაეკისროს ასეთი ქმედების განხორციელებისათვის საჭირო აუცილებელი ხარჯები. ასეთი ტიპის გადაწყვეტილებებში შესაძლოა სასამართლომ მიუთითოს მოპასუხის შესასრულებელი ქმედების ვადაც.

სსსკ-ის 271-ე მუხლის დეფინიციის შესაბამისად: „სასამართლოს შეუძლია უზრუნველყოს იმ გადაწყვეტილების აღსრულება, რომელიც არ არის დაუყოვნებლივ აღსასრულებლად XXIII თავით დადგენილი წესების შესაბამისად. მოცემული ნორმის შინაარსის გარკვეული ნაწილი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 13 ნოემბრის საოქმო ჩანაწერით #1/7/681, ასევე ამავე სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის #1/5/6/75,681 გადაწყვეტილებით ძალადაკარგულადაა ცნობილი .

მოცემული ნორმა უზრუნველყოფს გადაწყვეტილების აღსრულებას საკითხების მოწესრიგებას იმ ღონისძიებებით, რაც დადგენილი არ არის სსსკ-ის XXIII თავით და სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახეებით არის შესაძლებელი.

6.2. მოსამზადებელი სხდომა

თუ წარმოდგენილი წერილობითი მასალები მოსამართლეს აძლევს ვარაუდის საფუძველს, რომ შეიძლება მხარეებმა საქმე მორიგებით დაამთავრონ, მოპასუხემ ცნოს სარჩელი ან მოსარჩელემ უარი თქვას სარჩელზე, აგრეთვე თუ, მოსამართლის აზრით, სასამართლო განხილვისათვის საქმის სათანადოდ მომზადების ინტერესები ამას მოითხოვს, მოსამართლე უფლებამოსილია მხარეთა წერილობითი მასალების მიღებიდან 5 დღის განმავლობაში დანიშნოს მოსამზადებელი სხდომა ან მხარეებთან სატელეფონო გასაუბრება ან ვიდეოკონფერენცია, რის შესახებაც განჩინების მიღებიდან 3 დღის ვადაში ეცნობებათ მხარეებს[119].

აქვე აღსანიშნავია, რომ მოსამზადებელი სხდომის დანიშვნა მხარეებსაც შეუძლიათ სთხოვონ მოსამართლეს, თუ აქვთ იმედი დავის მორიგებით დასრულების ან როგორც ხშირად ხდება, საქმეზე აქვთ შუამდგომლობები, რომელთა განხილვა ხელს შეუწყობს საქმის მთავარი სხდომისთვის უკეთ მომზადებას.

აგრეთვე გასათვალისწინებელია, რომ იმ შემთხვევაში თუ მხარეები უშვებენ შესაძლებლობას, რომ საქმე მორიგებით დაასრულონ, უპრიანია საქმეზე შედგეს მოსამზადებელი სასამართლო სხდომა, რადგან ასეთ შემთხვევაში მხარეებს საქმეზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი უბრუნდებათ და ეზოგებათ ხარჯი.

მოსამზადებელი სხდომის ფარგლებში ადვოკატმა კარგად უნდა გაანალიზოს მის წინაშე არსებული საჭიროებები, კერძოდ, თუ რამდენად მზად არის მისი საქმე დავის არსებითი განხილვისთვის, რათა არ მოხდეს ისე, რომ მთავარი სხდომის მიზნებისთვის საქმის მომზადებას დააკლო რაიმე, ან რაიმე მტკიცებულება იყო დამატებით შესაძლებელი და საჭირო სასამართლოში წარედგინა ან/და მიეთითებინა რაიმე ფაქტობრივი გა-

119. იხ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 205-ე მუხლი.

რემოებისთვის და ადვოკატმა ეს არ გააკეთა ან გამორჩა ამის გაკეთება, შესაბამისად, მნიშვნელოვანია ერთი მხრივ, სწორედ ესმოდეს ადვოკატს მოსამზადებელი სხდომის არსი და საჭიროება და მეორე მხრივ, სწორედ მოახდინოს მისი გამოყენება მარწმუნებლის საპროცესიო საჭიროებებიდან გამომდინარე.

6.2.1. მორიგების მიზანი

სამოქალაქო დავებზე მხარეების მთავარი მიზანი არის მათთვის სასარგებლო შედეგის მიღწევა რაც შეიძლება მოკლე დროში და რაც შეიძლება მცირე დანახარჯით. მორიგება სწორედ ის ინსტიტუტია, რომელიც იმის საშუალებას იძლევა, რომ, ერთი მხრივ, მიღწეული იქნეს ორივე მხარისათვის მისაღები შედეგი, და მეორე მხრივ, შეიქმნას დავის მხარეებს შორის სამომავლო ურთიერთბების გაგრძელების შესაძლებლობა.

მორიგების მიღწევა ხშირად მხარეებს საწყის ეტაპზე წარმოუდგენლად მიაჩნიათ, თუმცა, სწორი მუშაობის შემთხვევაში, მორიგების პერსპექტივა რეალურ შესაძლებლობად წარმოჩინდება-ხოლმე.

მორიგების მიმართულებით, მოქმედი კანონმდებლობა სასამართლოს და უშუალოდ მოსამართლეს აძლევს საშუალებას, აქტიურად ჩაერთოს მხარეთა შორის მორიგების ინიცირებისა და მიმდინარეობის პროცესში, ისევე როგორც გაანალიზოს მორიგების პირობები მხარეებთან ერთად და მოუწოდოს დავის მხარეებს მორიგებით დავის დასრულებისკენ.

მორიგების მიმართულებით, მხარეების ადვოკატ წარმომადგენლებს, ასეთის არსებობის შემთხვევაში, აკისრიათ ვალდებულება, მარწმუნებლების ინტერესების გათვალისწინებით, სწორი, მართებული და სამართლიანი მორიგების პირობები შეიმუშავონ და მიიღონ მონაწილეობა მეორე მხარესთან ან მის წარმომადგენელთან მოსაზრებების გაცვლაში, რათა ყველა გზა და საშუალება იქნეს გამოყენებული მორიგების მისაღწევად, ბუნებრივია, თუ ამის რეალური რესურსი და ინტერესი მხარეებს გააჩნიათ.

6.2.2. რას ვაქცევთ ყურადღებას შუამდგომლობების განხილვის დროს

მხარეები კარგად უნდა აცნობიერებდნენ, თუ რა სახის შუამდგომლობები არის წარსადგენი საქმის წარმოების პროცესში, რათა მხარის კონკრეტული მიზანი იქნეს მიღწეული პროცესუალური პოზიციის უკეთ წარმოსაჩენად. ხშირია შემთხვევა, როდესაც მხარეს ესაჭიროება ამა თუ იმ დოკუმენტის ან საქმისთვის მნიშვნელოვანი ფაქტისა თუ გარემოების წარმოების მასალებში დამაგრება, რა მიზნითაც ამ დოკუმენტის გამოთხოვას შუამდგომლობს მხარე, თუმცა, უნდა მიაქციოთ ყურადღება იმ მნიშვნელოვან გარემოებას, რომ მსგავსი შუამდგომლობის დაყენებამდე მხარეს აუცილე-

ბელია, თავისი ძალებით ეცადა დოკუმენტაციის მოპოვება, რაც უნდა დასტურდებოდეს შესაბამისი ფორმით.

შუამდგომლობის ჩამოყალიბებისას ადვოკატმა უნდა მიაქციოს ყურადღება, რომ მისი შუამდგომლობა იყოს საფუძვლიანი და გამომდინარეობდეს საქმისწარმოების საჭიროებებიდან, ასევე უნდა იყოს სამართლებრივად დასაბუთებული და ემყარებოდეს პროცესუალური ნორმების კონკრეტულ დათქმებს.

6.2.3. დამატებითი მტკიცებულებების წარდგენის შესაძლებლობა

მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა პირდაპირ ითვალისწინებს რომ სარჩელს ან შესაგებელს მათი სასამართლოში წარდგენის სტადიაზე უნდა ერთვოდეს ყველა ის მტკიცებულება, რითაც ის დაადასტურებს სარჩელსა და შესაგებელში მითითებულ გარემოებებს.

თუმცა, არის შემთხვევები, როდესაც მხარეს აქვს საპატიო მიზეზი იმისა, რომ სარჩელის თუ შესაგებლის შეტანის სტადიაზე ფიზიკურად არ შეუძლია მტკიცებულებების წარდგენა, რის შესახებაც მან უნდა მიუთითოს სარჩელში ან შესაგებელში და ითხოვოს მტკიცებულებების წარდგენისათვის დამატებითი ვადა.

ამასთანავე გასათვალისწინებელია, რომ რიგ შემთხვევაში მხარემ შეიძლება იმის გამო ვერ წარადგინა მტკიცებულებები, რომ სარჩელის ან შესაგებლის შეტანის სტადიაზე ფიზიკურად არ ჰქონდა დოკუმენტაცია ხელთ და საქმეზე მოგვიანებით წარადგინა. ამ შემთხვევაშიც მან უნდა ადასტუროს მტკიცებულების დროულად წარუდგენლობის მიზეზი.

6.2.4. გამოუცხადებლობის შედეგები

სამოქალაქო დავაზე დანიშნულ სასამართლო სხდომაზე მხარის გამოუცხადებლობამ შეიძლება დააყენოს ქვემორე სამი შესაძლო შედეგიდან ერთ-ერთი:

გამოცხადებულმა მხარემ შეიძლება იშუამდგომლოს საქმეზე დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე და მოითხოვს მისი სარჩელის დაკმაყოფილება ან თუ მოსარჩელე არ გამოცხადდა, მაშინ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, რის შემდგომ სასამართლოს გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება. აღნიშნულ შემთხვევაში სასამართლო ამოწმებს ერთადერთ იმ გარემოებას, თუ რამდენად ამართლებს სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები იურიდიულად სასარჩელო მოთხოვნას.

თუ სასამართლო დარწმუნდება, რომ ფაქტობრივი გარემოებები იურიდიულად არ ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას, ის უარს ამბობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებაზე.

ხოლო ისეთ შემთხვევაში, როდესაც დანიშნულ სხდომაზე არცერთი მხარე არ გამოცხადდება სასამართლო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება სარჩელის განუხილველად დატოვების თაობაზე.

გაითვალისწინეთ, რომ მხარის მიერ კარგად უნდა იქნეს გააზრებული, თუ რამდენად აწყობს მას საქმეზე დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღება, რადგან უნდა დაუშვას ალბათობა, რომ გამოუცხადებელ მხარეს შეიძლება ჰქონდეს კანონმდებლობით გათვალისწინებული საპატიო მიზეზი, რის გამოც შესაძლოა გაუქმდეს დაუსწრებელი გადაწყვეტილება. შესაბამისად, რიგ შემთხვევებში უპრიანია დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების ნაცვლად გადაიდოს სხდომა და არსებითად განხილული სასამართლო სხდომის ფარგლებში მიღებულ იქნას საქმეზე არსებითი გადაწყვეტილება.

6.3. მთავარი სხდომა

6.3.1. დავის კულტურა სასამართლოში

სასამართლოში წარმომადგენლობის განხორციელება მეტად მნიშვნელოვანი ფუნქციაა იურისტის საქმიანობაში, რა დროსაც წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირი ვალდებულია ზედმიწევნით კარგად ერკვეოდეს საპროცესო კანონმდებლობაში, ისევე როგორც იცავდეს ეთიკის მაღალ სტანდარტებს და სწორედ ამ გადმოსახედიდან სწორედ იურისტების და მეტწილად ადვოკატების ჩართულობა სასამართლო განხილვებში უნდა გახდეს სასამართლოში დავის მაღალი კულტურის არსებობის წინაპირობა, რაც შედეგად განაპირობებს მართლმსაჯულების მაღალ ხარისხს და სტანდარტებს. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ასეთ რეალობაში გარდა იმისა, რომ ხარისხიანი მართლმსაჯულება ხორციელდება, დაცულია მხარეთა რეალური ინტერესები, რაც არის კიდეც მართლმსაჯულების მთავარი მიზანი;

შესაბამისად, ყოველივე მიიღწევა კვალიფიციური წარმომადგენლის[120] დახმარებითა და ჩართულობით, რაც წარმომადგენლის მხარეს დაუღალავ შრომასთან, საკუთარ თავზე მუდმივ მუშაობასთანაა დაკავშირებული.

6.3.2. მხარის ახსნა-განმარტება, როგორც მტკიცებულება. მეორე მხარის წერილობითი ფორმით ახსნა-განმარტების წარდგენა

სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად მთავარი სხდომის პირველ სტადიას სწორედ მხარეების ახსნა-განმარტება წარმოადგენს, რომელიც თავის მხრივ მტკიცებულების ერთ-ერთი ფორმაა. მეტად მნიშვნელოვანია მხარეებმა სათანადო ყურადღება დაუთმონ ერთი მხრივ, ახსნა განმარტების მომზადებას და მეორე მხრივ, მის პროცესზე წარმო-

120. ავტ: იგულისხმება ადვოკატი.

დგენას, რადგან ახსნა-განმარტება არის პროცესის მსვლელობის სწორედ ის ნაწილი, რომლის გარშემოც რეალურად ეწყობა სამართალწარმოება. ამ ეტაპზე მხარეები სასამართლოს წინაშე წარმოადგენენ საქმეში არსებულ ფაქტებს, რომლებზეც უნდა მიიღონ სამართლებრივი კვალიფიკაცია სასამართლოსგან.

იმის გათვალისწინებით, რომ მხარის (იგულისხმება პროცესის მონაწილე ორივე მხარე, როგორც მოსარჩელე, ასევე მოპასუხე) ახსნა-განმარტებას მტკიცებულების დატვირთვა გააჩნია, მნიშვნელოვანია, რომ მათ სასამართლოს წარუდგინონ მხოლოდ საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები. ეს მხარეთა ინტერესის საგანიცაა. რა შეეხება ახსნა-განმარტების მიწოდების ფორმას, კანონმდებელი უშვებს შესაძლებლობას, მოსამართლის გადაწყვეტილებით, დისტანციურად მიიღოს იგი ტელეფონის, ვიდეოტრანსლაციის ან სხვა ტექნიკური საშუალების გამოყენებით სხვა სასამართლოდან, ადმინისტრაციული ორგანოდან ან საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების მეშვეობით, თუ, რა თქმა უნდა, შესაძლებელია შესაბამისი ორგანოს მიერ პირის იდენტიფიცირება ახსნა-განმარტების გაკეთების ადგილას[121].

ახსნა-განმარტების ეტაპი მეტად მნიშვნელოვანი სტადიაა მთავარი სხდომის, ეს არის დრო და არეალი, როდესაც საქმეში არსებულ ფაქტობრივ მხარეს ორივე მხარე პირველად მოახსენებს სასამართლოს, შესაბამისად ორივე საპროცესო მხარისთვის ამ ეტაპის სრულყოფილად გამოყენებას, რაშიც იგულისხმება საკუთარი პოზიციების წარმოსაჩენად ყველა დეტალის სასამართლოსთვის მოხსენება, აქვს დიდი მნიშვნელობა. ხშირია შემთხვევები, როდესაც მხარეები ახსნა-განმარტებით სიტყვას წერილობით წარუდგენენ სასამართლოს, რაც იმას ემსახურება, რათა სასამართლოს ხელთ ჰქონდეს ყველა ის მოსაზრება ერთ დოკუმენტად, რაზეც მხარეებს მიაჩნიათ, რომ ღირს ყურადღების მიქცევა. მართალია სასამართლო სხდომები აუდიო ჩაწერა მიმდინარეობს, თუმცა ერთგვარი სასამართლოსთან კომუნიკაციის დაუწერელი კულტურის ნაწილია მხარეთა მხრიდან ახსნა-განმარტებითი სიტყვის წერილობითი ფორმით წარდგენა.

ამასთანავე, დამწყებმა ადვოკატებმა უნდა მიაქციონ ყურადღება ახსნა-განმარტების გაკეთების რიგითობას, კერძოდ, სასამართლო მოსამართლის მოხსენების შემდგომ პირველად მოისმენს მოსარჩელისა და მის მხარეზე მონაწილე მესამე პირის ახსნა-განმარტებას, ხოლო შემდეგ მოპასუხისა და მის მხარეზე მონაწილე მესამე პირის ახსნა-განმარტებებს[122].

121. იხ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 127

122. იხ.საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 217

6.3.3. ახალი გარემოების გამოქვეყნება და დაშვების წინაპირობები და მეორე მხარის უფლებები შეჯიბრებითობის პრინციპის გათვალისწინებით

საქმის მომზადების სტადიაზე მხარეები სარგებლობენ თანაბარი საპროცესო უფლება მოვალეობებით[123], ხოლო მას შემდგომ რაც საქმე მომზადებულად იქნება მიჩნეული და მომსამართლე გადავა საქმის არსებით განხილვის სტადიაზე, მხარეები შეზღუდულნი არიან ახსნა-განმარტების მოსმენისას წარადგინონ ახალი მტკიცებულებები ან მიუთითონ ახალ გარემოებებზე, რომელთა შესახებ არ ყოფილა მითითებული საქმის მომზადების სტადიაზე. თუმცა კანონმდებლობა მაინც უშვებს ასეთი ახალი გარემოებების დაშვებას, თუ მხარე დაადასტურებს, რომ მათ შესახებ თავის დროზე საპატიო მიზეზით არ იყო სასამართლო ინფორმირებული მხარის მიერ[124].

იმის გათვალისწინებით, რომ საქმისწარმოება სასამართლოში მიმდინარეობს შეჯიბრებითობის პრინციპის განუხრელი დაცვით, ზემოაღნიშნული გარემოების დაფიქსირების შემთხვევაში, მეორე მხარეს უნდა მიეცეს გონივრული დრო ასეთი ახალი გარემოების გაცნობისა და ასეთის საჭიროების შემთხვევაში მასზე საკუთარი აზრის თუ საპირწონე მტკიცებულების წარდგენისა, რაც რიგ შემთხვევაში მიმდინარე სასამართლო სხდომის გადადების წინაპირობა შეიძლება გახდეს.

6.3.4. აღიარება, როგორც მტკიცებულება

საპროცესო მხარეების მხრიდან ყურადღება აქვს მისაქცევი იმას თუ რა სახის განმარტებები კეთდება პროცესის მსვლელობისას თითოეული მათგანის ან მათი წარმომადგენლების მხრიდან, როგორც სხდომის მოსამზადებელ ეტაპზე ასევე მთავარი სხდომის ყველა სტადიაზე. კერძოდ, რიგ შემთხვევაში მნიშვნელობა უნდა მიექცეს იმას, მხარის ამა თუ იმ განმარტებას ხომ არ შეიძლება მიეცეს საქმისთვის მნიშვნელობის მქონე ამა თუ იმ ფაქტის დადასტურების ანუ აღიარების სახე, რა დროსაც შესაბამისი სამართლებრივი შედეგი შეიძლება დაუდგეს აღიარების ავტორს.

სასამართლომ რიგ შემთხვევებში შეიძლება საკმარის მტკიცებულებად ჩათვალოს და საფუძვლად დაუდოს თავის გადაწყვეტილებას ერთი მხარის მხრიდან ისეთი გარემოების ან ფაქტის არსებობას ან არარსებობის დადასტურებას, რაზეც თავის მხრივ მეორე მხარე ამყარებს თავის სასარჩელო მოთხოვნებს, ანუ სხვა სიტყვებით რომ ითქვას, როდესაც სახეზე არის მსგავსი შემადგენელი, სასამართლო ასეთ აღიარებას მტკიცებულებით ძალას მიანიჭებს.

თუმცა აღნიშნული არ უნდა იქნეს აღქმული ისე, რომ მხარის მხრიდან

123. იხ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 83

124. იხ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 219, მუხლი 380

წერილობითი თუ ზეპირი ფორმით გაკეთებული აღიარების გაქარწყლება იმავე მხარეს აღარ შეუძლია. შესაბამის მხარეს ყოველთვის შეუძლია და აქვს საპროცესო შესაძლებლობა სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე უარყოს თავისი აღიარება, თუმცა უნდა ადასტუროს რომ აღიარება იყო შეცდომის შედეგი, და განპირობებული იყო ისეთი გარემოებით, რომელიც ცნობილი გახდა მისთვის აღიარების შემდეგ, ანდა მისი აღიარება განპირობებული იყო მასზე განხორციელებული ფიზიკური თუ ფსიქიკური ზემოქმედებით[125].

შესაბამისად, რათა რიგ შემთხვევაში არ მოხდეს მხარის საპროცესო მდგომარეობის თავად მხარის მიერ გაუარესება, მნიშვნელოვანია პროცესის მსვლელობისას ნებისმიერი მხარის მიერ გაკეთებული ზეპირი თუ წერილობითი განცხადება იყოს კარგად გააზრებული და ნაკარნახევი მხარის კანონიერი ინტერესების გათვალისწინებით.

6.4. მტკიცებულებების გამოკვლევა

სასამართლო გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობს მოქმედი კანონმდებლობით, ისევე როგორც იქმნის საქმის შესახებ შინაგან რწმენას, თუმცა დიდი დატვირთვა საქმეზე ამა თუ იმ სახის გადაწყვეტილების მიღების მიზნებისთვის მოდის საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებზე. შესაბამისად საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების გამოკვლევას ადვოკატებმა დიდი ყურადღება უნდა დაუთმონ.

ერთი მხრივ საქმეში, წარმოდგენილ არცერთ მტკიცებულებას სასამართლოსთვის არ აქვს რაიმე სახის წინასწარ დადგენილი ძალა[126], არამედ მოსამართლე მხოლოდ მათი ყოველმხივ, სრულ და ობიექტური განხილვის და შესწავლის შემდგომ იყალიბებს დასკვნას საქმისთვის მნშვნელობის მქონე გარემოებების შესახებ, და მეორე მხრივ, ამ პროცესში ადვოკატებმა უნდა ითამაშონ მნიშვნელოვანი როლი, რათა სასამართლოს მივცეთ სრული და ამომწურავი სახის მტკიცებულებები და მათზე ჩვენი მოსაზრებები, ისევე როგორ მოვახდინოთ საქმეში არსებული მეორე მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების ჩვენეული შეფასება.

როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, იმის გათვალისწინებით, რომ სასამართლო სწორედ რომ მტკიცებულებებზე დაყრნობით იღებს გადაწყვეტილებას, არსებითი დატვირთვა აქვს პროცესის მიზნებისთვის მტკიცებულებების გამოკვლევას, შესაბამისად აღნიშნულს მთავარი სხდომის მიმდინარეობისას სპეციალური ეტაპი და სტადია აქვს დათმობილი[127], კერძოდ, სასამართლოს მხრიდან მხარეთა ახსნა-განმარტებების და შეკითხვების

125. იხ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 131, 132, 133

126. იხ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 105

127. იხ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 225

ეტაპის დასრულების შემდგომ სასამართლო უფლებამოსილია მხარის შუამდგომლობით ან თავისი ინიციატივით განიხილოს და შეამოწმოს სადავო მტკიცებულებები. უნდა მიექცეს ყურადღება იმ გარემოებას, რომ წერილობითი მტკიცებულებების განხილვა და შემოწმება არ გულისხმობს მათი შინაარსის სასამართლო სხდომაზე გამოქვეყნებასა და წაკითხვას, არამედ სასამართლო მიმართავს მხარეებს წარმოადგინონ საკუთარი მოსაზრებები მტკიცებულების ან მასში მითითებული ისეთი გარემოების თაობაზე, რასაც არსებითი მნშვნელობა შეიძლება ჰქონდეს დავის გადაწყვეტისთვის. ამ უფლებით ორივე მხარე თანაბრად სარგებლობს და მხოლოდ მხარეთა მიხედულობაზეა დამოკიდებული საერთოდ ისარგებლებენ თუ არა ამ შესაძლებლოთით.

ამ ეტაპისთვის ისიც დამახასიათებელია, რომ თუ სასამართლო დაადგენს, რომ საქმეში წარმოდგენილ ამა თუ იმ მტკიცებულებას საქმისთვის მნიშვნელობა არ აქვს ან არის უკანონო გზით მოპოვებული აქვს სრული უფლებამოსილება ამოიღოს საქმის მასალებიდან, რაზეც მოსამართლე იღებს განჩინებას, რომელიც ცალკე არ საჩივრდება[128].

6.5. ექსპერტიზის დასკვნა, ექსპერტი მოწმეები

სამოქალაქო პროცესის მსვლელობისას შეიძლება აღმოჩნდეთ ისეთ ვითარებაში, როდესაც საქმის განხილვასთან დაკავშირებულ ამა თუ იმ საკითზე მოსამართლეს არ გააჩნია სპეციალური ცოდნა, რა დროსაც სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით დანიშნოს ექსპერტიზა საქმის განხილვის ნებისმიერ სტადიაზე და ისიც ისეთ შემთხვევებში, როდესაც აღნიშნული საკითხის განმარტებას არსებითი მნიშვნელობა აქვს საქმის გადაწყვეტისათვის და მის გარეშე გადაწყვეტილების გამოტანა შეუძლებელია.

ადვოკატებს უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენი დაცვის ქვეშ მყოფ მხარეებს ასევე შეუძლიათ სასამართლოსგან დამოუკიდებლად უზრუნველყონ ექსპერტიზის ჩატარება, რა დროსაც ექსპერტის დასკვნა სასამართლოს უნდა წარედგინოს სასამართლოში საქმის აღძვრის ან საქმის მომზადების სტადიაზე. ისევე, როგორც სარჩელის თუ შესაგებლის წარდგენისას, მხარეებს აქვთ უფლება, მოითხოვონ ვადა ექსპერტიზის დასკვნის წარმოსდგენად. მხარეები ასევე სარგებლობენ უფლებით და შესაძლებლობით, საქმის მთავარ სხდომაზე განხილვისას წარადგინონ ექსპერტის დასკვნა, თუ სასამართლო განხილვისათვის საქმის მომზადების სტადიაზე მისთვის ექსპერტის დასკვნის წარდგენის საჭიროება ობიექტური მიზეზებით ვერ იქნებოდა ცნობილი და ასეთი საფუძველი წარმოიშვა სხდომაზე.

ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ ექსპერტის დასკვნა სასამართლოსთვის გასაზიარებლად სავალდებულო არ არის და მისი შეფასე-

128. იხ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 104

ბა სასამართლოს მხრიდან ასევე ხდება სსსკ-ს 105-ე მუხლის მოთხოვნით, როგორც ყველა მტკიცებულებისა.

ექსპერტიზის ფარგლებში შერჩეული ან დანიშნული ექსპერტი დასკვნას იძლევა წერილობითი ფორმით და მას აქვს უფლება, ზეპირადაც მისცეს განმარტებები სასამართლოს თავისი დასკვნის შესახებ. ამ შემთხვევაში ექსპერტის დაბარება ხდება მოწმის სტატუსით, ხოლო მისი განმარტებები შეიტანება სასამართლოს სხდომის ოქმში. აღნიშნულ სტადიაზე უზრუნველყოფილია ორივე მხარის უფლება, კითხვები დაუსვან ექსპერტს, ისევე როგორც ორივე მხარეს აქვს შესაძლებლობა, ასეთი საჭიროების შეთხვევაში, თავად იშუამდგომლონ ექსპერტის მოწმის სტატუსით მოწვევაზე სასამართლოში.

6.6. საპაექრო სიტყვა / სტრუქტურა – საქმის თეორია, ფაქტები, მისადაგება და მოთხოვნის დასაბუთებულება, კონტრარგუმენტების მოყვანა და გაბათილება

სასამართლო საქმისწარმოების ერთ-ერთი მთავარი ეტაპი და სტადია არის მხარეთა პაექრობა[129]. ეს არის სტადია, როდესაც საქმეზე პროცესში მონაწილე მხარეების მიერ ყველაფერი ნათქვამია და წარმოდგენილია საქმისთვის მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებები. ამ სტადიაზე მხარეებს ეძლევათ შესაძლებლობა მოახდინონ მანამდე განვლილი ყველა ეტაპის შეჯამება და რეზუმირება, რა დროსაც ისინი/მათი წარმომადგენლები ახდენენ საქმეში წარმოდგენილი ფაქტობრივი მხარის სამართლებრივ შეფასებას და სასამართლოს წინაშე მათი პოზიციების სამართლებრივ დასაბუთებას.

შესაბამისად, თითოეული მხარე საპაექრო სიტყვისთვის ჯეროვნად უნდა მოემზადოს, ხშირია შემთხვევები, როდესაც მოსამართლეები მხარეებს საპაექრო სიტყვის მომზადებისთვის დამატებით დროს სთავაზობენ.

საპაექრო სიტყვის მომზადებისთვის მნიშვნელოვანია მხარე[130] სწორად მოემზადოს და შეიმუშავოს მომგებიანი ტაქტიკა, კერძოდ, თავის სიტყვაში კიდევ ერთხელ მოახდინოს საქმის ფაბულის მოკლედ წარმოდგენა, არსებითად მნიშვნელოვანი ფაქტობრივი ნაწილის ხაზგასმა, და თითოეული არგუმენტის და ფაქტისთვის სამართლებრივი ნორმების სწორი მისადაგება და დასაბუთება. ამასთანავე, არანაკლებ მნიშვნელოვანია მხარემ საპაექრო სიტყვაში გარკვეული დრო დაუთმოს მეორე მხარის მიერ პროცესის მსვლელობისას წარმოდგენილი ფაქტების და მტკიცებულებების შეფასებას და მათ გაბათილებას სამართლებრივი თუ ფაქტობრივი თვალსაზრისით, რათა პასუხის გარეშე არ იქნეს დატოვებული მოწინააღმდეგე მხარის მიერ წარმოდგენილი არგუმენტები.

129. იხ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 227

130. ავტ: იგულისხმება როგორც მოსარჩელე, ასევე მოპასუხე

ხაზგასმით შეიძლება იმის თქმა, რომ საპაექრო სიტყვით სასამართლოს რიგ შემთხვევაში ექმნება შეხედულება საქმის სამართლებრივ მდგომარეობაზე და მხარეების პოზიციებზე, შესაბამისად, მხარეთა მიერ ამ ეტაპის ეფექტურად გამოყენებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.

6.7. ადვოკატის ხარჯების მოთხოვნა

ადვოკატთათვის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, სწორი აღქმა ჰქონდეთ იმის შესახებ, თუ რა ოდენობით შეიძლება მოხდეს სასამართლოს მხრიდან საადვოკატო მომსახურებისთვის გაწეული ხარჯების ანაზღაურება, რადგან ამ კუთხით, ერთი მხრივ, მან კლიენტს უნდა მიაწოდოს სწორი და ზუსტი ინფორმაცია და მეორე მხრივ, რიგ შემთხვევაში შეიძლება თავად იხელმძღვანელოს იურიდიული მომსახურების საზღაურის ოდენობის კლიენტისთვის შეთავაზების სტადიაზე.

მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდის ანაზღაურების პრინციპს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, რა დროსაც გაწეული ხარჯი ეკისრება წაგებულ მხარეს, თუმცა, უნდა გვახსოვდეს რომ იურიდიული მომსახურებისთვის გაწეული ხარჯების დაკისრებისას სასამართლო მეორე მხარეს აკისრებს ანაზღაურებას გონივრულ ფარგლებში, მაგრამ არაუმეტეს დავის საგნის ღირებულების 4 პროცენტისა, ხოლო არაქონებრივი დავის შემთხვევაში, განსახილველი საქმის მნშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, თუმცა, არაუმეტეს 2000 ლარისა.

ამასთანავე ადვოკატებს ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ აღნიშნული კატეგორიის ხარჯის ანაზღაურება უნდა სარჩელით იყოს მოთხოვნილი, და მეორე მხრივ, დადასტურებული უნდა იყოს მსგავსი ტიპის ხარჯის გაწევის ფაქტი კლიენტის მხრიდან ადვოკატის სასარგებლოდ. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ადვოკატს და კლიენტს არ ზღუდავს რაიმე მიაღწიონ შეთანხმებას იურიდიული მომსახურების საზღაურის იმ ოდენობაზე, რაც ორივე მხარისთვის იქნება მისაღები და გონივრული.

თავი VII

მოქმედებები სასამართლო ინსტანციის შემდგომ

7.1. ადვოკატის მიერ სასამართლო გადაწყვეტილების შემოწმება და შემდგომი ნაბიჯების დაგეგმვა.

7.1.1. შინაარსის კლიენტისთვის გაცნობა.

7.1.2. განმარტების მოთხოვნა სასამართლოსგან.

7.1.3. გასაჩივრების წარმატების პერსპექტივის ანალიზი.

7.1. ადვოკატის მიერ სასამართლო გადაწყვეტილების შემოწმება და შემდგომი ნაბიჯების დაგეგმვა

საქმეზე მიღებული სასამართლო გადაწყვეტილება დეტალურად უნდა შეისწავლოს ადვოკატმა, აქ საუბარი არ არის მხოლოდ მხარის საწინააღმდეგო გადაწყვეტილების შესწავლაზე, რათა დაიგეგმოს გასაჩივრების სტრატეგია, არამედ მხარის სასარგებლოდ მიღებული სასამართლო გადაწყვეტილება ასევე უნდა გახდეს ადვოკატის ინტერესის საგანი, რადგან ხშირია ისეთი შემთხვევა, როდესაც მხარე საქმეს იგებს, თუმცა, გადაწყვეტილებაში რიგი ფაქტები მის საწინააღმდეგოდ არის შეფასებული, რაც საქმის ინტერესიდან გამომდინარე შეიძლება გახდეს გამარჯვებული მხარის მიერაც გადაწყვეტილების გასაჩივრების წინაპირობა, რაზეც საბოლოო სიტყვა, რა თქმა უნდა, ადვოკატზეა. ასევე, მხარის სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილება შესაძლოა გასაჩივრდეს მოწინააღმდეგე მხარის მიერ, რაც კიდევ ერთი არგუმენტია მის ძირეულად გასაცნობად.

საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების შეფასებისას ადვოკატმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს სამართლებრივ დასაბუთებას და ამის მიხედვით დაგეგმოს შემდგომი ნაბიჯები.

ადვოკატს კარგად უნდა ახსოვდეს, რომ სასამართლო გადაწყვეტილების მიღების ან თავისი ინიციატივით ჩაბარების შემდგომ, უმოკლეს ვადებში უნდა მოახდინოს მისი ანალიზი და კლიენტისთვის გადაცემა, გადაწყვეტილების შესახებ სრული ინფორმაციის ჩათვლით, რათა კლიენტს ჰქონდეს გონივრული ვადა და შესაძლებლობა, მიიღებს რა ადვოკატის მოსაზრებებს და რჩევებს გადაწყვეტილების შესახებ, მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება დავის შესაძლო შემდგომი გაგრძელების ან შეწყვეტის თაობაზე, ისევე როგორც, ჰქონდეს საკმარისი დრო დავის გაგრძელების შემთხვევაში, მიიღოს შესაბამისი ზომები აღნიშნულ პროცესთან დაკავშირებით საჭირო ფინანსური რესურსების მოზიდვისა და აკუმულირების მიზნით.

7.1.1. შინაარსის კლიენტისთვის გაცნობა

საქმეზე სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების ხელზე ჩაბარების შემდგომ ადვოკატი ვალდებულია სასამართლო გადაწყვეტილება გადასცეს მის კლიენტს, თუმცა, ამასთანავე უნდა გააცნოს გადაწყვეტილების შინაარსი და განუმარტოს ის სამართლებრივი და ფაქტობრივი საკითხები, რაც სასამართლოს აქვს გადმოცემული გადაწყვეტილებაში. ადვოკატი ვალდებულია კლიენტს აუხსნას მიღებული გადაწყვეტილების შედეგი კლიენტისათვის და განუმარტოს გადაწყვეტილების გასაჩივრების პერსპექტივები, რაზეც ქვემოთ გვექნება საუბარი, თუმცა, არსებითის,

რომ ადვოკატმა კლიენტს გააცნოს გადაწყვეტილების გასაჩივრების კანონით დადგენილი ვადები და პროცედურა, ისევე, როგორც გასაჩივრებასთან დაკავშირებული დამატებითი საჭიროებები, იქნება ეს საჩივრისთვის გათვალისწინებული სახელმწიფო ბაჟის ოდენობა თუ იურიდიული მომსახურების ხარჯი და ა.შ.

7.1.2. განმარტების მოთხოვნა სასამართლოსგან

გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს უფლება აქვს მხარეების ან აღმასრულებლის განცხადებით, გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობის მიზნით განმარტოს გადაწყვეტილება სარეზოლუციო ნაწილის შეუცვლელად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი

ბუნდოვანია. განცხადების შეტანა გადაწყვეტილების განმარტების შესახებ დავის მონაწილე მხარის მხრიდან დასაშვებია, თუ გადაწყვეტილება ჯერ არ არის აღსრულებული და თუ არ გასულა მისი აღსრულების ვადა.

სასამართლო ვალდებულია განმარტებაზე განცხადების მიღებიდან ერთი თვის ვადაში მისცეს მხარეს განმარტება.

სასამართლო უფლებამოსილია გადაწყვეტილების განმარტების საკითხი გადაწყვიტოს ზეპირი მოსმენის გარეშე, თუმცა შეუძლია ასევე ჩაატაროს სხდომა, რომელზეც მხარის გამოუცხადებლობა ვერ დააბრკოლებს გადაწყვეტილების განმარტების საკითხის განხილვას[131].

7.1.3. გასაჩივრების წარმატების პერსპექტივის ანალიზი

ადვოკატი ვალდებულია, განჭვრიტოს, თუ რამდენად აქვს საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებას წარმატების პერსპექტივა და მხოლოდ ასეთი ანალიზის საფუძველზე მისცეს კლიენტს რჩევა გასაჩივრების შესახებ. ამასთან, ადვოკატმა მხოლოდ რეალური პერსპექტივის დანახვის შემთხვევაში უნდა მისცეს კლიენტს ასეთი რჩევა და ამით გაუფრთხილდეს მარწმუნებლის დროსა და ფინანსებს. თუმცა, არსებობს შემთხვევები, როდესაც გასაჩივრების გზით მხარე დამატებით დროს იგებს, რათა ხელი შეუშალოს მის საწინააღმდეგოდ დამდგარი სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებას, ან როცა პარალელურ რეჟიმში მხარე აწარმოებს დავასთან პირდაპირ კავშირში მყოფ სხვა დავას, და ამ მიზნებისთვის, გასაჩივრება მას ესაჭიროება საქმის ინტერესებიდან გამომდინარე. აღნიშნული ასპექტებიც შედის ზემოთხსენებულ ანალიზში და წარმოადგენს საბოლოო წარმატების მიღწევის ერთ-ერთ დამხმარე საშუალებას.

131. იხ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლი.

გასათვალისწინებელია, რომ ადვოკატი ვალდებულია კლიენტისთვის საწინააღმდეგო გადაწყვეტილების დადგომის შემთხვევაში განუმარტოს კლიენტს დავის გასაჩივრების საჭიროება და პერსპექტივები, თუმცა, მეორე მხრივ, ხშირად შეიძლება იყოს შემთხვევები, როდესაც მხარისათვის სასარგებლო სასამართლო გადაწყვეტილება დადგა, თუმცა, გადაწყვეტილებით სასამართლომ დადგენილ ფაქტად მიიჩნიოს ესა თუ ის გარემოება, რომლის თაობაზეც მხარეს ჰქონდეს განსხვავებული შეხედულება ან არ იყოს მისთვის აღნიშნული ფაქტის სასამართლოს მიერ გადაწყვეტილებით დადგენა მისაღები და ადვოკატს მოუწიოს კლიენტისთვის სამართლებრივად სასარგებლო გადაწყვეტილების, ანუ კლიენტის სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილბის გასაჩივრების საჭიროების ახსნა, სწორედ კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე გადაწყვეტილებით დადგენილი ამა თუ იმ მიუღებელი ფაქტობრივი გარემოების თაობაზე.

მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით დამწყები ადვოკატებისთვის, რათა გაეცნონ და წაიკითხონ, არა მხოლოდ მათი კლიენტის საწინააღმდეგოდ გამოტანილი საამართლო გადაწყვეტილებები, არამედ კლიენტის სასარგებლოდ, სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებებიც, რათა ადვოკატს არ გამორჩეს სასამართლოს მიერ, თუნდაც კლიენტის მიერ მოგებულ საქმეზე, დადგენილი და შეფასებული ესა თუ ის ფაქტი ან/და მტკიცებულება, რასაც სამართლებრივი გავლენის მოხდენა შეეძლება კლიენტის საბოლოო ინტერესის განხორციელებაზე.

თავი VIII

გასაჩივრების საშუალებები სამოქალაქო პროცესში

8.1. სასამართლო გადაწყვეტილების (განჩინების) ჩაბარება და გასაჩივრების ვადები და წესი.

8.2. განჩინებისა და გადაწყვეტილების გასაჩივრების მექანიზმი სამოქალაქო პროცესში.

8.1. სასამართლო გადაწყვეტილების (განჩინების) ჩაბარება და გასაჩივრების ვადები და წესი

სსსკ ის 2591-ე მუხლის შესაბამისად, საერთო სასარჩეო წესით წარმოებულ საქმეებზე გამოტანილი გადაწყვეტილების ჩაბარება ხდება გადაწყვეტილების გამოტანიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა. ასეთ ვითარებაში პირი ვალდებულია გამოცხადდეს სასამართლოში და ჩაიბაროს გადაწყვეტილება მოცემულ ვადაში. წინააღმდეგ შემთხვევაში მისი გასაჩივრების ვადა დაიწყება 30-ე დღეს გადაწყვეტილების გამოცხადებიდან.

სსსკ-ის 2591-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრულია იმ პირთა წრე, რომელ ჩამონათვალშიც მითითებულ პირებს არ ევალებათ, ვალდებულება არ აქვთ სასამართლოში გამოცხადების შედეგად გადაწყვეტილების ჩაბარებისა. ასეთ პირთა წრე განსაზღვრულია სსსკ-ის 46-ე მუხლით დადგენილი დანაწესით, რაც მოიცავს საკმაოდ ვრცელ ჩამონათვალს 46-ე მუხლის 1-ელ ნაწილში „ა“-დან – „ი“ პუნქტებამდე, ამასთან სასამართლოა ასევე ვალდებული, პატიმრობაში მყოფი პირისათვის გადაწყვეტილების გადაცემაზე. ეს ნორმები გახლავთ საგამონაკლისო ნორმები, დანარჩენ შემთხვევაში გადაწყვეტილების ჩაბარება ხდება სსსკ ის 2591-ე მუხლის შესაბამისად.

გადაწყვეტილების გასაჩივრება ხდება სსსკ-ის 369-ე მუხლით დადგენილი 14 დღის ვადაში, მისი გასაჩივრების ვადის ათვლის დღიდან. ვადის ათვლა იწყება არა უადრეს 20 დღიდან არა უგვიანეს 30 დღემდე ვადაში თუ ჩაიბარა პირმა ჩაბარების დღიდან, საგამონაკლისო შემთხვევებში კი სასამართლოდან გადაწყვეტილების სსსკ-ის 70-78 მუხლებით დადგენილი წესით ჩაბარების დღიდან.

გადაწყვეტილების ჩაბარებიდან ან დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 14 დღიანი ვადის გასვლის შემდეგ სააპელაციო საჩივარი ითვლება ხანდაზმულად და მას სააპელაციო სამართალი ტოვებს განუხილველად.

სააპელაციო საჩივარი შეიტანება იმავე სასამართლოში, სადაც არის გამოტანილი I ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, ხოლო ეს უკანასკნელი ვალდებულია სააპელაციო სასამართლოში გადააგზავნოს საქმის სრული მასალა, მთლიანად საქმე, შემოსული სააპელაციო საჩივარი და თუ დამატებით შევიდა მხარეთა მიერ რაიმე მასალა, ყველა დამატებითი მასალაც.[132]

ჩვენ მიმოვიხილეთ ის შემთხვევები, როდესაც საერთო წესების საფუძველზეა სარჩელი აღძრული, საქმე არ ეხება გამარტივებულ, უდავო წარმოებას და იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტებს. შესაბამისად ასეთი ტიპის საქმეებზე სააპელაციო საჩივრების შეტანის ვადა განსხვავებულია და მიეთითება მიეთითება წინამდებარე ნაშრომის 5.2.2; 5.2.3. მუხლებში.

132. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272, და 275 მუხ.

რაც შეეხება სარჩელის განუხილველად დატოვების, ან საქმის წარმოების შეწყვეტის თაობაზე სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას არა „გადაწყვეტილების“, არამედ „განჩინების“ ფორმით , რაზეც სსსკ-ის 274-ე მუხლისა და 282-ე მუხლების შესაბამისად ხდება მათი კერძო საჩივრით გასაჩივრება, ხოლო გასაჩივრების ვადა დასაბუთებული განჩინების გამოცხადებიდან ან მხარისათვის დასაბუთებული განჩინების გადაცემიდან 12 დღიან ვადაში ხდება სსსკ-ის 414-ე და 412-ე მუხლებით დადგნილი წესით.

სსსკ-ის 417-ე მუხლის შესაბამისად, მოცემული პროცედურები წესრიგდება ამგვარად, კერძო საჩივარი შეიტანება იმავე სასამართლოში, რომელი სასამართლოს მიერაც მიღებულია გასაჩივრებული განჩინება და სასამართლო ვალდებულია ზემდგომ ინსტანციაში გადააგზავნოს კერძო საჩივართან ერთად მთლიანი საქმე კერძო საჩივრის განსახილველად.

1994 წლის 11 მაისიდან მიღებული იქნა, ხოლო 1999 წლის 12 მაისს საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებული იქნა „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის“ 1950 წლის 4 ნოემბრის კონვენცია. კონვენციის მიხედვით ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ სასამართლოში საჩივრის წარდგენა ხდება მოქალაქის მიერ სახელმწიფოს წინააღმდეგ, სადაც აუცილებელი მოთხოვნაა, რომ პირმა უნდა ამოწუროს ყველა სამართლებრივი რესურსი შიდასახელმწიფოებრივ დონეზე და მხოლოდ ამის შემდეგ მიმართოს ევროპულ სასამართლოს. მოქალაქის მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსათვის საჩივრით მიმართვა ხდება საქართველოს საერთო სასამართლოებში საქმის დასრულებიდან 6 თვიან ვადაში.

8.2. განჩინებისა და გადაწყვეტილების გასაჩივრების მექანიზმი სამოქალაქო პროცესში (დასაბუთებული პრეტენზია, კერძო საჩივარი, საჩივარი, სააპელაციო და საკასაციო საჩივარი, თანდართული საჩივრები, რომლებითაც საჩივრდება გადაწყვეტილებასთან ერთად გასაჩივრებული საკითხები)

ჩვენ მიმოვიხილეთ საერთო სასარჩელო წარმოების საფუძველზე გამოტანილი გადაწყვეტილების სააპელაციო საჩივრით გასაჩივრების მექანიზმები 8.1. პუნქტში. შესაბამისად, მივუთითეთ ასევე კერძო საჩივრით გასასაჩივრებელი განჩინების ტიპებიც, გარდა გარკვეული გამონაკლისებისა, რაზეც ვისაუბრეთ 5.2.2 და 5.2.3 პუნქტებში. მოცემულ პუნქტში შევჩერდებით შემდეგ საკითხებზე-განჩინებისა და გადაწყვეტილების გასაჩივრების მექანიზმი სამოქალაქო პროცესში (დასაბუთებული პრეტენზია, კერძო საჩივარი, საჩივარი, სააპელაციო და საკასაციო საჩივარი, თანდართული საჩივრები, რომლებითაც საჩივრდება გადაწყვეტილებასთან ერთად გასაჩივრებული საკითხები).

მოქმედი კანონმდებლობით, სსსკ-ის 364-ე მუხლის საფუძველზე I ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება საჩივრდება სააპელაციო საჩივრით. სააპელაციო საჩივარი დაიშვება თუ დავის საგნის ღირებულება 1000 ლარს აღემატება . რაც შეეხება სააპელაციო საჩივრის შინაარსი გადმოცემულია სსსკ-ის 368-ე მუხლით დადგენილი დანაწესით. მხარემ, რომელსაც სურვილი აქვს გაასაჩივროს I ინსტანციის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით, ვალდებულია საჩივარი შედაგინოს სწორედ სსსკ-ის 368-ე მუხლით დადგენილი დანაწესის შესაბამისად. სააპელაციო ინსტანციაში ახალი და დამატებითი გარემოებები ან/და მტკიცებულებები არ დაიშვება საპატიო მიზეზის გარეშე, რაც განმარტებულია სსსკ-ის 83 და 380-ე მუხლებში.

თავად სააპელაციო ინსტანციის გადაწყვეტილება საჩივრდება საკასაციო საჩივრით სსსკ-ის 391-ე მუხლის შესაბამისად. თავის მხრივ, საკასაციო საჩივარი შეტანილ უნდა იქნეს იმ სასამართლოში, რომელმაც გამოიტანა სააპელაციო წესით საქმეზე გადაწყვეტილება. მოცემული ფორმატი წესრიგდება სსსკ-ის 395-ე მუხლით.

კერძო საჩივარი შეიტანება ყველა იმ გადაწყვეტილებაზე, რაც განსაზღვრულია მხოლოდ სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი ნორმებით. სსსკ-ის 414-ე მუხლის დეფინიციით კერძო საჩივარი დასაშვებია მხოლოდ იმ გადაწყვეტილებებზე, რომელიც განჩინების ფორმითაა მიღებული და მითითებულია, რომ საჩივრდება კერძო საჩივრით. რომელ განჩინებაზეც არ მიეთითება, რომ შესაძლებელია მისი გასაჩივრება კერძო საჩივრით, ასეთ განჩინებაზე დაუშვებელია კერძო საჩივრის შეტანა.

სასამართლოში საქმის განხილვის დროს შესაძლებელია მიღებული იქნეს ისეთი გადაწყვეტილებები, რომელიც საჩივრდება არსებითად საქმის განხილვის დასასრულს მიღებულ გადაწყვეტილებასთან ერთად. ასეთი გადაწყვეტილებებსი, რომელნიც შესაძლოა იყოს საოქმო განჩინების ფორმით, გასაჩივრების ვადა იწყება შემაჯამებელი, მოტივირებული გადაწყვეტილების გამოტანის დღიდან და მათ გააჩნიათ დასაბუთებული გადაწყვეტილების გასაჩივრებისათვის დადგენილი ვადები. შესაბამისად, ასეთი ტიპის განჩინებების თაობაზე საჩივარი ცალკ ეარ შეიტანება და მათი გასაჩივრებისათვის პრეტენზიები ჩაიწერება სააპელაციო და საკასაციო საჩივრის ფორმულარებში, არსებითი გადაწყვეტილებსი გასაჩივრების დროს.

საჩივარი შეიტანება გარკვეული გადაწყვეტილებების დროს. სსსკ-ის 194-197-ე მუხლები ითვალისწინებს საჩივრის შეტანას სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებებზე. საჩივრით შესაძლებელია გასაჩივრდეს ასევე დაუსწრებელი გადაწყვეტილება. სსსკ-ის 235-ე მუხლის საფუძველზე დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე შეიძლება შეტანილ იქნეს საჩივარი. სსსკ-ის 238-ე მუხლით დადგენილია დაუსწრებელი გადაწყვეტილების გადასინჯვისა და საქმის წარმოების განახლების თაობაზე საჩივრის შინაარსი რას უნდა შეიცავდეს და რა ფორმით უნდა იყოს ის შედგენილი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ყოველი კონკრეტული წარმოებისას

განსაზღვრავს თუ რა ტიპის საჩივარი უნდა იქნეს შეტანილი ამა თუ იმ გადაწყვეტილებაზე, იქნება ეს საჩივარი, კერძო საჩივარი, სააპელაციო საჩივარი თუ საკასაციო საჩივარი. ამასთანავე ყველა მათგანისათვის აუ-ცილებელი პირობაა რომ მათში გადმოცემული იქნეს დასაბუთებული პრე-ტენზიები, რაში მდგომარეობს სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვე-ტილების უსწორობა, მიუხედავად მათი დასახელებისა და რატომ მიაჩნია საჩივრის ავტორს ესა თუ ის გადაწყვეტილება უსაფუძვლოდ.

თავი IX

აღსრულება

9.1. აღსრულების მექანიზმი საქართველოში
(ვადები და აღსრულების წესი)

9.2. საერთაშორისო კერძო-სამართლებრივი საკითხი –
ცნობა-აღსრულება საზღვარგარეთ

9.1. აღსრულების მექანიზმი საქართველოში (ვადები და აღსრულების წესი)

სსსკ ის 267-ე მუხლის შესაბამისად, „გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულება დასაშვებია მხოლოდ მისი კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ“. თავის მხრივ საქართველოს კანონის „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ მე-2 მუხლის „ა“ პუნქტის საფუძველზე აღსრულებას ექვემდებარება კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილება, განჩინება და დადგენილება. ასეთ ვითარებაში ცხადია გადაწყვეტილების იძულებით აღსრულების ორგანოებიც მითითებულია „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის მე-3 მუხლში.

სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, საერთო ხანდაზმულობა შეადგენს 10 წელს. 128-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად: „სხვა პირისაგან რაიმე მოქმედების შესრულების მოთხოვნის უფლებაზე ვრცელდება ხანდაზმულობა“. ასეთ ვითარებაშიც კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებას გააჩნია აღსრულების 10 წლიანი ვადა. შესაბამისად, 10 წლის გასვლის შემდეგ გადაწყვეტილების აღსრულება აღარ მოხდება იძულებითი აღსრულების მექანიზმით და შესაძლებელია სააღსრულებო ბიურომ უარი უთხრას ასეთი გადაწყვეტილების აღსრულებაზე კრედიტორს – მოსარჩელეს და წარმოებაშიც არ მიიღოს სააღსრულებო ფურცელი, ან შეწყვიტოს სააღსრულებო ბიუროს წარმოებაში მყოფი საქმე „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 34-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ე“ პუნქტის საფუძველზე.

ზოგადად კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებაზე ვრცელდება საქართველოს კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“, რის საფუძველზეც საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიურო ახორციელებს კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების იძულებით აღსრულებას.

9.2. საერთაშორისო კერძო-სამართლებრივი საკითხი – ცნობა-აღსრულება საზღვარგარეთ

საქართველოში მოქმედებს კანონი „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ – რომელიც განსაზღვრავს „თუ რომელი სამართლებრივი წესრიგი გამოიყენება უცხო ქვეყნის სამართალთან დაკავშირებით საქმის ფაქტობრივი გარემოებების არსებობისას. აგრეთვე საპროცესო სამართლის იმ ნორმებს, რომლებიც გამოიყენება ასეთი საქმის წარმოებისას“.

საქართველოს დადებული აქვს მრავალმხრივი და ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებები, რომლებიც აწესრიგებენ როგორც უცხო ქვეყნის სახელმწიფოების მიერ სამოქალაქო საქმეებზე გამოტანილი გადაწყვეტი-

ლებების აღსრულებასა და აღიარებასთან დაკავშირებით, ასევე საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ მიღებული კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებების ცნობა-აღსრულების საკითხებს.

1993 წლის 22 იანვარს ხელმოწერილი მინსკის კონვენციით ხდება ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების-სომხეთის, აზერბაიჯანის, ყირგიზეთის, თურქმნეთის, ტაჯიკეთის, ყაზახეთის, რუსეთის, მოლდოვას, ბელარუსისა და უკრაინის და მათ შორის საქართველოს სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების საკითხების გადაწყვეტა იუსიტიციის სამინისტროს მეშვეობით, განმცხადებლისა და გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლოს შუამდგომლობით.

1996 წლის 6 ივნისიდან მოქმედებს და ძალაშია საერთაშორისო ხელშეკრულება „სამოქალაქო სამართლის საქმეებზე სამართლებრივი ურთიერთდახმარების შესახებ საქართველოსა და ბულგარეთის რესპუბლიკას შორის". ხელშეკრულება ითვალისწინებს, საქართველოს სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ განმცხადებელმა უნდა შეიტანოს იმ სასამართლოში, რომელმაც გამოიტანა ეს გადაწყვეტილება. გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლო გადააგზავნის ბულგარეთის რესპუბლიკის კომპეტენტურ სასამართლოში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მეშვეობით შუამდგომლობას გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების თაობაზე. განმცხადებელს ასევე შეუძლია უშუალოდ აღძრას გადაწყვეტილების აღსრულების შუამდგომლობა ბულგარეთის რესპუბლიკის კომპეტენტურ სასამართლოში.

1998 წლის 15 იანვარს ძალაში შევიდა ხელშეკრულება „საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის სამოქალაქო, სავაჭრო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი ურთიერთდახმარების შესახებ", რომელიც ითვალისწინებს, გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულებისათვის შუამდგომლობა და შესაბამისი დოკუმენტაცია განმცხადებლის მიერ უშუალოდ წარედგინოს თურქეთის რესპუბლიკის კომპეტენტურ ორგანოს.

1999 წლის 10 მაისის ხელშეკრულება „საქართველოსა და საბერძნეთის რესპუბლიკას შორის სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარების შესახებ" ითვალისწინებს, რომ შუამდგომლობა და შესაბამისი დოკუმენტაცია განმცხადებლის მიერ უშუალოდ წარედგინოს საბეძნეთის რესპუბლიკის კომპეტენტურ ორგანოს.

საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულებისათვის საჭიროა განსაზღვრული იქნეს იმ ქვეყანაში, სადაც უნდა მოხდეს საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება, საქართველოს დადებული აქვს თუ არა საერთაშორისო ხელშეკრულება ასეთი ტიპის ურთიერთდახმარების შესახებ. თუ ასეთი ხელშეკრულება საქართველოს სახელმწიფოსთან გაფორმებუ-

ლი და შეთანხმებულია, ასეთ ვითარებაში გათვალისწინებული უნდა იქნეს მოცემული ხელშეკრულებით რა მექანიზმებია განსაზღვრული. ამასთანავე, ასევე უნდა იქნეს გათვალისწინებული იმ ქვეყნის კანონმდებლობაც, სადაც უნდა აღსრულდეს კანონიერ ძალაში შესული საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ მიღებული და კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებები.

ირაკლი ყანდაშვილი, LL.M.
ადვოკატი, მედიატორი
საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს წევრი (2013 წლიდან)
საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საგანმანათლებლო საბჭოს თავმჯდომარე

ირაკლი ყანდაშვილი არის მოქმედი ადვოკატი, რომელიც უკვე 14 წელია წარმოადგენს კლიენტებს საქართველოს ყველა ინსტანციის სასამართლოსა და ადამიანის უფლებებისა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპულ სასამართლოში.
ირაკლი ყანდაშვილი არის იურიდიული ფირმა „K&K Consulting"-ს მმართველი პარტნიორი და ლიცენზირებული მედიატორი.
ირაკლი ყანდაშვილი არის „საქართველოს სასამართლო მედიატორთა ასოციაციის" დამფუძნებელი და აღმასრულებელი საბჭოს წევრი.
ირაკლი ყანდაშვილი არის ILO (International Labor Organization) - ს და გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის ექსპერტი, არის IBA (International Bar Association) სრული წევრი და CCBE (ევროპის ადვოკატთა ასოციაციებისა და სამართლის საბჭო)-ს იურიდიული განათლების კომიტეტის წევრი, ისევე როგორც ევროპის საბჭოს HELP-ის პროგრამის Info Point საქართველოში.

გიორგი ტურაზაშვილი
ადვოკატი, სისხლის სამართლის, იურიდიული ეთიკის, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო სისტემის, სამართლებრივი მართლწერისა და ბავშვთა მართლმსაჯულების სპეციალისტი

გიორგი ტურაზაშვილი 2000 წლიდან ეწევა საადვოკატო საქმიანობას და სისხლის სამართლაწარმოების პროცესში (სახელმწიფო გამოძიება) იცავს და წარმოადგენს კლიენტთა როგორც მოწმის და დაზარალებულის ისე ბრალდებულად ცნობილის კანონიერ ინტერესებს. სასამართლოებში წარმოადგენს კლიენტთა (ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა, გამართლებულთა) კანონიერ ინტერესებს. ხოლო 2008 წლიდან წარმოადგენს კლიენტებს ადამიანის უფლებებისა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპულ სასამართლოში.
გიორგი ტურაზაშვილი წლების განმავლობაში იყო საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის წევრი, იყო თავმჯდომარეც.
2017 წლიდან არის ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს წევრი, საგანმანათლებლო საბჭოს წევრი და სასწავლო ცენტრის ტრენერი, კონსულტანტი.
2006 წლიდან წარმოადგენს ამერიკის იურისტთა ასოციაციის (ABA CEELI) სერთიფიცირებულ სპეცილისტს სისხლის სამართალსა, პროფესიულ უნარ ჩვევებში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსათვის და სამართლებრივი მართლწერაში. 2010 წლიდან იყო ნორვეგიის კანონის უზენესობის მხარდამჭერი მისიის (NORLAG) სერთიფიცირრებული სპეცილიასტი სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთების უნარ ჩვევებში. 2015 წლიდან არის ევროკავშირისა და ევროსაბჭოს სერთიფიცირებული ტრენერი ბავშვთა მართლმსაჯულების მიმართულებით.